

ავტორის სტილი დაცულია



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ლია გვაზავა

ელექტროენერგეტიკული სექტორის ბუნებრივი მონოპოლიების
დანახარჯების აუდიტი მარეგულირებელი მიზნებისათვის

დისერტაცია

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ასოც. პროფესორი ლევან საბაური

თბილისი

2018

სარჩევი

შესავალი ----- 3

თავი 1. ელექტროენერგეტიკული სექტორის ბუნებრივი მონოპოლიების
მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები

1.1 ბუნებრივად მონოპოლისტი საწარმოები და დამოუკიდებელი
მარეგულირებელი ორგანოს უფლებამოსილება ----- 9

1.2 ევროკომისიის ენერგეტიკული დირექტივები ----- 22

1.3 ელექტროენერგეტიკულ საწარმოთა საქმიანობების დაყოფა და
ფასწარმოქმნა ----- 29

1.4 ინვესტიციების ადეკვატურობა და მიწოდების საიმედოობა ----- 36

1.5 ელექტროენერგიის გადაცემის და განაწილების ლიცენზიატების
რეგულირების გავრცელებული მოდელები ----- 41

თავი 2. საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზარი და ფაქტობრივი
ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები

2.1 ელექტროენერგეტიკული ბაზრის მოდელი და მონაწილე სუბიექტები ----- 61

2.2 ელექტროენერგეტიკული ბაზრის ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლები -
----- 78

2.3 მომხმარებლებისათვის გაწეული მომსახურების ხარისხი ----- 103

2.4 ელექტროენერგიის გადაცემის და განაწილების ქსელის განვითარება -- 110

თავი 3. მარეგულირებელი მიზნები და ბუნებრივი მონოპოლიების დანახარჯების
აუდიტის სპეციფიკა

3.1 დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის მნიშვნელობა ----- 123

3.2 ელექტროენერგიის გადაცემისა და განაწილების ლიცენზიატების ფინანსური
ანგარიშგებები და რეგულირებადი ანგარიშები ----- 135

3.3 დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის მეთოდოლოგია და პრინციპები -
----- 143

3.4 მარეგულირებელი აუდიტის პროცესის მართვა ----- 146

3.5 დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტი სატარიფო რეგულირების
ფარგლებში ----- 156

დასკვნები და რეკომენდაციები ----- 192

გამოყენებული ლიტერატურა ----- 200

შესავალი

თემის აქტუალობა. ელექტროენერგია მნიშვნელოვანი როლს თამაშობს როგორც საზოგადოების, ისე ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. ენერგოსფეროს ექსპერტებში მიღებულია მოსაზრება, რომ ენერგეტიკული სექტორი არის ქვეყნის ეკონომიკის განვითარების წინმსწრები დარგი, ხოლო ქვეყნის საიმედო და მდგრადი ენერგოუზრუნველყოფა თანამედროვეობის ერთურთი ყველაზე აქტუალური პრობლემაა.

ეკონომიკის გაუმჯობესების დღევანდელი ტენდენცია ქვეყნის ენერგო რესურსებზე მოთხოვნილების აშკარა ზრდის პერსპექტივას სახავს და მათი საბაზო ურთიერთობების მკაცრ პირობებში გადაჭრის აუცილებლობას მოითხოვს. თანამედროვეობის მოთხოვნების დაქმაყოფილება შეუძლია მხოლოდ თვისობრივად განახლებული შიდა და გარე ბაზრებისთვის მისაღებ საობო-ენერგეტიკულ კომპლექსს რაც თავისმხრივ საჭიროებს დანახარჯების ზრდას ელექტროენერგიის მიწოდებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის განახლების თუ სხვა აუცილებელი მომსახურების შესყიდვის კუთხით.

აღნიშნულის შედეგად მიღწეული უნდა იქნას ხელმისაწვდომი და ენერგოდამზოგავი წამახალისებელი ფასებით ქვეყნის ეკონომიკისა და მოსახლეობის ენერგო-რესურსებით მომარაგება.

ქვეყანაში არსებული სოციალური თუ ეკონომიკური ვითარების გათვალისწინებით, ელექტროენერგეტიკული სექტორის ბუნებრივი მონოპოლიების, ელექტროენერგიის გამანაწილებელი საწარმოების სატარიფო რეგულირება საზოგადოების მაღალი ინტერესის გამო განსაკუთრებით აქტუალურია და მარეგულირებელი ორგანოს მიერ დადგენილი ტარიფები მუდმივი განსჯის და დავის საგანი ხდება როგორც გამანაწილებელი საწარმოს, ასევე მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის. სწორედ მარეგულირებელი ორგანოს მიერ განსაზღვრული გონივრული, რაციონალური და მიზანშეწონილი საოპერაციო და კაპიტალური დანახარჯების მოცულობაზეა მეტწილად დამოკიდებული ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიატისთვის დასადგენი ტარიფის ოდენობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, აქტუალურია იმ აუცილებელი ქმედებების ერთობლიობის განსაზღვრა, რომელიც საჭიროა მარეგულირებელი აუდიტის დანერგვის მიზნით კონკრეტულად გაწერილი რეგულაციების და ერთიანი სტანდარტიზებული მიღმების შემუშავებისთვის. განსაკუთრებით

აუცილებლობას წარმოადგენს მარეგულირებელი მიზნებისთვის ელექტროენერგეტიკული სექტორის ბუნებრივი მონოპოლიების დანახარჯების აუდირების პრინციპების განსაზღვრა, რათა „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში მოცემული ზოგადი მნიშვნელობის ჩანაწერი - ტარიფში ასასახი „რაციონალური და გონივრული ხარჯები“ მოქცეულ იქნეს კონკრეტული რეგულაციების/განმარტებების ჩარჩოში. მნიშვნელოვანია, რომ ლიცენზიატი საწარმო დასაწყისშივე ინფორმირებული იყოს ნებადართული, მიზანშეწონილი ან/და არამიზანშეწონილი ხარჯების თაობაზე, ხოლო თავისმხრივ გამჭირვალედ და სამართლიანად შესაბამის ტარიფში ასახული დანახარჯების თაობაზე ინფორმირებული უნდა იყოს მომხმარებელიც, რათა მოახდინოს ტარიფის სტრუქტურის ფარგლებში მისაღები თუ მიუღებელი დანახარჯების სახეობების იდენტიფიცირება. აღნიშნულის გათვალისწინებით, წინამდებარე პრობლემის კვლევა საჭიროებდა განსაკუთრებით აქტუალურ საკითხთა შესწავლას, როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული მნიშვნელობით.

ელექტროენერგეტიკული სექტორი ყველა ქვეყანაში ჩამოყალიბდა და განვითარდა, როგორც ვერტიკალურად ინტეგრირებული, გეოგრაფიული ნიშნით (გარკვეულ გეოგრაფიულ რაიონში) ჩამოყალიბებული მონოპოლიები, რომლებიც წარმოადგენენ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ენერგეტიკული ობიექტების ერთობლიობას. ელექტროენერგეტიკული სისტემის თითქმის ყველა კომპონენტი - გენერაცია, გადაცემა, მიწოდება-განაწილება - წარმოადგენდა ერთ კონკრეტულ საწარმოს ანუ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ სტრუქტურულ ერთეულებს. ეს საწარმოები წარმოადგენდნენ განსაზღვრულ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე ელექტროენერგიის ერთადერთ მწარმოებლებსა და მიმწოდებლებს ნებისმიერი მომხმარებლებისათვის.

აღნიშნული ტიპის საწარმოების საქმიანობის ეფექტურობა სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირი იყო. განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში ელექტროენერგეტიკულ სისტემებს ახასიათებდა დაბალი შრომის ნაყოფიერება, მომსახურების (სერვისი) დაბალი ხარისხი, ენერგიის მაღალი დანაკარგები და რაც მთავარია დაბალი ფასები. ეს კი შესაძლებლობას არ იძლეოდა დარგში განხორციელებულიყო ახალი ინვესტიციები, რაც თავისმხირვ აისახება გაზრდილ სატარიფო განაკვეთებში, რომელიც შემდგომში საჭიროებს გაწეული

დანახარჯების აუდიტს მარეგულირებელი მიზნებისათვის. ამ კონტექსტში რეგულირებადი საწარმოების დანახარჯებისადმი ერთიანი სტანდარტიზებული მიღებომისა და პრინციპების შემუშავება კვლავ აქტუალურ პრობლემად რჩება მარეგულირებელ ორგანოთა შორის, ვინაიდან აღნიშნული პრინციპები უნდა ითვალისწინებდეს როგორც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ასევე, ელექტროენერგეტიკული სისტემის მოდელსა და რეგულირებად საწარმოთა სტრუქტურას.

კვლევის მიზანია ელექტროენერგეტიკული სექტორის ბუნებრივად მონოპოლისტი ქსელური საწარმოების (ელექტროენერგიის გადაცემის და განაწილების საწარმოები) მარეგულირებელი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმების შესწავლა, რომლებიც თანმიმდევრულობის პრინციპის დაცვით მათ შორის ორიენტირებულია საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაზე მარეგულირებელი მიზნებისათვის ჩატარებული აუდიტის ანგარიშის შედგენაზე. ამასთან, კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს არსებული საკანონმდებლო ნორმების შესწავლის შედეგად, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების აუცილებლობის დასაბუთება, ელექტროენერგეტიკული სექტორის ბუნებრივი მონოპოლიების სატარიფო რეგულირებისა და ტარიფის სტრუქტურის შესწავლა სამართლიანი დანახარჯების ამსახველი დანახარჯების ბაზის ფორმირების კონტექსტში. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, საკვლევ საკითხთა ჩამონათვალი განისაზღვრა შემდეგი თანმიმდევრობით:

1. მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების მიმოხილვა და კრიტიკული ანალიზი;
2. ელექტროენერგეტიკული სექტორის ბუნებრივად მონოპოლისტი საწარმოების თავისებურებების იდენტიფიცირება და რეგულირების პრინციპების ანალიზი დანახარჯების ბაზის ფორმირებისა და მონიტორინგის კონტექსტში;
3. საქართველოში არსებული ბუნებრივად მონოპოლისტი რეგულირებადი საწარმოების სატარიფო რეგულირების და აუდირების პროცესის ანალიზი;
4. საერთაშორისო გამოცდილებისა და რეკომენდაციების ანალიზი საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორის ბუნებრივი

მონოპოლიების სატარიფო რეგულირების, დანახარჯების აუდირების პროცესის ორგანიზებისა და მართვის კუთხით;

5. საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორის სტრუქტურული შესწავლა მასში გაერთიანებული საქმიანობების დონეზე;
6. ელექტროენერგიის გადაცემისა და განაწილების ლიცენზიატი საწარმოების ფინანსური ანგარიშების ფორმებისა და საქმიანობების მიხედვით ხარჯების, შემოსავლები, აქტივების აღრიცხვის წესების შესწავლა და ანალიზი;
7. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების და მარეგულირებელი მიზნებისთვის დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის პრინციპების ანალიზი

კვლევის ობიექტს წარმოადგენს ელექტროენერგეტიკული სექტორის მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმები, ბაზრის სტრუქტურა და სუბიექტები, მარეგულირებელი აუდიტის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები. კვლევა განხორციელდა საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორის მაგალითზე და იგი წარმოადგენს საფუძველს ელექტროენერგიის გადაცემისა და განაწილების ლიცენზიატი საწარმოების მარეგულირებელი აუდიტის განსახორციელებლად.

კვლევის მეთოდოლოგია. კვლევის პროცესში გამოყენებულია საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ შემუშავებული/დამტკიცებული წესები და რეგულირების პრინციპების ამსახველი მეთოდოლოგიები, ასევე, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინფორმაცია და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მონაცემები. ამასთნ, გათვალისწინებულია როგორც ქართველ ასევე, უცხოელ ექსპერტთა დასკვნა/რეკომენდაციები ელექტროენერგეტიკული სექტორის რეგულირებისა და რეგულირებადი საწარმოების დანახარჯების აუდიტის მარეგულირებელი მიდგომების შესახებ.

ადნიშნული მონაცემების საფუძველზე, კვლევის მიმდინარეობისას განხორციელდა ინფორმაციის შეფასება, ანალიზი და ზოგიერთი არსებითი

ფაქტორის შედარება კვლევის ისეთი მეთოდების გამოყენებით, როგორიცაა: ხარისხობრივი, თვისობრივი, სტატისტიკური ანალიზი და შედარებითი.

კვლევის შედეგები. მოცემული პერიოდისთვის კვლევის შედეგები შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგი სახით:

1. შესწავლილი და შეფასებული იქნა ელექტროენერგეტიკული სექტორის ბუნებრივი მონოპოლიების რეგულირების საფუძვლები, საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის მოდელი, ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიატი საწარმოების როლი ელექტროენერგეტიკულ სექტორში და არსებული გამოწვევები თუ მეთოდოლოგიური ხარვეზები.
2. გაანალიზებული იქნა ლიცენზიატი საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების ფორმები, მოთხოვნილი ინფორმაციის აღრიცხვისა და მარეგულირებელ ორგანოში წარდგენის წესები და განხილული იქნა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების ზოგადი მოთხოვნები მარეგულირებელი მიზნებისათვის დანახარჯების აუდიტის კონტექსტში.
3. სისტემურად იქნა გაანალიზებული საქართველოში არსებულ რეგულაციებზე დაყრდნობით ლიცენზიატი საწარმოების სატარიფო რეგულირების ანუ ფასწარმოქმნის საფუძვლები ასევე, რეგულირებადი დანახარჯების ბაზის ფორმირების სტრუქტურა, დაფინანსების წყაროები, რაც საბოლოო ჯამში დანახარჯების გონივრული ოდენობით განსაზღვრის მიზნით საჭიროებს სახელმძღვანელო პრინციპების განსაზღვრას.

კვლევის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს მარეგულირებელი მიზნებისათვის ელექტროენერგეტიკული სექტორის ბუნებრივი მონოპოლიების დანახარჯების აუდიტან დაკავშირებული კომპლექსური და სისტემური რეგულირების პრინციპების ანალიზი, რომლის ფარგლებშიც კვლევა იქნება მეცნიერული თვალსაზრისით დირებული და მოცულობითი. მისი შედეგები დაეხმარება მომავალი მეცნიერული კვლევების გაღრმავებას ელექტროენერგიის სატარიფო რეგულირების პროცესში დანახარჯების ბაზის შინაარსობრივი ფორმულირების, გონივრული და მიზანშეწონილი ოდენობის განსაზღვრის და აუდირების მიმართულებით. ასევე, კვლევის განხორციელების შედეგად

მიღებული დასკვნებისა და რეკომენდაციების პრაქტიკული დანერგვა როგორც საქართველოს, ისე მისი მეზობელი ქვეყნების ელექტროენერგეტიკულ სექტორში უპირობოდ წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ენერგოსექტორის საინვესტიციო გარემოს გამჭირვალობის, რაციონალური დანახარჯების განსაზღვრის და შედეგად მიღწეული სამიზნე მაჩვენებლების გაუმჯობესების კუთხით.

კვლევის შედეგების, დასკვნების და რეკომენდაციების გაცნობა-გამოყენება სასარგებლო იქნება საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორის ბუნებრივად მონოპოლისტი საწარმოებისთვის (ელექტროენერგიის გადაცემის და განაწილების საწარმოები), ეროვნული მარეგულირებელი ორგანოსთვის, ასევე, სხვა ქსელური კომპანიებისთვის, სასწავლო-კვლევითი დაწესებულებების, დაინტერესებული ექსპერტების, ინვესტორებისთვის, საქართველოში მოღვაწე უცხოური ფონდებისა და ორგანიზაციებისათვის.

აღსანიშნავია, რომ წინამდებარე კვლევის ფარგლებში შემუშავებული დასკვნა/რეკომენდაციები აუმაღლებს ცნობიერებას დაინტერესებულ მხარეებს ბუნებრივად მონოპოლისტი საწარმოების სატარიფო რეგულირებასთან დაკავშირებით, რომლის ყველაზე მნიშვნელოვან აქტივობას ეტაპს წარმოადგენს საწარმოთა ფაქტობრივი დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტი.

თავი 1. ელექტროენერგეტიკული სექტორის ბუნებრივი მონოპოლიების მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები

1.1. ბუნებრივად მონოპოლისტი საწარმოები და დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს უფლებამოსილება

საქართველოში საბაზო ეკონომიკაზე გადასვლის შემდგომ, სახელმწიფო საკუთრების განსახელმწიფოებრიობისა და ფასების ლიბერალიზაციის პროცესის პრაქტიკულად დამთავრებასთან დაკავშირებით გარკვეულწილად ხელსაყრელი პირობები შეიქმნება კონკრეტული სამეწარმეო გარემოს ჩამოყალიბებისათვის.

ამასთან, ქვეყნის ეკონომიკაში არის სფეროები, რომლებშიც თავისუფალი ფასწარმოქმნა არ უნდა ჩაითვალოს ოპტიმალურად. ასეთ სფეროებს პირველ რიგში განეკუთვნება ბუნებრივი მონოპოლიები, ანუ ბაზრის სეგმენტები, რომლებშიც კონკურენციის განვითარება ტექნოლოგიურად შეუძლებელია, ან/და ეკონომიკურად არაეფექტურიანია. სახელმწიფოს პოლიტიკა იმ საწარმოების მიმართ, რომლებიც მოქმედებენ ბაზარზე როგორც ბუნებრივი მონოპოლიები, გამოიხატება არა მათი მონოპოლიური საქმიანობის აღკვეთით, არამედ ამ საქმიანობის მუდმივი რეგულირების პირობების შექმნით.

ბუნებრივ მონოპოლიათა პროდუქციის (მომსახურება, სამუშაო) ფასების ლიბერალიზაცია და სახელმწიფო კონტროლის შესუსტება იწვევს არაკეთილსინდისიერ კონკურენციას და, შესაბამისად, როგორც მეწარმეთა, ისე მომხმარებელთა ინტერესების შეღახვას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოიქმნა საჭიროება ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შექმნისა, რომელიც ფუნქციონირებს “ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს შესახებ” საქართველოს კანონით გაწერილი პრინციპებით. აღნიშნული კანონის მიზანია, შეიქმნას მყარი სამართლებრივი საფუძველი და სრულყოფილი ინსტიტუციური გარემო საქართველოში მოქმედი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების სტაბილური ფუნქციონირებისათვის, რათა ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში უზრუნველყოფილ იქნეს ლიცენზიის მფლობელთა და მომხმარებელთა

ინტერესების დაბალანსება, მომსახურებისა და საქონლის ეფექტიანი ფასწარმოქმნა და მიწოდება.

საქართველოში მოქმედი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ კანონი აწესებს საქართველოში მოქმედი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების დამოუკიდებლობას ყოველგვარი პოლიტიკური ზეწოლისაგან, სახელმწიფო ორგანოთა თუ სხვა პირთა არასათანადო ზემოქმედებისა და არასამართლებრივი ჩარევისაგან, აგრეთვე ნებისმიერი სხვა ქმედებისაგან, რომელმაც შეიძლება ხელყოს მათი დამოუკიდებლობა; ამასთან, აღნიშნული კანონი განსაზღვრავს კონკრეტული სფეროს სრულყოფილი რეგულირების განხორციელების უფლებამოსილებას, პასუხისმგებლობას გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურის გამჭვირვალობისა და საიმედოობის უზრუნველყოფისათვის და ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შექმნის გზით საქმიანობისა და ორგანიზების ძირითად მარეგულირებელ პრინციპებს. ეროვნული მარეგულირებელი ორგანო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს დამოუკიდებლობის, საჯაროობისა და პასუხისმგებლობის პრინციპებით. დაუშვებელია ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს საქმიანობაში ჩარევა, ამ საქმიანობის კონტროლი და აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით ანგარიშის მოთხოვნა, თუ ეს პირდაპირ არ არის გათვალისწინებული შესაბამისი კანონით. დამოუკიდებლობის განმსაზღვრელი ძირითადი პრინციპებია:

- ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს მიმართ ნებისმიერი სახის კონტროლის დაუშვებელობა; ანგარიშის მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტისათვის, საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენა შესაბამისი კანონით დადგენილი წესით;
- ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს და კომისიის წევრის პასუხისმგებლობის განსაზღვრა სასამართლოს მეშვეობით, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი;
- კომისიის წევრთა დანიშვნა მხოლოდ შესაბამისი კანონით დადგენილი წესით;
- შესაბამისი კანონით მინიჭებული საჯარო ფუნქციების (მათ შორის, ლიცენზიის მფლობელთა და მომხმარებელთა ინტერესების

დაბალანსების ფუნქციის) სხვა ორგანოებისა და კერძო სამართლის პირებისათვის გადაცემის დაუშვებლობა.

თუ ორგანო, კანონმდებლობის თანახმად, არ მოქმედებს ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პრინციპით ერთდროულად ან მოქმედებს განსხვავებული წესებითა თუ პროცედურებით, იგი არ ითვლება ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოდ.

ეროვნული მარეგულირებელი ორგანო თავის მხრივ, ვალდებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით მოაწყოს საჯარო განხილვები სალიცენზიო და სატარიფო უფლებამოსილებების განხორციელების თაობაზე, ხოლო ასეთი პროცედურის გარეშე გადაწყვეტილების მიღება იწვევს აღნიშნული გადაწყვეტილების ბათილობას. აღსანიშნავია, რომ მარეგულირებელი ორგანოს გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლება აქვს მხოლოდ სასამართლოს.

საქართველოს ენერგეტიკული სექტორის რეგულირება ხდება იმ ძირითადი საკანონმდებლო ჩარჩოების ფარგლებში, რითაც საქმიანობს თავად ბაზარი. სექტორის მარეგულირებლად ითვლება საქართველოს ენერგეტიკის და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, რომელიც დაარსა საქართველოს მთავრობამ 1997 წელს “ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ” კანონის საფუძველზე. კომისია ერთი მხრივ, პასუხისმგებელია საქართველოს ენერგეტიკული ბაზრის და მისი ყველა მონაწილის ზედამხედველობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, უფლებამოსილია დაამტკიცოს და გამოაქვეყნოს რეგულაციები და გასცეს ლიცენზიები.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი აწესრიგებს ქვეყანაში ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის, მათში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების ზოგად წესებს, სადაც გაწერილია ლიცენზიებისა და ნებართვების სახეების ჩამონათვალი.

ლიცენზიების გაცემას, როგორც წესი, ახორციელებენ ცენტრალური სახელმწიფო ორგანოები, გარდა ცალკეული გამონაკლისებისა. შესაბამისად, ენერგეტიკული სექტორის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ გაცემული ლიცენზიების გარეშე აკრძალულია ენერგეტიკულ სექტორში სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება. კომისია ლიცენზიებს გასცემს შემდეგ საქმიანობებზე:

1. ელექტროენერგიის წარმოების ლიცენზია;
2. ელექტროენერგიის გადაცემის ლიცენზია;
3. ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაციის ლიცენზია;
4. ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზია.

ლიცენზიატს არ აქვს უფლება, კომისიის წინასწარი თანხმობის გარეშე შეწყვიტოს, შეამციროს ან გაზარდოს ლიცენზიით გათვალისწინებული მომსახურება. აღსანიშნავია, რომ 13 მგვტ-ზე მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურებს წარმოების ლიცენზია არ ესაჭიროებათ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიზანს წარმოადგენს მისი კომპეტენციის ფარგლებში ხელი შეუწყოს ენერგო და წყალმომარაგების სექტორების განვითარებას. დარგის ეფექტურად რეგულირების მიზნით შეიქმნას სამართლებრივი საფუძვლები და დაბალანსდეს რეგულირების სფეროში შემავალი საწარმოებისა და მომხმარებლების ინტერესები.

ენერგეტიკული სექტორის რეგულირების ტრადიციულ მიდგომას საფუძველი 1990-იანი წლების დასაწყისიდან ჩაეყარა. მის დადებით მხარეს წარმოადგენს ბუნებრივი მონოპოლიების რეგულირება, მომხმარებელთა უფლებების დაცვა, ტარიფების რეგულირება.

ამასთან, ენერგეტიკულ სექტორში არის გარკვეულწილად დერეგულირებული საქმიანობაც, კერძოდ, დერეგულირებულია 2008 წლის 1 აგვისტოს შემდეგ აშენებული ელექტროსადგურები, გარდა იმ თბოელექტროსადგურისა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულია გარანტირებული სიმძლავრის წყაროდ. დერეგულირებულ სადგურებს უფლება მიეცათ ელექტროენერგიით ვაჭრობა განახორციელონ თავისუფალი ტარიფით.

ქვეყნის ენერგოუზრუნველყოფისა და ენერგეტიკული უსაფრთხოების თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა აქვს სრულყოფილი საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზის არსებობას. ასევე, საქართველოს კანონმდებლობა ენერგეტიკის სფეროში მოიცავს საერთაშორისო შეთანხმებების, ხელშეკრულებების, საქართველოს კანონებისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ ქმედებათა ერთობლიობას.

საქართველოს ელექტროენერგეტიკის სექტორში 1999 წლის 1 მაისამდე ძირითად ნორმატიულ დოკუმენტს წარმოადგენდა საქართველოს კანონი „ელექტროენერგეტიკის შესახებ“, რომელიც ქვეყნის პარლამენტმა 1997 წლის 27 ივნისს მიიღო. კანონით განისაზღვრა ურთიერთობა ელექტროენერგეტიკის სტრუქტურულ ერთეულებს შორის, შეიქმნა სამართლებრივი საფუძვლები დარგში საბაზო ურთიერთობების დანერგვისთვის, ინვესტიციების მოზიდვისთვის, ელექტროენერგიის კონკურენტული ბაზრის ჩამოყალიბებისთვის და სხვა.

„ელექტროენერგეტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებით საქართველოს ხელისუფლებამ ფაქტობრივად გამოხატა თავისი პოლიტიკური ნება ეკონომიკის მართვის დეცენტრალიზაციისა და ბუნებრივი მონოპოლიის ნიშნის მატარებელი დარგის დამოუკიდებელი რეგულირების შესახებ. კანონი მიზნად ისახავდა კონკურენციის მქანიზმებისა და არაკონკურენტული ბაზრის რეგულირების შეთანხმებით ელექტროენერგიის ეფექტიანი წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციის და განაწილების დანახარჯების ზუსტ ასახვას სატარიფო სისტემაში; ასევე, ყველა კატეგორიის მომხმარებლის სტაბილური ელექტრომომარაგებისთვის საჭირო სამართლებრივი საფუძვლის შექმნას და სხვა.

საქართველოს ენერგეტიკაში დღეს მოქმედ კანონთა შორის მნიშვნელოვანია „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელშიც ასახულია ენერგეტიკის ისეთი სფეროები, როგორიცაა ელექტროენერგეტიკის ექსპორტ-იმპორტი. ცალკე თავად ჩაემატა „ელექტროენერგიით (სიმძლავრე) საბითუმო გაჭრობა“. კანონი აწესრიგებს საქმიანობასა და ურთიერთობებს ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციის, განაწილების, იმპორტის, ექსპორტისა და დარგის ფუნქციონირებასა და განვითარებას საბაზო ეკონომიკის პრინციპების შესაბამისად. კანონის წინაშე მდგარი ამოცანებია: დარგში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და რეგულირების ფუნქციების გამიჯვნა; ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის წარმოებისა და რეალიზაციის სფეროებში რეგულირების ძირითადი პრინციპების განსაზღვრა; დარგის ლიცენზიატებისთვის საქმიანობის ეფექტიანობის ზრდის და კონკურენციის განვითარების ხელშეწყობა; მომხმარებელთა დაცვა მონოპოლიური

ტარიფებისგან და დარგის გრძელვადიანი ფინანსური მდგრადობისა და განვითარების ხელშეწყობა.

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში 2013 წლის 27 დეკემბერს შეტანილი №1902 ცვლილების შესაბამისად, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას დაევალა 3 წლის განმავლობაში, ეტაპობრივად, ერთიანი საბუღალტრო-სააღრიცხვო სისტემის დამტკიცება ენერგეტიკული სექტორის ყველა ლიცენზიატისათვის.

ზემოაღნიშნული კანონის 46-ე მუხლის შესაბამისად, ერთიანი საბუღალტრო-სააღრიცხვო სისტემა არის ლიცენზიატებისათვის სავალდებულო ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სისტემა, რომელიც მოიცავს:

- ანგარიშთა გეგმას;
- ანგარიშთა გეგმის გამოყენებისა და აღრიცხვის წარმოების ინსტრუქციებს;
- რეგულირების მიზნებისათვის წარსადგენი პერიოდული ანგარიშების ფორმასა და შინაარსს;
- ანგარიშგების პერიოდულობას;
- პირის მიერ ერთზე მეტი სალიცენზიო საქმიანობის ან/და სალიცენზიო საქმიანობასთან ერთად სხვა სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში შემოსავლების, ხარჯების, აქტივების, ვალდებულებების, ფინანსური შედეგებისა და საკუთარი კაპიტალის საბუღალტრო აღრიცხვის განცალკევებულად წარმოების წესებს.

ამასთან, აღნიშნული კანონით განისაზღვრა შემდეგი მოთხოვნა, თუ პირი ფლობს ერთზე მეტ ლიცენზიას ან/და სალიცენზიო საქმიანობასთან ერთად ეწევა სხვა სამეწარმეო საქმიანობას, იგი ვალდებულია სალიცენზიო საქმიანობასთან დაკავშირებული შემოსავლების, ხარჯების, აქტივების, ვალდებულებების, საფინანსო შედეგებისა და საკუთარი კაპიტალის მუხლების აღრიცხვა აწარმოოს განცალკევებულად, ერთიანი საბუღალტრო-სააღრიცხვო სისტემის შესაბამისად.

ერთიანი საბუღალტრო-სააღრიცხვო სისტემის დამტკიცების თაობაზე მარეგულირებელი კომისიისთვის დაკისრებული ვალდებულების სათანადოდ და შესაბამის ვადებში შესრულების მიზნით, საქართველოს ენერგეტიკისა და

წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასა და USAID/საქართველოს შორის გაფორმებული იქნა ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც კვალიფიციური ექსპერტების მიერ შემუშავდა ელექტროენერგეტიკული სექტორის ყველა ლიცენზიატისათვის ერთიანი საბუღალტრო-საადრიცხვო სისტემის დანერგვისათვის საჭირო სამართლებრივი საფუძვლების შესახებ დოკუმენტების პროექტები. კერძოდ, აღნიშნული დოკუმენტები მოიცავს ელექტროენერგეტიკული სექტორის ლიცენზიატი საწარმოებისთვის ძირითადი საშუალებების, შემოსავლებისა და დანახარჯების აღრიცხვის შესახებ სახელმძღვანელო ინსტრუქციებს, ანგარიშების ფორმებს ერთიან ანგარიშთა გეგმას, რომელიც შედგენილია მარეგულირებელი მიზნებისათვის.

ჩატარებელი კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ კომისიის მიერ ელექტროენერგიის გადაცემისა და განაწილების ლიცენზიატი საწარმოებისთვის ერთიანი საბუღალტრო-საადრიცხვო სისტემის დანერგვა იქნება მნიშვნელოვანი საფუძველი შემდგომში მარეგულირებელი მიზნებისათვის ლიცენზიატი საწარმოების დანახარჯების აუდირების კუთხით.

ამ კონტექსტში ასევე მნიშვნელოვანია საჯარო სამსახურების დამმობილების პროგრამის ფარგლებში, კვალიფიციურ ექსპერტთა მიერ საქართველოში ჩატარებული კვლევა “საქართველოში არსებული სატარიფო სისტემისა და რეგულირების მექანიზმების უფექტიანობის შეფასებისა და შესაძლო განვითარების შესახებ”, რომელშიც წარმოდგენილია, როგორც მოქმედი მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების და სატარიფო სისტემის სტრუქტურის მიმოხილვა ასევე, საუკეთესო პრაქტიკა და რეკომენდაციები განსახორციელებელი ცვლილებების თაობაზე.

საჯარო სამსახურების დამმობილების პროგრამა ევროკომისიის ინიციატივაა, რომლის განხორციელებაც დაიწყო 1998 წელს ევროკავშირის გაფართოებისათვის მზადების კონტექსტში და შეიქმნა როგორც მიზნობრივი ადმინისტრაციული თანამშრომლობის ინსტრუმენტი კანდიდატი ქვეყნების დასახმარებლად, რათა მათ, როგორც ევროკავშირის მომავალ წევრ სახელმწიფოებს, გაეძლიერებინათ თავიანთი ადმინისტრაციული და სამართლებრივი პოტენციალი და განეხორციელებინათ ევროგაერთიანების კანონმდებლობა.

2003 წლის ბოლოდან საჯარო სამსახურების დამმობილების პროგრამა ხელმისაწვდომი გახდა ახლად დამოუკიდებელი სახელმწიფოებისათვის, სადაც ხელმოწერილია პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებები ევროკავშირთან. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (ENP) კონტექსტში და როგორც ასოცირების შესახებ შეთანხმებების განხორციელების საშუალება, საჯარო სამსახურების დამმობილების პროგრამა წარმოდგენილია, როგორც ინსტიტუციურ მშენებლობაში მონაწილე თანამშრომლობის ინსტრუმენტი ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინიციატივაში ჩართული ქვეყნებისათვის, მაგალითად საქართველოსთვის.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ავსტრიის ენერგეტიკის მარეგულირებელი ორგანოს E-CONTROL-ის მხარდაჭერით საქართველოსთვის განხორციელდა პროექტი „ელექტროენერგიის წამახალისებელი სატარიფო მეთოდოლოგიის განახლებით საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის შესაძლებლობების გაძლიერების შესახებ“ (E10/ENP-PCA/EY/11).

პროექტის მიზანი იყო კომისიის თანამშრომლების ცოდნის ამაღლება ელექტროენერგეტიკის რეგულირების სფეროში, განსაკუთრებით წამახალისებელი სატარიფო მეთოდოლოგიის, შედარებით ანალიზის და მომსახურების ხარისხის რეგულირების ევროკავშირის კანონმდებლობისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

ენერგეტიკული სექტორის რეგულირება ხორციელდება რამდენიმე ძირითადი და კანონქვემდებარე იურიდიული აქტის საფუძველზე, რომლებიც ქმნიან იურიდიულ საფუძველს ელექტროენერგიეტიკაში ტარიფების დადგენის პროცედურებისათვის. მარეგულირებელი კანონის მიზანია შექმნას მყარი სამართლებრივი საფუძველი და სრულყოფილი ინსტიტუციური გარემო საქართველოში მოქმედი დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების სტაბილური ფუნქციონირებისათვის, რათა ეკონომიკის სხვადასხვა სფეროებში უზრუნველყოფილი იქნეს ლიცენზიის მფლობელთა და მომხმარებელთა ინტერესების დაბალანსება, მომსახურებისა დასაქონლის ეფექტიანი ფასწარმოქმნა და მიწოდება.

ექსპერტების მიერ შედგენილ ანგარიშში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ კანონი აწესებს საქართველოში მოქმედი დამოუკიდებელი

მარეგულირებელი ორგანოების დამოუკიდებლობას ყოველგვარი პოლიტიკური ზეწოლისაგან, სახელმწიფო ორგანოთა თუ სხვა პირთა არასათანადო ზემოქმედებისა და არასამართლებრივი ჩარევისაგან, აგრეთვე ნებისმიერი სხვაქმედებისაგან, რომელმაც შეიძლება ხელყოს მათი დამოუკიდებლობა; კონკრეტული სფეროს სრულყოფილი რეგულირების განხორციელების უფლებამოსილებას; პასუხისმგებლობას გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურის გამჭვირვალეობისა და საიმედოობის უზრუნველყოფაზე; დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების შექმნის, საქმიანობისა და ორგანიზების ძირითად პრინციპებს.

ხოლო არასათანადო ზემოქმედება და არასამართლებრივი ჩარევა კანონმდებლობით განიმარტება როგორც „პირის ქმედება, კერძოდ, ზემოქმედება, ჩარევა, ხელის შეშლა ან სხვაგვარი ზეგავლენა დამოუკიდებელ მარეგულირებელ ორგანოში მიმდინარე განხილვების შედეგებზე ან მის მიერ გადაწყვეტილებების მიღებაზე ან კომისიონერის თავისუფალ დადამოუკიდებელ მსჯელობებზე ან აპარატის თანამშრომელთა საქმიანობაზე, იმ გზით, რომელიც არ შეესაბამება აღნიშნულ კანონს და საქართველოს კანონმდებლობას, იმ მიზნით, რომ მიიღოს სარგებელი ან განსაკუთრებული მოპყრობა; კანონის განმარტებით პოლიტიკური ზეწოლა არის „არასათანადო ზემოქმედებისა და არასამართლებრივი ჩარევის განხორციელება, რომელიც მოტივირებულია პოლიტიკური მოსაზრებებით, ან პირის (ან პირთა ჯგუფის) მიერ პოლიტიკურიმიზნების მიღწევის სურვილით“ (საქართველოს კანონი “ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ”).

დამოუკიდებელ მარეგულირებელ ორგანოს და კომისიონერს მინიჭებული აქვთ სრული დამოუკიდებლობა შესაბამისი კანონის ფარგლებში მათ უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე გადაწყვეტილებათა მიღებისას და კანონიერი ქმედებების განხორციელებისას. კომისიონერის მიერ პროფესიული მოვალეობების შესრულებისას დაუშვებელია მის მიმართ არასათანადო ზემოქმედებადა არასამართლებრივი ჩარევა. დამოუკიდებელ მარეგულირებელ ორგანოს აქვს სრული უფლებამოსილება, დაადგინოს და არეგულიროს ტარიფები თავისი კომპეტენციის სფეროში, კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში. დაუშვებელია დამოუკიდებელი

მარეგულირებელი ორგანოს სატარიფო უფლებამოსილებაში ჩარევა და ამ უფლებამოსილებაზე კონტროლის განხორციელება ან დელეგირება.

კონკურენციის განვითარებისა და არსებული არაკონკურენტული ბაზრების რეგულირების მექანიზმების გამოყენებით საკანონმდებლო ნორმები უზრუნველყოფს ელექტროენერგიისა და ტარიფების ისეთი სისტემების დანერგვას, რომელიც ზუსტად ასახავს ეკონომიკურად გამართლებულ გენერაციის, გადაცემის, დიპენზიზაციის, დისტრიბუციის, ექსპორტის, იმპორტისა და მოხმარების ხარჯებს, ასევე უზრუნველყოფს ინვესტიციების მოზიდვას ელექტროენერგეტიკული სექტორის რეაბილიტაციისა და განვითარებისათვის.

“დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ” საქართველოს კანონი (სსმ, 26, 30/09/2002) მიზნად ისახავს საქართველოს ენერგეტიკულ ბაზარზე კონკურენციის ხელშეწყობას, და იმგვარი ტარიფების დაწესებას, რომელიც ერთის მხრივ იცავს მოხმარებლებს მონოპოლიური ფასებისაგან, ხოლო მეორეს მხრივ უზრუნველყოფს გრძელვადიან სტაბილურობასა და ენერგეტიკის სექტორის განვითარებას.

რეგულირება არის სახელმწიფოს ჩარევა კომპანიისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ საკითხებთან დაკავშირებით (ფასები და მომსახურების ხარისხი, ბაზარზე შესვლა და ა. შ.) რეგულირება საჭიროა ისეთ სფეროებში, სადაც კონკურენცია არ არსებობს ან არ შეიძლება არსებობდეს იურიდიული საფუძვლების გამო (ბუნებრივი მონოპოლიები, ექსკლუზიური უფლებები და სხვა).

ავსტრიის მარეგულირებელი კომისიის ექსპერტები განმარტავენ, რომ რეგულირების უმთავრესი მიზანია მომხმარებლების ინტერესების დაცვა და მონოპოლიებისათვის დამახასიათებელი არაეფექტურობის აღმოფხვრა. ასევე იმის უზრუნველყოფა, რომ სექტორის მოთამაშეებმა დაფარონ ხარჯები, პქონდეთ თანაბარი პირობები და არადისკრიმინაციული გარემო; გაუმჯობესდეს კონკურენცია რამდენადაც შესაძლებელია. რეგულირების მოდელი მჭიდროდაა დაკავშირებული საკმარისი ინვესტიციების მოზიდვის, უსაფრთხო და სტაბილური სოციალური გარემოს შენარჩუნებისა და ეფექტურობის გაუმჯობესებისათვის საჭირო სტიმულების შემოღების საკითხებთან. რეგულირებამ უნდა დააბალანსოს მომხმარებლებისა და რეგულირებადი

კომპანიების ვალდებულებები, ასევე სექტორის მოთამაშეთა სარგებელი და ხარჯები.


აღნიშნულ ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებიდან იკვეთება რეგულირებადი საქმიანობების დაყოფის მოთხოვნების სრულყოფა და მათი დადებით გავლენა კონკურენტული ელექტროენერგიის ბაზრის ჩამოყალიბებაზე, ასევე აღნიშნული პროცესი გამჭვირვალეს გახდის ხარჯების სხვადასხვა საქმიანობებზე გადანაწილებას, ხელს შეუწყობს წამახალისებელ სატარიფო რეგულირებას კომპანიის, მარეგულირებლისა და მომხმარებლის პერსპექტივიდან. ასევე, საქმიანობების დაყოფას ხელს შეუწყობს ბუღალტრული აღრიცხვის ერთიანი სისტემის დენერგვა, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქმიანობების დაყოფისა და დანახარჯების გადანაწილების საკითხებს.

წარმოდგენილი რეკომენდაციების ერთობლიობიდან იკვეთება ქსელური კომპანიების (ელექტროენერგიის გადაცემისა და განაწილების საწარმოები) წამახალისებელი რეგულირებისათვის მოსამზადებლად პირველი ნაბიჯები კანონმდებლობასა და სატარიფო მეთოდოლოგიაში დეფინიციების დაზუსტების კუთხით. რეგულირებადი საქმიანობის მკაფიოდ განსაზღვრა და იურიდიული და ხარჯების დაყოფის მოთხოვნების, ხარჯების გადანაწილების მეთოდოლოგიის შემუშავება/გამოქვეყნება და რეგულირების პერიოდის გონივრული მაჩვნებლის განსაზღვრა მოკლევადიან თუ გრძელვადიან პირობებში.

ამასთან დამაჯერებელია ექსპერტთა შემაჯამებელი არგუმენტები როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიანი რეგულირების პერიოდის სასარგებლოდ, კერძოდ, ხანგრძლივი რეგულირების პერიოდის მხარდასაჭერად მოცემული არგუმენტებია:

- ხარჯების სრულყოფილად გაკონტროლება საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს როგორს მარეგულირებლის, ასევე კომპანიის მხრიდან, შესაბამისად ორივე მხარეს ეზოგება დრო, როცა რეგულირების პერიოდი ხანრგძლივია;
- თუ კომპანიებს შორის განსხვავება ძალიან დიდია, შეუძლებელი იქნება არაეფექტურიანი კომპანიის ხარჯების შემცირება მოკლევადიან პერსპექტივაში კომპანიისათვის ფინანსური პრობლემების შექმნის გარეშე;

- რაც უფრო ხანგრძლივია რეგულირების პერიოდი, მით უფრო დიდია კომპანიების სტიმული შეამცირონ ხარჯები: თუ კომპანია მოახერხებს მითითებული ნორმის მიღმა შეამციროს ხარჯები, მას შესალებლობა აქვს მოგება უფრო დიდი დროის განმავლობაში დაიტოვოს საკუთარ ჯიბეში;
 - რეგულირებად კომპანიებს თავად შეუძლიათ საკუთარი ხარჯების პროგნოზირება, შესაბამისად, სავსებით შესაძლებელია გრძელვადიანი ბიუჯეტების შედგენა;
 - რეგულირების რისკი კომპანიებისათვის მცირდება.
- რაც შეეხება არგუმენტებს მოკლევდიანი რეგულირების პერიოდის მხარდასაჭრად ესენია:
- კომპანიების საქმიანობის შესახებ არასაკმარისი ინფორმაციის ქონაშ შესაძლოა არასწორი გადაწყვეტილებები ს მიღება გამოიწვიოს. თუ პერიოდი ძალიან გრძელია, არასწორი გადაწვეტილებები გავლენას მოახდენს ტარიფებზე გრძელვადიან პერსპექტივაში;
 - თუ ადგილი აქვს გაუთვალისწინებელ შემთხვევებს, რომლებიც გავლენას ახდენს რეგულირების სისტემაზე, ეს გავლენა დიდი ხნის განმავლობაში იგრძნობა;
 - უფრო სწრაფად ხდება ფაქტიური და საპროგნოზო მონაცემების საფუძველზე დადგენილი ხარჯების შესაბამისობაში მოყვანა.
- პრაქტიკულად კი რეკომენდირებული რეგულირების პერიოდის ხანგრძლივობა 3-დან 5 წლამდეა შემდეგი ქვეყნების მაგალითზე (ნახაზი 1.1):



თუ ქვეყანაში მარეგულირებელი ერთზე მეტი სექტორის რეგულირებას ახდენს, (მაგ. ელექტროენერგიას, ბუნებრივ გაზს, როგორც ეს საქართველოშია) რეგულირების პერიოდთან დაკავშრებით უნდა მოხდეს დამატებითი ფაქტორების გათვალისწინება კერძოდ, სხვადასხვა სექტორისთვის დადგენილი უნდა იქნეს რეგულირების პერიოდის ათვლის განსხვავებული წერტილი (საწყისი წელი) და ყურადღება უნდა მიექცეს საბაზისო წელს, როდესაც უნდა ჩატარდეს საწარმოს დანახარჯების აუდიტი მარეგულირებელი მიზნებისათვის, ვინაიდან ასეთი სახის აუდიტი ლიცენზიატ საწარმოებს უტარდება მხოლოდ რეგულირების პერიოდში ერთხელ და პროცესის მოცულობიდან გამომდინარე სასურველია განსხვავებული სექტორის საწარმოების აუდირების წელი არ ემთხვეოდეს ერთმანეთს.

12. ევროკომისიის ენერგეტიკული დირექტივები

2014 წლის ივნისში ხელმოწერილი ხელშეკრულებით საქართველომ აიღო ვალდებულებები, რომ უზრუნველყოფს რეფორმებს ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის სფეროში, მათ შორის, ევროკომისის ენერგეტიკული კანონმდებლობის მესამე პაკეტთან. ასოცირების შესახებ შეთანხმებაში ნაგულისხმევია, რომ საქართველო მალე გახდება ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების წევრი.

საქართველო ევროპის ენერგეტიკულ თანამეგობრობაში ჯერ კიდევ 2006 წელს მიიწვიეს. თუმცა თანამშრომლობა არ შედგა. საქართველომ დამკვირვებლის სტატუსი 2007 წელს მიიღო. 2010 წლის ნოემბერში ევროკომისიის პრეზიდენტისაგან საქართველომ მიიღო შეთავაზება ენერგოგაერთიანებაში გაწევრიანების შესახებ, რაც შემდგომში ხელს შეუწყობს ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებას და გაზრდის საქართველოსადმი ინტერესს, მათ შორის, ენერგეტიკის სფეროში ინვესტიციების მოზირვის კუთხით. აღნიშნული მოწვევის შემდეგ, 2013 წლის იანვრამდე საქართველოში ამ მიმართულებით ფაქტობრივად არაფერი განხორციელებულა, ევროპის ენერგეტიკული გაერთიანება არ განიხილებოდა, არა მხოლოდ ოფიციალურ დონეზე, არამედ არც შიდა საზოგადოებრივი დისკუსიების დონეზე.

2013 წლის იანვარში, საქართველომ მოითხოვა სრული წევრობა ევროპის ენერგეტიკულ თანამეგობრობაში. 2014 წლის თებერვალში, ასოცირების შეთანხმების ხელმოწერამდე დაიწყო მოლაპარაკებები ენერგეტიკულ თანამეგობრობასა და საქართველოს მთავრობას შორის, რომლის მიზანიც იყო 2014 წლის ოქტომბრის ბოლომდე ხელშეკრულების ხელმოწერა. მოლაპარაკებების მიზანს წარმოადგენდა სამოქმედო გეგმისა და გრაფიკის განსაზღვრა საქართველოს კანონმდებლობის პარმონიზაციის თვალსაზრისით ევროპულ ენერგორეგულაციებსა და სხვა შესაბამის გარემოსდაცვით კანონდებლობასთან; სამოქმედო გეგმას შეუძლია დაადგინოს ასოცირების ხელშეკრულების გადებისაგან განსხვავებული რეჟიმი.

2015 წლის გაზაფხულზე საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ განაახლა მოლაპარაკებები ევროკომისიის ენერგეტიკის გენერალურ დირექტორატთან ევროპის ენერგეტიკული ხელშეკრულების ხელმოსაწერად.


ამასთან, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერით ურთიერთობები ხარისხობრივად სრულიად ახალ ეტაპზე გადავიდა. ასოცირების შესახებ შეთანხმება და მასში შემავალი დრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი საგაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება ითვალისწინებს ევროკავშირთან მომავალი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის შესაძლებლობას, პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების მნიშვნელოვნად გაღრმავებას და საქართველოს დაახლოებას ევროპასთან.

მნიშვნელოვანია ენერგეტიკულ სექტორში საქართველოში არსებული ინსტიტუციური და საკანონმდებლო გარემო ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების შესაბამის დირექტივებთან მიმართებში.

დირექტივა არის ევროკავშირის სამართლებრივი აქტი, მიმართული ყველა წევრი ქვეყნისადმი. დირექტივა მხოლოდ მიუთითებს მიზანს, სამართლებრივ მდგრმარეობას, რომელიც უნდა იქნეს მიღწეული, ხოლო წევრი ქვეყნები იღებენ გადაწყვეტილებას, რა გზით მიაღწიონ ამ მიზანს დირექტივით განსაზღვრულ ვადებში. დირექტივა არის საერთო ევროპული დოკუმენტი და წარმოადგენს სახელმძღვანელო დოკუმენტს, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ არის რეგულაცია, დირექტივაში საკმაოდ დეტალურად არის აღწერილი რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს ქვეყნის ენერგო სისტემა. ამასთანავე, კონკრეტულ ევროპულ ქვეყნაში დირექტივებით გათვალისწინებული მოთხოვნების ასახვა ხორციელდება საკანონმდებლო ნორმებში.

ქვემოთ მოყვანილია ევროკავშირის მიერ მიღებული სამივე ენერგოპაკეტი და მათ მიერ წამოყენებული ძირითადი პირობები.

ნახაზი 12. ენერგო პაკეტები და მათი ძირითადი მოთხოვნები



ევროკავშირის მიერ მიღებული ენერგო პაკეტების მიზანია ინტეგრირებული ევროპული ენერგო-ბაზრის არსებობა, ქონებრივი განცალკევების, რეგულირების, ტრანსსასაზღვრო ურთიერთთანამ- შრომლობის და ბაზრის გახსნის საკითხების გაძლიერება (ენერგეტიკის რეგულირება: თეორია და პრაქტიკა, 2006 წელი).

მოქმედი დირექტივის მიხედვით, ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა და ევროპის ენერგოგაერთიანების წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ საწარმოებმა, რომლებიც სამრეწველო საბოლოო მომსმარებლებს აწვდიან ბუნებრივ გაზსა და ელექტროენერგიას, ევროკავშირის სტატისტიკის სამსახურს (ევროსტატი) მიაწოდონ შემდეგი ინფორმაცია:

- სამრეწველო (საბოლოო) მომსმარებლებისათვის ბუნებრივი გაზისა და ელექტროენერგიის მიყიდვის ფასები და პირობები;
- გამოყენებული საფასო სისტემები;
- მომსმარებელთა კატეგორიზაცია მოხმარების ტიპების მიხედვით.

იმ ქვეყნებში, სადაც ენერგიის სამრეწველო გაყიდვებს ახორციელებს ერთზე მეტი კომპანია, ევროკავშირის სტატისტიკის სამსახურისთვის ინფორმაციის გადაცემა უნდა მოხდეს სტატისტიკის დამოუკიდებელი ორგანოს მიერ. წარმოდგენილი ფასები/ტარიფები მოკვლეული უნდა იყოს სამრეწველო საბოლოო მომხმარებლების სტანდარტული კატეგორიების მიხედვით, რომლებიც განსაზღვრულია დირექტივის I და II დანართებით, ენერგიის წლიური მოხმარების დიაპაზონის საფუძველზე.

ფასებზე/ტარიფებზე ინფორმაციის შეგროვება ხდება წელიწადში ორჯერ (იანვარში და ივლისში) და ასახავს საშუალო ფასებს, რომელსაც იხდიდნენ სამრეწველო საბოლოო მომხმარებლები წინა 6 თვის განმავლობაში. ტარიფები გამოსახული უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში ერთ კილოვატსაათზე (ელექტროენერგიისათვის) დ უნდა შეიცავდეს ყველა გადასახადს, გარდა მიერთების საწყისი საფასურისა, გამოხატულს ეროვნულ ვალუტაში. წარმოდგენილი უნდა იყოს ფასების სამი დონე:

- ტარიფები გადასახადებისა და მოსაკრებლების გარეშე;
- ტარიფები დღგ-სა და სხვა ანაზღაურებადი გადასახადების გარეშე;
- ტარიფები ყველა გადასახადის, მოსაკრებელის და დღგ-ს გათვალისწინებით.

ელექტროენერგიის ფასებზე ინფორმაციის შეგროვება ადგილებზე უნდა მოხდეს დირექტივის I და II დანართებში აღწერილი მეთოდოლოგიის შესაბამისად. ეს მონაცემები ორი თვის ვადაში უნდა გაუგზავნოს ევროსტატს და წევრ სახელმწიფოთა კომპეტენტურ ორგანოებს. ამ მონაცემების საფუძველზე, ევროსტატი, ყოველი წლის მაისში და ნოემბერში, შესაბამისი ფორმით გამოაქვეყნებს წევრ ქვეყნებში სამრეწველო მომხმარებლებისათვის ელექტროენერგიის ფასებს და გამოყენებულ ფასთა სისტემებს. წელიწადში ერთხელ ევროკომისია ამ დირექტივის ფუნქციონირების შესახებ შემაჯამებელ ანგარიშს წარუდგენს ევროპის პარლამენტს, ევროპის საბჭოს, ევროპის ეკონომიკურ და სოციალურ კომიტეტს.

იმის გათვალისწინებით, რომ სამრეწველო ობიექტის მიერ მოხმარებული ენერგიის ფასი გავლენას ახდენს მის კონკურენტუნარიანობაზე და კონფიდენციალურ ინფორმაციათა კატეგორიას განეკუთვნება, ევროსტატის მიერ ფასებთან დაკავშირებულ პუბლიკაციებში გამოყენებული სტანდარტების

სისტემა უზრუნველყოფს კონფიდენციალურობის საჭირო ხარისხს. პერძოდ, ევროსტატის მიერ არ იქნება გამუდავნებული ის მონაცემები, რომლებიც კომერციულად კონფიდენციალურს მიეკუთვნებიან. ასეთი მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ ევროსტატის ოფიციალური პირებისათვის და გამოყენებული იქნება მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისათვის, შეჯამებული სახით, ინდივიდუალური კომერციული ტრანზაქციების იდენტიფიცირების შესაძლებლობის გარეშე.

ევროკავშირის ქვეყნებში ენერგოსისტემის ლიბერალიზაციის პროცესების 1990 წელს დაიწყო. ეს მოხდა მას შემდეგ, როცა შეიქმნა ხელსაყრელი პოლიტიკური ატმოსფერო ენერგიაშემცველობით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. ციფი ომის დასრულების შემდეგ შესაძლებელი გახდა ენერგიაშემცველების თავისუფლად ექსპორტირება რუსეთიდან. მან კი საფუძველი დაუდო ბუნებრივ გაზე მომუშავე ახალი გენერაციული სიმძლავრეების მშენებლობას.

ევროპული რეფორმა განვითარდა ორ პარალელურ დონეზე. პირველი, ევროკომისიის დირექტივების შესაბამისად, რომლის მიხედვითაც წევრი ქვეყნები ვალდებული იყვნენ თავიანთ ევროპულ ენერგოსისტემაში განეხორციელებინათ დირექტივებში მითითებული ღონისძიებები მითითებულ ვადებში და მეორე, ევროკომისიამ განახორციელა გარკვეული ღონისძიებები, რათა გაეძლიერებინა ურთიერთკავშირები წევრი ქვეყნების ენერგოსისტემებს შორის. ეს მოხდა ენერგიით ვაჭრობის წესების გამარტივებისა და ენერგოსისტემების ურთიერთდამაკავშირებელი ახალი ხაზების მშენებლობის ხელშეწყობის გზით.

ორიგე ზემოაღნიშნული მიმართულება მიზნად ისახავდა ერთიანი ევროპული ენერგეტიკული ბაზრის ჩამოყალიბებას შემდეგი ღონისძიებების განხორციელებით: ევროკომისიის დირექტივებით უცხოურ (ამ შემთხვევაში ევროპულ) კომპანიებს საშუალება უნდა მისცემოდათ, შესულიყვნენ ცალკეული წევრი ქვეყნების ენერგობაზრებზე და ადგილობრივ მონოპოლისტ კომპანიებთან ჰქონდათ კონკურენციის პირობები. პარალელურად კი გაუმჯობესებულიყო ენერგოსისტემებს შორის კავშირები (ახალი ხაზების მშენებლობა) და ქვეყნებს შესაძლებლობა გასჩენოდათ შეემცირებინათ ელექტროენერგიის ტრანსპორტირების ხარჯები და შეექმნათ კონკურენტუნარიანი გარემო.


ევროკომისიის პირველი და მეორე დირექტივა (1996 და 2003 წლის) ფოკუსირებული იყო ენერგოსისტემების სეგმენტაციაზე (სხვადასხვა სექტორებად დაცალკევებაზე) და ეროვნული ენერგოსისტემების გახსნილობის უზრუნველყოფაზე. მეორე დირექტივაში, გარდა აღნიშნული საკითხებისა, ყურადღება გამახვილებულია კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობაზე, გადამცემ ხაზებთან ხელმისაწვდომობის მკაცრ რეგულირებასა და დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების ჩამოყალიბებასა და დაფუძნებაზე.

ევროკომისიის დირექტივით გათვალისწინებულია, რომ 2007 წლისათვის ევროპულ ენერგეტიკულ ბაზარზე მიღწეული უნდა იქნეს მინიმუმ შემდეგი:

- გადაცემის სისტემის ოპერატორებისა და განაწილების სრული, ტექნიკური და იურიდიული გამოყოფა ენერგეტიკული სისტემის დანარჩენი სფეროებისაგან;
- გენერაციაში სრული კონკურენციის უზრუნველყოფა;
- მიწოდებაში კონკურენტული სიტუაციის შენარჩუნება მუდმივი მონიტორინგის განხორციელების გზით;
- განახლებადი წყაროებიდან ელექტროენერგიის წარმოების ხელშეწყობა;
- მარეგულირებლის როლის გაძლიერება;
- ერთიანი ევროპული ენერგეტიკული ბაზრის ჩამოყალიბება.

ნაცვლად იმისა, რომ უპირველე ყოვლისა, აქცენტი გაკეთებულიყო დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების გაძლიერებაზე, როგოც ეს ენერგოსისტემის რესტრუქტურიზაციის თეორიულ მოდელშია გათვალისწინებული ევროკომისიამ უმთავრესი აქცენტი გააკეთა ერთიანი ენერგეტიკული ბაზრის სტრუქტურისა და მისი ფუნქციონირების წესების ჩამოყალიბებაზე. შედეგად, ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში, მაგალითად, იტალიასა და ესპანეთში, მარეგულირებელი ორგანოები გამოირჩევიან უფლებამოსილების მაღალი რწმუნებით, რათა სრულყოფილი წინააღმდეგობა გაუწიონ მონოპოლისტ კომპანიებს თავიანთი მონოპოლიური ინტერესების განხორციელებაში. შესაბამისად, ჯერ-ჯერობით ელექტროენერგეტიკული

სისტემების ლიბერალიზაციის დონეები განსხვავდულია ცალკეული წევრი ქვეყნების მიხედვით, რომლის თვალისაჩინო ინფორმაცია წარმოდგენილია ნახაზზე 1.3.



მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირში გენერაციული სიმძლავრეების კვების ძირითად წყაროებს წარმოადგენს ქვანახშირი და თხევადი საწვავი, მაინც შეისამჩნევია ამ ტიპის საწვავის გამოყენების ტენდენცია.

1.3 ელექტროენერგეტიკულ საწარმოთა საქმიანობების დაყოფა და ფასწარმოქმნა

ელექტროენერგეტიკული საწარმოთა საქმიანობების დაყოფის მიზანია კონკურენტუნარიანი გენერაციისა და ელექტროენერგიის მიწოდების საქმიანობების განაცალკევოს ბუნაბრივად მონოპოლიური ელექტროენერგიის განაწილებისა და გადაცემის სეგმენტებისაგან.

თავდაპირველი დირექტივის მოქნილობამ წევრ ქვეყნებს შესაძლებლობა მისცა გამოეყენებინათ განსხვავებული მიდგომები, რათა განეხორციელებინა ვერტიკალურად ინტეგრირებული სტრუქტურების სეგმენტაცია.

გადაცემის სისტემის ოპერატორების გენერაციისაგან ევექტური განცალკევება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ფაქტორს ევექტური კონკურენციის ჩამოყალიბებისთვის. მერიკის აშეერთებულ შტატებში, სადაც რესტრუქტურიზაციის პროცესები საკმაოდ ნელა მიმდინარეობდა, ძალიან დიდი წარმატება მიაღწია ელექტროენერგიით საბითუმო ვაჭრობაში. ეს ძირითადად მოხდა იმიტომ, რომ ხელისუფლებამ მთავარი ყურადღება დაუთმო გენერაციის გამოყოფას ელექტროენერგეტიკული სისტემის სხვა ვერტიკალურად ინტეგრირებული სისტემებისაგან. მისი გათვალისწინებით ევროკავშირშიც უფრო მეტი ყურადღება დაეთმო გადაცემის სისტემის ოპერატორების გამოყოფას ელექტროენერგეტიკული სისტემისაგან, ვიდრე განაწილების ოპერატორების გამოყოფას. წევრი ქვეყნების უმრავლესობამ, სისტემის სხვა სეგმენტებისაგან განსხვავებით, სადაც **მსოლოდ ბუნალტრული ანგარიშებისა და მენეჯმენტის განცალკევება მოხდა, განხორციელდა გადაცემის სისტემის ოპერატორების სრული იურიდიული გამოყოფა ან მათი კერძო საკუთრებაში გადაცემა** (ნახაზი 1.4).

ნახაზი 1.4. ელექტროენერგიის გადაცემის და განაწილების საქმიანობების გაყოფის ფორმები ევროკავშირის ქვეყნებში (European Commission, 2005)

| № | ქვეყანა | გადაცემის სისტემის ოპერატორი | განაწილების სისტემის ოპერატორი |
|---|---------|------------------------------|--------------------------------|
| 1 | ავსტრია | იურიდიული | იურიდიული |
| 2 | ბელგია | იურიდიული | იურიდიული |

| | | | |
|-----------|----------------|-----------------|------------------------------------|
| 3 | დანია | იურიდიული | იურიდიული |
| 4 | ფინეთი | კერძო საკუთრება | ბუდალტრული ანგარიშები |
| 5 | საფრანგეთი | იურიდიული | მენეჯმენტი |
| 6 | გერმანია | იურიდიული | ბუდალტრული ანგარიშები |
| 7 | საბერძნეთი | იურიდიული | არ არის გამოყოფილი |
| 8 | ირლანდია | იურიდიული | მენეჯმენტი |
| 9 | იტალია | კერძო საკუთრება | იურიდიული |
| 10 | ლუქსემბურგი | კერძო საკუთრება | მენეჯმენტი |
| 11 | პოლანდია | კერძო საკუთრება | იურიდიული |
| 12 | პორტუგალია | კერძო საკუთრება | ბუდალტრული ანგარიშები |
| 13 | ესპანეთი | კერძო საკუთრება | იურიდიული |
| 14 | შვედეთი | კერძო საკუთრება | იურიდიული |
| 15 | დიდი ბრიტანეთი | კერძო საკუთრება | იურიდიული |
| 16 | ნორვეგია | კერძო საკუთრება | იურიდიული/საბუდალტრო ანგარიშები |

ასევე, ელექტროენერგიის საცალო მიწოდების ბიზნესში კონკურენციისათვის ძალიან მნიშვნელოვანია განაწილების ოპერატორების გამოყოფა მიწოდების ბაზისაგან.

ეფექტური კონკურენცია ასევე მოთხოვს გენერაციისა და მიწოდების კომპანიების პორიზონტალურ განცალკევებასაც.

მიუხედავად იმისა, რომ ბაზრის სტრუქტურა მნიშვნელოვანია კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებისათვის, შესაბამისი და დროული რეგულირება, განსაკუთრებით გადამცემ ხაზებთან ხელმისაწვდომობის კუთხით, აუცილებელია ეფექტური კონკურენციის ჩამოყალიბებისათვის. 2003 წლის დირექტივამ ყველა წევრი ქვეყნისაგან მოითხოვა დაეფუძნებინათ დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოები. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ მიუხედავად სხვადასხვა წევრ ქვეყანაში მარეგულირებელი ორგანოების დამუკიდებლობის განსხვავებული ხარისხისა, ისინი მიისწოდაფვიან იყვნენ უფრო

დამოუკიდებლები, ვიდრე ეკონომიკის სხვა სფეროების დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოები.

გადამცემი და გამანაწილებელი ბიზნესის სტიმულირების სისტემაზე დაფუძნებულმა რეგულირებამ შეიძლება გამოიწვიოს გადაცემის ფასების შემცირება, რაც თავისმხრივ დანახარჯების შემცირების ეფექტია. გერმანიაში, სადაც არ არსებობს ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელი ორგანო და შესაბამისად, სტიმულირებაზე დაფუძნებული რეგულირების სქემა გადაცემის ტარიფების წლების განმავლობაში უცვლელია და ერთ-ერთი უმაღლესია ეკროპაში.

ეკროპომისის დირექტივას “ელექტროენერგეტიკის შესახებ” არ მოუთხოვია ელექტროსექტორში კერძო საკუთრების აუცილებლობა. გერმანიასა და ბელგიაში ელექტროენერგეტიკული სექტორი პრაქტიკულად მთლიანად კერძო საკუთრებაში იმყოფებოდა რეფორმის დაწყებამდეც. პრივატიზაციის უკელაზე ინტენსიურ პროგრამებს ადგილი ჰქონდა პორტუგალიასა და დიდ ბრიტანეთში. რამდენიმე ქვეყანაში განახორციელა მხოლოდ ნაწილობრივი პრივატიზაცია (მაგალითად იტალია), მაშინ, როცა ზოგიერთ ქვეყანაში პრივატიზაციის პროცესი თითქმის არ დაწყებულა (მაგალითად საფრანგეთში). ასეთი მიღეომა (თანდათანობით პრივატიზაცია) თავიდან გვაშორებს პოლიტიკურ დაძაბულობას, თუმცა მან შეიძლება შეაფეროს სისტემის ლიბერალიზაციის პროცესი. პოლანდიაში გადაცემისა და განაწილების ბიზნესები დღემდე სახელმწიფოს საკუთრებაში რჩება.

კონკურენტული გარემოს ჩამოსაყალიბებლად მსხვილი კომპანიების დანაწევრება (დაშლა) უფრო იოლია პრივატიზაციის პროცესის დროს. ზოგიერთ ქვეყანაში ეს არ განხორციელებულა, რათა თავიდან აეცილებინათ ეროვნული კომპანიების შესყიდვის შესაძლებლობა სხვა ქვეყნის კომპანიების მიერ (მაგალითად პოლანდიასა და ნორვეგიაში).

ნორვეგია იმის ნათელი მაგალითია, რომ ლიბერალიზაცია აუცილებლად არ მოითხოვს პრივატიზაციას, რამდენადაც ამ ქვეყანაში კონკურენტული გარემო ჩამოყალიბდა მთლიანად სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიების მეშვეობით, თუმცა ამის განხორციელება საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა.

ადსანიშნავია, რომ ელექტროენერგეტიკული ბაზრების ფინანსური ინტეგრაცია უფრო სწრაფად განხორციელდა, ვიდრე ტექნიკური. არასათანადო მარეგულირებელი ზეწოლისა და კონტროლის პირობებში ევროპულმა ელექტროენერგეტიკულმა კომპანიებმა გამოავლინეს ძლიერი ტენდენცია ბაზრის კონცენტრაციისაკენ. ბაზრის კონსოლიდაცია და კონცენტრაცია შეიმჩნევა როგორც მთლიანად ევროკავშირის მასშტაბით ასევე ელექტროსისტემების დონეზე, რაც ცხადია უარყოფითად მოქმედებს ბაზრის სრულყოფილ ლიბერალიზაციასა და სრულყოფილი კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბების შესაძლებლობაზე.

პორიზონტალური ინტეგრაცია - მემკვიდრეობით მიღებულმა დარგის სახელმწიფო მფლობელობამ და ეროვნულმა ელექტროენერგეტიკულ ბაზრებზე მოქმედი მსხვილი კომპანიების ცენტრალიზებული მართვის სისტემამ გამოიწვია ის, რომ ევროკავშირის ბევრ ქვეყანაში ძალიან მაღალია პორიზონტალური ინტეგრაციის დონე. იუსტიცია და იმისა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში გატარებული რეფორმების შედეგად შესაძლებელი გახდა პორიზონტალური კონცენტრაციის დონის შემცირება მიწოდებასა და გენერაციაში, ეს მაინც გამონაკლისებია და არა ძირითადი ტენდენცია.

ვერტიკალური ინტეგრაცია - ლიბერალიზაციის პროცესების დაწყებამდე ვერტიკალურად ინტეგრირებულ სტრუქტურებს გააჩნდათ აშკარა ეკონომიკური და ტექნიკური უპირატესობები და წარმოადგენდნენ მოხერხებულად სამართავ ორგანიზაციულ ერთეულებს. თავდაპირველმა რესტრუქტურიზაციის პროცესებმა გარკვეულწილად შეამცირა ამ კომპანიების ვერტიკალური ინტეგრირების ხარისხი თუმცა, პრივატიზაციის პროცესის შემდეგ პრივატიზებულმა კომპანიებმა გამოავლინეს ვერტიკალური რეინტეგრაციისაკენ ძლიერი სწრაფება.

კვლევებით დადგინდა, რომ ვერტიკალურად ინტეგრირებული ელექტროენერგეტიკული კომპანიების ყველაზე ძალიურები იყვნენ ევროპულ კომპანიებს შორის და მიისწრაფვოდნენ შეეძინათ ასევე ვერტიკალური ინტეგრაციის მაღალი დონის მქონე კომპანიები. კვლევებმა ასევე აჩვენა, რომ კომპანიებში ვერტიკალური ინტეგრირების მაღალმა ხარისხმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია პრივატიზაციის პროცესების სწრაფად წარმართვასა და პრივატიზაციის შედეგად სასურველი შედეგების მიღწევაზე.

გარდა ამისა, არსებობს ირიბი კავშირი ვერტიკალურ ინტეგრაციასა და ინვესტიციებს შორის. გენერაციისა და განაწილების ინტეგრაციის მაღალმა დონემ შეიძლება მიგვიყვანოს გაზრდილ ინვესტიციებამდე, ასეთი ინტეგრაციის მქონე კომპანიების საქმიანობის ნაკლებრისკიანობის გამო. თუმცა, ეს ფაქტორი მარეგულირებელ ორგანოებს აყენებს ალტერნატივის წინაშე იმის გამო, რომ ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე მოქმედი ასეთი ვეტიკალური ინტეგრაციის მქონე კომპანიების არსებობა (სადაც გენერაციისა და განაწილების ბიზნესი ინტეგრირებულია) უარყოფით გავლენას ახდენს ბაზარზე კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებაზე.

მაგალითისთვის, დიდ ბრიტანეთში ელექტროენერგიის საცალო მიწოდების მარჯა კონცენტრაციის ხარისხის ზრდასთან ერთად გაიზადა, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ ბრიტანულ ბაზარზე მოქმედი ელექტროენერგიის მიმწოდებელი კომპანიების რიცხვი შემცირდა, გენერაციული კომპანიების მიერ მიმწოდებელი კომპანიების შესყიდვის ხარჯზე.

ბაზრის კონცენტრაციის საკითხები (კომპანიების შერწყმა, წილების ყიდვა-გაყიდვა) ბევრ ევროპულ ქვეყანაში კონტროლდება “კონკურენციის სააგენტოების” ხედამხედველობით, თუმცა ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ხშირ შემთხვევაში ასეთ სააგენტოებს საშუალება არ აქვთ ობიექტური და სრული ან შემცირების შესახებ. მის თავიდან ასაცილებლად კი ერთ-ერთი ეფექტიანი და აუცილებელი საშუალება კომპეტენტური ენერგეტიკის მარეგულირებელი დამოუკიდებელი ორგანოების დაფუძნებაა.

ლიბერალიზაციის პროცესის ეფექტი შეიძლება ფასდებოდეს რამდენიმე მაჩვენებლით. ელექტროენერგიაზე ფასები წარმოადგენს ამ ეფექტის ყველაზე მნიშვნელოვან ინდიკატორს. ყველაზე სასურველი შედეგი, რომელიც შეიძლება ერთიანი ევროპული ბაზრის შექმნამ მოიწანოს, წარმოადგენს ელექტროენერგიაზე დაბალი ფასები საბითუმო და საცალო ვაჭრობისათვის. თუმცა, ეს შედეგი დავის მხრივ დამოკიდებულია რამდენიმე მაჩვენებელზე:

- ენერგიაშემცველების ბაზარზე და განსაკუთრებით ბუნებრივი გაზის ხელმისაწვდომობაზე;
- კონკურენტული გარემოს არსებობაზე (ბუნებრივი გაზის ბაზარზე კონკურენტული ფასების ფორმირებისთვის);

- ეროვნული ელექტროსისტების საკმარისი ურთიერთკავშირების არსებობაზე და ევროკავშირის მასშტაბით ამ ენერგიის თავისუფლად ვაჭრობის შესაძლებლობაზე.

გარდა ამისა, აუცილებელია სტიმულირებაზე დაფუძნებული რეგულირება, რათა შემცირდეს ელექტროენერგიის გადაცემის ხარჯები.

ელექტროენერგიაზე ფასის შემცირება შეიძლება იმის მაჩვენებელი იყოს, რომ მივაღწიოთ სასურველ ეფექტს და შესაბამისად, ეს ეფექტი მივიტანოთ მომხმარებლამდე. ლიბერალიზაცია შეიძლება ასევე მოიცავდეს ტარიფების დიფერენციაციის აუცილებლობას მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფებისათვის. ამის მიღწევა უფრო რთულდება გაზის, ნავთობის და ქანახშირის ფასების ცვალებადობასთან ერთად.

რეალურად ძალიან დიდი სხვაობაა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში საბოლოო მომხმარებლის მიერ ელექტროენერგიის შესასყიდ ფასებს შორის თუმცა აღნიშნული განსხვავება შეიძლება გამოწვეული ოყოს ელექტროენერგიის სატარიფო განაკვეთში ასახული კომპონენტებით, რომლებიც განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყნებისთვის შესაბამისი სატარიფო მეთოდოლოგიის ფარგლებშით.

როგორც მოსალოდნელი იყო, მსხვილმა სამრეწველო მომხმარებლებმა მეტად ისარგებლეს ლიბერალიზაციის შედეგად მიწოდების სფეროში შექმნილი კონკურენტული სიტუაციით, ვიდრე მომხმარებელთა სხვა, უფრო მცირე ჯგუფებმა. თუმცა 2007 წლისათვის დაგვამილი ევროპული ბაზრების ლიბერალიზაციის პროცესების დასრულება მცირე მომხმარებელთა უფრო დიდ ნაწილს შესაძლებლობას მისცემს შეიცვალონ მიმწოდებლები ან და არსებულ მიმწოდებლებს გააუმჯობესებინონ ელექტროენერგიის მიწოდების პირობები.

ელექტროენერგიის განაწილებისა და გადაცემის ტარიფების წილი ელექტროენერგიის საბოლოო ფასში საკმაოდ მნიშვნელოვანია და ამასთანავე, არ წარმოადგენს კონკურენტული წნევის ობიექტს. ამასთან, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ეფექტური გაუმჯობესებებისა და ასეთი ტარიფების შემცირებისათვის აუცილებელია შესაბამისი მკაცრი რეგულირება. ელექტროენერგიის გადაცემის ტარიფების მკვეთრად განსხვავებულია სხვადასხვა წევრ ქვეყნებში.

გარდა ამისა, ელექტროენერგიის განაწილების ტარიფები განსხვავებულია წევრი ქვეყნების მიხედვით, თუმცა ეს განსხვავება უფრო

ნაკლებია, ვიდრე გადაცემის ტარიფების შემთხვევაში. განაწილების ტარიფებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები შეინიშნება ცალკეულ ქვეყნებს შორის. მაგალითად ტარიფები გერმანიაში ორჯერ უფრო დიდია ვიდრე დიდ ბრიტანეთში.

ელექტროენერგიის განაწილების ტარიფები შესაძლოა ასევე ასახავდეს ელექტროენერგიის საბოლოო ფასის სხვადასხვა კომპონენტების ერთობლივ განაწილებას ვერტიკალურად ინტეგრირებული კომპანიების მიერ. დამოუკიდებელი, სტიმულირებაზე დაფუძნებული რეგულირება ხელს უწყობს დანახარჯების დაზოგვას და ხელს უშლის ვერტიკალური თუ ჰორიზონტალური ინტეგრაციის გამო ელექტროენერგიის საბოლოო ფასში მონოპოლიური ტარიფების შეტანას.

14. ინვესტიციების ადეპვატურობა და მიწოდების საიმედოობა

ცენტრალიზებული დაგეგმვის არარსებობის პირობებში ენერგობაზარი მოითხოვს სისტემაში საკმარისი და დროული ინვესტიციების განხორციელებას. შეიძლება ითქვას, რომ არასაკმარისი ინვესტიციები ყველაზე დიდი ნაკლია, რომელიც ელექტროენერგეტიკული ბაზრების ლიბერალიზაციის პროცესმა მოიტანა. მომავალი ინვესტიციების განხორციელების სტიმულირების ადეპვატურობის შეფასება საკმაოდ მნელია, კონკურენტული სიტუაციის შედეგად გერმანიაში წარმოშობილი ენერგიის სიჭარბის გამო. ამასთან, დროთა განმავლობაში, როცა მიწოდება და მოთხოვნა დაბალანსდება ახალი ინვესტიციები აუცილებელი გახდება.

ექსპერტების აზრით, ფინანსური და ტექნიკური ინვესტიციის შემდეგ ინვესტიციების ამონაგების ნორმები დაახლოვდება. ძალიან მნელია იმის განსაზღვრა, საკმარისია თუ არა ინვესტიციებიდან ამონაგები და ქმნის თუ არა იგი ახალი ინვესტიციების განხორციელებისთვის სტიმულებს, ვინაიდან ყველა ინვესტორი ინდივიდუალურად და სუბიექტურად აფასებს ბიზნესიდან მოგების სახით მისაღებ უკუგებას შესაბამის ინვესტიციაზე. მაგალითად, ნორგეგიაში ბოლო წლებში ელექტროენერგეტიკაში განხორციელებული ინვესტიციების ამონაგების დონე უფრო დაბალი იყო ვიდრე სხვა საწარმოო დარგებში განხორციელებული ინვესტიციების ამონაგების დონე. ამასთან, აუცილებელია იმის შეფასებაც – არის თუ არა ენერგეტიკაში განხორციელებული ინვესტიციები უფრო ნაკილებრისკიანი ვიდრე მრეწველობის სხვა დარგებში განხორციელებული ინვესტიციები.

მოსალოდნელია, რომ ეპროპაში არსებული ჭარბი გენერაციული სიმძლავრეები ისეთ მნიშვნელოვან და დიდ ბაზრებზე, როგორიცაა გერმანია და საფრანგეთი, უახლოეს მომავალში შემცირდება. მიუხედავად იმისა, რომ კიდევ რამდენიმე ქვეყანას გააჩნია ჭარბი გენერაციული სიმძლავრეები, მომავალი ინვესტიციების უდიდესი ნაწილი გარდაუვლად განხორციელდება გაფართოებულ ეკროპულ ლიბერალიზებულ ბაზრებზე. ელექტროენერგიაზე გაზრდილი მოთხოვნა და გენერაციულ სიმძლავრეებში დღეს არსებული ინვესტიციების დაბალი დონე გამოიწვევს სარეზერვო სიმძლავრეების შემცირებას და სისტემების სტაბილურობისათვის საფრთხის შექმნას. ს შეიძლება მოხდეს განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც პოლიტიკური ნების

არარსებობის გამო ხელისუფლება ეწინააღმდეგება ელექტროენერგიაზე ფასების ზრდას.

ელექტროენერგიის მიწოდების საიმედობა პალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია სისტემის სტაბილურად ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. ელექტროენერგიის მიწოდებაში ხშირმა შეფერხებებმა და ფასების ხშირმა ცვალებადობამ შეიძლება ლიბერალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესების შეფერხება გამოიწვიოს.

ევროკავშირის ქვეყნებში არსებული გენერაციული სიმძლავრეების ჭარბი დონე ჯერჯერობით არ იძლევა შეშფოთების საფუძველს, თუმცა არსებობს გარკვეული გამონაკლისებიც. მაგალითად, იტალია, არასაკმარისი გენერაციული სიმძლავრეების გამო, ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად დამოკიდებულია იმპორტზე, რაც გამოწვეულია სხვა მრავალი ფაქტორით.

მიწოდების საიმედობით უზრუნველყოფილი უნდა იქნეს, როგორც მთლიანად ევროკავშირის მასშტაბით ასევე, ეროვნული ელექტროსისტემების დონეზე. თუ ყველა ქვეყანა დამოკიდებული იქნება იმპორტზე, რათა დააკმაყოფილოს ელექტროენერგიაზე მოთხოვნა პიკის საათებში, მაშინ იმპორტზე ასეთი დამოკიდებულება აუცილებლად დაარღვევს სისტემის გამართული მუშაობის რიტმს. ასე, რომ ახალი გენერაციის სიმძლავრეების მშენებლობისა და ეკოლოგიური პრობლემების თავიდან ასაცილებლად, ქვეყნის ელექტროენერგეტიკული სისტემების მთლიანად იმპორტით უზრუნველყოფა საკმაოდ წინააღმდეგობრივი საკითხია.

ცალკეულმა წევრმა ქვეყანამ გარკვეული დოზით აუცილებლად უნდა შეინარჩუნოს საკუთარი გენერაციული სიმძლავრეები, იმპორტზე მათი დამოკიდებულების ხარისხის გათვალისწინებით, მითუმეტეს თუ გავისხენებთ ბოლო წლების მაგალითს, როდესაც არგენტინამ ჩილეს მოულოდნელად შეუწყიბა ბუნებრივი გაზის მიწოდება, რათა საკუთარი გაზის რეზერვები ჰქონდა და გამოეყენებინდა საკუთარი მოხმარებისათვის. ეს მაგალითი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ სრულად ენერგიაშემცველების იმპორტზე დამოკიდებული ქვეყნები მუდმივი საფრთხის ქვეშ იმყოფებიან. აქვე უნდა გავიხსნოთ რუსეთის მიერ გაზის შეწყვეტა საქართველოსთვის პოლიტიკური მიზნით 2006 წლის ზამთარში.

„ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ შესაბამისად, ელექტროენერგეტიკული სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით, ავარიულ სიტუაციებში იმპორტსა და ექსპორტზე ხელშეკრულებების გაფორმების უფლება გააჩნია მხოლოდ ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორს, რომლის მონაცემებითა საქართველოსთვის განხორციელებული იმპორტ-ექსპორტის მონაცემები წარმოდგენილია ნახაზზე 1.5 (ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი, 2017).

ნახაზი 1.5. ელექტროენერგიის იმპორტ-ექსპორტის წილი 2013-2017 წლები



ევროკავშირის ქვეყნებში ღონისძიებები ტარდება არსებული ბირთვული გენერაციის ობიექტების მიერ ნახშირბადის გამოყოფის შემცირებისთვის. შესაბამისად, წევრი ქვეყნები სულ უფრო მეტ უურადღებას უთმობენ ელექტროენერგიის ალტერნატიული წყაროებით ელექტროენერგიის მიღების საკითხებს. თუმცა, შეძლებენ თუ არა ელექტროენერგიის განახლებადი და ეკოლოგიურად სუფთა წყაროებით დააკმაყოფილონ ელექტროენერგიაზე გაზრდილი მოთხოვნები ჯერჯერობით უცნობია. კონკურენციამ და საბაზრო რისკებმა შესაძლოა უფრო მეტი ინვესტიციები მიმართონ ისეთი

ტექნოლოგიების განვითარებისაკენ, რომლებსაც ნაკლები დანახარჯები და ნაკლები დრო სჭირდებათ და არა განახლებადი ენერგიის წყაროების გენერაციული სიმძლავრეების მშენებლობისკენ, რომელიც ძალიან რისკიანი და ამავე დროს მშენებლობის მხრივ ხანგრძლივია. ლიბერალიზაციის გრძელვადიანი ეფექტები, ეკოლოგიური ენერგიის გამომუშავების ტექნოლოგიების განვითარების არჩევასთან დაკავშირებით დამოკიდებულია იმ სუბიექტების მოცულობაზე, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან მიმართული იქნება ამ ღონისძიებების დაფინანსებაზე.

ენერგიის განახლებადი წყაროებიდან ელექტროენერგიის მწარმოებელი კომპანიების ტექნოლოგია ჯერ კიდევ მეტისმეტად ძვირია და მათ გააჩნია სუსტი ტექნიკური მახასიათებლები ელექტროენერგიის უწყვეტი მიწოდების უზრუნველყოფის მხრივ.

1996-2006 წლებში ევროკავშირში ელექტროენერგიის ფასები უფრო დაბალი ტემპით იზრდებოდა, ვიდრე მოხმარების ფასების ინდექსი. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ მოხმარებლები ზოგადად კმაყოფილნი იყვნენ მომსახურების ხარისხით.

მომავალში ბევრი რამ იქნება დამოკიდებული ევროპული ელექტროენერგეტიკული ბაზრების შემდგომ ინტეგრაციაზე და მარეგულირებელი ორგანოების მცდელობებისა და მათ მიერ გატარებული ღონისძიებების ეფექტიანობაზე, რათა ლიბერალიზაციის პროგრამის ეფექტი მაქსიმალურად მიიტანონ მომხმარებლებამდე.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ევროკომისიის მცდელობები, შექმნილიყო ერთიანი ევროპული ბაზარი, ძირითადად ხორციელდებოდა ელექტროენერგეტიკული სექტორის რესტურქტურიზაციისა და ელექტროენერგიით საბითუმო ვაჭრობაში კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობის გზით. ასევე, დიდი ყურადღება დაეთმო რეგულირებას, ელექტროენერგიის გადამცემ და გამანაწილებელ ხაზებთან ხელმისაწვდომობის პირობების ჩამოყალიბებას, საბითუმო და საცალო ვაჭრობაში კონკურენციის შექმნას. საერთო ჯამში ევროპული ელექტროენერგეტიკული ბაზრის ლიბერალიზაციისადმი ერთიანმა მიდგომამ, რომელიც დაფუძნებული იყო სრულყოფილი ლიბერალიზაციისაკენ, ნაბიჯ-ნაბიჯ სხვაზე დამაკმაყოფილებელი შედეგი გამოიღო.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ევროკომისიის დირექტივების შემუშავებამდე წევრი ქვეყნების ელექტროსისტემების ფუნქციონირების კანონზომიერებებსა და კომპონენტებს შორის დიდი სხვაობა იყო, მაშინ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დღეის მდგომარეობით სტრუქტურების ინსტიტუტებისა და სისტემების ფუნქციონირების წესები საკმაოდ სტანდარტიზებულია მთელი ევროკავშირის მასშტაბით. ელექტროენერგეტიკული ბაზრების გახსნილობის ხარისხი მკვეთრად გაიზარდა და ხშირ შემთხვევაში აღემატება კიდეც დირექტივებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ელექტროენერგეტიკული კომპანიების პროდუქტიულობა გაიზარდა და ამავე დროს, ყველაზე ლიბერალიზებულ ევროპულ ბაზრებზე შემცირდა მათი მოგების მარჟა.

ეხლა ევროპული ელექტროენერგეტიკული ბაზარი ახალი ამოცანების წინაშე დგას, სადაც დირექტივებით გათვალისწინებული მინიმალურ მოთხოვნებისაგან განსხვავებით, ყურადღება უფრო მეტად გამახვილდეს სპეციფიკურ და ტექნიკურ საკითხებზე.


ყველაზე მიზანშეწონილი გზა, რომლის გავლითაც შესაძლებელია მიღწეული იქნას ერთიანი ევროპული ენერგეტიკული ბაზრის ჩამოყალიბება, გადის ევროპის რეგიონულ ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე.

1.5. ელექტროენერგიის გადაცემის და განაწილების ლიცენზიატების რეგულირების გავრცელებული მოდელები

ელექტროენერგია კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარია. თანამედროვე მსოფლიოში იგი ყველაზე უნივერსალური ენერგიაშემცველი და აუცილებელი კომპონენტია როგორც წარმოებისთვის, ისე მოსახლეობის არსებობისთვის. ელექტროენერგიის როგორც პროდუქტის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებელს წარმოადგენს ის, რომ მისი წარმოება და მოხმარება ერთდროულად ხდება, რაც საკმაოდ რთულ მაღალტექნიკურ პროცესთანაა დაკავშირებული. ელექტროენერგიის წარმოებისა და მოხმარების სრული ციკლი მოიცავს რამდენიმე ეტაპს: ელექტროენერგიის გენერაცია ელექტროსადგურების მიერ, გამომუშავებული ელექტროენერგიის გადაცემა მაღალი ძაბვის ქსელით, მისი განაწილება დაბალი ძაბვის ქსელში და საბოლოოდ მომხმარებლებისთვის მიწოდება საყოფაცხოვრებო თუ საწარმოო დანიშნულებით მოხმარებისათვის (ელექტროენერგეტიკული პოლიტიკის მოდელირება და ანალიზი, 2013).

ელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია ძაბვის ამამაღლებელი ტრანსფორმატორების საფეხურების გაფლით მიეწოდება მაღალი ძაბვის (220-500კვ) ელექტროგადამცემ ქსელს, რომლის საშუალებითაც ხდება მისი გადაცემა დიდ მანძილებზე. შემდგომ გადამცემი სისტემის ქვესადგურებში ხდება ამ ენერგიის გადაცემა გამანაწილებელი კომპანიების შედარებით დაბალი (35-110კვ) ძაბვის ქსელში, რომლის საშუალებითაც ის მიეწოდება დასახლებულ პუნქტებს და მსხვილ საწარმოებს. გამანაწილებელ ქვესადგურებში ხდება ძაბვის შემდგომი დადაბლება 6-10კვ-მდე, საიდანაც კვებას ასევე იღებენ მსხვილი მომხმარებლები, ხოლო გამანაწილებელ ტრანსფორმატორებში ძაბვა საბოლოოდ დაიყვანება საცალო მომხმარებლისთვის მისაღებ 220-380ვ ძაბვამდე და მიეწოდება სხვადასხვა ტიპის საცალო მომხმარებელს, რომლებსაც წარმოვადგენთ თითოეული ჩვენგანი (ნახაზი 1.6).

ნახაზი 1.6 ელექტროენერგეტიკული სისტემა



ელექტროენერგეტიკული სისტემა წარმოადგენს ერთიან დაკავშირებულ როლ სისტემას, რომელიც ექვემდებარება ერთიან სადისპეტჩერო მართვას. სისტემის ყველა გენერატორი სინქრონიზებულია და ერთნაირი სიჩქარით ბრუნავს. სისტემის ოპერატორისათვის, რომელიც სადისპეტჩერო მომსახურებას ახორციელებს, მთავარი ამოცანაა უზრუნველყოს მუდმივი წონასწორობა ელექტროენერგიის მიწოდებასა (გენერაცია და მეზობელი სისტემებიდან გადადინება) და მოხმარებას შორის და შეინარჩუნოს სისტემაში ერთიანი სტანდარტული სისტორე (50 ან 60 ჰც), სტანდარტული ძაბვის დონეები, უსაფრთხოების აუცილებელი დონე და სისტემის მდგრადობა შესაძლო გამორთვების და ავარიების მიმართ, რაც ურთულესი მართვის ამოცანაა. გადამცემი სისტემის ოპერატორი მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ქსელს უწევს ექსპლუატაციას. ისევე როგორც ელექტროენერგიის გადამცემი სისტემის ოპერატორისათვის, გამანაწილებელი ქსელის ოპერატორის ძირითად ფუნქციას ქსელის ტექნიკური მართვა და მიღებული ელექტროენერგიის მომხმარებლამდე

მიწოდება წარმოადგენს, ოდონდ საშუალო და დაბალი ძაბვის გამანაწილებელი ქსელით. გამანაწილებელი ქსელი ერთმანეთთან აკავშირებს მომხმარებლებს გადამცემ, გენერაციისა და სხვა გამანაწილებელ ქსელებთან. ბევრ შემთხვევაში, და მათ შორის საქართველოში, განაწილების ოპერატორი ასევე მომხმარებელთან კომერციული ურთიერთობის (მიწოდება) ფუნქციასაც ახორციელებს, თუმცა, საზოგადოდ, ეს ორი ერთმანეთისგან განსხვავებულ საქმიანობად განიხილება.

მომხმარებლის და გენერატორების დამაკავშრებელი გადაცემისა და განაწილების ქვესისტემები (ქსელები) ბუნებრივ მონოპოლიებს წარმოადგენს, რადგან მათი პარალელური სისტემების აგება როგორც ტექნიკურად, ისე უკონმიკურად გაუმართლებელია. აქედან გამომდინარე, რეგულირებას უნდა ექვემდებარებოდეს ქსელური სექტორის საქმიანობა. მარეგულირებელი კომისია ზედამხედველობას შეიძლება უწევდეს ქსელურ საწარმოთა შემოსავლებსა და ხარჯებს, მომსახურების ხარისხს, მესამე მხარის ქსელზე დაშვებას და ა.შ.

მიუხედავად მსგავსი ფუნქციებისა და საქმიანობის სფეროსი, გამანაწილებელი ქსელის საქმიანობა განცალკევებით რეგულირდება გადამცემი ქსელის საქმიანობისაგან, რათა არ შეიზღუდოს საბითუმო ბაზარი. თუმცა რეგულირების მიზნები და მარეგულირებელი მიდგომები ორივე შემთხვევაში ერთნაირია.

განსხვავებით გადამცემი მაღალი ძაბვის ქსელისაგან, გამანაწილებელი ქსელი უფრო მეტ კაპიტალურ ხარჯებს მოითხოვს და შესაბამისად ინტეგრირებულ სამომხმარებლო ტარიფში დიდი წილიც აქვს; ამას დიდი ბრიტანეთის მაგალითიც ადასტურებს, სადაც ელექტროენერგიის გადამცემი სისტემა 6.2 მილიარდ ფუნტად არის შეფასებული, ხოლო გამანაწილებელი სისტემა 13 მილიარდ ფუნტად, ხოლო ინტეგრირებულ ტარიფში მათი წილი შესაბამისად 3% და 21%-ია.

ელექტროენერგეტიკული სისტემის ქსელურ სექტორში რეგულირებას ექვემდებარება საწარმოთა ინვესტიციები, მესამე მხარის ქსელზე დაშვება, საწარმოთა ლიცენზირებადი საქმიანობა და ტარიფები. ინვესტიციების რეგულირების მიზანი მინიმალური მომსახურების ხარისხის უზრუნველსყოფად ოპტიმალური ხარჯების დადგენაა, რომელიც ასევე უნდა

ითვალისწინებდეს ქსელის გაფართოებას ახალი მომხმარებლების არსებობის შემთხვევაში. ქსელზე დაშვების ოეგულირების მიზანს ქსელის გამოყენებისას არადისკრიმინაციული პირობების შექმნა, ქსელური სექტორის მონოპოლიური ძალაუფლების შეზღუდვა და ქსელის უსაფრთხო ფუნქციონირება წარმოადგენს.

ენერგეტიკულ საწამოთა ოეგულირებისას საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია ასევე იყენებს ლიცენზიას, ომლიც კონკრეტული საქმიანობის განსახორციელებლად გაიცემა მარეგულირებლის მიერ გარკვეული პირობებით:

- დროის გარკვეულ პერიოდზე;
- კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში;
- მინიმალური გარანტირებული მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფით;
- ეფექტიანობის უზრუნველყოფითა და ინოვაციური განვითარების პირობით;
- მესამე მხარის ქსელზე არადისკრიმინაციული დაშვებით.

ფასების ოეგულირებისას კი მნიშვნელოვანია გადაცემისა და განაწილების ტარიფები ასახავდნენ მათ მიერ განსხორციელებულ ოეგულ ხარჯებს და სტიმულს აძლევდეს საწარმოებს გაზარდონ ეფექტიანობა და უზრუნველყონ ინოვაციური განვითარება. გამომდინარე აქტან სატარიფო ოეგულირების მთავარი მიზანი საწარმოთა ფინანსური მდგრადობისა და მათი ეფექტიანობის ზრდაში მდგომარეობს, რაც საბოლოოდ შემცირებულ ტარიფებში უნდა აისახოს მომსახურების ხარისხის გაუარესების გარეშე, რაც თავისმხრივ კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საწარმოთა დანახარჯების ბაზის გონივრული და მიზანშეწონილი ოდენობით ფორმულირების მკაფიო პრინციპების განსაზღვრის საჭიროებას.

გადაცემისა და განაწილების ქსელური საქმიანობის სატარიფო ოეგულირების რამდენიმე მიღგომა განიხილება, რომელთაგან მნიშვნელოვანია:


- მომსახურების დანახარჯთა ანაზღაურების მეთოდი, იგივე დანახარჯზე ამონაგების განაკვეთის რეგულირების მეთოდი (Cost-of-service remuneration/Rate of Return Regulation);
- ძირითად კრიტერიუმთა საშუალო მნიშვნელობებთან შედარების მეთოდი (Yardstick competition);
- საცალო ფასის ინდექსითა და ეფექტურობის X ფაქტორით რეგულირების მეთოდი (RPI-X regulation).

დანახარჯზე ამონაგების განაკვეთის რეგულირების (Cost-of-service remuneration/Rate of Return Regulation) მეთოდი, რომელიც განსაკუთრებით პოპულარული იყო აშშ-ში 1990-იან წლებში, მარეგულირებელს აძლევს უფლებას გადამცემი და გამანაწილებელი ქსელური ოპერატორებისათვის დააწესოს ისეთი ფასი, რომელიც საშუალებას მისცემს დაფარონ საოპერაციო ხარჯები და საჭიროების შემთხვევაში განახორციელონ ოპტიმალური რაოდენობის კაპიტალური ინვესტიციები ქსელის აღდგენის ან გაფართოების მიზნით. გამომდინარე აქედან, ქსელური საწარმოების მთლიანი შემოსავალი (Revenue) ძირითადად ორი კომპონენტისაგან შედგება - წარმოების დანახარჯებისა (Cost) და კაპიტალურ ინვესტიციებზე ამონაგებისაგან (Return on assets).

$$\text{Revenue} = \text{Costs} + \text{Return on assets (1)}$$

ვიზუალურად კი შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად (ნახაზი 1.7):

ნახაზი 1.7 დანახარჯებზე ამონაგების განაკვეთის რეგულირება



ამონაგების განაკვეთის რეგულირებისას დგინდება ფასის და არა საწარმოთა შემოსავლების ზედა ზღვარი. თუმცა ფორმულაში საწარმოთა შემოსავლები სიმარტივისათვის არის მოცემული, რადგან წინასწარ განსაზღვრული შემოსავლების რაოდენობა გაყოფილი წარმოებული საქონლის რაოდენობაზე, გვაძლევს ერთი ერთეულის ფასს. ამონაგების განაკვეთის რეგულირების მეთოდს ორი მნიშვნელოვანი ნაკლი აქვს: ერთი ის რომ, საწარმოს არ აძლევს სტიმულს გაუმჯობესოს წარმოების პროცესი და ამით შეამციროს სარჯები და მეორე, შემცირდეს ტარიფები. რადგანაც საწარმომ იცის რომ გაზრდილი დანახარჯების ამოდებას ის მაინც შეძლებს ფასების გაზრდით, ასევე, წარმოების ეფექტუანობის გაზრდის შემთხვევაში, მთელ სარგებელს არა საწარმო, არამედ მომხმარებელი იღებს დაბალი ფასების სახით და ამასთან კაპიტალურ ინვესტიციებზე ამონაგების განაკვეთი თითქმის უცვლელია წლების მანძილზე, ის ადარ ფიქრობს წარმოების პროცესის განვითარებასა და დახვეწაზე. გარდა ამისა, სატარიფო რეგულირების აღნიშნული მეთოდი საწარმოებს აძლევს სტიმულს მეტი არასაჭირო კაპიტალ დაბანდებები განახორციელონ, რომ მიიღონ მეტი მოგება. მარეგულირებლისთვის კი საკამოდ ძნელია განასხვაოს საჭირო და არასაჭირო

კაპიტალური ხარჯები ერთმანეთისაგან. ამასთან, მარეგულირებელი ყოველწლიურად ადგენს ახალ სატარიფო განაკვეთებს აღნიშნული მეთოდით, რაც თავისმხრივ ადმინისტრაციულ ხარჯებთან და ადამიანისეულ რესურსთან არის დაკავშირებული.

ძირითად კრიტერიუმთა საშუალო მნიშვნელობებთან შედარების (Yardstick competition) მეთოდით თითოეულ საწარმოს ფასის ზედა ზღვრად უწესდებათ სხვა დანარჩენი საწარმოების საშუალო დანახარჯები 4-5 წლის ვადით. ფორმულის სახით ეს შემდეგნაირად გამოისახება:

$$AC^i = \sum_{j=1, j \neq i}^n \frac{AC^j}{(n-1)} \quad (2)$$

სადაც,

AC^i - კონკრეტული საწარმოს დასაშვები შემოსავლის/ხარჯის ზედა ზღვარი;

n - ელექტროენერგიის გადამცემი ან გამანაწილებელი საწარმოების რაოდენობა;

AC^j - სხვა საწარმოების საშუალო ხარჯი.

ფორმულის მიხედვით, საწარმოს შემოსავლები დამოკიდებულია არა საკუთარ დანახარჯებზე, არამედ სხვა საწარმოთა საშუალო ხარჯებზე. გამომდინარე აქედან თუ კონკრეტული საწარმო სხვა დანარჩენ საწარმოებთან შედარებით უფრო ეფექტურია და შედეგად ნაკლები დანახარჯები აქვს, ის მეტ მოგებას მიიღებს. სატარიფო რეგულირების აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს კონკურენციის ზრდას წარმოების ეფექტიანობის გაუმჯობესებისათვის. რადგანაც ყველა საწარმოს მიზანია გააუმჯობესოს წარმოება და შეამციროს საკუთარი დანახარჯები სხვებთან შედარებით, ამით მცირდება საშუალო დანახარჯების ზედა ზღვარი, რაც საბოლოოდ ფასების შემცირებას გულისხმობს. მიუხედავად ზემოთ აღნიშნული დადებითი ეფექტებისა, სატარიფო რეგულირების ამ მეთოდს რამდენიმე უარყოფითი ეფექტიც ახლავს

თან. რაც უფრო მცირდება გადამცემი ან გამანაწილებელი ქსელური საწარმოების რაოდენობა მით უფრო იზრდება ალბათობა იმისა, რომ მათ კოორდინირებულად და ხელოვნურად გაზარდონ საკუთარი დანახარჯები. გამომდინარე იქიდან, რომ რეგულირებად საწარმოებს შორის გარკვეული სტრუქტურული განსხვავებები არსებობს, მარეგულირებლისათვის რთულია განსაზღვროს მათი დანახარჯების საშუალო მნიშვნელობები. მიუხედავად ამისა, აღნიშნული მეთოდი ფართოდ გამოიყენება ზოგიერთ ქვეყნებში კერძოდ, იტალიაში, რუმინეთში, სლოვაკეთში და სხვა.

საცალო ფასის ინდექსითა და ეფექტურობის X ფაქტორით რეგულირების (RPI-X) მეთოდი საწარმოთა პროდუქტიულობის ზრდისა და ფასების შემცირების საუკეთესო საშუალებაა, რომელიც ფართოდ გამოიყენება რიგ განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში. გამომდინარე იქიდან, რომ გადაცემისა და განაწილების ქსელური საწარმოები ბუნებრივ მონოპოლიებს წარმოადგენენ, რთულია აქ კონკურენტული გარემოს შექმნა, თუმცა რეგულირების RPI-X მეთოდით (ნახაზი 1.8) შესაძლებელია სტიმულირების ეფექტური პირობების უზრუნველყოფა ტარიფების დანახარჯებისაგან განცალკევებით და მათი განსაზღვრისას გარე ფაქტორების შემოტანით. აღნიშნული მეთოდით ფასის ან საწარმოთა შემოსავლების ზედა ზღვარი 3-5 წლიანი ინტერვალით განისაზღვრება ქვემოთ მოცემული ფორმულით:

$$R_t = R_{t-1}(1 + CPI - X) \quad (3)$$

სადაც,


R_t - ფასის ან შემოსავლის ზედა ზღვარი მიმდინარე წელს;

CPI - სამომხმარებლო ფასების ინდექსი (%);

X - ეფექტიანობის ზრდის ფაქტორი (%).


ნახაზი 1.8. RPE-X რეგულირება

RPE-X რეგულირება



საცალო ფასების ინდექსის, იგივე ინფლაციის შესაფასებლად ხშირად გამოიყენება სამომხმარებლო ფასების ინდექსი. ფორმულა გვიჩვენებს მიმდინარე წლის ფასს/შემოსავალს დამოკიდებულს წინა წლის ფასზე/შემოსავალზე, რომელიც ინფლაციისა და ეფექტუანობის ინდექსით არის შეწონილი. X-ფაქტორი მარეგულირებლის მიერ კონკრეტული საწარმოსათვის წინასწარ განსაზღვრული ეფექტუანობის დონეა. რაც უფრო მაღალია წარმოების ეფექტიანობა, მით მეტია გადამცემი ან გამანაწილებელი ქსელური საწარმოს მოგება. წარმოების ეფექტიანობის ზრდით გამოწვეული სარგებელი X-ფაქტორის საშუალებით ნაწილდება მომხმარებლებზეც. აღნიშნული კარგად ჩანს ქვემოთ მოყვანილ ნახაზზე 1.9.

ნახაზი 19. RPI-X რეგულირების სოციალური სარგებელი



ნახაზიდან ჩანს, რომ ეფექტიანობის ზრდით მიღებული სოციალური სარგებელი (A+B) ფართობის ტოლია, რომელიც მომხმარებლებისა (A) და საწარმოების (B) სარგებლის ჯამია.

სატარიფო რეგულირებისას დანახარჯზე ამონაგების განაკვეთის რეგულირების მეთოდისაგან განსხვავებით, RPI-X მეთოდი მაქსიმალურად ბუნდოვანს ხდის კავშირს რეალურ დანახარჯებსა და რეგულირებად ფასებს/შემოსავლებს შორის, რომლის კორექტირებასაც X ფაქტორის საშუალებით ახდენს, რაც შემდგომში საწარმოთა ეფექტიანობის ზრდის წყაროა. X ფაქტორი რეგულირების 3-5 წლიანი პერიოდის განმავლობაში ფიქსირებულია, რომელიც ფასების წლიურ ცვლილებას განსაზღვრავს წინასწარ შეფასებული ეფექტიანობის ზრდის გათვალისწინებით. საწარმოთა ეფექტიანობის ზრდის სტიმულს სწორედ ის ზენორმატიული მოგება


წარმოადგენს, რომელსაც ისინი მიიღებენ იმ შემთხვევაში, თუ იმაზე მეტად გაზრდიან პროდუქტიულობას, ვიდრე მარეგულირებლის მიერ ეს არის წინასწარ შეფასებული. X ფაქტორი იძლევა კორექტირების საშუალებას იმ შემთხვევაში, თუ მარეგულირებელმა არასწორად შეაფასა ეფექტიანობის განვითარება რეგულირებად პერიოდში. რაც უფრო ზუსტია მარეგულირებლის შეფასება, მით მეტია ალბათობა იმისა რომ ეფექტიანობით მიღებული სარგებელი სამართლიანად და ოპტიმალურად იქნება გადანაწილებული მომხმარებლებსა და საწარმოებს შორის. გამომდინარე იქიდან, რომ საწარმოს ინტერესებში შედის მეტი მოგების მიღება, ის არ გასცემს სრულ ინფორმაციას რეალური დანახარჯების შესახებ. შედეგად, X ფაქტორის შესაფასებლად მარეგულირებელი ხშირად იყენებს სხვა ეფექტიანი საწარმოების მონაცემებს (Benchmarking).

მიუხედავად RPI-X მეთოდის ბევრი დადებითისა, არსებობს საშიშროება, რომ საწარმოთა მიერ დანახარჯების მუდმივმა შემცირებამ გააუარესოს მომსახურების ხარისხი. ეს რომ არ მოხდეს, მარეგულირებელს ფასის/შემოსავლების ფორმულაში დამატებით შეპყავს ისეთი მაჩვენებლები, რომლებიც ასახავენ საწარმოთა ეფექტიანობას მომსახურების ხარისხთან მიმართებით.

ზემოთ განხილული სატარიფო რეგულირების მეთოდებიდან ნათელია, რომ ქსელური საწარმოების შემოსავლების რეგულირების უმნიშვნელოვანეს ელემენტს მათი დანახარჯები წარმოადგენს, რომლის სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყერება (ნახაზი 1.10):


ნახაზი 1.10. დანახარჯების სტრუქტურა

შემოსავლები = საოპერაციო ხარჯები + ამორტიზაცია + (რეგულირებადი აქტივების ბაზა X სამონაგების საპროცენტო ნორმა)



საოპერაციო ხარჯები შეიძლება იყოს საწარმოს მიერ კონტროლირებადი და არაკონტროლირებადი. თუმცა, მხოლოდ კონტროლირებადი ხარჯებით ფასდება წარმოების ეფექტიანობა. როგორც სურათიდან ჩანს, საოპერაციო ხარჯები მოიცავს საექსპლუატაციო ხარჯებსა და დანაკარგებს ქსელში. ამ უკანასკნელის შემცირება კი პირდაპირ აისახება საწარმოს ეფექტიანობაზე. მორტიზაციის (ცვეთის) ხარჯების შეფასების რამდენიმე მეთოდია ცნობილი, რომელთაგან მნიშვნელოვანია თანაბარზომიერი (წრფივი), შემცირებადი ნაშთის და წარმოებულ ერთეულთა ჯამის მეთოდით ცვეთის ხარჯების დარიცხვა საანგარიშო პერიოდზე. ქვემოთ მოცემულია ამორტიზაციის ხარჯების თანაბარი (მარცხნივ) და კლებადი (მარჯვნივ) დარიცხვის მაგალითები 10 და 20 წლიან პერიოდებზე (ნახაზი 1.11).

ნახაზი 1.11. ამორტიზაციის ხარჯების თანაბარი და კლებადი დარიცხვა 10 და 20 წლიან პერიოდზე



მარეგულირებლები ხშირად მაინც ცვეთის თანაბარზომიერი (წრფივი) დარიცხვის მეთოდს იყენებენ მისი სიმარტივიდან გამომდინარე.

კაპიტალზე ამონაგების საპროცენტო ნორმა (Rate of Return), რომელიც ასევე ინვესტორის კაპიტალის ალტერნატიული დირებულების სახელითაც არის ცნობილი, რეგულირებადი საწარმოსთვის დასაშვები ანაზღაურების განაკვეთს განსაზღვრავს. ის დამოკიდებულია ფინანსირების საკუთარი (equity) და სესხის (debt) საშუალო შეწონილ მნიშვნელობაზე, რომელიც მარტივად ფორმულის სახით ასე გამოიყერება:

$$WACC \text{ (post-tax)} = \text{Cost of Equity} * \frac{E}{E+D} + \text{Cost of Debt} * \frac{D}{E+D} * (1 - T) \quad (4)$$

სადაც,


$WACC$ - კაპიტალის საშუალო შეწონილი ხარჯი;

Cost of Equity - საკუთარი კაპიტალის ალტერნატიული დირებულება;

- | | |
|---------------------|-----------------------------------|
| <i>E</i> | - საკუთარი კაპიტალი; |
| <i>D</i> | - სესხი; |
| <i>Cost of Debt</i> | - სესხის ალტერნატიული დირებულება; |
| <i>T</i> | - გადასახადი. |

მარეგულირებელი ორგანო, როგორც წესი, სესხისა და ინვესტორის საკუთარი კაპიტალის ალტერნატიულ დირებულებებზე დაყრდნობით საშუალო შეწონილი ინდექსის მინიმალურ მნიშვნელობას იღებს. ქვემოთ მოყვანილ გრაფიკზე კარგად ჩანს მთლიანი კაპიტალური ხარჯების ოპტიმალური ალტერნატიული დირებულება (ნახაზი 1.12).

ნახაზი 1.12 მთლიანი კაპიტალური ხარჯების ოპტიმალური ალტერნატიული დირებულება




მთლიანი კაპიტალური ხარჯების ოპტიმალური ალტერნატიული დირებულება WACC მრუდის მინიმუმის წერტილშია, რომელიც სესხისა და ქსელური საწარმოს საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ფარდობით მიიღება.

ქვეყნებში, სადაც ფინანსური ბაზრები კარგადაა განვითარებული, WACC-ის ოპტიმალური მნიშვნელობის მისაღებად, საკუთარი კაპიტალის 30%-50%-მდე წილიც საკმარისია მთლიან კაპიტალურ ხარჯებში.

რეგულირებად აქტივთა ბაზა მოიცავს მხოლოდ აუცილებელ კაპიტალურ ხარჯებს და ეყრდნობა ფიქსირებული/უძრავი აქტივების ნარჩენ ღირებულებას. უფრო დაწვრილებით კი მოიცავს შემდეგს (ნახაზი 1.13):

ნახაზი 1.13. რეგულირებადი აქტივების ბაზის სტრუქტურა




ქსელური საწარმოს მიერ ახალი ინვესტიციების განხორციელება გარკვეულ მიზანს ემსახურება, რომელიც სამი მიმართულებიდან ერთ-ერთს შეიძლება უკავშირდებოდეს:

1. ქსელის გაფართოებასთან დაკავშირებული ინვესტიციები;
2. მოძველებული ტექნიკური ბაზის განახლება;
3. ინვესტიციები განსაკუთრებული შემთხვევებისათვის (მაგ. ახალი კანონით/რეგულაციით მუშაოდა უსაფრთხოების ნორმების გამკაცრება, რაც დამატებით ხარჯებს შეიძლება გულისხმობდეს).

სამშენებლო სამუშაოების ხარჯების გათვალისწინება რეგულირებადი აქტივების ბაზაში, ხანგრძლივი განსჯის საგანი იყო მარეგულირებელებსა და რეგულირებად საწარმოს შორის. ზოგირთ მარეგულირებელს იმ შემთხვევაში შეჰყავს სამშენებლო სამუშაოების ხარჯები რეგულირებადი აქტივების ბაზაში თუ მშენებლობა უკვე დამთავრებულია, სამშენებლო პროექტი მოკლევადიანია ან ამის გარეშე მნიშვნელოვანი ფინანსური ზარალი მიადგება საწარმოს. ქსელურ ბიზნესში მუშა კაპიტალი განისაზღვრება როგორც სხვაობა მიმდინარე აქტივებსა და ვალდებულებებს/პასივებს შორის.

მომხმარებლისთვის ელექტროენერგიის მიწოდების ხარისხი ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც მისი ფასი. თუმცა მაღალი ხარისხი მაღალ ხარჯებსაც მოითხოვს. გარდა ამისა, ელექტრომომარაგების შეწყვეტით გამოწვეული უარყოფითი შედეგებიც გასათვალისწინებელია. ამიტომ, საჭიროა ოპტიმალური ვარიანტის მოძებნა, სადაც ჯამური დანახარჯები მინიმალური იქნება (ნახაზი 1.14).

ნახაზი 1.14. დანახარჯებისა და საიმედოობის ურთიერთშედარება




ევროპის ენერგომარეგულირებელთა საბჭოს განსაზღვრებით, ქსელური მიწოდების ხარისხი სამ ძირითად ნაწილად შეიძლება დაიყოს:

1. ტექნიკური;
2. კომერციული;
3. საიმედოობის ხარისხი.


ტექნიკური ხარისხი მოიცავს ძაბვისა და სიხშირის ოპტიმალურ დონეებს, რომელზეც უსაფრთხოდ და სათანადოდ იმუშავებს საყოფაცხოვრებო თუ სხვა დანიშნულების ტექნიკური მოწყობილობები (ნახაზი 1.15).

ნახაზი 1.15. ტექნიკური ხარისხის მაჩვენებლები



ქსელური საწარმოებისთვის, კომერციული უსაფრთხოება გულისხმობს არასასურველი ფინანსური კრიზისის თავიდან ასაცილებლად მოხმარებული ელექტროენერგიის აღრიცხვასა და დავალიანების დროულ ანაზღაურებას (ნახაზი 1.16).

ნახაზი 1.16. კომერციული ხარისხის მაჩვენებლები



რაც შეეხება საიმედოობას, ის ქსელური მომსახურების უსაფრთხოების მესამე უმნიშვნელოვანების პარამეტრია, რომელიც მოკლე და გრძელვადიან პერიოდში ელექტროენერგიის უწყვეტად მიწოდებას გულისხმობს და თავის მხრივ რამდენიმე ინდიკატორს მოიცავს:

$$SAIFI = \frac{\sum_i N_i}{N_i}, \quad SAIDI = \frac{\sum_i r_i N_i}{N_i}, \quad CAIFI = \frac{\sum_i N_i}{N_a}, \quad CAIDI = \frac{\sum_i r_i N_i}{\sum_i N_i}, \quad AENS = \frac{\sum_i r_i P_i}{N_i} \quad (5)$$

- SAIFI (System Average Interruption Frequency Index) - ერთ მომხმარებელზე ელექტრომომარაგების გამორთვების საშუალო სიხშირე (გამორთვა /მომხმარებელი), გამოითვლება თითოეულ გამორთვისას გამორთული მომხმარებელების (N_i) საერთო ჯამის ფარდობით მომხმარებლების მთლიან რაოდენობასთან (N_t);
- SAIDI (System Average Interruption Duration Index) - ერთ მომხმარებელზე ელექტრომომარაგების გამორთვების საშუალო ხანგრძლივობა (წთ/მომხმარებელი) გამოითვლება გამორთვების რაოდენობისა (N_i) და მათი ხანგრძლივობის (r_i) ნამრავლთა ჯამის შეფარდებით მომხმარებელების მთლიან რაოდენობასთან (N_t);
- CAIFI (Customer Average Interruption Frequency Index) - მომხმარებელთა ელექტრომომარაგების გამორთვების საშუალო სიხშირე (გამორთვა/დაზარალებული მომხმარებელი), გამოითვლება თითოეული გამორთვისას გამორთული მომხმარებელების (N_i) საერთო ჯამის ფარდობით დაზარალებული მომხმარებლების მთლიან რაოდენობასთან (N_a);
- CAIDI (Customer Average Interruption Duration Index) - მომხმარებელთა ელექტრომომარაგების გამორთვების საშუალო ხანგრძლივობა (წთ/დაზარალებული მომხმარებელი), გამოითვლება თითოეული გამორთვისას გამორთული მომხმარებელების (N_i) შესაბამის გამორთვის ხანგრძლივობაზე ნამრავლთა ჯამის ფარდობით დაზარალებული მომხმარებლების მთლიან რაოდენობასთან;
- AENS (Average Energy Not Supplied) – გამორთვების შედეგად მიუწოდებელი ელექტროენერგიის საშუალო რაოდენობა თითოეულ მომხმარებელზე (კვტ.სთ/მომხმარებელი) გამოითვლება თითოეული გამორთვის ხანგრძლივობისა (r_i) და სიმძლვარის (P_i) ნამრავლთა ჯამის ფარდობით მომხმარებლების მთლიან რაოდენობასთან (N_t);
- ასევე გამოიყენება AIT (Average Interruption Time) გამორთვების საშუალო ხანგრძლივობის (წუთი) მაჩვენებელი, რომელიც გამოითვლება

გამორთვების ხანგრძლივობის ჯამის ფარდობით გამორთვების რაოდენობასთან.

აღნიშნული ინდექსები განსაზღვრავენ ელექტრომომარაგების სისტემის საიმედოობას, თუმცა, გამომდინარე იქნებან, რომ SAIFI, SAIDI, CAIFI, CAIDI AENS შეწონილია მომხმარებელების რაოდენობით, ისინი ძირითადად გამოიყენება გამანაწილებელი ქსელის მომსახურების ხარისხის შესაფასებლად, ხოლო AIT გამოიყენება გადამცემი ქსელის მომსახურების ხარისხის შესაფასებლად.

აღნიშნულ ინდიკატორებს შორის არსებობს გარკვეული ურთიერთკავშირი, რომელიც მდგომარეობს შემდგომში:

$$SAIDI = SAIFI * CAIDI \text{ ან } CAIDI = SAIDI / SAIFI \quad (6)$$

ქსელური საწარმოები მარეგულირებელ კომისიაში ყოველ კვარტალურად და წლის ბოლოს წარადგენენ დამუშავებულ მონაცემებს ელექტრომომარაგების საიმედოობისა და კომერციული ხარისხის შესახებ. კომისია ახდენს მიღებული მონაცემების გაანალიზებას. იგი ვალდებულია ჩაატაროს მონიტორინგი მიღებული და გადამუშავებული მონაცემების საფუძველზე. კომისია ორი ან მეტი წლის ინდექსების მონაცემებზე დაყრდნობით თითოეულ ქსელურ საწარმოს ცალ-ცალკე უდგენს აღნიშნული ინდექსების კრიტერიუმებს მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით (ქსელის ტექნიკური მდგომარეობის გათვალისწინებით). კრიტერიუმთა დარღვევისა და შეუსრულებლობის შემთხვევაში მარეგულირებელი როგორც წესი იყენებს საჯარიმო სანქციებს.

თავი 2. საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზარი და ფაქტობრივი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები

2.1. ელექტროენერგეტიკული ბაზრის მოდელი და მონაწილე სუბიექტები

საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის სტრუქტურას, როგორც ყველა ქვეყნის ელექტროენერგეტიკული ბაზრის სტრუქტურას, ისტორიულად ვერტიკალურად ინტეგრირებული სისტემის მართვის პრინციპი ახასიათებდა, სადაც ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემის, განაწილებისა და მიწოდების სეგმენტები სახელმწიფოს მფლობელობაში იყო. საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოესტრუქტურიზაცია 1994 წლიდან ეტაპობრივად განხორციელდა და ასევე ეტაპობრივად მოხდა ვერტიკალურად ინტეგრირებული ენერგეტიკული სისტემების პორიზონტალური დაყოფა როგორც ფუნქციონალურად, ისე მფლობელობის თვალსაზრისით, თუმცა სხვა ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ვერტიკალურად ინტეგრირებული სტრუქტურიდან კონკურენტული ბაზრის სტრუქტურაზე გარდაქმა საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესი იქნება.

საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზარი პირობითად შეიძლება დაიყოს საბითუმო და საცალო ბაზრებად. საბითუმო ბაზრის სუბიექტები არიან ელექტროენერგიის მწარმოებლები, პირდაპირი მომხმარებლები, ექსპორტიორები, იმპორტიორები და განაწილების ლიცენზიატები (მიწოდების ნაწილში), ასევე მომსახურების მიმწოდებლები – გადამცემი სისტემის ოპერატორი, ბაზრის ოპერატორი, გადაცემისა და განაწილების ლიცენზიატები (გატარების – საქსელო მომსახურების ნაწილში). საცალო ბაზრებზე მომსახურების გამწევი ძირითადი სუბიექტები არიან ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიატები (როგორც საქსელო მომსახურების, ასევე მიწოდების ნაწილში). საცალო ბაზარზე ელექტროენერგიის მიწოდების განხორციელება აგრეთვე შეუძლიათ მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურებს. რაც შეხება საბოლოო მომხმარებლის სეგმენტს, საცალო მოხმარება წარმოდგენილია საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებით,

რომელთაგან პერმანენტულად უნდა გამოიყოს ე.წ. „კვალიფიციური“ მომხმარებლები, რომლებიც ელექტროენერგიას შეისყიდიან არა ფიქსირებული სამომხმარებლო ტარიფით, არამედ თავად ირჩევენ საბითუმო მომწოდებელს (გენერაციის ობიექტს ან იმპორტიორს) კონკურენტული ფასების საფუძველზე.

ელექტროენერგიის წარმოების საქმიანობას ახორციელებენ შემდეგი ტიპის სუბიექტები:

1. მარეგულირებელი სადგურები, რომლებიც საქმიანობენ კომისიის მიერ გაცემული ლიცენზიით და კომისიის მიერ დადგენილი რეგულირებული ტარიფებით;
2. ნაწილობრივ დერეგულირებული სეზონური სადგურები საქმიანობენ კომისიის მიერ გაცემული ლიცენზიითა და დადგენილი ტარიფის ზედა ზღვრით;
3. დერეგულირებული ელექტროსადგურები:
 - 2008 წლის 1 აგვისტოს შემდეგ აშენებული ელექტროსადგურები საქმიანობენ კომისიის მიერ გაცემული ლიცენზიითა და თავისუფალი ტარიფებით;
 - მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურები, რომლებიც საქმიანობენ ლიცენზიის გარეშე და თავისუფალი ტარიფებით.
4. გარანტირებული სიმძლავრის წყაროები (თბოელექტროსადგურები) საქმიანობენ კომისიის მიერ გაცემული ლიცენზიითა და რეგულირებული ორგანაკვეთიანი ტარიფით (გარანტირებული სიმძლავრის საფასური, წარმოებული ელექტროენერგიის ტარიფი).

გადამცემი სისტემის ოპერატორის ფუნქციებს ასრულებს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი, რომელიც საქმიანობს კომისიის მიერ გაცემული ლიცენზიითა და ტარიფით.

ელექტროენერგიის გადაცემას ახორციელებენ სუბიექტები, რომლებიც ფუნქციონირებენ კომისიის მიერ გაცემული ლიცენზიითა და გადამცემი ქსელის ძაბვის საფეხურების მიხედვით დადგენილი ტარიფით.

ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის ფუნქციას ასრულებს ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი, რომელიც

უზრუნველყოფს საბალანსო ელექტროენერგიითა და გარანტირებული სიმძლავრით ვაჭრობას, ასევე აწარმოებს ელექტროენერგიით ვაჭრობის ერთიან ბაზას და საქმიანობს კომისიის მიერ დადგენილი ტარიფით.

ელექტროენერგიის იმპორტისა და ექსპორტის საქმიანობის განხორციელება შეუძლია პგალიფიციურ საწარმოდ დარეგისტრირებულ ნებისმიერ პირს. იმპორტის შემთხვევაში კომისია ადგენს იმპორტის საფასურის საანგარიშო ფორმულას, ხოლო ექსპორტის ფასი თავისუფალია.

ელექტროენერგეტიკული ბაზარი ელექტროენერგიის საბოლოო მოხმარების კუთხით წარმოდგენილია პირდაპირი მომხმარებლებისა და საცალო მომხმარებლების სახით. ბაზრის წესების შესაბამისად, პირდაპირ მომხმარებელს, რომელიც აკმაყოფილებს დადგენილ/განსაზღვრულ კრიტერიუმს ელექტროენერგიის წლიური მოხმარების რაოდენობის მიხედვით, შეუძლია შეისყიდოს ელექტროენერგია ნებისმიერი მიმწოდებლისაგან. რაც შეეხება საცალო მომხმარებელს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მას არ აქვს არჩევანის შესაძლებლობა, გარდა ერთი გამონაკლისისა, შეისყიდოს ელექტროენერგია მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურიდან პირდაპირი ხელშეკრულების საფუძველზე. გამანაწილებელი კომპანიების არეალში არსებული სამომხმარებლო ტარიფების სიდიდე (განსაკუთრებით 110-35 კვ და 10-6 კვ ძაბვის საფეხურებზე) და ბაზარზე დარჩენილი თავისუფალი გენერაციის მაღალი ფასები ჯერ კიდევ ვერ უწყობს ხელს ბაზრის გახსნას და მომხმარებლების გასვლას თავისუფალ ბაზარზე.

ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვის ნაწილში საბითუმო ბაზრის სუბიექტები არიან:

1. **ელექტროენერგიის მწარმოებლები:** 2016 წლის ბოლოს მდგომარეობით საბითუმო ბაზარზე რეგისტრირებულა ელექტროენერგიის 77 მწარმოებელი:
 - 5 თბოელექტროსადგური (მათ შორის ქვანახშირზე მომუშავე ტყიბულის თბოელექტროსადგური),
 - 2 მარეგულირებელი ჰიდროელექტროსადგური (ენგურჟესი, გარდნილჟესი);
 - 15 ნაწილობრივ დერეგულირებული

- 4 დერეგულირებული;
 - 51 მცირე სიმძლავრის (დერეგულირებული) ელექტროსადგური;
 - 2016 წელს ელექტროენერგიის წარმოების საქმიანობაში ჩართული:
 - 5 პიდროელექტროსადგური (დარიალი ჰესი, საგურამო ჰესი, შაქშაქეთი ჰესი, მაქსანაია ჰესი და კაზრეთი ჰესი – ჯამში 116.7 მგვტ);
 - 1 თბოელექტროსადგური (ტყიბულის თბოელექტროსადგური – 13.2 მგვტ.)
 - 1 ქარის ელექტროსადგური (ქართლის ქარის ელექტროსადგური – 20.7 მგვტ.).
2. **პირდაპირი მომხმარებლები:** პირდაპირი მომხმარებლების (კვალიფიციურ საწარმოდ რეგისტრირებული) რაოდენობა შეადგენს 4 სუბიექტს.
3. **ელექტროენერგიის იმპორტიორად 2016 წლის მონაცემებით** ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარზე დარეგისტრირებულია 12 სუბიექტი, რომლებმაც განხორციელეს 478.9 მლნ.კვტ.სთ ელექტროენერგიის იმპორტი (2015 წელთან შედარებით 31.5%-ით ნაკლები);
4. **ელექტროენერგიის ექსპორტიორად საბითუმო ბაზარზე** დარეგისტრირებულია 29 სუბიექტი, რომლებმაც 2016 წელს განხორციელეს 559 მლნ.კვტ.სთ ელექტროენერგიის ექსპორტი (2015 წელთან შედარებით 15.3%-ით ნაკლები).
5. **ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი** (ესკო), რომელიც უფლებამოსილია იმპორტირებული და/ან საექსპორტოდ განკუთვნილი ელექტროენერგია გაყიდოს და/ან შეისყიდოს როგორც პირდაპირი ხელშეკრულებებით, აგრეთვე საბალანსო ელექტროენერგიის პირდაპირი ხელშეკრულების სტანდარტული პირობებით;
6. **ელექტროენერგიის შესყიდვის ნაწილში კვალიფიციურ საწარმოდ** – განაწილების ლიცენზიატად რეგისტრირებულია სამი სუბიექტი:
- სს „ენერგო-პრო ჯორჯია“;
 - სს „თელასი“;

- სს „კახეთის ენერგოდისტრიბუცია“.
7. გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატები: ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ტრანზიტის უზრუნველყოფისათვის დანაკარგების დაფარვის მიზნით ელექტროენერგიის შესყიდვის ნაწილში (ელექტროენერგიის ტრანზიტი აზერბაიჯანიდან თურქეთის და რუსეთიდან სომხეთის მიმართულებებით):
- სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“;
 - სს გეს „საქრუსენერგო“;
 - შპს „ენერგოტრანსი“.

საქსელო, სისტემური, აღრიცხვისა და ადმინისტრაციულ-კომერციული მომსახურების ნაწილში საბითუმო ბაზრის სუბიექტები არიან:

1. გადამცემი სისტემის ოპერატორი – დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი. 2014 წლის ბოლოს კანონში შესული ცვლილებით დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ნომინირებულ იქნა, როგორც გადამცემი სისტემის ოპერატორი, რომელმაც 2015 წელს გააფორმა ხელშეკრულებები გადამცემი ქსელის აქტივების მფლობელებთან (გადაცემის ლიცენზიატებთან) გადამცემი ქსელის ოპერირებისა და განვითარების დაგეგმვის უფლებამოსილების მისთვის გადაცემის შესახებ. გსო სისტემას ძირითადად მართავს SCADA-ს (საზედამხედველო კონტროლისა და მონაცემთა შეგროვების სისტემა) გამოყენებით და, იმავდროულად, იყენებს ზედა დონის ელექტროენერგიისა და სიმძლავრის კონტროლისა და აღრიცხვის ავტომატიზებულ სისტემას (ზედა დონის ესკად სისტემა);
2. ბაზრის ოპერატორი – ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი (ესკო), რომელიც კვალიფიციური საწარმოების მოთხოვნათა დაკმაყოფილების (დაბალანსების) მიზნით ყიდულობს და ყიდის საბალანსო ელექტროენერგიასა და ორგანიზებას უწევს გარანტირებული სიმძლავრით ვაჭრობას, ასევე ახდენს საწარმოების ელექტროენერგიით საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ რეგისტრაციას, სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებების შეტანასა და რეგისტრაციის გაუქმებას. ბაზრის ოპერატორი ფლობს და ექსპლუატაციას უწევს კომერციული

ადრიცხვის ავტომატიზებულ სისტემას (კას სისტემა), რომელიც ახდენს ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვის ერთიანი ბაზის ფორმირებას და ადრიცხვის მონაცემებს ავტომატურად იღებს ესკად სისტემებიდან. მისი დანიშნულებაა მონაცემების მიღება, შემოწმება, შეგროვება, დაჯგუფება და დაჯამება ელექტროენერგიით საბითუმო ვაჭრობის ანგარიშსწორებისათვის;

3. **გადაცემის ლიცენზიატები:** გადაცემის მომსახურებას საქართველოს ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე რეგისტრირებული ელექტროენერგიის გადაცემის სამი ლიცენზიატი და სს „ენერგო-პრო ჯორჯია“, რომელზეც 2015 წელს გაცემული ელექტროენერგიის გადაცემის წინასწარი ლიცენზიის 2020 წლამდე მოქმედების ვადით (საფუძველი გახდა სს „ენერგო-პრო ჯორჯიასა“ და საქართველოს მთავრობას შორის დადგებული ურთიერთგაბების მემორანდუმში „თურქეთის რესპუბლიკასთან დამაკავშირებელი ელექტროგადამცემი ხაზის და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის შესახებ“ ცვლილება);
4. **გარანტირებული სიმძლავრის წყაროები:** საქართველოს ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე ფუნქციონირებს 4 თბოელექტროსადგური:
- შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“;
 - შპს „მტკვარი ენერჯიი“;
 - შპს „გარდაბნის თბოსადგური“;
 - შპს „ჯიფაუერი“.
5. **განაწილების ლიცენზიატები** (გატარების – ქსელური მომსახურების ნაწილში) მომსახურებას ეწევიან როგორც მათი, ასევე მესამე პირების საკუთრებაში არსებული ქსელების გამოყენებით. განაწილების ლიცენზიატები ქსელურ მომსახურებას უწევენ:
- საცალო მომხმარებლებს, მიწოდების მომსახურებასთან ერთად;
 - საცალო მომხმარებლებს, რომლებიც ელექტროენერგიას ყიდულობენ პირდაპირი ხელშეკრულებით მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურებისაგან;
 - გამანაწილებელ ქსელზე მიერთებულ პირდაპირ მომხმარებლებს;

- ე.წ. „განაწილებულ გენერაციას“, თუმცა, ზემოაღნიშნული შემთხვევისგან განსხვავებით, განაწილებული გენერაციის მიერ ქსელური მომსახურების ანაზღაურება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის.

ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვის ნაწილში საცალო ბაზრის ძირითადი სუბიექტები არიან:

- 1. ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიატები** (მიწოდების ნაწილში):

 - სს „ენერგო-პრო ჯორჯია“;
 - სს „თელასი“;
 - სს „კახეთის ენერგოდისტრიბუცია“.

- 2. მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურები** - მათი მონაწილეობა საცალო ბაზარზე დაბალია, რადგან საცალო მიწოდების სფეროში ჯერ ისევ არსებობს გამანაწილებელი კომპანიების მონოპოლია მიწოდების ნაწილში, რაც გარკვეულ ბარიერს ქმნის მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურების საცალო ბაზარზე მონაწილეობის მხრივ;
- 3. საცალო მომხმარებლები საკუთარი გენერაციის წყაროთ:** მათ შორის საცალო მომხმარებლის საკუთრებაში არსებული მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურების (ე.წ. ნეტო-აღრიცხვა);
- 4. საცალო მომხმარებლები** – ელექტროენერგიის საცალო ბაზარზე დარეგისტრირებულია 1,688,903 საცალო მომხმარებელი (2016 წლის ბოლოს მონაცემებით), მათ შორის:

 - 1,562,485 – საყოფაცხოვრებო მომხმარებელი;
 - 26,418 – არასაყოფაცხოვრებო მომხმარებელი.

ხოლო საქსელო, სისტემური, აღრიცხვისა და ადმინისტრაციულ-კომერციული მომსახურების ნაწილში საცალო ბაზრის ძირითადი სუბიექტები არიან:

1. განაწილების სისტემის ოპერატორი, რომელიც კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის და რომლის ფუნქციასაც ასრულებენ განაწილების ლიცენზიატები.

საქართველოს „ელექტროენერგეტიკული“ ბაზრის არსებული მოდელი შეიძლება განისაზღვროს, როგორც პირდაპირი კონტრაქტების ბაზარი, სადაც ბაზრის მონაწილეების ვალდებულებების შესრულებას ახორციელებენ ყოველთვიური ანგარიშს წორების საფუძველზე. აგრეთვე პირდაპირი კონტრაქტების ბაზართან ერთად ფუნქციონირებს საბალანსო ბაზარი, რაც ელექტროენერგეტიკული ბაზრის მონაწილეებს საშუალებას აძლევს დააბალანსონ პირდაპირ კონტრაქტებში გაწერილი ელექტროენერგიის ყოველთვიური რაოდენობა და იყიდონ-გაყიდონ ზედმეტად მოთხოვნილი გამომუშავებული ელექტროენერგია.

2016 წელს მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში, კერძოდ, განისაზღვრა მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის სტატუსი და მისი მაქსიმალური სიმძლავრე, აგრეთვე საცალო მომხმარებლის საკუთრებაში არსებული მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მიერ განაწილების ქსელში ელექტროენერგიის მიწოდების პრინციპები. შეიცვალა გარანტირებული სიმძლავრის წყაროსათვის გარანტირებული სიმძლავრის საფასურის განსაზღვრის წესი 2010 წლის შემდეგ აშენებული თბოელექტროსადგურის შემთხვევაში. აღნიშნული ცვლილების შესაბამისად, გარანტირებული სიმძლავრის საფასურში კომისიის მიერ შეფასებული და დადგენილი მუდმივი (ფიქსირებული) დანახარჯები აისახება საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პროპორციით, ხოლო დარჩენილი ნაწილი აისახება გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერგიის წარმოების ტარიფში.

ასევე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესებში“, ერთი მხრივ, აისახა პირველადი კანონმდებლობის შესაბამისი ცვლილებები, ხოლო მეორე მხრივ, დაიხვეწა განაწილების ლიცენზიატებსა და მომხმარებელს შორის ურთიერთობის ფორმები. კერძოდ,

- კანონში შეული მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურების შესახებ ცვლილებების საფუძველზე, „ელექტროენერგიის (სიმძლავრის)

მიწოდებისა და მოხმარების „წესებში“ შესაბამისად აისახა მიკროსიმბლავრის ელექტროსადგურის სტატუსი, მისი გამანაწილებელ ქსელთან მიერთების, მიერთების უზრუნველყოფის ვადებისა და საფასურების (დღგ-ს ჩათვლით) და მიკროსიმბლავრის ელექტროსადგურის მფლობელ საცალო მომხმარებელთან ადრიცხა-ანგარიშსწორების წესები;

- ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიატებს დაევალათ ანგარიშსწორების ქვითარები განცალკევებულად ასახონ ის დავალიანება, რომლის წარმოშობის მომენტიდან გასულია 3 წელზე მეტი და რომელიც მომხმარებელს პირდაპირი წერილობითი ფორმით არ უდიარებია ან/და არ არსებობს მხარეთა შორის შეთანხმება ამ დავალიანების გადანაწილებაზე;
- ობიექტური გარემოებების შემთხვევაში, რომლებიც ხელს უშლის განაწილების ლიცენზიატეს ახალი მომხმარებლის მიერთების უზრუნველყოფის სამუშაოების შესრულებაში, განაწილების ლიცენზიატებს შეუძლიათ მიმართონ კომისიას ახალი მომხმარებლის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების უზრუნველყოფის პერიოდის – ვადის გაზრდის მოთხოვნით, რაც შეიძლება დაკმაყოფილდეს მხოლოდ კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე;
- ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიატებს დაევალათ მომხმარებელს ან/და განმცხადებელს ტექსტური შეტყობინებით აცნობონ შესაბამისი მომსახურებების შესახებ ინფორმაცია. აღნიშნული მომსახურება ამოქმედდა 2017 წლიდან;
- განისაზღვრა გამანაწილებელ ქსელზე მისაერთებელი სიმბლავრის გაზრდის მოთხოვნის შემთხვევაში მომხმარებლის მიერ ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიატებისადმი სპეციალური განაცხადით მიმართვის ვალდებულება და აღნიშნული განაცხადის განხილვისა და სიმბლავრის გაზრდის საფასურის გადახდის პირობები და ვადები.

ზემოაღნიშნული ცვლილებები და ზოგადად განვითარების მიმართულება გარკვეულწილად ხელს უწყობს ელექტროენერგეტიკული სექტორის სტრუქტურისა და მარეგულირებელი ჩარჩოების ჰარმონიზაციას

მესამე ენერგეტიკული პაკეტის მოთხოვნებთან და მეზობელ ქვეყნებთან ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის განვითარებას, თუმცა ჯერ კიდევ არ შეიცავს იმ ძირითად დებულებებს, რაც აუცილებელია ელექტროენერგეტიკული ბაზრის ლიბერალიზაციისა და კონკურენციის განვითარებისათვის.

საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის არსებული სტრუქტურის ძირითადი მიზანია კონკურენტული ელექტროენერგეტიკული ბაზრის ჩამოყალიბების წინაპირობების გაძლიერება და საფუძვლების შექმნა. აღნიშნული მოდელს გააჩნდა პოზიტიური შედეგები, თუმცა გამოვლენილია გარკვეული ტიპის ხარვეზი, რომლის აღმოფხვრაც ელექტროენერგეტიკული ბაზრის ახალმა მოდელმა უნდა უზრუნველყოს.

2014 წელს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმებით საქართველომ აიღო ვალდებულება, რომ ელექტროენერგეტიკულ სექტორში კანონმდებლობას შესაბამისობაში მოიყვანდა ევროკავშირისა და ენერგეტიკული თანამეგობრობის დირექტივებისა და რეგულაციების მოთხოვნებთან. საქართველოს მიერ აღნიშნული მოთხოვნები უნდა შესრულდეს ენერგეტიკული თანამეგობრობის დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან მიერთების ოქმის ფარგლებში შეთანხმებულ ვადებში.

საქართველოს ენერგეტიკული თანამეგობრობის დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან მიერთების ოქმზე ხემოწერის საფუძველზე, საქართველოს გაწევრიანება ენერგეტიკულ თანამეგობრობაში ქვეყანას აძლევს შესაძლებლობას, შექმნას ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი ენერგეტიკული სექტორი, აამადლოს კონკურენცია ბაზარზე და ასევე ენერგეტიკული უსაფრთხოების დონე, გააუმჯობესოს საინვესტიციო გარემო და ხელი შეუწყოს განახლებადი ენერგიის წყაროების განვითარებასა და ენერგოეფექტიანობას. აღნიშნული ოქმით განისაზღვრა ენერგეტიკული თანამეგობრობის კანონმდებლობის (დირექტივებისა და რეგულაციების) ჩამონათვალი და მათი საქართველოს ენერგეტიკულ კანონმდებლობაში ასახვის ვადები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ახალი მოდელის ჩამოყალიბებისათვის არსებობს შემდეგი ძირითადი კრიტერიუმები:

- მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფილ იქნეს საყოვაცხოვრებო მომხმარებლებისათვის ხელმისაწვდომი რეგულირებადი ტარიფები;
- უზრუნველყოფილ იქნეს სამომხმარებლო ბაზრის პერმანენტული გახსნა და გენერაცია— მიწოდების სეგმენტში კონკურენციის განვითარება;
- გაიზარდოს სექტორის საინვესტიციო მიმზიდველობა;
- რაციონალურად და ეფექტურად იქნეს გამოყენებული ქვეყნის ენერგორესურსები;
- საკანონმდებლო ბაზა და ელექტროენერგიით ვაჭრობის მქანიზმები ჰარმონიზებულ იქნეს ევროპარლამენტის და ევროკომისიის მესამე ენერგეტიკულ პაკეტთან და მეზობელი ქვეყნების კანონმდებლობასთან, რამაც ხელი უნდა შეუწყოს საქართველოში სუფთა ენერგიის რეგიონალური პლატფორმის ჩამოყალიბებას და ევროპის ერთიან ენერგეტიკულ ბაზარში ინტეგრაციას.

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში 2013 წლის 27 დეკემბერს შესული ცვლილებების თანახმად, კომისიას მიენიჭა ენერგეტიკული ბაზრების მონიტორინგის უფლება. მარეგულირებელი კომისიის მიერ ბაზრის მონიტორინგის მიზანია ბაზრის დიზაინის ნაკლოვანებების შეფასება, საბაზრო ძალაუფლების გამოყენების შესაძლებლობების, აგრეთვე გადამცემი და გამანაწილებელი ქსელის ლიცენზიატების მიერ დისკრიმინაციული მოქმედებების განხორციელების პოტენციური საფრთხის დადგენა.

2015 წელს ამ მიმართულებით შემუშავებულია ევროკავშირის საჯარო სამსახურების დამმობილების პროექტის (EU Twining Project) ფარგლებში განსახორციელებელი რიგი აქტივობები, რომლებიც 2016 წლიდან უკვე ეტაპობრივას მიმდინარეობს. აღნიშნული პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია როგორც ელექტროენერგეტიკული ბაზრის მონიტორინგის წესებისა და პროცედურების ევროკავშირის ენერგეტიკული თანამეგობრობის მოთხოვნებთან ჰარმონიზაცია, ისე ბაზრის მონიტორინგის ინდექსებისა და პარამეტრების დახვეწა-შემუშავება საბითუმო და საცალო ბაზრებისათვის, ტრანსსასაზღვრო ვაჭრობისა და განახლებადი ენერგიის წყაროებისათვის.

ამასთან, მეტად აქტუალურ საკითხს წარმოადგენს საქმიანობების დაყოფა იმის გამო, რომ ქსელის დამოუკიდებლობა და ქსელზე მესამე მხარის მიერ მიუკერძოებელი წვდომა უადრესად მნიშვნელოვანია ელექტროენერგიის სფეროში ჩართული კომპანიებისათვის. საქმიანობის დაყოფა სავალდებულოა როგორც ევროკავშირის, ისე ენერგეტიკული თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოებისათვის. დაყოფის წესები და პროცედურები მოცემულია ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2009/72/EC დირექტივაში „ელექტროენერგიის შიდა ბაზრისათვის საერთო წესების შესახებ“. 2009/72/EC დირექტივის ერთ-ერთი საბაზისო მოთხოვნაა საქმიანობის დაყოფა (სრული დაყოფა, საკუთრების დაყოფის ჩათვლით), რომელიც ავალდებულებს ელექტროენერგიის გადამცემი სისტემის ოპერატორსა და განაწილების სისტემის ოპერატორს მოახდინონ ელექტროენერგიის გადამცემი და განაწილების საქმიანობების ელექტროენერგიის მიწოდებისა და წარმოების საქმიანობებისგან გამიჯვნა. 2009/72/EC დირექტივის თანახმად, ელექტროენერგიის გადამცემი სისტემის ოპერატორი შეიძლება იყოს პირი, ვინც ფლობს გადამცემ ქსელს, ამუშავებს მას, პასუხისმგებელია მის გრძელვადიან განვითარებაზე და, რაც მთავარია, სრულდად არის გამოყოფილი კონკურენტული (ელექტროენერგიის წარმოება და მიწოდება) საქმიანობისაგან. ხენებული დირექტივა ენერგეტიკული საქმიანობის დაყოფის განხორციელების სამ შესაძლო გზას ითვალისწინებს:

1. საკუთრების დაყოფა;
2. დამოუკიდებელი სისტემის ოპერატორი;
3. დამოუკიდებელი გადაცემის ოპერატორი.

საქმიანობის დაყოფის მოდელებს შორის ძირითადი განსხვავებები ის არის, რომ საკუთრების დაყოფის (OU) მოდელში გადაცემის საქმიანობა და გადაცემის აქტივები არის საერთო მფლობელობისა და კონტროლის ქვეშ, თუმცა ეს საქმიანობა მთლიანად არის გამიჯნული ელექტროენერგიის წარმოებისა და ელექტროენერგიის მიწოდების საქმიანობისგან. დამოუკიდებელი სისტემის ოპერატორის (ISO) მოდელის შემთხვევაში, გადაცემის აქტივების მფლობელობა (და ინვესტიცება) გამოყოფილია სისტემის ოპერატორისგან. რეალურად, ეს ასევე ეხება ინვესტიციასაც. დამოუკიდებელი გადაცემის

ოპერატორის (ITO) მოდელში, სისტემის ოპერირება და აქტივები რჩება ვერტიკალურად ინტეგრირებულ კომპანიაში, თუმცა მოქმედებს წესები, თუ როგორ უნდა იქნეს უზრუნველყოფილი ელექტროენერგიის მიწოდებისა და წარმოების საქმიანობის ეფექტური გამოყოფა ელექტროენერგიის გადაცემის საქმიანობისგან. ძალიან რთულია ამ მოდელში ეფექტური დაყოფის მიღწევა, აქედან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ეს არის ყველაზე ნაკლებად მისაღები ვარიანტი ზემოხსენებულ ალტერნატივებს შორის.

საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში ელექტროენერგიის გადაცემის ლიცენზიას სამი საწარმო ფლობს:

1. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
2. სს გეს „საქრუსენერგო“
3. შპს „ენერგოტრანსი“.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო მიმდინარე პერიოდისთვის არის 50%-იანი წილის მფლობელი სს გეს „საქრუსენერგოში“. ხოლო სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“, რომელიც ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის ყველაზე დიდი მფლობელია, ასევე არის სხვა გადაცემის ლიცენზიარის, შპს „ენერგოტრანსის“, 100%-იანი წილის მფლობელი და სს „საპარტნიორო ფონდის“ 100%-იანი მფლობელობის ქვეშ. თავის მხრივ, სს „საპარტნიორო ფონდი“ არის ელექტროენერგიის ყველაზე დიდი საბითუმო მომწოდებლის – სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ 100%-იანი წილის მფლობელი. სს „საქრუსენერგოს“ აქციონერები არიან: საქართველოს სახელმწიფო, წარმოდგენილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახით, რომელსაც განკარგვის უფლებამოსილების დელეგირება გადაცემული აქვს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსთვის და სს „ფედერალური საქსელო კომპანია“ რუსეთის გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა.


სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ შეიქმნა 2002 წელს სს „ელექტროგადაცემისა“ და შპს „ელექტროდისპეტჩერიზაცია-2000“-ის შერწყმის შედეგად. დოგორც უკვე აღინიშნა მისი დამფუძნებელია სახელმწიფო და იგი ახორციელებს საქმიანობას შემდეგი მიმართულებებით:

1. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ელექტროენერგიის გადაცემის (ტრანსპორტირება, ტრანზიტი) უზრუნველყოფა (35-110-220-500 კილოვოლტი);
2. ელექტროენერგიის დისპეჩერიზაცია და საქართველოს ენერგოსისტემის ოპერატორიული მართვა, 500-220-110-35 კილოვოლტიანი გადამცემი ობიექტების გამართული მუშაობისა და ენერგოსისტემის მდგრადობის უზრუნველყოფა, როგორც ნორმალურ, ასევე ავარიულ რეჟიმში.

სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა "საქრუსენერგო" 1996 წლის 27 მაისს, საქართველოს მთავრობის და "რუსეთის ერთიანი ენერგეტიკული სისტემის" მიერ ჩამოყალიბდა 50%-50% მონაწილეობით. სს გეს "საქრუსენერგოს" უმთავრესი ამოცანაა ყველა მეზობელ ელექტროსისტემასთან პარალელურ რეჟიმში მუშაობის უზრუნველყოფა. მისი ძირითადი ფუნქციაა შიდა სასისტემო 500 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზების მეშვეობით ელექტროენერგიის გადაცემა და მეზობელ ქვეყნებთან დამაკავშირებელი ხაზების (გარდა სომხეთისა) ტექნიკური მომსახურება.

შპს „ენერგოტრანსი“ შეიქმნა 2002 წელს. დაფუძნების დღიდან მისი წილის 100% მფლობელია საქართველოს სახელმწიფო, ხოლო 2009 წლიდან გახდა სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ შვილობილი საწარმო, რომელიც ასევე სახელმწიფოს საკუთრებაა. შპს "ენერგოტრანსი" - განაგებს 1991-1992 წლებში მშენებლობაშეჩერებულ 500 კვ ელექტროგადამცემ ხაზს "თბილსრესი-სამხრეთ საქართველო – ზესტაფონი“, რომლიც მოიცავს 859 ანძას და ფარავს საქართველოს 9 რაიონს. ხაზის სიგრძე 246 კმ-ია, რომელიც სამხრეთის მხრიდან ერთმანეთთან დაკავშირებს "გარდაბნისა" და "დიდი ზესტაფონის" ქვესადგურებს (ნახაზი 2.1).

ნახაზი 2.1. საქართველოს ელექტროენერგიის მაღალი ძაბვის გადაცემის სისტემა



ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის ოპერატორისგან განსხვავებით, ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელის ოპერატორის გამიჯვნის წესი არ მოითხოვს საკუთრების გამიჯვნას. გამანაწილებელი ქსელის ოპერატორისთვის საკმარისია სამართლებრივი და ფუნქციური გამიჯვნა. საქართველოს ელექტროენერგეტიკის სფეროში განაწილების სამი კომპანია მოქმედებს:

1. სს „ენერგო-პრო ჯორჯია“;
2. სს „კახეთის ენერგოდისტრიბუცია“;
3. სს „თელასი“.

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ არის ჩეხური კომპანია „ენერგო-პრო ეი-ეს“-ის შვილობილი კომპანია. უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წლის ბოლომდე სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ ფლობდა განაწილებისა და გენერაციის ლიცენზიებს, თუმცა 2016 წლის დეკემბერში მან მოახდინა განაწილებისა და წარმოების საქმიანობის სამართლებრივი გაყოფა. შედეგად, დაარსდა სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაცია“, რომლის მფლობელობაში გადავიდა 15 ელექტროსადგური, ხოლო სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დარჩა განაწილების აქტივები. სს „ენერგო-პრო ჯორჯიამ“ წარმოებისა და განაწილების საქმიანობის სამართლებრივი

გაყოფის დასრულების შემდეგ მარეგულირებელ ორგანოს მიმართა შესაბამისი საქმიანობებისთვის ცალკე ლიცენზიების აღების თაობაზე. მიუხედავად იმისა, რომ სს „ენერგო-პრო ჯორჯიასგან“ წარმოების საქმიანობის სამართლებრივი გამოყოფა წინ გადადგმული ნაბიჯია, მასზე გაცემულია გადაცემის წინასწარი ლიცენზია, რაც ეწინააღმდეგება ევროპული ენერგეტიკული კანონმდებლობის პრინციპებს განაწილების ქსელის ოპერატორის საქმიანობის გამიჯვნის შესახებ.

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ საქართველოს ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე დიდი მწარმოებელი და გამანაწილებელი საწარმოა, რომელიც ქ. თბილისისა და კახეთის გარდა საქართველოს მთელს ტერიტორიაზე ფლობს მაღალი (110 კვ), საშუალო (35-10 კვ) და დაბალი (6-0,4 კვ) ძაბვის ქსელს. სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ წელიწადში 2.150 მილიარდი კვტ/სთ ელექტროენერგიით ამარაგებს 850,000 აბონენტს. კომპანიის მიერ ელექტროენერგიის გაყიდვები უტოლდება ქვეყანაში ელექტროენერგიის საერთო მოხმარების 25%-ს; სს „ენერგო-პრო-ჯორჯია“ ახორციელებს ელექტროენერგიის ტრანზიტის და აბონენტთა ტექნიკურ მომსახურებას, ასევე აწარმოებს საკუთარი გადამცემი ქსელის განვითარებას თურქეთის მიმართულებით.

სს „თელასი“ საქართველოს ენერგობაზარზე ზომით მეორე გამანაწილებელი საწარმოა, რომელიც ქ. თბილისისა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე ფლობს მაღალი (110 კვ), საშუალო (35-10 კვ) და დაბალი (6-0,4 კვ) ძაბვის ქსელს. სს "თელასი" წელიწადში 2 მილიარდი კვტ/სთ ელექტროენერგიით ამარაგებს 416,500 აბონენტს. სს "თელასის" აქციების 75.108% პროცენტის მფლობელი 2003 წლიდან რუსეთის ერთიანი ენერგოსისტემაა (სს „სილქ როუდ პოლდინგი“ – კომპანია „ინტერ რაო“), ხოლო 24.5295%-ს ფლობს სს „საპარტნიორო ფონდი“. თავისმხრივ სს „სილქ როუდ პოლდინგი“ ასევე ფლობს ჰიდროელექტროსადგურებს – „ხრამჭესი-1“-სა და სს „ხრამჭესი-2“-ს.

სს „კახეთის ენერგოდისტრიიბუცია“ კახეთის რეგიონში მოქმედი გამანაწილებელი საწარმოა, რომელიც 2003 წლის 15 აპრილს ს.ს. „სინათლე"-ს ბაზაზე შეიქმნა. სს „კახეთის ენერგოდისტრიიბუცია“ ემსახურება 117,058 აბონენტს. მისი საშუალო წლიური მოხმარება 200 მლნ კვტ/სთ-ია.

სს „კახეთის ენერგოდისტრიბუცია“, რომელსაც ფლობდა ლიტვური კონცერნი „ახემა ჯგუფი“, დაბრუნდა სახელმწიფო მფლობელობაში და ამჟამად იგი იმყოფება გაკოტრების რეჟიმში. 2016 წლის მდგომარეობით სს „თელასის“ (სამართლებრივად), სს „ენერგო-პრო ჯორჯიას (სამართლებრივად) და სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციას“ (საკუთრების კუთხით) ქსელური საქმიანობა მთლიანად არის გამოყოფილი ელექტროენერგიის წარმოების საქმიანობისგან, თუმცა განაწილების საქმიანობა ჯერჯერობით გამოყოფილი არ არის მიწოდების საქმიანობისგან, ვინაიდან სათანადო საკანონმდებლო საფუძველი არ არსებობს.

ელექტროენერგიის გამანაწილებელი სამივე საწარმო, გამანაწილებელ საქმიანობასთან ერთად ახორციელებენ ელექტროენერგიის მიწოდების საქმიანობას. ანუ ყიდულობენ ელექტროენერგიას და შემდგომ ყიდიან მას მომხმარებელზე.

ელექტროენერგეტიკული ბაზრის სტრუქტურის ცვლილიებასთან ერთად რეგულირებადი საქმიანობების დაყოფა და ერთმანეთისაგან გამიჯვნა მნიშვნელოვნად დადებით მოვლენად შეიძლება შეფასდეს რეგულირებადი საწარმოების დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის პროცესისთვის ვინაიდან, აღნიშნულის ფარგლებში განცალკევებული იქნება თითოეული სახის დანახარჯი მისი გამომწვევი რეგულირებადი საქმიანობის ჭრილში, რაც გამორიცხავს საქმიანობებს შორის დანახარჯების გადანაწილების ლოგიკური პრინციპების შემუშავების საჭიროებას.

ამასთან მნიშვნელოვანია აღინიშნოს საქმიანობების დაყოფის ნაკლოვანებაც, რადგან მისი უარყოფითი ეფექტი პირდაპირ ასახვას ჰქოვებს შესაბამის სატარიფო განაკვეთში ვინაიდან საქმიანობების დაყოფის პირობებში თითოეულ საქმიანობაზე განსაზღვრული უნდა იქნეს ინდივიდუალური ჯგუფი ადმინისტრაციული ადამიანური რესურსისა. ასევე, გამოიწვევს დანახარჯების ზრდას საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების მუხლში, რომელიც თავისმხრივ აისახებ თითოეული საქმიანობის სატარიფო განაკვეთში ცალკე და არა საერთო მენეჯმენტის სახით, როგორც ეს მანმადე იყო გათვალისწინებული.


2.2. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლები

საქართველოს ელექტროენერგეტიკულ ბალანსში ხაზგასასმელია რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი:

- 2011 წლის შემდეგ საქართველო კვლავ გახდა ნეტო-ექსპორტიორი - წლის განმავლობაში ექსპორტირებული ელექტროენერგიის რაოდენობა აღემატება იმპორტირებული ელექტროენერგიის რაოდენობას (სალდომ შეადგინა 80 მლნ.კვტ.სთ);
- ზრდადი ტემპით ხასიათდება ელექტროენერგიის ტრანზიტი;
- ექსპლუატაციაში შევიდა პირველი ქარის ელექტროსადგური, რომლის დადგმული სიმძლავრეც შეადგენს 20.7 მგვტ-ს;
- იზრდება აფხაზეთის მოხმარება - 1,926.9 მლნ.კვტ.სთ, რაც მთლიანი მოხმარების 17.5%-ს შეადგენს. აფხაზეთის ტერიტორიაზე ელექტროენერგიის მოხმარება იფარება ენგურჰესის და ვარდნილჰესების კასკადის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიით, რაც ნიშნავს იმას, რომ ეს რესურსი დანარჩენი საქართველოსათვის მცირდება.


საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორის ძირითადი მახასიათებლები (მიწოდებისა და მოხმარების მაჩვენებლები) მოცემულია ნახაზზე 2.2.

ნახაზი 2.2. ელექტრონურგეტიკული ბალანსი




2015 წელთან შედარებით 2016 წელს ელექტროენერგიის წარმოება გაიზარდა 7.3%-ით, ხოლო 2014 წელთან შედარებით – 11.9%-ით. ზოგადად 2006-2016 წლების მონაცემებზე დაყრდნობით, ყოველ წლიურად საქართველოში ელექტროენერგიის წარმოება საშუალოდ იზრდება 4.5%-ით, რაც მიმდინარე წლებში ექსპლუატაციაში შესული ელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიით არის განპირობებული (ნახაზი 2.3).

ნახაზი 2.3 ელექტროსადგურების მიერ სალტეზე გაცემული ელექტროენერგიის განაწილება



ასევე სტაბილურად იზრდება ელექტროენერგიის მოხმარება. 2016 წელს საქართველოში ელექტროენერგიის მოხმარება წინა წელთან შედარებით 6.2%-ით არის გაზრდილი, ხოლო 2014 წელთან შედარებით – 8.4%-ით. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ელექტროენერგიის მოხმარება, 2006-2016 წლების მონაცემებზე დაყრდნობით, ყოველწლიურად საშუალოდ 3.5%-ით იზრდება, რაც ნაკლებია ელექტროენერგიის წარმოების ზრდის ტემპთან შედარებით და მცირედით, მაგრამ მაინც ზრდის ქვეყნის საექსპორტო პოტენციალს (ნახაზი 2.4).

ნახაზი 2.4. ელექტროენერგიის წარმოება (გენერაცია) და მოხმარება




ადსანიშნავია, რომ თბოსადგურებიდან და პიდროელექტროსადგურებიდან გამომუშავებული (სალტეზე გაცემული) ელექტროენერგიის წილების ზრდა ჯამურად წარმოებულ ელექტროენერგიაში მეტნაკლებად სტაბილური განვითარების ტენდენციებს ინარჩუნებს.

2016 წელს თბოსადგურების მიერ წარმოებულმა ელექტროენერგიამ ჯამურად წარმოებული ელექტროენერგიის 18.8% შეადგინა, ხოლო 2015 წელს – 21.4%. აღნიშნული მაჩვენებლები 5.8%-ით არის შემცირებული თბოსადგურის ელექტროენერგიის წარმოება.

რაც შეეხება პიდროელექტროსადგურებიდან გამომუშავებულ ელექტროენერგიას, 2016 წელს მისმა წილმა ჯამურად წარმოებულ ელექტროენერგიაში 81.1% შეადგინა, ხოლო 2015 წელს – 78.6%. ამავე პერიოდის აღნიშნული მაჩვენებელი 10.7%-ით არის გაზრდილი, რაც განპირობებულია 2016 წელს 5 მცირე ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში შესვლით (ნახაზი 2.5). ესენია:


1. საგურამო ჰესი (დადმული სიმძლავრე – 4.2 მგვტ.);
2. შაქშაქეთი ჰესი (დადმული სიმძლავრე - 1.5 მგვტ.)
3. მაქსანია ჰესი (დადმული სიმძლავრე – 0.5 მგვტ.);
4. კაზრეთი ჰესი (დადმული სიმძლავრე – 2.5 მგვტ.);
5. დარიალი ჰესი (დადმული სიმძლავრე – 108 მგვტ.).

ნახაზი 2.5. ელექტროსადგურების მიერ სალტეზე გაცემული ელექტროენერგიის განაწილება



ამასთან, 2016 წელს ექსპლუატაციაში შევიდა 1 ქარის ელექტროსადგური (დადგმული სიმძლავრე – 20.7 მგვტ), რომლის წილმა ჯამურად წარმოებულ ელექტროენერგიაში 0.1% შეადგინა. რაც შეეხება ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული (სალტეზე გაცემული) ელექტროენერგიის წილებს მათი რეგულირების ტიპების მიხედვით, ტექნიკური მაჩვენებლები მოცემულია ნახაზზე 2.6.

ნახაზი 2.6. ჰიდროელექტროსადგურებიდან ელექტროენერგიის გამომუშავების სტრუქტურა




2016 წელს მარეგულირებელი ჰიდრო- ელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის წილმა ჰიდროელექტროსადგურების მიერ ჯამურად გამომუშავებულ ელექტროენერგიაში შეადგინა 45.3%, ნაწილობრივ დერეგულირებული ჰიდროელექტროსადგურების ჭილმა – 42.3%, ხოლო დერეგულირებული ჰიდროელექტროსადგურების წილმა – 12.48%, საიდანაც 13 მგვტ-ზე მეტი სიმძლავრის ელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული (სალტეზე გაცემული) ელექტროენერგიის წილი შეადგენს 41.5%-ს, ხოლო მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურების – 58.5% -ს.

2016 წლის მონაცემებით ელექტროენერგიის მოხმარებაში მნიშვნელოვანი წილით (71.4%) ელექტროენერგიის გამანაწილებელი კომპანიები არიან წარმოდგენილნი. პირდაპირი მოხმარებლების წილმა მთლიან მოხმარებაში -


11.1%, ხოლო აფხაზეთზე მიწოდებულმა ელექტროენერგიაზ – 17.5% შეადგინა. ელექტროენერგიის გამანაწილებელი კომპანიების მიერ მოხმარებული ელექტროენერგია 2015 წელთან შედარებით 7.2%-ით, ხოლო 2014 წელთან შედარებით 13.1%-ით არის გაზრდილი. რაც შეეხება პირდაპირი მომხმარებლების მიერ მოხმარებულ ელექტროენერგიას, 2015 წელთან შედარებით შემცირდა 0.8%-ით, ხოლო 2014 წელთან შედარებით – 21.7%-ით. საყურადღებოა, რომ აფხაზეთზე მიწოდებული ელექტროენერგიის რაოდენობა წინა წელთან შედარებით 7.2%-ით, ხოლო 2014 წელთან შედარებით 17.6%-ით არის გაზრდილი (ნახაზი 2.7).

ნახაზი 2.7. ელექტროენერგიის შიდა მოხმარების სტრუქტურა




ასევე, ზრდადია ელექტროენერგიის ექსპორტის მაჩვენებელი, ხოლო ელექტროენერგიის იმპორტმა 2016 წელს 478.9 მლნ.კვტ.სთ შეადგინა, რაც 2015 წლის მაჩვენებელზე – 31.5%-ით, ხოლო 2014 წლის მაჩვენებელზე 48.8%-ით ნაკლებია. რაც შეეხება ექსპორტს, 2016 წელს საქართველოდან ექსპორტირებულ იქნა 559.01 მლნ.კვტ.სთ ელექტროენერგია, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 15.3%-ით ნაკლებია (ნახაზი 2.8).

ნახაზი 2.8. ელექტროენერგიის იმპორტი და ექსპორტი



ელექტროენერგეტიკის სექტორში ენერგეტიკული უსაფრთხოების ძირითადი მახასიათებელია ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტობა. მისი უზრუნველყოფა შესაძლებელია ქვეყანაში ელექტროენერგიაზე მოთხოვნილების დაკმაყოფილებით საკუთარი რესურსების მაქსიმალურად გამოყენების გზით. აღნიშნული, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მოკლევადიან პერიოდში იმპორტისა და გრძელვადიან პერიოდში თბოგენერაციის ჩანაცვლებას. ელექტროენერგიის წარმოება-მოხმარების დინამიკა 2016 წლის თვეების მიხედვით მოცემულია ნახაზზე 2.9.

ნახაზი 2.9. ელექტროენერგიის წარმოება-მოხმარება თვეების მიხედვით




ზამთრის პერიოდში ელექტროენერგიაზე მოთხოვნის დაკმაყოფილება ვერ ხერხდება ჰიდრო და თბოგენერაციის სიმძლავრეებით. შესაბამისად, საჭიროა ელექტროენერგიის იმპორტი, რაც ასევე იწვევს ერთ- რტი ყველაზე მნიშვნელოვანი სატარიფო კომპონენტის – ელექტროენერგიის შესყიდვის დანახარჯების ზრდას, რომელიც მერყეობს ეროვნული გალუბის კურსის ცვლილების შესაბამისად და წარმოადგენს გაცილებით დიდ დანახარჯს ვიდრე ადგილობრივი გენერაციის ობიექტების მიერ ენერგიის გამომუშავებაზე გაწეული დანახარჯები. რაც შეეხება ზაფხულის პერიოდს, ჭარბი წყლის რესურსები საშუალებას იძლევა, რომ ელექტროენერგიაზე მოთხოვნა დაკმაყოფილდეს, ხოლო ნარჩენი ელექტროენერგია გატანილ იქნეს ექსპორტზე.

ელექტროენერგიის მოხმარების მაჩვენებლების ზრდა კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს სატარიფო კომპონენტების შესწავლისა და მათი დანახარჯების სტრუქტურის ანალიზის მნიშვნელობას რაც თავისმեრივ საბოლოო ჯამში საჭიროებს ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებზე მიზანშეწონილობის შესახებ მარეგულირებელი აუდიტს.

საქართველოს ელექტროენერგიის საცალო ბაზარი
მაღალკონცენტრირებულია ($HHI = 4,900$), სადაც ყველაზე დიდი საბაზო წილი (60.2%) გააჩნია სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“. კონკრეტულ ბაზარზე კონკურენციის დონის შესაფასებლად გამოიყენება პერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი (HHI). იგი გამოითვლება, როგორც ბაზარზე არსებული მონაწილეების საბაზო წილების (%) კვადრატულის ჯამი. HHI ინდექსს შესაძლებელია გააჩნდეს მნიშვნელობა 0-დან 10,000-მდე შუალედში, სადაც 0 ნიშნავს ბაზრის დაბალ კონცენტრაციას (სრულყოფილი კონკურენცია), ხოლო 10,000 – სრულყოფილ მონოპოლიას. ევროკომისიის განმარტებით, თუ HHI აღემატება 1,000-ს, მაშინ ბაზარი არის კონცენტრირებული, ხოლო თუ ინდექსის მნიშვნელობა მეტია 2,000-ზე, მაშინ ბაზარი მაღალკონცენტრირებულია.

საქართველოს ელექტროენერგიის გამანაწილებელი კომპანიების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობა 2016 წლის თვეების მიხედვით მოცემულია ნახაზზე 2.10.

ნახაზი 2.10. საქართველოს ელექტროენერგიის გამანაწილებელი კომპანიების ელექტროენერგიის მოხმარება




როგორც იკვეთება, სამივე გამანაწილებელი კომპანიისათვის მაქსიმალური მოხმარებები ფიქსირდება იანვარ-დეკემბრისა და ივლის-აგვისტოს თვეებში. აღნიშნული ტენდენცია განპირობებულია საქართველოში ელექტროენერგიის მოხმარების სეზონური თვისებით, სადაც მნიშვნელოვან

როლს თამაშობს საყოფაცხოვრებო მომხმარებლების მიერ ელექტროენერგიაზე მოთხოვნის ზრდა ზამთრისა და ზაფხულის პერიოდში. მეორე მხრივ, საყურადღებოა, რომ გასულ წლებში, ელექტროენერგიის მოხმარების პიკი ფიქსირდება ზამთრის პერიოდში, ხოლო ზაფხული შედგომი პიკური მოხმარების პერიოდია, თუმცა გაზრდილი ეკონომიკური აქტივობის გათვალისწინებით, მომავალ წლებში, სავარაუდოდ, ელექტროენერგიის მოხმარების პიკი ზამთრის პერიოდიდან ზაფხულის პერიოდში გადაინაცვლებს. ამის ნათელი მაგალითია სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მოხმარების პროფილი, სადაც მოხმარების პიკი ზამთრის პერიოდთან ერთად ზაფხულის პერიოდშიც ფიქსირდება (კონკრეტულად, აგვისტო).

2016 წელს სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ მიერ ელექტროენერგიის მოხმარების 47.8% მოდის საყოფაცხოვრებო, ხოლო 52.2% - არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებზე (ნახაზი 2.11).

ნახაზი 2.11 სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ ელექტროენერგიის მოხმარება მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით




საყურადღებოა, რომ საყოფაცხოვრებო მომხმარებლების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობა 2015 წელთან შედარებით 1.9%-ით

არის შემცირებული. რაც შეეხება არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის მოცულობას, 2016 წელს იგი 2.9%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით, ხოლო 15.8%-ით – 2015 წელთან შედარებით.

სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ოპერირების არეალში საყოფაცხოვრებო მოხმარებლების მოხმარებამ 2016 წელს მთლიანი მოხმარების 30.4% შეადგინა, ხოლო არასაყოფაცხოვრებო მოხმარებლების მოხმარებამ – 69.6%. სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ განაწილების არეალში არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ოდენობა კი - 5.7%-ით არის გაზრდილი 2015 წელთან შედარებით, ხოლო 2014 წელთან შედარებით – 11.3%-ით, რაც მარეგულირებელი ორგანოს განმარტებით გამოწვეულია აჭარა-გურიისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში მსხვილი ტურისტული ობიექტების ამოქმედებით. საყოფაცხოვრებო მომხმარებლების მიერ მოხმარებული ელექტროენერგია კი წინა წელთან შედარებით შემცირდა 1.9%-ით, ხოლო 2014 წელთან შედარებით – 0.7%-ით (ნახაზი 2.12).

ნახაზი 2.12. „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ელექტროენერგიის მოხმარება მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით



რაც შეეხება სს „თელასს“, 2016 წელს სს „თელასის“ მოხმარების 62.8% – არასაყოფაცხოვრებო, ხოლო 37.2% საყოფაცხოვრებო მომხმარებლებზე


მოდის. არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ორდენობა წინა წელთან შედარებით 28.7%-ით არის გაზრდილი, ხოლო 2014 წელთან შედარებით – 47.7%-ით, რაც ასევე მარეგულირებლის განმარტებით გამოწვეულია მსხვილი კომერციული ობიექტის ამოქმედებით. 2016 წელს სს „თელასის“ საყოფაცხოვრებო მომხმარებლების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ოდენობა 1.2%-ით შემცირდა წინა წელთან შედარებით, ხოლო 2014 წელთან შედარებით – 1.9%-ით, რომლის დინამიკაც წარმოდგენილია ნახაზზე 2.13.

ნახაზი 2.13. სს „თელასის“ ელექტროენერგიის მოხმარება მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით



აქვე, აღსანიშნავია, რომ სტაბილურად იზრდება ელექტროენერგიის მოხმარება. საქართველოში ელექტროენერგიის მოხმარების 2015 წლის მაჩვენებელი 2.1%-ით მეტია 2014 წელთან შედარებით, ხოლო 7.1%-ით მეტი – 2013 წელთან შედარებით. საყურადღებოა, რომ საქართველოში ელექტროენერგიის მოხმარება, 2006-2015 წლების მონაცემებზე დაყრდნობით, ყოველწლიურად საშუალოდ 3.2%-ით იზრდება, რაც ნაკლებია ელექტროენერგიის წარმოების ზრდის ტემპთან შედარებით (ნახაზი 2.14).

**ნახაზი 2.14. ელექტროენერგიის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე
საქართველოს რეგიონების მიხედვით**




საბაზო წილები ელექტროენერგიის სამი უმსხვილესი მარტოებისათვის გადანაწილებულია შემდეგნაირად:

1. „ენერგეტიკური“ – 31%;
2. „გარდაბნის თბოელექტროსადგური“ – 9.8%;
3. „ვარცისებრების“ – 8.1%.

ამავე საწარმოებისთვის პერფინდალ-პირშმანის ინდექსმა შეადგინა I2016=1,222.8. შესაბამისად, გენერაცის სეგმენტი შეიძლება შევაფასოთ, როგორც კონცენტრირებული ბაზარი.


საბალანსო ბაზარზე ელექტროენერგიით ვაჭრობა ხორციელდება სისტემის კომერციულ ოპერატორთან, მარეგულირებელი ორგანოს მიერ დამტკიცებული საბალანსო ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვის პირდაპირი ხელშეკრულების სტანდარტული პირობებით. 2016 წელს საბალანსო ბაზარზე გაყიდულმა ელექტროენერგიამ შეადგინა 1,392.2 მლნ.კვტ.სთ, ხოლო პირდაპირი ხელშეკრულებებით – 10,451.3 მლნ.კვტ.სთ. შესაბამისად, 2016 წლისათვის საბალანსო ელექტროენერგიის წილმა ქსელში მთლიან მიწოდებულ ელექტროენერგიაში 11.8% შეადგინა, ხოლო პირდაპირი ხელშეკრულებების წილმა – 88.2%. თვეების მიხედვით აღნიშნულ მახასიათებლები წარმოადგენილია ნახაზზე 2.15

ნახაზი 2.15. საბალანსო ბაზარზე და პირდაპირი ხელშეკრულებებით ელექტროენერგიის გაყიდვა



ცხადია, რომ საბალანსო ელექტროენერგიის წილი მთლიან მიწოდებაში გაცილებით მაღალია ზამთრის, ვიდრე ზაფხულის პერიოდში. ბაზრის ოპერატორის მიერ შესყიდული საბალანსო ელექტროენერგიის სტრუქტურა თვეების მიხედვით მოცემულია ნახაზზე 1.16.

ნახაზი 2.16. საბალანსო ბაზარზე და პირდაპირი ხელშეკრულებებით ელექტროენერგიის გაყიდვა




2016 წელს ბაზრის ოპერატორის მიერ შესყიდულ საბალანსო ელექტროენერგიაში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს იმპორტირებულ ელექტროენერგიას. რაც შეეხება პესებიდან წარმოებულ ელექტროენერგიას, ბაზრის ოპერატორი მას საბალანსო ბაზრისთვის მთელი წლის განმავლობაში შეისყიდის, ხოლო მაისი-ივნისის თვეებში პესებიდან წარმოებული ელექტროენერგია თითქმის მთლიანად აკმაყოფილებს საბალანსო ბაზარს.

საბალანსო ელექტროენერგიის გაყიდვის კუთხით, ბაზრის ოპერატორისგან საბალანსო ელექტროენერგიას შეისყიდიან ძირითადად ელექტროენერგიის გამანაწილებელი კომპანიები და პირდაპირი მომხმარებლები, თუმცა 2016 წელს ასევე იყო შემთხვევები, როდესაც საბალანსო ელექტროენერგია შესყიდულ იქნა ელექტროენერგიის ტრანზიტის დანაკარგების უზრუნველსაყოფად და ექსპორტის მიზნებისათვის.


საბალანსო ელექტროენერგიის ძირითადი შემსყიდვები არიან გამანაწილებელი კომპანიები, ვინაიდან სწორედ ისინი არიან საბითუმო ბაზრის ძირითადი მონაწილეები ელექტროენერგიის შესყიდვის ნაწილში (ნახაზი 2.17).

ნახაზი 2.17. საბალანსო ბაზარზე და პირდაპირი ხელშეკრულებებით ელექტროენერგიის გაყიდვა




ბაზრის ოპერატორის მიერ გასაყიდი საბალანსო ელექტროენერგიის ფასი ფორმირდება ყოველთვიურად, მის მიერ სხვადასხვა კატეგორიის გენერაციის ობიექტებისა და იმპორტიორებისაგან შესყიდული ელექტროენერგიის ფასების საშუალო შეწონილის პრინციპით (ნახაზი 2.18).

ნახაზი 2.18. ბაზრის ოპერატორის მიერ გასაყიდი საბალანსო ელექტროენერგიის საშუალო შეწონილი ფასი



გასაყიდი საბალანსო ელექტროენერგიის ფასი 2016 წელს საშუალოდ 13%-ით შემცირდა წინა წელთან შედარებით, ხოლო 2014 წელთან შედარებით – 20%-ით გაზირდა. რაც შეეხება საანგარიშო წელს დერეგულირებული ელექტროსადგურების მიერ ბაზრის ოპერატორზე გაყიდული საბალანსო ელექტროენერგიის ფასს, იგი 2015 წელთან შედარებით საშუალოდ 22%-ით, ხოლო 2014 წელთან შედარებით – 49%-ით გაიზარდა (ნახაზი 2.19).

ნახაზი 2.19. დერეგულირებული პიდროელექტროსადგურების მიერ საბალანსო ბაზარზე გაყიდული ელექტროენერგიის ფასი



ელექტროენერგიით ტრანსსასაზღვრო ვაჭრობა რეგულირდება „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ბაზრის წესების საფუძველზე. საქართველოს ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე სულ რეგისტრირებულია 12 იმპორტიორი და 29 ექსპორტიორი.

ქვეყნის ელექტროენერგეტიკულ სისტემაში არსებული ტრანსსასაზღვრო ელექტროგადამცემი ხაზების გამტარუნარიანობები მეზობელ ქვეყნებთან საშუალებას იძლევა, დაკმაყოფილდეს ელექტროენერგიის ადგილობრივი მოთხოვნა და გატანილ იქნეს ექსპორტზე ჭარბი ელექტროენერგია.

ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებით დაგეგმილია, რომ საქართველოს ტრანსსასაზღვრო გამტარუნარიანობა 2020 წლისათვის გაიზარდოს 4,500 მგვტ-მდე, რაც ორჯერ მეტია მიმდინარე პერიოდის მაჩვენებლებთან შედარებით.

დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ, რომელიც ასევე წარმოადგენს ელექტროენერგიის გადაცემის ყველაზე დიდ საწარმოს – სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, შემუშავებული და დამტკიცებული „სისტემათაშორისო ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი

ელექტროგადამცემი ხაზის გამტარუნარიანობის და შიდა შემზღვდავი რესურსის განაწილება/გადანაწილების სპეციალური აუქციონის წესების“ შესაბამისად, გადამცემი სისტემის ოპერატორი ელექტროენერგიის ექსპორტის მიზნებისთვის განსაზღვრავს ახალი ელექტროგადამცემი ხაზის გამტარუნარიანობის მოცულობაზე აუქციონის ჩატარების საფუძვლებს, პირობებს, პროცედურებსა და აუქციონის მონაწილეთა პასუხისმგებლობის საკითხებს ბაზრის წესებით დადგენილი პრიორიტეტულობის ჯგუფების მიხედვით, ექსპორტიორებსა და ასევე ტრანზიტის დამკვეთ პირებს შორის.

ადნიშნული პროცედურების შესაბამისად, ყოველი წლის პირველ აგვისტომდე სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ და თურქეთის მხარე თანხმდებიან მომავალი წლის გამტარუნარიანობის მოცულობებზე, თვეების მიხედვით. შესაბამისად, 2016 წელს ახალ გადამცემ ხაზე გამტარუნარიანობის გადანაწილება აუქციონით და აუქციონის გარეშეც მოხდება.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებულ საქმიანობას წარმოადგენ ელექტროენერგიის გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის რეგულირებადი საქმიანობები. ასეთ შემთხვევაში საჭარმოს დანახარჯები ასევე გაწეული იქნება სხვა არარეგულირებად საქმიანობაზე და მნიშვნელოვანია ამგვარ აქტივობასთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯერბის გამიჯვნა რეგულირებადი აქტივობებიდა, ხოლო არაპირდაპირი დანახარჯების (როგორიცაა საერთო ადმინისტრაციული დანახარჯები) გადანაწილება, როგორც რეგულირებად ასევე არარეგულირებად საქმიანობებზე. ხოლო ამ შემთხვევაში იქნება მარეგულირებელი ორგანოს მიერ ელექტროენერგიის გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის საქმიანობებსთვის განსაზღვრული სატარიფო განაკვეთები ამავე საქმიანობისთვის საჭირო დანახარჯების ამსახველი და შესაბამისად, სამართლიანი განაკვეთი თითოეული მომხმარებლისთვის, კინაიდან ელექტროენერგიის გადაცემის და დისპეტჩერიზაციის მომსახურების ტარიფები წარმოადგენს ელექტროენერგიის (როგორც პროდუქტის) მომხმარებლებისათვის მიწოდების/ტრანსპორტირების მომსახურების ღირებულებას.

“ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ” საქართველოს კანონით განსაზღვრული ნორმების შესაბამისად საქართველოში მოქმედი ელექტროენერგიის განაწილების სამივე ლიცენზიატისათვის მარეგულირებელი კომისიის მიერ განისაზღვრება ელექტროენერგიის განაწილები, გატარების და მოხმარების ტარიფები. 2014 წელს დამტკიცებული სატარიფო მეთოდოლოგიის შესაბამისად ამ თარიღის შემდგომ რეგულირებადი საწარმოებისათვის შესაბამისი ტარიფების დადგენა ხორციელდებოდა ყოველწლიურად ლიცენზიატი საწარმოს მოთხოვნისა და სატარიფო განაცხადის საფუძველზე თუმცა მიმდინარე წელს სატარიფო მეთოდოლოგიაში შესული ცვლილების გათვალისწინებით ელექტროენერგიის განაწილების, გატარებისა და მოხმარების ტარიფები ლიცენზიატი საწარმოებისთვის დადგინდება სამ წელიანი რეგულირების პერიოდზე. რაც შეეხება 2014 წლამდე საჭარმოთა სატარიფო რეგულირებას აღსანიშნავია რომ “ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ” საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებით განსაზღვრული იყო გრძელვადიანი ტარიფები, რომლებიც ექვემდებარებოდა გარკვეულ ცვლილებებს.

ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიატი საწარმოების ელექტროენერგიის მოხმარების ზრდასთან ერთად გარკვეულწილად იზრდება მარეგულირებელი ორგანოს მიერ დადგენილი ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფები, რომლებიც საკანონმდებლო ნორმებისა და კანონქვემდებარე აქტებით გათვალისწინებული წესების შესაბამისად განისაზღვრება არასაყოფაცხოვრებო და საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის ცალ-ცალკე, შესაბამისი ძაბვის საფეხურისა და მოხმარების ბლოკისთვის.

არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის ელექტროენერგიის ტარიფების დგინდება მაღალ, საშუალო და დაბალი ძაბვის საფეხურისთვის:

- 220/380 ვოლტი – მაღალი;
- 3,3-6-10 კილოვოლტი - საშუალო
- 35-110 კილოვოლტი – დაბალი

თავისმხრივ დაბალი ძაბვის საფეხურზე დგინდება ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფები საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის, რომელიც

დამოკიდებულია მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდემობაზე, კერძოდ, მოსახლეობის სოციალური დაცვის დამატებითი გარანტიების შექმნის და ელექტროენერგიის რაციონალური გამოყენების ხელშეწყობის მიზნით საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის 220/380 ვოლტ ძაბვაზე მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობის მიხედვით ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფები (30 კალებდარულ დღეში) განისაზღვრება შემდეგ საფეხურებად:


- ა) 101 კვტსთ-ის ჩათვლი მოხმარებული ელექტროენერგია;
- ბ) 101 კვტსთ-დან 301 კვტსთ-ის ჩათვლი მოხმარებული ელექტროენერგია;
- გ) 301 კვტსთ-დან ზევით მოხმარებული ელექტროენერგია.

ელექტროენერგიის მომხმარებელთა კატეგორიების გათვალისწინებით ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფები ლიცენზიატი საწარმოებისათვის დგინდება ინდივიდუალურად.


კვლევის ფარგლებში შესწავლილი მაჩვენებლების შედეგად, წარმოდგენილია კონკრეტული პერიოდისთვის დადგენილი ტარიფების დინამიკა პერიოდში.

ქალაქ თბილისის აბონენტებისათვის, სადაც ელექტროენერგიის განაწილებას და მიწოდებას ახორციელებს სს “თელასი”, ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფების 2006 წლის 2016 წლის ჩათვლით ხასიათდება თითქმის უცვლელი განაკვეთებით 2015 წლის სექტემბრამდე. თუმცა აღნიშნული პერიოდის შემდგომ ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფი ზრდისკენ არის მიმართული როგორც არასაყოფაცხოვრებო ასევე საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის (ნახაზი 2.34 და 2.35)

**ნახაზი 2.34. სს თელასის არასაყოფაცხოვრებო
მომხმარებლებისთვის ელექტროენერგიის მოხმარების ტარიფი
(თეთრი/კვტსთ)**




**ნახაზი 2.35. სს თელასის საყოფაცხოვრებო მომსმარებლებისთვის
ელექტროენერგიის მოხმარების ტარიფი (თეორი/კვტსთ)**




სს “კახეთის ენერგოდისტრიბუციის” მომსმარებლებისათვის ელექტროენერგიის მოხმარების ტარიფების თითქმის უცვლელია მთელი პერიოდის განმავლობაში, რაც განპირობებულია საწარმოს გაკოტრების რეჟიმში ფუნქციონირებით, რომლის ფარგლებში არაერთხელ შემცვალა მფლობელი და 2016 წლის ბოლოს მდგომარეობით იმყოფება აღსრულების ეროვნული ბიურის სპეციალური მმართველოს ხელმძღვანელობაში. აღნიშნული ლიცენზიატი საწარმო ელექტროენერგიით ამარაებს კახეთის რეგიონის მოსახლეობას (ნახაზი 2.36 და 2.37)

**ნახაზი 2.36. სს კახეთის ენერგოდისტრიბუციის
არასაყოფაცხოვრებო მომსმარებლებისათვის ელექტროენერგიის
მოხმარების ტარიფი (თეორი/კვტსთ)**




**ნახაზი 2.37. სს კახეთის ენერგოდისტრიბუციის საყოფაცხოვრებო
მომსმარებლებისთვის ელექტროენერგიის მოხმარების ტარიფი
(თეთრი/კვტსთ)**




სს “ენერგო-პრო ჯორჯიას” ელექტროენერგიის განაწილების არეალს წარმოადგენს მთელი საქართველოს ტერიტორია გარდა თბილისის და კახეთის რეგიონისა აღნიშნულიდან გამომდინარე საწარმო ახორციელებს საქართველოს მოსახლეობის 60%-ზე მეტის ელექტრომამარაგებას. შე “ენერგო-პრო ჯორჯიას” სატარიფო განაკვეთდები გარკვეული ზრდის ტემპით ხასიათდება 2015 წლიდან თუმცა აღსანიშნავია რომ სამომხმარებლო ტარიფების ზრდა როგორ საყოფაცხოვრებო ასევე, არასაყოფაცხოვრებო მომსმარებლებისთვის იყო მინიმალური/არაარსებითი (იხ. ნახაზი 2.38 და 2.39)

**ნახაზი 2.38. სს ენერგო-პრო ჯორჯიას არასაყოფაცხოვრებო
მომსმარებლებისთვის ელექტროენერგიის მოხმარების ტარიფი
(თეთრი/კვტსთ)**



**ნახაზი 2.39 სს "ენერგო-პრო ჯორჯიას საყოფაცხოვრებლ
მომსმარებლებისათვის ელექტროენერგიის მოხმარების ტარიფი
(თვეთრი/კვტსთ)**



გასათვალისწინებელია, რომ მარეგულირებელი ორგნოს მიერ ელექტროენერგიის ტარიფების დგინდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე, შესაბამისად კვლეის ფარგლებში წარმოდგნილი სატარიფო განაკვეთები არ შეიცავს დღგ-ს.

ზემოაღნიშნული ტარიფების განსაზღვრის მიზნით, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 30 ივლისის №14 დადგენილებით დამტკიცებული “ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაციის, გადაცემის, განაწილების, გატარების და მოხმარების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგია” ეფუძნება საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებულ “წამახალისებელ რეგულირების” (ზღვრული ფასების რეგულირება) პრინციპებს, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოს ფუნქციონირების ეფექტუანობის ზრდის სტიმულირებას, საწარმოს სტაბიულურ ფუნქციონირებას, გაწეული გონივრული დანახარჯების ანაზღაურებას და ნორმალური მოგების მიღებას.

ლიცენზიატი საწარმოების სატარიფო რეგულირების ფარგლებში, მეთოდოლოგიურად განსაზღვრულია გონივრული დანახარჯების განმარტება და რეგულირებადი დანახარჯების ბაზაში გასათვალისწინებელი მიზანშეწონილი დანახარჯებისა და მოგების ოდენობის განსაზღვრის აუცილებლობა, რომელიც საბოლოო ჯამში წარმოადგენს მარეგულირებელი

მიზნებისათვის ლიცენზიატი საწარმოების დანახარჯების აუდირებულ ბაზას. ამ კონტექსტში, ელექტროენერგეტიკული სექტორის ქსელური საწარმოების დანახარჯების მარეგულირებელი მიზნებისთვის აუდირება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შემდგომში სამართლიანი სატარიფო განაკვეთის განსაზღვრაზე.

სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ სატარიფო განაცხადის შესწავლის ანალიზის და მარეგულირებელი აუდიტის შედეგად, 2015-2016 წლების სატარიფო გაანგარიშებაში გათვალისწინებული დანახარჯების სტრუქტურა თითოეული ძაბვის საფეხურისთვის განსაზღვრულია შემდეგი ოდენობით, რომელიც შესაბამისი წლისთვის გასანაწილებელ კილოვატსათებზე შეფარდებით წარმოადგენს იმავე წლის ელექტროენერგიის განაწილების ტარიფს:

| | 2015 | 2016 | სხვაობა |
|---|--------------------|--------------------|-------------------|
| ამონაგები | 36,616,774 | 36,167,435 | (449,339) |
| ცვეთის ხარჯი | 20,271,119 | 20,222,587 | (48,532) |
| კაპიტალური და ანახარჯები | 56,887,893 | 56,390,022 | (497,871) |
| კონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯები | 60,621,688 | 67,080,370 | 6,458,682 |
| არაკონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯები | 5,684,581 | 5,374,671 | (309,910) |
| საოპერაციო დანახარჯები | 66,306,270 | 72,455,042 | 6,148,772 |
| ნორმატიული დანაკარგის ღირებულება | 25,179,044 | 37,692,316 | 12,513,272 |
| არასაოპერაციო შემოსავლები | 3,388,672 | 6,689,293 | 3,300,621 |
| საბრუნვი კაპიტალის ხარჯი | 633,004 | 1,472,485 | 839,481 |
| ჯამი | 145,617,538 | 161,320,571 | 15,703,032 |

რეგულირებადი საწარმოს სატარიფო განაცხადის განხილვა კომისიაში მიმდინარეობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით. შესაბამისად, სატარიფო განაცხადი და თანდართული დოკუმენტები (გარდა იდენტიფიცირებად პირებთან დაკავშირებული პერსონალური ინფორმაციისა, აგრეთვე კომისიის მიერ კომერციულ საიდუმლოებად მიჩნეული ინფორმაციისა) არის საჯარო. ყველა დაინტერესებული პირი უფლებამოსილია გაეცნოს მასალებს და აღნიშნულთან დაკავშირებით მარეგულირებელი ორგანოს წარუდგინოს საკუთარი

მოსაზრებები, რომელიც უნდა იყოს წერილობითი ფორმით და შეიცავდეს დასაბუთებულ არგუმენტაციას. ამასთან, დაინტერესებული პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრებების წარდგენისას არ მიუთითოს თავისი ვინაობა.

სატარიფო განაცხადის განხილვის და დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის ფარგლებში კომისია უფლებამოსილია საწარმოსგან მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაციის ან სხვადასხვა სახის დასკვნების წარდგენა.

სატარიფო განაცხადის განხილვისას, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, კომისია უფლებამოსილია, მოაწყოს შეხვედრები ან/და საჯარო სხდომები აღნიშნულ სატარიფო განაცხადთან დაკავშირებით, ხოლო საწარმოს ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების, დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის შედეგების საჯარო სხდომაზე განხილვს დრო და ადგილი ლიცენზიატ საწარმოს უნდა ეცნობოს 7 სამუშაო დღით ადრე.

2.3. მომსმარებლებისათვის გაწეული მომსახურების ხარისხი

მომსმარებლებისა და ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიატების ინტერესებს შორის ბალანსის უზრუნველსაყოფად საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიატების მიერ მომსმარებლებისათვის გაწეული მომსახურების ხარისხს.

ამ კუთხით მომსმარებელთა ინტერესების დაცვის მიზნით მარეგულირებელი ორგანო განაწილების ლიცენზიატებს განუსაზღვრავს მომსახურების ხარისხის მოთხოვნებს. მომსახურების ხარისხი განისაზღვრება შემდეგი მაჩვენებლებით:

- **მომსახურების კომერციული ხარისხი, რომელიც გულისხმობს საწარმოს მიერ მომსმარებლის მომსახურების პირობებს, რომლითაც განისაზღვრება მომსახურების მოთხოვნები და კრიტერიუმები, გარდა ელექტროენერგიის ტექნიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე პირობებისა.**
- **ელექტრომომარაგების საიმედოობა (უწყვეტობა), რომლის მაჩვენებლებია – ელექტრომომარაგების წყვეტების მაჩვენებლები, რომლებიც შედგება ელექტრომომარაგების გამორთვების საშუალო ხანგრძლივობის ინდექსის (SAIDI), ელექტრომომარაგების გამორთვების საშუალო სიხშირის ინდექსისა (SAIFI) და მიუწოდებელი ელექტროენერგიის რაოდენობის ინდექსისგან (ENS);**
- **ელექტროენერგიის ხარისხი, რომელიც განსაზღვრულია “ქსელის წესებით” და ადგენს ელექტროენერგიის ხარისხის პარამეტრებს და ამ პარამეტრების დასაშვებ ზღვრებს როგორც გადამცემი, ისე გამანაწილებელი ქსელისათვის.**

მომსახურების კომერციული ხარისხის სტანდარტებით განისაზღვრება მომსახურების კომერციული ხარისხის მაჩვენებლები, რომლებიც შეესაბამება მომსმარებლთა მომსახურების ხარისხის მინიმალურ დონეს და მათი უზრუნველყოფაც ლიცენზიატის ვალდებულებაა. შესაბამისად აღნიშნული უზრუნველყოფილი უნდა იქნეს რაციონალურად და გონივრულობის

ფარგლებში შესრულებული საინვესტიციო პროექტების განხორციელებით, რომლის ფარგლებშიც გაწეული დანახარჯის ადეკვატურად გაუმჯობესებული უნდა იქნეს ლიცენზიატი საწარმოდ ტექნიკური მაჩვენებლები (SAIDI, SAIFI) წინააღმდეგ შემთხვევაში გაუმართლებელი და არამიზნობრივ დანახარჯად იქნება განხილული შესაბამისი საინვესტიციო პროექტები. ამ კონტექსტში დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს გაწეული დანახარჯებით მიღწეული სამიზნე მაჩვენებელი ანალიზი იმისთვის (გაუმჯობესებული პარამეტრები), რომ დანახარჯი მიჩნეულ იქნეს გონივრულად და წარმოადგენდეს საჭირო საინვესტიციო პროექტს მარეგულირებელი მიზნებისათვის.

ელექტრომომარაგების საიმედოობის (უწყვეტობა) ხარისხის კონტროლი წარმოებს კომისიის 2009 წლის 4 ივნისის №9 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიატის მიერ მომხმარებელთა ელექტრომომარაგების საიმედოობის მაჩვენებელთა მონიტორინგის ინსტრუქციის“ შესაბამისად. აღნიშნული ინსტრუქცია ადგენს ერთიან წესსა და მოთხოვნებს ისეთ საკითხებთან მიმართებაში, როგორიცაა ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიატის მიერ ელექტრომომარაგების საიმედოობის შესახებ ინფორმაციის რეგისტრაცია, ამ ინფორმაციის მარეგულირებელი ორგანოსთვის წარდგენა და შემდგომში კომისიის მიერ წარდგენილ მონაცემთა გაანალიზება და შემოწმება.

საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით, ინსტრუქცია ითვალისწინებს ელექტრომომარაგების საიმედოობის (უწყვეტობის) განსაზღვრის შემდეგ ინდექსებს:


- ერთ მომხმარებელზე ელექტრომომარაგების გამორთვების საშუალო ხანგრძლივობა – SAIDI წუთი/მომს.
- ერთ მომხმარებელზე გამორთვების საშუალო სისმირე – SAIFI გამორთ/მომს.

მარეგულირებელი კომისიის 2016 წლის 26 აგვისტოს №16 დადგენილებით ინსტრუქციაში შესული ცვლილების თანახმად, ელექტროენერგიის გამანაწილებელ კომპანიებს დაევალათ მომხმარებელთა ელექტრომომარაგების საიმედოობის წლიური მაჩვენებლების შენარჩუნება და დაბალი მაჩვენებლის შემთხვევაში – მისი გაუმჯობესება. ზემოაღნიშნულმა დებულებამ ასახვა ჰქოვა

ასევე კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №23 დადგენილებით დამტკიცებულ „ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში საქმიანობის კონტროლისა და ლიცენზირების წესებში“, რითაც შეიქმნა მექანიზმი, საიმედოობის წლიური მაჩვენებლების გაუარესების შემთხვევაში კომისიამ გამოიყენოს შესაბამისი სანქციები, რომელიც შესაძლოა გამოხატული იქნას სატარიფო განაკვეთების შემცირებასა ან/და მომხმარებელთა სასარგებლოდ სხვა ეკონომიკურ პარამეტრებში.


დაზუსტებული ფაქტობრივი მონაცემების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ სს „თელასს“ 2014 წელს 2013 წელთან შედარებით SAIDI გაუმჯობესდა 30.4%-ით, ხოლო 2015 წელს 2014 წელთან შედარებით – 33.5%-ით (ნახაზი 2.20).

ნახაზი 2.20. სს „თელასის“ SAIDI-ის მაჩვენებლები 2013-2015 წლებში




რაც შეეხება სს „თელასის“ SAIFI-ის მაჩვენებლებს, 2014 წელს 2013 წელთან შედარებით SAIFI გაუმჯობესდა 9%-ით, ხოლო 2015 წელს 2014 წელთან შედარებით – 14%-ით (იხ. ნახაზი 2.21).

ნახაზი 221. სს „თელასის“ SAIFI-ის მაჩვენებლები 2013-2015 წლებში




ამასთან, უმჯობესდება სს „ენერგო-პრო ჯორჯიასა“ და სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ ელექტრომომარაგების საიმედოობის მაჩვენებლები. 2014 წელთან შედარებით 2015 წელს სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ქალაქის SAIDI-ის მაჩვენებელი გაუმჯობესებულია 21.6%-ით, დაბის – 20%-ით, ხოლო სოფლის – 19.1%-ით (იხ. ნახაზი 2.22).

ნახაზი 222. სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ SAIDI-ის მაჩვენებლები 2013-2015 წლებში




ხოლო სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ SAIFI-ის მაჩვენებელი, 2014 წელთან შედარებით 2015 წელს ქალაქის SAIFI-ის მაჩვენებელი გაუმჯობესებულია 22.3%-ით, დაბის – 13%-ით, ხოლო სოფლის – 12.4%-ით (ნახაზი 2.23).

ნახაზი 2.23. სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ SAIFI-ის მაჩვენებლები 2013-2015 წლებში




სს „ქახეთის ენერგოდისტრიბუციის“ ქალაქის SAIDI-ს მაჩვენებელი 2014 წელთან შედარებით 2015 წელს გაუმჯობესდა 44%-ით, ხოლო სოფლის – 25.4%-ით (ნახაზი 2.24).

**ნახაზი 2.24. სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ SAIDI-ის მაჩვენებლები
2013-2015 წლებში**



რაც შეეხება სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ SAIFI-ის ქალაქის მაჩვენებელს, იგი 2014 წელთან შედარებით 2015 წელს გაუმჯობესდა 15.8%-ით, ხოლო სოფლის – 17.7%-ით (ნახაზი 2.25).

**ნახაზი 2.25. სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ SAIFI-ის მაჩვენებლები
2013-2015 წლებში**



ელექტროენერგიის გადამცემი და გამანაწილებელი ქსელის ტექნიკური რეგულირების პრინციპებს ელექტროენერგიის ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით განსაზღვრავს “ქსელის წესები”, რომელიც ადგენს ელექტროენერგიის ხარისხის პარამეტრებს და ამ პარამეტრების დასაშვებ ზღვრებს როგორც გადამცემი, ისე გამანაწილებელი ქსელისათვის, კერძოდ, ის პარამეტრები, რომელებიც უნდა დააკმაყოფილონ გადაცემის ლიცენზიატებმა (ასევე, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატმა) და გადამცემ ქსელზე მიერთებულმა მოსარგებლებმა. აღნიშნულ მოთხოვნებს აგრეთვე გავლენა ექნება მთლიან ელექტროენერგეტიკულ სისტემაში ელექტროენერგიის ხარისხის გაუმჯობესების კუთხით, ხოლო გადამცემ ქსელში დადგენილი სისტერის პარამეტრები კი - უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მინიმალური დანახარჯების პრინციპის შესაბამისად, როგორც ეს განსაზღვრული სატარიფო განაკვეთის შემადგენელი ოთოლეული კომპონენტისთვის. ამ კონტექსტში წარმოქმნილი დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტი თავისმხრივ მიმართული უნდა იყოს დადგენილი სტანდარტის შენარჩუნებისთვის საჭირო გონივრულ და მიზანშეწონილი დანახარჯების განსაზღვრისაკენ.

2.4. ელექტროენერგიის გადაცემის და განაწილების ქსელის განვითარება

ელექტროენერგიის გადამცემი და გამანაწილებელი ქსელი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი ინფრასტრუქტურაა, რომელიც გადამწყვეტია ქვეყნის მოსახლეობისა და საწარმოების ენერგომომარაგების უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ქვეყნის ეკონომიკური და, პირველ რიგში, ელექტროენერგეტიკული პოტენციალის მაქსიმალურად ეფექტიანად რეალიზაციისათვის.

“ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, გადამცემი სისტემის ოპერატორი ყოველწლიურად, გადაცემის ლიცენზიატებთან შეთანხმებით, შეიმუშავებს/განაახლებს საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის პროექტს მომდევნო 10 კალენდარული წლისათვის. არეგულირებელი კომისია ათწლიანი გეგმის პროექტის მიღებიდან 1 თვის ვადაში განიხილავს და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წარუდგენს თავის შენიშვნებსა და რეკომენდაციებს გეგმის პროექტის შესახებ.

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, საქართველოს მთავრობის თანხმობის საფუძველზე, არა უგვიანეს შესაბამისი წლის დასრულებისა, უზრუნველყოფს საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის დამტკიცებას.

გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის დამტკიცება, როგორც სავალდებულოდ შესასრულებელი დოკუმენტისა, შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ენერგეტიკული ინფრასტრუქტურისა და მისი მარეგულირებელი ნორმების განვითარების ახალი ეტაპი, რომელიც ჰარმონიზებულია მეზობელი ქვეყნების გადამცემი ქსელის ტექნიკურ ნორმებთან, ასევე ეკონომიკურის მესამე ენერგეტიკული პაკუტისა და ენერგეტიკული თანამეგობრობის მოთხოვნებთან.

2016 წელს გადაცემის სისტემის ოპერატორის მიერ შემუშავებული და მარეგულირებელ ორგანოში წარმოდგენილ იქნა 2017–2027 წლების გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა. კომისიამ მაღალი შეფასება მისცა დოკუმენტის შესადგენად ჩატარებულ სამუშაოებს, როგორც მოცულობის, ასევე

ჩატარებული კვლევებისა და ანალიზის ხარისხობრივი მაჩვენებლების თვალსაზრისით, თუმცა ასევე წარადგინა თავისი შენიშვნები და რეკომენდაციები ათწლიან გეგმასთან დაკავშირებით, რომელიც ძირითადად შეეხებოდა ელექტროენერგიაზე მოთხოვნის განსაზღვრის წესს, ელექტროენერგიის წარმოების, მიწოდების, მოხმარებისა და სხვა ქვეყნებთან ელექტროენერგიის გაცვლის მოცულობების შესახებ მონაცემთა პროგნოზის სანდობას, რეგიონული მნიშვნელობის პროექტების ხარჯ-სარგებლიანობისა და ფინანსური უზრუნველყოფის საკითხებს, განახლებადი ენერგიის წყაროების ქსელში ინტეგრაციას და ა.შ.

კანონმდებლობის შესაბამისად, ასევე, კომისიისთვის წარდგენილ იქნა გადამცემი ქსელის განვითარების 2016-2026 წლების ათწლიანი გეგმის შესაბამისად დამუშავებული, გადაცემის სისტემის ოპერატორისა და გადაცემის ლიცენზიატების სამწლიანი საინვესტიციო გეგმები. ადგენილი პროცედურების გათვალისწინებით, კომისიამ შესაბამისი გადაწყვეტილებებით შეითანხმა 2016-2018 წლებში განსახორციელებელი ინვესტიციები გადაცემის ლიცენზიატებისთვის:

1. შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ (კომისიის 2016 წლის 8 დეკემბრის №82/23 გადაწყვეტილება)
2. საქრუსენერგო“ (კომისიის 2016 წლის 29 დეკემბრის №92/56 გადაწყვეტილება) მიერ 2016-2018 წლებში განსახორციელებელი ინვესტიციები.

აღსანიშნავია, რომ 2014 წლის 17 აპრილის №10 დადგენილებით კომისიის მიერ დამტკიცებული “ქსელის წესების” შესაბამისად, განაწილების ლიცენზიატებსაც დაეკისრათ კომისიისათვის გამანაწილებელი ქსელის განვითარების ხუთწლიანი გეგმის წარმოდგენის ვალდებულება, რაც უნდა განხორციელდეს 2017 წლის 1 ივნისამდე.

ქსელის წესები განსაზღვრავს ელექტროენერგიის ხარისხის პარამეტრებს და ადგენს ამ პარამეტრების დასაშვებ ზღვრებს როგორც გადამცემი, ისე გამანაწილებელი ქსელისათვის, კერძოდ, ქსელის წესების მე-2 თავით დადგენილია გადამცემ ქსელში ელექტროენერგიის ხარისხის პარამეტრები,


რომელიც უნდა დააკმაყოფილოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატმა, გადაცემის ლიცენზიატებმა და გადამცემ ქსელზე მიერთებულმა მოსარგებლებმა.

აღნიშნულ მოთხოვნებს აგრეთვე გავლენა ექნება მთლიან ელექტროენერგეტიკულ სისტემაში ელექტროენერგიის ხარისხის გაუმჯობესების კუთხით. გადამცემ ქსელში დადგენილია სიხშირის შემდეგი პარამეტრები:

- სიხშირის ზღვრები (პარალელურ რეჟიმში და იზოლირებულ რეჟიმში);
- ძაბვის ზღვრები (ნორმალურ და ავარიულ რეჟიმებში);
- ჰარმონიკული დამახინჯება;
- ძაბვის რხევა და ციმციმი;
- ძაბვის ასიმეტრია;
- სიმძლავრის კოეფიციენტი.

ელექტროენერგიის გადამცემ ქსელში სიხშირის მაქსიმალური და მინიმალური ყოველთვიური სიდიდეები წარმოდგენილია ნახაზზე 2.26.


ნახაზი 2.26. სიხშირის დიაპაზონები




როგორც იკვეთება სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ წარმოდგენილი მონაცემებიდან ირკვევა, სიხშირის გადახრები დასაშვებ ზღვრებში იყო შენარჩუნებული 2016 წლის განმავლობაში.

ლექტროენერგიის გადამცემ ქსელში ძაბვის მაქსიმალური და მინიმალური სიდიდეები 500 და 220 კვ ძაბვის სისტემაში თვეების მიხედვით წარმოდგენილია ნახაზებზე 2.27 და 2.28.

ნახაზი 2.27. ძაბვის ცვალებადობის დიაპაზონები 500 კვ ძაბვის ქსელში



ნახაზი 2.28. ძაბვის ცვალებადობის დიაპაზონები 220 კვ ძაბვის ქსელში



სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ წარმოდგენილ მონაცემებზე ჩანს, რომ ძაბვის გადახრა 500 კვ ძაბვის ქსელში შენარჩუნებულია დასაშვებ ზღვრებში ($\pm 5\%$), თუმცა შეიმჩნევა მაისი-ივნისში მინიმალურ და მაქსიმალურ ზღვრებთან მიახლოებული სიდიდეები.

220 კვ ძაბვის ქსელთან დაკავშირებით, აღინიშნება მინიმალური ზღვრის საგრძნობი დარღვევის შედეგები იანვარი-აპრილის პერიოდში, ხოლო დანარჩენ თვეებში ადგილი აქვს მინიმალურ ზღვარზე მუშაობას.

გარდა ქსელური კომპანიებიდან მიღებული მონაცემებისა, ელექტრო ენერგეტიკულ სისტემაში ელექტროენერგიის ხარისხის გამოკვლევა ხორციელდება კომისიის ინიციატივით, კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით. ჰესები შემუშავებულია შესაბამისი დისპეტჩერიზაციისა და შესაბამისი გადაცემის ლიცენზიატებისათვის, რათა ჩატარდეს ანალოგიური კვლევები ელექტროენერგეტიკული სისტემის სხვა საკვანძო წერტილებშიც და განხორციელდეს ელექტროენერგიის ხარისხის კონტროლის აქტიური ღონისძიებების გატარება.

რათქმაუნდა ელექტროენერგიის ხარისხის რეგულირება და კონტროლის ღონისძიებები საჭიროა ელექტროენერგიის განაწილების ქსელის დონეზეც. ქსელის წესებით დადგენილია გამანაწილებელ ქსელში ელექტროენერგიის ხარისხის პარამეტრები, რომელიც უნდა დაკმაყოფილოს განაწილების ლიცენზიატმა და გამანაწილებელ ქსელთან მიერთებულმა ყველა მოსარგებლებმა.

ელექტროენერგიის გამანაწილებელ ქსელში ელექტროენერგიის ხარისხის კონტროლს დიდი მნიშვნელობა გააჩნია მომხმარებლების მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით. არსებობს სხვადასხვა მოწინავე პრაქტიკა გამანაწილებელ ქსელში ელექტროენერგიის ხარისხის კონტროლისათვის. ფართოდაა გავრცელებული სპეციალური ჩამწერი მოწყობილობების სტაციონალურად ან მონაცვლეობითი განთავსება გამანაწილებელ ქსელში შემთხვევით შერჩეულ ანუკელაზე პრობლემატურ კვანძებში. ამ პრაქტიკის გათვალისწინებით, ქსელის წესებით განაწილების ლიცენზიატებს დაევალათ

განათავსონ ჩამწერი მოწყობილობები გამანაწილებელი ქსელის სხვადასხვა წერტილში, რომელთა ადგილმდებარეობაც შეთანხმებული უნდა იყოს კომისიასთან. ზემოაღნიშნული დონისძიებები გააუმჯობესებს გამანაწილებელ ქსელში ელექტროენერგიის ხარისხის კონტროლის მეთოდიკას და არსებულ მდგომარეობას.


ელექტროენერგიის დანაკარგების რეგულირება ელექტროენერგიის გადამცემ და გამანაწილებელ ქსელში მარეგულირებელი კომისიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა, ვინაიდან ტარიფების დადგენისას ქსელური კომპანიების მიერ მოთხოვნილი შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი (საშუალოდ 20-25%-მდე) ქსელში სხვადასხვა ობიექტური ფიზიკური თუ ტექნიკური მიზეზებით დაკარგული ენერგიის შესასყიდ დანახარჯებზე მოდის, რის გამოც ხდება დანაკარგების ნორმირება მარეგულირებელი ორგანოს მიერ.

დანაკარგების ნორმირება და რეგულირება ასევე ენერგოეფექტიანობის მნიშვნელოვანი დონისძიებაა გარემოზე ნებატიური ზემოქმედებისა და ემისიების შემცირების კუთხით, თუმცა, განსხვავებით განაწილების ტარიფისა, გადაცემის ლიცენზიატის ტარიფში არ ხდება გადამცემ ქსელში ნორმატიული დანაკარგის ასახვა, რაც განპირობებულია შესაბამისი სამართლებრივი ბაზის არარსებობით (2017 წლისთვის აღნიშნული დოკუმენტი მუშავდება დასამტკიცებლად). შესაბამისად, გადაცემის ლიცენზიატი, განსხვავებით განაწილების ლიცენზიატისაგან, ნაკლებად მოტივირებულია შეამციროს გადამცემ ქსელში დანაკარგი და მიიღოს შესაბამისი ეკონომიკური სარგებელი ამგვარი შემცირებიდან. ამდენად, აუცილებელია, რომ შეიქმნას სათანადო სამართლებრივი საფუძვლები (რაც მოიცავს, პირველ რიგში, ცვლილებას ბაზრის წესებში და შემდგომ სატარიფო მეთოდოლოგიაში) და ელექტროენერგიის გადაცემის ლიცენზიატის ნორმატიული დანახარჯი აისახოს გადაცემის ტარიფში.

საქართველოს ენერგოსისტემის ელექტრულ ქსელში, ყველა ელექტროსადგურის მიერ წარმოებული – სალტეზე გაშვებული და იმპორტირებული ელექტროენერგიის ჯამურმა დანაკარგმა 2016 წელს შეადგინა 7.062% (მათ შორის ელექტროენერგიის გადამცემ ქსელში – 2.032% და გამანაწილებელ ქსელში – 5.030%), რაც 7%-ით ნაკლებია წინა 2015 წლის

მაჩვენებელზე და 4.6%-ით ნაკლებია ბოლო ოთხი წლის (2013-2016) საშუალო მაჩვენებელზე (ნახავი 2.29).

ნახავი 2.29. ელექტროენერგეტიკული სისტემის ჯამური ფაქტობრივი დანაკარგი




ნახავზე მოცემულია ელექტროენერგიის გადამცემი და გამანაწილებელი სისტემების დანაკარგების დინამიკა 2009-2016 წლებში, საიდანაც ჩანს, რომ გადამცემ ქსელში დანაკარგების სიდიდე ხასიათდება მცირეოდენი ცვალებადობით. ზემოაღნიშნული ფლუქტუაციები ძირითადად გამოწვეულია სისტემის ტოპოლოგიის და რეჟიმების მნიშვნელოვანი ცვლილებებით ზემაღალი ძაბვების ტრაქტში, რაც აისახა გადამცემი ქსელის განვითარების 2016-2026 წლების ათწლიან გეგმაში და მიზნად ისახავს სისტემაში განახლებადი ენერგიების ფართო ინტეგრაციას, სისტემის სატრანზიტო ფუნქციის შემდგომ განვითარებას, სისტემური საიმედოობისა და ელექტროენერგიის ხარისხის შესაბამისი მაჩვენებლების უზრუნველყოფას, თუმცა სამომავლოდ კომისიის მიერ რეკომენდირებული იქნება ისეთი რეჟიმული ალგორითმების დანერგვა, რომლებიც უზრუნველყოფენ ქსელური ელექტროენერგიის დანაკარგების ოპტიმიზაციას.

დანაკარგები ელექტროენერგიის გამანაწილებელ ქსელში ბოლო 8-10 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი შემცირების ტენდენციით ხასიათდება (2016 წელს 2015-თან შედარებით კლება შეადგენს 6.9%-ს), თუმცა ეს მაჩვენებლები კომპანიების მიხედვით სხვადასხვა დინამიკით ხასიათდება, რაც

დამატებითი ანალიზის საფუძველს იძლევა უშუალოდ გამანაწილებელი კომპანიების სპეციფიკიდან გამომდინარე.

შე „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ელექტროენერგიის დანაკარგების დინამიკა 2009-2016 წლებში მოცემულია ნახაზზე 2.30.

ნახაზი 2.30. სს ენერგო-პრო ჯორჯიას ქსელში დანაკარგების დინამიკა



2014 წელს მარეგულირებელი კომისიის მიერ დამტკიცებულია „ელექტროენერგიის ნორმატიული დანაკარგების გაანგარიშების წესი“, რომელიც ითვალისწინებს საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებულ წამახალისებელი რეგულირების პრინციპებს და ლიცენზიატს აძლევს ელექტროენერგიის ფაქტობრივი დანახარჯის შემცირების მოტივაციას.


აღნიშნული წესის გამოყენებით 2014 წელს სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დაუმტკიცდა ქსელში დანაკარგების ნორმატივი 7.5 %-ის ოდენობით. 2016 წელს ადგილი ჰქონდა ფაქტობრივი დანაკარგების ზრდას 1.51%-ით, მოქმედ ნორმატივთან მიმართებაში, რაც უმთავრესად განპირობებული იყო კომპანია „ჯორჯიან მანგანეზის“ ელექტრომომარაგების სქემის ტოპოლოგიის ცვლილებით.

დანაკარგების გაანგარიშების წესის შესაბამისად, თუ კონკრეტული რეგულირების პერიოდში გადაცემის ან განაწილების ლიცენზიატის ელექტრულ ქსელებში მოხდა ქსელის სტრუქტურის ან/და დატვირთვების ისეთი

მნიშვნელოვანი ცვლილებები, რამაც გამოიწვია ლიცენზიატის ქსელში ფაქტობრივი დანაკარგების კომისიის მიერ დამტკიცებულ ნორმატიულ დანაკარგებთან მიმართებაში $\pm 10\%-ზე$ მეტი ცვლილება, მაშინ კომისია უფლებამოსილია ლიცენზიატის მიერ სათანადო დასაბუთებისა და ფაქტობრივი მონაცემების კომისიაში წარმოდგენის შედეგად მოახდინოს დანაკარგების ნორმატივის გადაანგარიშება. აღნიშნულ ნორმაზე დაყრდნობით, კომისიამ 2016 წლის 8 დეკემბრის №25 დადგენილებით კომპანიას ერთი წლის ვადით (2017 წლის 1 იანვრიდან – 2017 წლის 31 დეკემბრამდე) დაუკორექტირა ნორმატიული დანაკარგის სიდიდე 8.26%-მდე.

სს „თელასის“ ქსელში ელექტროენერგიის ფაქტობრივი დანაკარგების დინამიკა 2009-2016 წლებში მოცემულია ნახაზზე 2.31.

ნახაზი 2.31. სს თელასის ქსელში დანაკარგების დინამიკა




რაც შეეხება ნორმატიულ დანაკარგს, იგი დადგინდა დანაკარგების გაანგარიშების ზემოაღნიშნული წესის შესაბამისად, რომელიც 2014-2016 წლებში სს „თელასის“ ქსელში ფაქტობრივი დანაკარგები ხასიათდებოდა გარკვეული ფლუქტუაციებით, საერთო კლების ტენდენციით ნორმატივთან მიმართებაში, კერძოდ, 2015 წელს გაიზარდა $2.81\%-ით$, ხოლო 2016 წელს შემცირდა $1.31\%-ით$, რაც მიმდინარე სატარიფო პერიოდის ფარგლებში კორექტირებას არ ექვემდებარება. ფაქტობრივი დანაკარგების შემცირება

ნორმატივთან მიმართებაში 2016 წელს მნიშვნელოვანწილად გაპირობებული იყო კომპანიის 110-35 კვ ქსელზე მძღავრი მომხმარებლის მიერთებით.

სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ გამანაწილებელ ქსელში ელექტროენერგიის ფაქტობრივი დანაკარგების დინამიკა 2009-2016 წლებში მოცემულია ნახაზზე 2.32.

ნახაზი 2.32. სს კახეთის ენერგოდისტრიბუციის ქსელში დანაკარგების დინამიკა



„საქართველოს ენერგოსისტემის ელექტრულ ქსელებში ელექტროენერგიის ნორმატიული დანაკარგების დამტკიცების შესახებ“ კომისიის 2006 წლის №17 დადგენილების თანახმად, კომპანიას კომისიის მიერ დამტკიცებული აქვს დანაკარგის ნორმატივი 10.5% პროცენტის ოდენობით.

ზოგადი კლების ტენდენცია (ტრენდი) განსახილველ პერიოდში სახეზეა, თუმცა, მოქმედი ნორმატივის დაკმაყოფილების თვალსაზრისით, მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, კერძოდ, ჩამორჩენა დაახლოებით 80%-ს შეადგენს. რაც შეეხება ბოლო პერიოდის – 2013-2016 წლების ტენდენციებს, სახეზეა მნიშვნელოვანი ფლუქტუაციები, კერძოდ, 2016 წელს წინა წელთან შედარებით ზრდა 5.8%-ია, ხოლო 2016 წელს პერიოდის საშუალო მაჩვენებელთან – კლება 3%-ია.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, გადაუდებელი აუცილებლობაა მოქმედი ნორმატივის გადაანგარიშება, საწარმოების ქსელში მნიშვნელოვანი საინვესტიციო პროექტების განხორციელება, აღრიცხვიანობის მოწესრიგებისა და ქსელის სტრუქტურის გაუმჯობესებისა და რეჟიმების ოპტიმიზაციის კუთხით.

ამასთან, 2016 წელს მიმდინარეობს თანამშრომლობა აქტივობები დანაკარგების დადგენის მეთოდოლოგიური საფუძვლების დაზუსტების კუთხით. კერძოდ, აღსანიშნავია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) დაფინანსებითა და მხარდაჭერილ პროექტ „საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის საკონსულტაციო დახმარების“ პირველი დავალება „დანაკარგების გაანგარიშება ელექტროენერგეტიკასა და ბუნებრივ გაზში“, რომლის ფარგლებშიც საკონსულტაციო კომპანია „DNV.GL – KEMA“-ს ექსპერტებმა გააანალიზეს არსებული რეგულაციების შესაბამისობა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან და შეიმუშავეს შესაბამისი რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება საჭიროა მოხდეს პერმანენტულად, არსებული მდგომარეობისა და შესაბამისი საქსელო კომპანიების სპეციფიკის გათვალისწინებით.

სატარიფო მეთოდოლოგიების შესაბამისად, ტარიფების გაანგარიშებისას კომისია საწარმოს რეგულირებადი აქტივების ბაზაში ასახავს ტარიფის გაანგარიშების წელს და სატარიფო წელს დაგეგმილ ინვესტიციებს ლიცენზიატის მიერ წარმოდგენილი საინვესტიციო გეგმის შესაბამისად, რომელიც ტარიფის დადგენამდე ან კორექტირებამდე წინასწარ თანხმდება მარეგულირებელ ორგანოსათან. შესაბამისად, სატარიფო რეგულირების ფარგლებში განაწილების ლიცენზიატები კომისიას ყოველწლიურად წარუდგენენ ინფორმაციას ინვესტიციების შესახებ.

2016 წელს კომისიის მიერ შეთანხმებული იქნა ასეთი საინვესტიციო პროექტები, წარმოდგენილი სს „თელასისა“ და სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიერ.

წინასწარ განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად, საინვესტიციო პროექტების შესწავლა მიმდინარეობს შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

- მიწოდების საიმედოობის ამაღლება;
- ელექტროენერგიის ხარისხის მაჩვენებლების გაუმჯობესება;
- დანაკარგების შემცირება;
- უსაფრთხო ექსპლუატაციის პირობების მოთხოვნების შესრულება.

ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიატები ვალდებული არიან, კომისიის მიერ ინდივიდუალური ნორმატიულ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით შეთანხმებულ საინვესტიციო პროექტებზე განახორციელონ დეტალური ანგარიშგება ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების შესახებ, თითოეულ პროექტზე ცალ-ცალკე. გარდა ამისა, კომპანიები ვალდებული არიან, კომისიის მიერ მითითებულ სამშენებლო (სამონტაჟო) – სარეაბილიტაციო სახის საინვესტიციო პროექტებზე დამატებით უზრუნველყონ საექსპერტო დასკვნების წარმოდგენა ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების შესახებ.


წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის შესწავლისა და ანალიზის შედეგად, კომისიის მიერ დგინდება წინასწარ შეთანხმებულ საინვესტიციო გეგმებთან ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების შესაბამისობა და, საჭიროების შემთხვევაში, განხორციელდება ლიცენზიატი საწარმოსთვის დადგენილი ელექტროენერგიის განაწილების, გატარებისა და მოხმარების ტარიფების კორექტირება.

ელექტროენერგეტიკული სექტორის თითოეული ლიცენზიატის მიერ განხორციელებული ინვესტიციის შედეგად, საბოლოო ჯამში მიღწეულ უნდა იქნეს გენერაციის ობიექტებისა და ელექტრული ქსელის საიმედოობის, უსაფრთხოებისა და ელექტროენერგიის სათანადო ხარისხის მაჩვენებლების გაუმჯობესება, რაც თავისმხრივ ექვემდებარება დანახარჯების მარეგულირებელ აუდიტს.

2016 წელს ელექტროენერგეტიკულ სექტორში სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებული ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემისა და

განაწილების ლიცენზიატების მიერ ფაქტობრივად განხორციელებულმა ინვესტიციამ ჯამში შეადგინა 280,3 მლნ ლარი, რომლის მაჩვენებლებიც თითოეული საქმიანობისა და დაფინანსების წყაროს მიხედვით წარმოდგენილია ნახაზზე 2.33.

ნახაზი 2.33. განხორციელებული ინვესტიციები საქმიანობის სახეების და დაფინანსების წყაროს მიხედვით (მლნ ლარი)



განხორციელებული ინვესტიციების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია მათ შორის, შეიცავს ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიატების – სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“, სს „თელასისა“ და სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ მიერ 2016 წელს განხორციელებულს ინვესტიციებს.

თავი 3. მარეგულირებელი მიზნები და ბუნებრივი მონოპოლიების დანახარჯების აუდიტის სპეციფიკა

3.1. დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის მნიშვნელობა

დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი კომისიის ძირითადი ვალდებულებაა რეგულირებად სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა, შესაბამისად, ენერგიის წყაროებისათვის კომერციულად ხელსაყრელი და მდგრადი ფინანსური გარემოს შექმნა, აგრეთვე მათი ქსელში პრიორიტეტული დაშვების უზრუნველყოფა. ენერგიის დაზოგვისა და ენერგოეფექტიანობის ხელშეწყობა როგორც მიწოდების, ასევე მოხმარების სეგმენტებში მნიშვნელოვნად აფართოებს მარეგულირებელი ორგანოების ფუნქციებსა და როლს. აქედან გამომდინარე, კომპეტენციის ფარგლებში დიდი ყურადღება უნდა დაუთმოს მარეგულირებელმა ორგანომ საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორის ევროკავშირის დირექტივებთან დაახლოებას მათ შორის, ენერგოეფექტიანობის, რეგულირების თანამედროვე პრინციპების და დანახარჯების მარეგულირებელ აუდიტის პრინციპების დანერგვის კუთხით.

საქართველოში არსებული სოციალური თუ ეკონომიკური ვითარების გათვალისწინებით, ელექტროენერგეტიკული სექტორის ბუნებრივი მონოპოლიების, ელექტროენერგიის გადაცემისა და განაწილების საწარმოების სატარიფო რეგულირება, საზოგადოების მაღალი ინტერესის გამო განსაკუთრებით აქტუალურია და მარეგულირებელი ორგანოს მიერ დადგენილი ტარიფები მუდმივი განსჯის და დავის საგანი ხდება, როგორც გადამცემი და გამანაწილებელი საწარმოს, ასევე მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის. შესამაბისად, მარეგულირებელი ორგანოს მიერ განსაზღვრული გონივრული, რაციონალური და მიზანშეწონილი საოპერაციო და კაპიტალური დანახარჯების მოცულობაზეა მეტწილად დამოკიდებული ჯერ ელექტროენერგიის გადაცემის და შემდგომ განაწილების ლიცენზიატისთვის დასადგენი ტარიფების ოდენობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე კვლევა წარმოადგენს იმ აუცილებელი და საჭირო ქმედებების ერთობლიობას, რომელიც საჭიროა მარეგულირებელი აუდიტის განსახორციელებლად კონკრეტულად გაწერილი პრინციპების განსაზღვრისათვის.

“ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ” საქართველოს კანონის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს კონკურენციის განვითარების საფუძველზე, არსებული არაკონკურენტული ბაზრის რეგულირების მექანიზმების გამოყენებით საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრისა და ტარიფების სისტემის ჩამოყალიბების უზრუნველყოფა და აღნიშნულის გათვალისწინებით ელექტროენერგიის განაწილების და მოხმარების განსახორციელებლად გაწეული, ეკონომიკურად მიზანშეწონილი ხარჯების ზუსტი ასახვა ტარიფების სისტემაში, ხოლო ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას - საქრთველოს ელექტროენერგეტიკულ სექტორში სატარიფო რეგულირების სამართლებრივი ბაზის შექმნა, რომელიც დაიცავს მომხმარებელს მონოპოლიური ტარიფებისაგან და ამავე დროს ხელს შეუწყობს ენერგეტიკული დარგის გრძელვადიან ფინანსურ მდგრადობას და განვითარებას.

ელექტროენერგეტიკული სექტორი ე.წ. „ბუნებრივ მონოპოლიას“ წარმოადგენს და საჭიროებს რეგულირებას (ნაწილობრივ მაინც) ელექტროენერგიის (ისევე როგორც სხვა სექტორის) ტარიფები უნდა აკმაყოფილებდეს ტარიფების დადგენის შემდეგ ზოგად პრინციპებს:

- **ეკონომიკური მდგრადობა** – ტარიფი უნდა იძლეოდეს საშუალებას, რომ გათვალისწინებულ და ამოდებულ იქნას მიწოდების ჯაჭვის თითოეული რგოლის ყველა ხარჯი. ამ პრინციპის თანახმად, აღნიშნულ სექტორში მუშაობა თითოეული საწარმოსთვის უნდა წარმოადგენდეს მომგებიან საქმიანობას.
- **ადიტიურობა** (შეკრებითობა) – აღნიშნული პრინციპი პირდაპირ გამომდინარეობს ეკონომიკური მდგრადობის პრინციპიდან და გულისხმობს იმას, რომ საბოლოო საქონლისა თუ მომსახურების ტარიფში დაჯამებული უნდა იყოს მიწოდების ჯაჭვის ყველა რგოლის ყველა დანახარჯი.
- **თანასწორობა და არადისკრიმინაციულობა** – ნებისმიერი მომხმარებლისათვის ერთიდაიგივე მოცულობის საქონელზე ან მომსახურებაზე უნდა წესდებოდეს ერთიდაიგივე ტარიფი.
- **ეკონომიკური ეფექტიანობა** – ტარიფმა უნდა გაუგზავნოს შესაბამისი ეკონომიკური სიგნალები სექტორის მონაწილეებს. ერთი მხრივ, მიმწოდებლებს უნდა ეძლეოდეთ სტიმული, რომ დახვეწონ თავიანთი

საქმიანობა. კერძოდ, გაზარდონ მომსახურების ხარისხი და ამავდროულად მოახდინონ ხარჯების შეძლებისდაგვარად მინიმიზაცია. მეორე მხრივ, მომხმარებლებს უნდა ეძლეოდეთ სტიმული, რომ ეფექტიანად ისარგებლონ აღნიშნული მომსახურებით და მაქსიმალურად შეამცირონ არამიზანმიმართული მოხმარება. აღნიშნული პრინციპი მოიცავს იმასაც, რომ მოხდეს თითოეული ცალკეული დანახარჯის ტიპისა და მიზეზის დადგენა და ამ დანახარჯების შესაბამისი ალოკაცია იმის მიხედვით, თუ ვინ არის მათზე პასუხისმგებელი.

- **გამჭვირვალობა** – ტარიფის დადგენის კრიტერიუმები, მეთოდები და პროცედურები უნდა იყოს საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი და მისაღები.
- **სიმარტივე** – ტარიფის დადგენის მეთოდები და დანერგვის პროცედურები უნდა იყოს მაქსიმალურად გამარტივებული და ადგილად გასაგები.
- **სტაბილურობა** – ეკონომიკური გარემოს პირობების (მაგალითად, საბოლოო საქონლის წარმოებისათვის საჭირო შუალედური რესურსების და მომსახურების ფასების) ცვლილებასთან ერთად საჭირო ხდება არსებული მეთოდოლოგიით დადგენილი ტარიფების გადასინჯვა და ცვლილება. ზოგჯერ კი, სექტორში მიმდინარე რეფორმების გამო, არათუ ტარიფი, არამედ თავად ამ ტარიფის დადგენის მეთოდოლოგიაც კი შეიძლება განიცდიდეს ცვლილებას. რეაციულატორმა უნდა მოახდინოს ამგარი ცვლილებების პროცედურებისა და გადების წინასწარ განსაზღვრა, რათა ნაკლებად მოხდეს განუსაზღვრელობის წარმოქმნა ამ სექტორში მონაწილე პირებისათვის.

საქართველოში ნებისმიერ სეზონსა თუ დღის ნებისმიერ მონაკვეთში ელექტროენერგიის ფასი ერთიდაიგივეა, ხოლო თანამედროვე მსოფლიოში ეფექტიანობის გაზრდის მიზნით მიღებულია ცვალებადი ფასის დაწესება მოხმარებული კვტ.სთ ელექტროენერგიაზე სეზონის, დღის მონაკვეთის და სხვა ნიშის მიხედვით.

ამავდროულად, შესაძლებელია ტარიფის შემადგენელი კომპონენტებიც იცვლებოდეს დროის პერიოდების მიხედვით. ელექტროენერგიაზე მოთხოვნის ზრდისას (განსაკუთრებით თუ დროის მცირე მონაკვეთში მნიშვნელოვან ზრდას აქვს ადგილი) ელექტროენერგიის მიწოდების ჯაჭვზე დიდი დატვირთვა და შესაბამისად ელექტროენერგიის ზღვრული დირებულება იზრდება. ამიტომ გამომუშავების, გადაცემისა და განაწილების ტარიფები შეიძლება ასევე იყოს განსხვავებული ქსელზე დატვირთვის ცვლის მიხედვით.

გარდა ამისა, ქვეყანაში, სადაც ელექტროენერგიის გამომუშავების რგოლი მნიშვნელოვანი სეზონურობით ხასიათდება, შესაძლებელია ტარიფის ის კომპონენტები, რომლებიც აღნიშნულ რგოლს უკავშირდება, ასევე მნიშვნელოვან ცვლილებას განიცდიდეს.

აღნიშნულ კონტექსტშიც მნიშვნელოვანი ხდება დანახარჯების დიფერენციაცია **სისტემატიური** და **არასისტემატიური** მახასიათებლებით და შემდგომ უკვე შინაარსობრივი შესწავლა მათი გონივრული ოდენობის განსაზღვრისათვის.

ელექტროენერგიის განაწილების ქსელის ხარჯების (და შესაბამისად ტარიფების) შეიძლება შემდეგ კატეგორიებად დავყოთ:

- **კაპიტალური დანახარჯები** – რომელშიც შეგვიძლია გავაერთიანოთ ქსელის ინფრასტრუქტურაზე (სადენები, ქვესადგურები, ტრანსფორმატორები) დახარჯული პირველადი კაპიტალი, ქსელის შემდგომ დახვეწა/განვითარებაში ჩადებული ინვესტიციები, ქსელში ჩართვის ხარჯები;
- **მიმდინარე საოპერაციო** და ტექნიკური მომსახურების მუდმივი დანახარჯები;
- **სხვა მიმდინარე დანახარჯები,** როგორიცაა დისპეტჩერიზაცია, ვოლტაჟის კონტროლი და ა.შ.;
- **კომერციული** მომსახურების ხარჯები (ჩვეულებრივ მხოლოდ განაწილების ქსელს ეხება);
- **ქსელში ელექტროენერგიის დანაკარგის შესყიდვის ხარჯები.**

ზემოაღნიშნული დანახარჯების დადგენის შემდეგ მარეგულირებელი ორგანო ამ ხარჯების გათვალისწინებით განსაზღვრავს თითოეული მონაწილე კომპანიისათვის მოგების ოდენობას და განსაზღვრავს საბოლოო ტარიფს,

რომელიც უნდა გადაიხადოს მომხმარებელმა, რათა გამანაწილებელმა საწარმომ მიიღოს თავისი ხარჯების დასაფარად და მოგების მისაღებად საჭირო რაოდენობის შემოსავალი.

ყველაზე პრიმიტიული შემთხვევაა, როდესაც ტარიფი არის მუდმივი მის გადასინჯვამდე (შესაძლოა გადასინჯვა რამდენიმე წლის პერიოდულობითაც კი ხორციელდებოდეს) და ერთნაირია ყველა ტიპის მომხმარებლისათვის. თუმცა არსებობს ელექტროენერგიის ტარიფების უფრო დახვეწილი ტიპები, რომლებიც იცვლება დროში ან მომხმარებლის ტიპების მიხედვით და ხელს უწყობს მომხმარებლისათვის საჭირო სიგნალების გაგზავნას და ამავდროულად მეტი მოქნილობის საშუალებას აძლევს მათ სასურველი ტარიფის შერჩევაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ტარიფის ცვალებადობა შეიძლება ხდებოდეს როგორც ტარიფის სტრუქტურული შემადგენლობის ცვლილების, ასევე თვითონ შემადგენელი კომპონენტების ცვლილების ხარჯზეც.

შესაძლებელია ტარიფების ნაწილობრივი ცვალებადობაც, ანუ ტარიფის შემადგენელი კომპონენტების ნაწილი რჩებოდეს უცვლელი ყველასთვის და ცვალებადობა ეხებოდეს მხოლოდ დანარჩენ კომპონენტებს. ამის საშუალებას იძლევა ელექტროენერგიის ტარიფის კომპონენტების მრავალფეროვნება. ტარიფი შეიძლება იცვლებოდეს:

- მომხმარებლის ტიპების მიხედვით (კომერციული, ინდუსტრიული, ქუჩების განათებისთვის, სამომხმარებლო სექტორი);
- ელექტროენერგიის მოხმარების რაოდენობის მიხედვით;
- დროის მონაკვეთების მიხედვით ელექტროენერგიაზე მოთხოვნის და სისტემის დატვირთვის ცვლილების გამო;
- გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით.

ამასთან, სხვადასხვა ტიპის მომხმარებელს შესაძლოა სხვადასხვა ტექნიკური მახასიათებლების მქონე ელექტროენერგია ესაჭიროებოდეს (ძაბვა, მომსახურების ხარისხი). შესაბამისად, მათი მოხმარებული ელექტროენერგიის დირებულებაც სხვადასხვაა. ასეთი მომხმარებლების ბევრნაირი კატეგორია შეიძლება არსებობდეს და მათი განსხვავება ძირითადად მათ მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ტექნიკური მახასიათებლებით ხდება თუმცა აუცილებელია ტექნიკურ მახასიათებლებთან დაკავშირებული შენახვა, ექსპლუატაციის თუ ქსელის გავითარების დანახარჯების იდენტიფიცირება,

დაჯგუფება თითოეული კატეგორიას „მიკუთვნებულ“ და ყველა კატეგორიისთვის „საერთო“ დანახარჯებად, რომლის შემთხვევაშიც „საერთო“ დანახარჯების გადანაწილება ყველა კატეგორიის მომხმარებლისთვის საჭიროებს გარკვეულ ლოგიკაზე დაფუძნებულ მეთოდოლოგიას.

კვლევის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს მსგავსი დანახარჯების იდენტიფიცირებისა და შემდგომი გადანაწილების ლოგიკური პრინციპების შემუშავება, რომელიც უნდა იყოს შესაბამისობაში ენერგეტიკული გაერთიანების მე-3 ენერგეტიკული პაკეტის დირექტივებსა და რეგულაციებთან.

აღნიშნულ პროცესში მნიშვნელოვანია ელექტროენერგიის გადაცემის (როგორც განაწილების ტარიფის შემადგენელი კომპონენტის) და განაწილების ლიცენზიატი საწარმოების მიერ გაწეული იმ რაციონალური და გონივრული დანახარჯების განსაზღვრა, რომელიც ერთი მხრივ, დაიცავს მომხმარებლებს მონოპოლიური ფასებისაგან, ხოლო მეორე მხრივ, საწარმოს მისცემს შესაძლებლობას უზრუნველყოს განხორციელებული ინვესტიციების უკუგება გონივრულ ვადებში, დაფაროს საკუთარი მიმდინარე და კაპიტალური ხარჯები, რომლებიც მოიცავს ეკონომიკურად გამართლებულ ფასად შეძენილ საქონელსა და მომსახურებას, საექსპლუატაციო დანახარჯებს, შრომის ანაზღაურებას, საბრუნავ კაპიტალს, ინვესტიციისთვის აღებული სესხის საპროცენტო გადასხადს და სხვა.

შესაბამისად, აქტუალური ხდება ერთიანი სტანდარტის სახელმძღვანელოს შემუშავება და მარეგულირებელი მიზნებისათვის ელექტროენერგეტიკული სექტორის ბუნებრივი მონოპოლიების დანახარჯების აუდირების პრინციპების განსაზღვრა, რათა ზოგადი მნიშვნელობის ჩანაწერი - ტარიფში გასათვალისწინებელი “რაციონალური და გონივრული ხარჯები” მოქცეული იქნეს კონკრეტული განმარტებების ქვეშ და ლიცენზიატი საწარმო თავშივე ინფორმირებული იყოს ნებადართული, მიზანშეწონილი ან/და არამიზანშეწონილი ხარჯების თაობაზე.

სატარიფო რეგულირების პროცესში მარეგულირებელი ორგანო ცხადია ეყრდნობა ლიცენზიატი საწარმოს მიერ წარმოდგენილ, დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ საერთაშორისო სტანდარტების დაცვით შედგენილ წლიური შედეგების ამსახველ ფინანსურ ანგარიშგებას, თუმცა ამ კონტაქტში

დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ დადასტურებულია საწარმოს მიერ გაწეული ხარჯები და არა მათი მიზანშეწონილობა მარეგულირებელი მიზნებიდან გამომდინარე.

არსებული საკანონმდებლო ნორმით, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია ვალდებული იყო 2016 წლის ბოლომდე ეტაპობრივად დაემტკიცებინა ერთიანი ბუღალტრული აღრიცხვის სისტემა ენერგეტიკული სექტორის ყველა ლიცენზიარისთვის, რომელიც წარმოადგენს მარეგულირებელი აუდიტის განხორციელების საწყის ეტაპზე საწარმოს დანახარჯების განცალკევებულად აღრიცხვის საჭიროებას. უფრო ზუსტად კი ერთიანი საბუღალტრო-სააღრიცხვო სისტემა მოიცავს:

- ანგარიშთა გეგმას;
- ანგარიშთა გეგმის გამოყენებისა და აღრიცხვის წარმოების ინსტრუქციებს;
- რეგულირების მიზნებისათვის წარმოსადგენი პერიოდული ანგარიშგების ფორმასა და შინაარსს;
- ანგარიშგების პერიოდულობას;
- პირის მიერ ერთზე მეტი სალიცენზიო საქმიანობის ან/და სალიცენზიო საქმიანობასთან ერთად სხვა სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში შემოსავლების, ხარჯების, აქტივების, ვალდებულებების, ფინანსური შედეგების და საკუთარი კაპიტალის საბუღალტრო აღრიცხვის განცალკევებულად წარმოების წესებს (ვინაიდან თუ პირი ეწევა ერთზე მეტ სალიცენზიო საქმიანობას და სხვა სამეწარმეო საქმიანობას იგი ვალდებულია ზემოთ აღნიშნული აღრიცხვა აწარმოს განცალკევებულად).

სხვადასხვა ქვეყნებში მოქმედი საკანონმდებლო ნორების შესაბამისად, მარეგულირებელი აუდიტის განხორციელების განსხვავებული მეთოდოლოგიები შეიძლება არსებობდეს, თუმცა ამოსავალი წერტილი და მისადწევი შედეგი ნებისმიერი მარეგულირებლი ორგანოსთვის ერთია, რომლის ფარგლებშიც დიდი როლი აქვს შესაბამის ქვეყანაში არსებულ კონკურენტულ გარემოს და ლიცენზიარი საწარმოს მიერ განხორციელებული ნებისმიერი საქონლის, მომსახურების და სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესყიდვაზე

გაწეულ დანახარჯებს, რომელიც თავის მხრივ გულისხმობს კონკურენციის პირობებში მინიმალური დანახარჯით საჭირო საქონლისა და თუ მომსახურების მიღებას.

ევროკავშირთან დრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი საგაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) უმნიშვნელოვანის ნაწილია IV კარი (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები), რომლის მე-8 თავი ეთმობა საჯარო შესყიდვებს. მათ შორის კომუნალური მომსახურების მიმწოდებელი კომპანიების, ელექტროენერგიის გამანაწილებელი საწარმოების მიერ სამუშაოს, საქონლის მიწოდების და მომსახურების საჯარო ხელშეკრულებებს.

აღნიშნული თავი ითვალისწინებს ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე როგორც ტრადიციული სექტორის, ასევე კომუნალური მომსახურების სექტორის საჯარო ხელშეკრულებებისა და კონცესიებისათვის ეროვნული რეჟიმის პრინციპის საფუძველზე, საჯარო შესყიდვების ბაზრების ორმხრივ ხელმისაწვდომობას. ასევე ითვალისწინებს საქართველოში საჯარო შესყიდვების კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის საჯარო შესყიდვების მმართველ პრინციპებზე, ტერმინებისა და განმარტებებზე დაყრდნობით, რომლებიც მოცემულია ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2004 წლის 31 მარტის №2004/18/EC დირექტივაში სამუშაოს, საქონლის მიწოდებისა და მომსახურების საჯარო ხელშეკრულების დასადებად გამარჯვებულის გამოვლენის პროცედურების კოორდინაციის შესახებ და ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2004 წლის 31 მარტის №2004/17/EC დირექტივაში ენერგეტიკის სექტორში მოქმედი ორგანიზაციების მიერ შესყიდვების პროცედურების კოორდინაციის შესახებ.

აღნიშნულის ფარგლებში თითოეულმა მხარემ უნდა დააფუძნოს ან შეინარჩუნოს საჯარო შესყიდვების სისტემის სათანადო ფუნქციონირებისა და განხორციელებისთვის აუცილებელი შესაბამისი ინსტიტუციური ჩარჩო, მექანიზმები და საქართველომ კონკურეტულად უნდა განსაზღვროს:

1. ცენტრალური აღმასრულებელი ორგანო, რომლის ამოცანა იქნება თანმიმდევრული პოლიტიკის უზრუნველყოფა და მისი

განხორციელება საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებულ კველა სფეროში. აღნიშნულმა ორგანომ ხელი უნდა შეუწყოს და კოორდინირება გაუწიოს ევროკავშირის კონონმდებლობასთან ეტაპობრივი დაახლოების პროცესს;

2. მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი ორგანო, რომლის ამოცანა იქნება შემსყიდველი სახელმწიფო ორგანოების ან შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ ხელშეკრულების დასადებად გამარჯვებულის გამოვლენისას მიღებული გადაწყვეტილებების გადასინჯვა. ამ კონტექსტში “დამოუკიდებელი” გულისხმობს იმას, რომ ეს ორგანო უნდა იყოს საჯარო დაწესებულება, რომელიც განცალკევებულია კველა შემსყიდველი ორგანიზაციისაგან და ეკონომიკური ოპერატორებისაგან (პოტენციური მიმწოდებლებისაგან).

აღნიშნულ პროცესში თითოეული მხარე უზრუნველყოფს ადგილობრივი კანონმდებლობის დარღვევასთან დაკავშირებული ეკონომიკური ოპერატორების საჩივრების განმხილველი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების უფექტიან აღსრულებას.

მოცემულ პერიოდში საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციების შესაბამისად (“სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონი), შესყიდვის მონეტარული ზღვრების გათვალისწინებით, ერთიანი ელექტრონული სისტემით განხორციელებაზე დადგენილი წესები და პროცედურები ვრცელდება ენერგეტიკულ სექტორში მოქმედ (გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის საქმიანობის ლიცენზიატები), მხოლოდ იმ საწარმოს სახსრებით განსახორციელებელი საქონლის, მომსახურებისა თუ სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე, რომლის აქციათა ან წილის 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი საწარმო თავისი საქმიანობის სპეციფიკასთან დაკავშირებული შესყიდვისას ხელმძღვანელობს საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი სპეციალური წესით (ასეთის დადგენის შემთხვევაში). მოქმედი რეგულაციები კი უზრუნველყოფს:

1. ფულადი სახსრების რაციონალურ ხარჯვას;
2. საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოების შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის

განვითარებას (შესაბამისად კონკურენტული ფასით წარმოებული საქონლისა თუ მომსახურების რეალიზაციას);

3. შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომის უზრუნველყოფას;
4. საჯაროობას;
5. ერთიანი ელექტრონული სისტემის შექმნით საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბებას (და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას).

იმ შემთხვევაში თუ ზემოთ აღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით, მოხდება ელექტრონური განაწილების ლიცენზიატის მიერ მომხმარებლებისათვის სრულყოფილი და მაღალი ხარისხით მისაწოდებელი კომუნალური მომსახურებისთვის აუცილებელი/საჭირო შესყიდვების განხორციელება აღნიშნული უზრუნველყოფს შემდგომში მარეგულირებელი აუდიტისთვის (დოკუმენტური შემოწმების) ჯანსაღი წინაპირობის შექმნას, რათა შემდგომ ეტაპზე განისაზღვროს შინაარსობრივად, კონკურენტუნარიან ფასებში შესყიდული საქონლისა თუ მომსახურების საჭიროება და მიზანშეწონილობა მარეგულირებელი მიზნებიდან გამომდინარე.

ამასთან, საჯაროობისა და გამჭვირვალეობის კუთხით, ლიცენზიატი საწარმოს მიერ ფაქტობრივად გაწეული დანახარჯების დოკუმენტური შემოწმების/აუდიტებისთვისთვის საჭირო პირველადი დოკუმენტაცია (ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების, სასაქონლო ზედნადებები, ჩეკები და სხვა) განთავსებულია სახელმწიფო შესყიდვების ოფიციალურ ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

აქვე აღსანიშნავია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასა და კომუნალური სამსახურების მარეგულირებელი კომისიების ეროვნულ ასოციაციას (NARUC) შორის არსებული შეთანხმების საფუძველზე, მიჩიგანის კომუნალური მომსახურების მარეგულირებელ კომისიას შორის მე-13 საპარტნიორო შეხვედრის ფარგლებში მარეგულირებელ აუდიტან დაკავშირებით მიჩიგანის და ოპაიოს შტატების მარეგულირებელი ორგანოების მიერ გაზიარებული გამოცდილება, რომლებიც ასევე ცალსახად ადასტურებენ მარეგულირებელი მიზნებისათვის ლიცენზიატი

საწარმოების აუდიტის განხორციელების საჭიროებას. ასევე, შესყიდვის პრიოცესში მონაწილე ყველა პირის მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიღებულების, საწარმოს შესყიდვებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჭვირვალეობის უზრუნველყოფისა და მიმდინარე პროცესების მიმართ საზოგადოებრივი ნდობის მოპოვების მიზნით “შესყიდვების უნიფიცირებული ელექტრონული სისტემის” შექმნის მიზანშეწონილობას.

კვლევის მიზნების სრულყოფილი განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია ახლად მიღებული კანონი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ”, რომლის მიზანია ფინანსური გამჭვირვალობისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა სუბიექტთა ანგარიშგებისა და აუდიტის მარეგულირებელი შესაბამისი ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნებთან მიახლოებით.

აღნიშნული კანონის ფარგლებში საზოგადოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ინიციატივით ან/და მარეგულირებელი ორგანოს მიერ სამინისტროსათვის მიმართვის საფუძველზე აუდიტის ობიექტს შესაძლებელია მიენიჭოს “საზოგადოებრივი დაინტერესების პირის” (სდპ) სტატუსი. სუბიექტს, გარდა საქართველოს ეროვნული ბანკისა, სამინისტროს მიერ წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე სდპ-ის სტატუსი ენიჭება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. საზედამხედველო ორგანოს ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებულ სუბიექტს სდპ-ის სტატუსს ანიჭებს შესაბამისი საზედამხედველო ორგანო.

მარეგულირებელი/საზედამხედველო ორგანო თავისმხრივ ვალდებულია ითანამშრომლოს სამსახურებთან სუბიექტების მიერ წარმოდგენილი აუდიტირებული ანგარიშგებების სანდოობის ხარისხის ამაღლების უზრუნველსაყოფად.

საკითხისადმი აუდიტორის მიღებულების რამოდენიმე ეტაპი შეიძლება გამოიყოს, ჩვეულებრივ, ეს ეტაპები ერთნაირია ყველა აუდიტორული შემოწმებისთვის, თუმცა ჩატარებული შემოწმების სახეები და მიღებული ცნობები ყოველ კონკრეტულ შემთავევაში სხვადასხვაგვარია. აქვე არსებობს აუდიტორული შემოწმების რისკი, რომელიც წარმოადგენს აუდიტორის მიერ ფინანსური დოკუმენტაციის მიხედვით არასწორი დასკვნების გაცემის რისკს.

თავისი განვითარებით აუდიტმა, როგორც ინფრასტრუქტურის ელემენტმა განვითარების რამდენიმე ხარისხობრივი ეტაპი განვლო. ასევე, როგორც მმართველობითი საქმიანობის ნებისმიერი სახე, აუდიტიც რეალურად ასრულებს ეკონომიკური გარემოს მიერ მოთხოვნილ ფუნქციას. ამიტომ ყოველი განვლილი ეტაპი შეესაბამება ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარების გარკვეულ დონეს.

ბოლო 10 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა მოთხოვნები აღრიცხვისა და ანგარიშგების სისტემის ორგანიზაციის მიმართ, გაჩნდა აღრიცხვის წარმართვის ახალი ფორმები და მეთოდები. ფინანსური ანგარიშგება ინფორმაციის ძირითად წყაროდ იქცა, რომელიც ეკონომიკური სუბიექტების ფინანსური და ქონებრივი შეფასების შესაძლებლობას იძლევა. ასეთ გარემოში საწარმოს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი გადაიქცა ყველაზე მნიშვნელოვან ინსტრუმენტად, რომელიც ხელს უწყობს ფინანსური ანგარიშგების ხარისხის ამაღლებას, რომლის ერთ-ერთ მაჩვენებელს წარმოადგენს უტყუარობა. აუდიტის მნიშვნელობას ასევე, ხაზს უსვამენ აუდიტორული ანგარიშგებების მომხმარებლები, კერძოდ, არც ერთი სერიოზული ინვესტორ არ დაიჭერს საქმეს ორგანიზაციისთვის, რომლის ფინანსური ანგარიშები წლების მანძილზე არ შემოწმებული ავტორიტეტული აუდიტორის მიერ.

ფინანსური ანგარიშების მომხმარებლები ენდობიან კვალიფიციურ აუდიტორ, მის კომპეტენტურობასა და ობიექტურობას. უდიტორის დასკვნა არის იმ მონაცემთა უტყუარობის გარანტი, რომლებიც შესული შესაბამის ანგარიშში და მომხმარებლებს აძლევს პასუხებს მნიშვნელოვან კითხვებზე.

ქვეყანაში აუდიტორული საქმიანობის განვითარებისთვის აუცილებელია აუდიტის მეთოდოგის, აუდიტის სტანდარტებისა და ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების სრულყოფა. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილ იქნეს უფლებამოსილებების მკაფიო განაწილება, აუდიტური საქმიანობის მარეგულირებელ სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის, რაც ასევე, საერთაშორისო გამოცდილების ყოველმხრივ შესწავლას მოითხოვს.

3.2. ელექტროენერგიის გადაცემისა და განაწილების ლიცენზიატების ფინანსური ანგარიშგებები და რეგულირებადი ანგარიშები

ელექტროენერგიის განაწილები და გადაცემის ლიცენზიატი საწარმოების სატარიფო რეგულირების ფარგლებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებას, როგორც უტყუარ დოკუმენტს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ ზემოაღნიშნული ლიცენზიატი საწარმოები ახორციელებუნ რეგულირებად საქმიანობას ამგვარ საქმიანობასთან დაკავშირებული შემოსავლებისა და დანახარჯების აღრიცხვა მათ მიერ უნდა განხორციელდეს მარეგულირებელი ორგანოს მიერ განსაზღვრული რეგულირების პრინციპების შესაბამისად, რომელშიც ცხადად იქნება წარმოდგენილი ელექტროენერგიის მოხმარების გარიფში გასათვალისწინებელი, თითოეულ კომპონენტთან დაკავშირებული დანახარჯები შემდგომში ადეკვატური დანახარჯების ამსახველი სატარიფო განაკვეთის განსაზღვრის მიზნით.

მარეგულირებლის მიზნისთვის შედგენილი ფინანსური ანგარიშგება კი თავის მხრივ წარმოადგენს ლიცენზიატი საწარმოების დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის განხორციელების წინაპირობას, რომელიც უნდა შესრულდეს რეგულირების პრინციპებისა და აუდიტის სტანდარტების სრული დაცვით.

ზემოხსენებული მიზნის მისაღწევად, “ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ” საქართველოს კანონში 2013 წლის 27 დეკემბერს შეტანილი №1902 ცვლილების თანახმად, საქართველოს მარეგულირებელ ორგანოს დაევალა ამ ცვლილების ამოქმედებიდან 3 წლის განმავლობაში ერთიანი საბუღალტრო სააღრიცხვო სისტემის ეტაპობრივად დამტკიცება ენერგეტიკული სექტორის ყველა ლიცენზიატისთვის, რომელიც მოიცავს ლიცენზიატი საწარმოების სპეციალურ (რეგულირების მიზნებისთვის) ფინანსური ანგარიშგების ფორმებს.

აღნიშნული საკანონმდებლო მოთხოვნის საფუძველზე, 2016 წლის 27 დეკემბრის №43 დადგენილებით დამტკიცდა სახელმძღვანელო ინსტრუქციები „ელექტროენერგეტიკის სექტორში ერთიანი საბუღალტრო-სააღრიცხვო სისტემის დანერგვის შესახებ”, რომლის მიხედვით ელექტროენერგეტიკული სექტორის ლიცენზიატი საწარმოები მათ, შორის ელექტროენერგიის გადაცემის

და განაწილების საწარმოები, ვალდებული არიან ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სისტემის დანერგვა უზრუნველყონ არა უგვიანეს 2019 წლის 31 დეკემბრისა და შესაბამისად, აღნიშნულის საფუძველზე შედგენილი პირველი ანგარიშგება მარეგულირებელ ორგანოში განახორციელონ 2020 წელს (2019 წლის საანგარიშგებო პერიოდზე).

“ერთიანი საბუღალტრო-სააღრიცხვო სისტემა” (რეგულირებადი ანგარიშთა გეგმა) არის მარეგულირებელი კომისიის მიერ დადგენილი ლიცენზიატი საწარმოებისა და მათ ოპერაციებზე ზეგავლენის მქონე მოვლენათა რეგისტრაციისა და აღრიცხვის ერთიანი უნიფიცირებული გეგმა (სქემა), რომელიც აკმაყოფილებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მოთხოვნებსა და ენერგეტიკული სექტორის საფინანსო რეგულაციებს.

მარეგულირებელი ორგანოს მიერ დამტკიცებული “ერთიანი საბუღალტრო-სააღრიცხვო შისტემა” მოიცავს შემდეგ ფორმებსა და სახელმძღვანელო ინსტრუქციებს:

1. ანგარიშთა გეგმის ინსტრუქციები;
 - 1.1. ანგარიშთა გეგმა;
2. შემოსავლების, საბუღალტრო კომპონენტების და ხარჯების სახელმძღვანელო ინსტრუქციები;
3. შენატანების და გრანტების სახელმძღვანელო ინსტრუქციები;
4. ძირითადი საშუალებების აღრიცხვის სახელმძღვანელო ინსტრუქციები;
5. ანგარიშგების ფორმების ინსტრუქციები;
 - 5.1 ელექტროენერგიის წარმოების ლიცენზიატის ანგარიშგების ფორმა
 - 5.2 ელექტროენერგიის გადაცემის ლიცენზიატის ანგარიშგების ფორმა
 - 5.3 ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის ანგარიშგების ფორმა
- 5.4 ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიატის ანგარიშგების ფორმა (განაწილება, ქსელი)
- 5.5 ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიატის ანგარიშგების ფორმა (განაწილება, მიწოდება)
- 5.6 ორი ან ორზე მეტი რეგულირებადი საქმიანობის განმახორციელებელი ლიცენზიატის ანგარიშგების ფორმა.

რეგულირებად ანგარიშთა გეგმაში მოცემული რეგულირებადი ანგარიშის კოდი არის სპეციალურად განსაზღვრული და შედგება ორი ნაწილისგან ზოგადი და სპეციალური.

ზოგადი და სპეციალური ნაწილები ერთმანეთისგან გამოიყოფა სიმბოლოებით და აღნიშნავს რეგულირების მიზანს; შესაძლოა იგი იყოს ანგარიშთა ეროვნული გეგმის იდენტური ან იყოს რეგულირების მიზნებისთვის დადგენილი სრულიად ახალი ანგარიში.

სპეციალური ნაწილი ასევე შედგება ციფრებისგან, რომლის რაოდენობაც შეზღუდული არ არის. ყველა ციფრი არის ანგარიშის აღმნიშვნელი წინა ციფრის ქვე ანგარიშის კოდი და გამოხატავს რეგულირების სპეციალურ მიზანს.

ლიცენზიატი კომპანიისთვის ყველა რეგულირებადი ანგარიში სავალდებულოა და კომპანიას არ აქვს ანგარიშის მნიშვნელობის შეცვლის უფლება. ასევე, უფლება არ აქვს შეცვალოს ან დაუმატოს ახალი ანგარიშები ინსტრუქციით დადგენილ დონეზე საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ნებართვის გარეშე. თუმცა, საკუთარი საჭიროებისთვის უფრო დეტალური მონაცემების აღრიცხვის მიზნით კომპანიას უფლება აქვს გახსნას ახალი ქვეანგარიშები. ახალი ქვეანგარიში უნდა მოიცავდეს ნაწილობრივ ფინანსურ ინფორმაციას მასზე მაღალი დონის ანგარიშის თაობაზე.

ენერგეტიკული ბაზრის რეგულირებადი საწარმოებისთვის განკუთვნილი „ერთიანი საბუღალტრო-სააღრიცხვო სისტემის“ შესაბამისად შემოსავალი განხილულ უნდა იქნეს IAS 18 „ამონაგები“ შესაბამისად, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ტარიფების დადგენის მეთოდოლოგიას და მარეგულირებლის მიერ დამტკიცებულ სხვა წესებს.

ენერგეტიკული ბაზრის საწარმოს რეგულირებადი შემოსავალი/ამონაგები არის ტარიფის რეგულირების პერიოდში ეკონომიკური სარგებლის მთლიანი შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება რეგულირებადი ენერგეტიკული ბაზრის საქმიანობის შედეგად, როდესაც ამ შემოსავალს მოჰყვება საკუთარი კაპიტალის ზრდა, გარდა წილის მფლობელთა შენატანებთან დაკავშირებული ზრდისა. ხოლო რეგულირებადი ლირებულება არის თანხის ოდენობა, რომელშიც შეიძლება გადაიცვალოს აქტივი ან რითაც შეიძლება დაიფაროს დაგალიანება

ენერგეტიკული ბაზრის მონაწილეებს შორის ენერგეტიკული სექტორის მარეგულირებლის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

რეგულირებადი შემოსავალი მოიცავს მხოლოდ ენერგეტიკული ბაზრის მონაწილის ანგარიშზე მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის მთლიან შემოსავალს, ხოლო არ მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს, პრინციპალის ან მესამე პირებისგან მიღებული თანხებს, რომლებიც თავიდანვე უნდა გამოირიცხოს რეგულირებადი შემოსავლიდან.

იმის გათვალისწინებით, რომ ელექტროენერგიის განაწილების და გადაცემის ლიცენზიატი საწარმოების მიერ რეგულირებად საქმიანობაში ჩართული აქტივებისა და ადამიანური რესურსის გამოყენებით შესაძლებელია ლიცენზიატი საწარმოების მიერ განხორციელდეს სხვა არარეგულირებადი საქმიანობა (მაგ.: აქტივების იჯარა, სატრენინგო კურსები და სხვა), რომლიდანაც ფორმირდება შესაბამისი შემოსავალი ამ კონტექსტში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძებს ზემოხსენებული ლიცენზიატი საწარმოების შემოსავლების აუდიტი იმისთვის, რომ მომხმარებლის სახსრებით შექმნილი აქტივების სხვა მომსახურებაში გამოყენებიდან მიღებული სიკეთე სატარიფო განაკვეთების შემცირების კუთხით გადანაწილდეს ლიცენზიატ საწარმოსა და მომხმარებლებს შორის.

რეგულირებადი ხარჯი (ხარჯის ზოგადი რეგულირება მარეგულირებელი აღრიცხვისთვის) არის საკუთრებაში არსებული ან იჯარით აღებული ქონების გამოყენების ან ახალი აქტივის შესაქმნელად ან შემოსავლის მისაღებად წარმოშობილი ვალდებულების რეგულირებადი ღირებულება, რომელიც შეესაბამება ენერგეტიკული ბაზრის ტარიფის გაანგარიშების მეთოდოლოგიას და ენერგეტიკული ბაზრის მარეგულირებლის მიერ დადგენილ წესებს, ხოლო რეგულირებადი ღირებულება არის იმ თანხის ოდენობა, რაშიც აქტივი შეიძლება გადაიცვალოს ან რითაც შეიძლება დაიფაროს დავალიანება ენერგეტიკული ბაზრის მონაწილეებს შორის ენერგეტიკული სექტორის მარეგულირებლის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

რეგულირებადი ხარჯი თავის მხრივ შეესაბამება IAS და IFRS, თუკი ტარიფის გაანგარიშების მეთოდოლოგიით და მარეგულირებლის მიერ დადგენილი სხვა წესებით სპეციალური რეჟიმი არ არის დადგენილი. ამასთან,

მარეგულირებელი ორგანო განსაზღვრავს რეგულირებადი ხარჯის კატეგორიებს, როგორც ელექტროენერგიის გადაცემის ასევე, ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიატი საწარმოებისთვის.

სატარიფო რეგულირების პრინციპების შესაბამისად, სატარიფო განაკვეთში მარეგულირებელი ორგანოს მიერ არ ხდება მესამე მხარის დაფინანსებით შექმნილი აქტივის ღირებულების ასახვა. შტორედ ამგვარი აქტივების იდენტიფიცირების მიზანს ემსახურება ელექტროენერგიის განაწილებისა და გადაცემის ლიცენზიატი საწარმოების მიერ “შენატანებისა და გრანტების ჯგუფის” განცალკევებულად აღრიცხვა, რომელიც მოიცავს იმ რეგულირებადი აქტივების ღირებულებას, რომლებიც აშენებულია, შექმნილია, შეძენილია და დამოწაჟებულია გრანტის სახით მიღებული დახმარებითა და სახსრებით, ან მომხმარებლების დაფინანსებით.

შენატანებისა და გრანტების აღრიცხვა უნდა მოხდეს სრული საწყისი დირებულებით, მიუხედავად იმისა მომხმარებლების ან საწარმოს მიერ დაფინანსება სრული იყო თუ ნაწილობრივი და მათი აღიარება ხდება რეალური ან საბალანსო ღირებულების მიხედვით IAS 16-ის შესაბამისად. თუმცა, დირებულების ნაწილი, რომელიც დაიფარა დახმარებით (გრანტებით) ან მომხმარებლის მიერ, არ უნდა იქნეს შეტანილი აქტივების სატარიფო ბაზაში და საწარმომ უნდა უზრუნველყოს ამგვარი აქტივების აღრიცხვა დაფინანსების წყაროს მიხედვით, რომელსაც აქვს შემდეგი სტრუქტურა:

| ანგარიში | რეგულირებადი სექტორი | რეგულირებადი საქმიანობა | გრანტი/შენატანი | დაყოფა დაფინანსების წყაროს მიხედვით |
|----------|----------------------|---|--|--|
| 2157 | 1. ელექტროენერგია | 1. დისპეტჩერი იზაცია; 2. გადაცემა; 3. განაწილება (ქსელი); | 1. მესამე პირების მიერ გადახდილი საწყისი დირებულება; | 1. მესამე პირების მიერ გადახდილი საწყისი დირებულება; 2. მომხმარებლის მიერ გადახდილი საწყისი დირებულება; |

| | | | | |
|--|--|--|--|--|
| | | <p>4. განაწილება მიწოდება;</p> <p>5. წარმოება.</p> | | <p>3. საწარმოს მიერ გადახდილი საწყისი ღირებულება;</p> <p>4. საწარმოს მიერ გადახდილი დამატებითი ღირებულება (რემონტი, განახლება და სხვა გაუმჯობესება).</p> |
| | | <p>2. მომხმარებლის მიერ დაფინansნებული</p> | | <p>1.მომხმარებლის მიერ გადახდილი საწყისი ღირებულება;</p> <p>2.საწარმოს მიერ გადახდილი საწყისი ღირებულება;</p> <p>3. საწარმოს მიერ გადახდილი დამატებითი ღირებულება (რემონტი, განახლება და სხვა გაუმჯობესებანი).</p> |

რაც შეეხება ძირითადი საშუალებების აღრიცხვას, სახელმძღვანელო ინსტრუქციებმა ხელი უნდა შეუწყოს ტარიფების გაანგარიშებას, მონიტორინგს, შედარებით ანალიზსა და სხვა მარეგულირებელი ინფორმაციის საჭიროებებს. ამასთან, აღრიცხვის სახელმძღვანელო გამოყენებულ უნდა იქნეს ფინანსური ინფორმაციის ჩაწერის, შენახვის და ანგარიშგებისათვის საქართველოს ეროვნული მარეგულირებელი კომისიის მიერ დადგენილი უნიფიცირებული მარეგულირებელი ანგარიშთა გეგმის მეშვეობით. ძირითადი საშუალებების აღრიცხვის სახელმძღვანელოს შემუშავების მთავარ მიზანს წარმოადგენდა იმის უზრუნველყოფა, რომ სხვადასხვა კლასებისთვის მიკუთვნება ან ძირითადი საშუალებების დაჯგუფება, და ძირითად საშუალებების აღრიცხვა და ჩანაწერების გაკეთება ყველა ლიცენზიანტის მიერ განხორციელებულიყო

ერთიანი ფორმით, საიდანაც მარეგულირებელ ორგანოს შეიძლება წარედგინოს ანგარიში ლიცენზიანტების მონიტორინგის პროცესში გამოსაყენებლად, ყველა ლიცენზირებული პროექტის ღირებულებისა და ხარჯების განსაზღვრისათვის და ა.შ.

წლიური ანგარიშგების პერიოდი შეადგენს ერთ კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, რომლის ყოველწლიური ფორმის სრული კომპლექტი შედგება შემდეგი ნაწილებისგან:

- საწარმოს შესახებ ინფორმაცია და მონაცემები;
- ფინანსური ფორმები;
- არაფინანსური ფორმები (სატარიფო გაანგარიშების დადასტურებისთვის, შედარებითი ანალიზისთვის და საიმედო მონაცემთა ბაზის შექმნისთვის განკუთვნილი ფორმები).

თუკი საწარმო ფლობს ერთზე მეტ ლიცენზიას, მან ასევე უნდა უზრუნველყოს მარეგულირებელი ორგანოსთვის გაერთიანებული ანგარიშგების ფორმების წარდგენა.

USAID-ის პროექტების ფარგლებში შემუშავებული საბუღალტრო-სააღრიცხვო სისტემის დანერგვის მიზნით მარეგულირებელი ორგანოსთვის დახმარების გაწევის პროგრამის ფარგლებში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მხარდაჭერით მიწვეულმა ექსპერტ-კონსულტანტებმა (Konstantin Petrov, Malcolm Seymour - KEMA Consulting GmbH) შეამოწმეს დოკუმენტის შესაბამისობა ევროპის საუკეთესო პრაქტიკასთან.

კონსულტანტებმა მიიჩნიეს, რომ დოკუმენტებში მოცემულია ამომწურავი ინსტრუქციები, რაც საჭიროა მარეგულირებელი ინფორმაციის მოსამზადებლად. ევროპის ქვეყნებში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, მიღებულია მარეგულირებელი ანგარიშგების სახელმძღვანელო პრინციპების ერთიანი დოკუმენტის მომზადება და აღნიშნულის განხორციელება შესაძლებელია არსებული დოკუმენტების გამოყენებით. ამასთან, მითითებულია, რომ ანგარიშგების ფორმებში მოცემულია ინფორმაციის ფართო სპექტრი, რომელსაც ევროპის ენერგეტიკული სექტორის მარეგულირებლები ითხოვენ.

როგორც უკვე აღინიშნა, ფინანსური ანგარიშგების მთავარ მიზანს წარმოადგენს ლიცენზიატი საწარმოების ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შესახებ ობიექტური ფინანსური ინფორმაციის მიწოდება მარეგულირებელი მიზნებისათვის, რომლის საფუძველზეც შემდგომში უნდა განხორციელდეს ლიცენზიატი საწარმოს დანახარჯების აუდიტი. ასევე, ანგარიშგება საბოლოო ჯამში უნდა უზრუნველყოფდეს, რომ არ მოხდეს სხვა არარეგულირებადი საქმიანობის სუბსიდირება მომხმარებლების ხარჯებით და ყველა ტრანზაქცია განხორციელდეს დია, წინდახედულ და თანხის გონივრული ხარჯვის პრინციპებზე დაყრდნობით.

ამასთან, ობიექტურ განსჯასა და სამართლიანი და გონივრული ტარიფების დადგენაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს საწარმოს არაფინანსური ინფორმაცია, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს საწარმოს შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოწოდების საშუალებას, რამაც საბოლოო ჯამში შესაძლოა გავლენა იქონიოს რეგულირებად საქმიანობაზე.

ცნობილია, რომ ერთიანი საბუღალტრო-სააღრიცხვო სისტემის დანერგვა ლიცენზიატებისთვის წარმოშობს გარკვეულ პრაქტიკულ სირთულეებს და საჭიროებს ცვლილებების შეტანას მათ ფინანსურ სისტემებში. კომისიის მიერ დამტკიცებულ ერთიან საბუღალტრო-სააღრიცხვო სისტემასთან შეუსაბამობა წარმოადგენს სალიცენზიო პირობების დარღვევას. კომისიამ უნდა უზრუნველყოს, რომ ლიცენზიატებმა დაიცვან მინიმალური დანახარჯების პრინციპები და დაუშვას ფინანსური სისტემის შეცვლისათვის საჭირო ხარჯების ასახვა რეგულირებადი ხარჯების ბაზაში. კონსულტანტები თავის მხრივ გამოთქვამენ მზადყოფნას მარეგულირებელ ორგანოს გაუწიონ დახმარება აღნიშნული სისტემის დანერგვის პროცესში.

3.3. დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის მეთოდოლოგია და პრინციპები

მარეგულირებელი აუდიტი წარმოადგენს ელექტროენერგიის გადაცემისა და განაწილების ლიცენზიატი საწარმოების ორგორც დანახარჯების ასევე შემოსავლების აუდიტის ერთიან პროცესს, ომელშიც სრულყოფილად არის სინქრონიზირებული მარეგულირებელი ორგანოს მიღებული კანონქვემდებარე აქტებითა და საკანონმდებლო ნორმებით განსაზღვრული რეგულირების თითოეული პრინციპი.

სატარიფო მეთოდოლოგიებზე დაყრდნობით სატარიფო განაკვეთში გასათვალისწინებელი დანახარჯების კომპონენტები განსხვავებულია ელექტროენერგიის გადაცემისა და განაწილების ლიცენზიატი საწარმოებისთვის, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ ელექტროენერგიის მომხმარებლად მიტანის სრული ციკლის შემადგენელ ინდივიდუალურ (შემავსებელ) ერთეულებს თუმცა მათთვის საერთო უნდა იყოს დანახარჯების აუდიტის პრინციპები და აუდიტის მეთოდოლოგია.

კვლევის ფარგლებში შესწავლიდი ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრების გათვალისწინებით საჭიროა შემუშავდეს მარეგულირებელი მიზნებისათვის განსახორციელებელი აუდიტის საერთო და ინდივიდუალური პრინციპები, რომლებიც შემდგომში გამოყენებული იქნება რეგულირებადი დანახარჯების ბაზის შემადგენელი კომპონენტების აუდიტისათვის.

აუდიტის პროცესი თავისმხრივ წინასწარ დაგეგმილ ქმედებათა ერთობლიობა, რომლიც მოიცავს ორგორც აუდიტის ჩატარებისთვის მოსამზადებელ სამუშაოებს ასევე, შემდგომ ნაბიჯებსა და საბოლოო ანგარიშის წარდგენა/გაცნობის ეტაპებს. ამ მიზნების განსახორციელებლად საწყის ეტაპზე, როგორც წესი დგება აუდიტის ჯგუფი, თუმცა მარეგულირებელი მიზნებისათვის განსახორციელებელი დანახარჯების აუდიტის პროცესისათვის აღნიშნული ჯგუფი საჭიროა დაკომპლექტებული იყოს როგორც ეკონომიკური ასევე ტექნიკური და იურიდიული განათლების მქონე აუდიტორებისაგან იმისათვის, რომ საბოლოო ჯამში შედგენილი ანგარიში პასუხობდეს თითოეულ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებელს და რელევანტური იყოს შემდგომი სატარიფო გაანგარიშების ფარგლებში გასათვალისწინებლად. ვინაიდან

ტარიფის სტრუქტურაში სხვადასხვა კომპონენტებზე გაწეული დანახარჯების გონივრულ ოდენობაზეა დამოკიდებული შესაბამისი სატარიფო განაკვეთი, მნიშვნელოვანია დაცული იყოს ბალანსი მომხმარებლებისა და ლიცენზიარი საწარმოს ინტერესებს შორის, რათა მარეგულირებელი აუდიტის განხორციელების გზით უზრუნველყოფილი იქნეს რეგულირებადი და ბუნებრივად მონოპოლიური საქმიანობების მიმართ კანონმდებლობით განსაზღვრული მიზნები.

აღნიშნულის მისაღწევად რეგულირებადი საწარმოები მარეგულირებელ ორგანოს უნდა წარუდგენონ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შედგენილი და აუდირებული დოკუმენტაცია (არ მოიცავს დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის ანგარიშს):

მნიშვნელოვანია, რომ მარეგულირებელი ორგანოსთვის ელექტროენერგიის გადაცემისა და განაწილების ლიცენზიარი საწარმოების მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგები ითვალისწინებდეს ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივ მახასიათებლებს.

არსებობს მჭიდრო კავშირი ბუდალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სტანდარტებს შორის. ბუდალტრული აღრიცხვის სტანდარტები, ისევე როგორც აუდიტის სტანდარტები შემუშავდება საერთაშორისო და ეროვნულ დონეებზე. საერთაშორისო დონეზე წამყვანი ქვეყნები როგორც აღრიცხვის, ასევე აუდიტის სტანდარტების სფეროში არის აშშ და დიდი ბრიტანეთი, რაც განისაზღვრება ამ ქვეყნების როლით საერთაშორისო საფინანსო ბაზარზე. აღრიცხვისა და ანგარიშგების ეროვნული სტანდარტებს ყოველი ქვეყანა შემუშავებს დამოუკიდებლად მათ შორისაა საქართველოც.

მუშაობა აღრიცხვისა და ანგარიშგების სტანდარტების საერთაშორისო უნიფიცირებაზე ხორციელდება ორ დონეზე: საერთაშორისო რეგიონულზე და მსოფლიო დონეზე. რეგიონალურ ასპექტში წამყვანი როლი ეკუთვნის ევროპის თანამეგობრობის საბუღალტრო აღრიცხვის კომისიას, რომელიც არეგულირებს ამ საკითხებს ევროპის თანამეგობრობის წევრ ქვეყნებში. აღნიშნული კომისიის დირექტივები წარმოადგენენ ევროპის თანამეგობრობის ბუდალტრული აღრიცხვის კომისიის კანონებს, რომლებიც თანამეგობრობის წევრი ქვეყნები ვალდებული არიან მიუსადაგონ თავიანთ შიდა კანონმდებლობას. ამჟამად

კომისიამ შეიმუშავა მთელი რიგი დირექტივები, რომლებიც ეხება ანგარიშგების ფორმებისა და მათი აუდიტის წესების უნიფიცირებას, კონსოლიდირებული ანგარიშგების შედგენის პრინციპებს, აუდიტორების მიმართ კვალიფიცირებულ მოთხოვნებს ევროპის თანამეგობრობის წევრ ქვეყნებში აუდიტორების დიპლომების ურთიერთადიარებას, ბანკებისა და სხვა საფინანსო დაწესებულებების ყოველწლიურ ფინანსურ და კონსოლიდირებულ ანგარიშგებებს და ასევე მოთხოვნებს თანამეგობრობის წევრი ქვეყნების ფარგლებს გარეთ ცენტრალური ოფისების მქონე საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების ანგარიშგების მიმართ.

მსოფლიო დონეზე აღრიცხვისა და აუდიტის განვითარების ზოგადი ტენდენციებიდან გამომდინარე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS (ფასს)) და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები (ISA (ასს)) მიღებულ იქნა საქართველოში აღრიცხვისა და ანგარიშგების რეფორმირების საფუძვლად. ეს იმით აიხსნება, რომ მათ მიიღეს საერთაშორისო აღიარება, ხასიათდება შედარებით ნაკლები სირთულით და, მაშასადამგ, მოითხოვს ნაკლებ შრომას და ლიაა შემდგომი ცვლილებებისთვის.

ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმა საქართველოში წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და ამაღლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ზომას, ხელს უწყობს საქართველოსთვის აუცილებელი ინვესტიციების მოზიდვას ეკონომიკის რეალურ სექტორში.

აღნიშნული რეფორმის ფარგლებში იქნება მიღწევადი მარეგულირებელი მიზნებისათვის ლიცენზიატი საწარმოების დანახარჯების აუდიტის განხორციელების პრინციპების/რეგულაციების განსაზღვრა, რომლის საფუძველიც უნდა იყოს ასევე მარეგულირებელი მიზნებისთვის ლიცენზიატი საწარმოების მიერ შედგენილი ფინანსური ანგარიშგება.

3.4. მარეგულირებელი აუდიტის პროცესის მართვა

ელექტროენერგიის განაწილებისა და გადაცემის საწარმოების დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის პროცედურის დაწყება უნდა მოხდეს აღნიშნული ლიცენზიატი საწარმოების სატარიფო რეგულირების ფარგლებში, იმისთვის, რომ აუდიტის შედეგები შემდგომში ასახული იქნეს შესაბამის ტარიფში და ვინაიდან მოქმედი სატარიფო მეთოდოლოგიის შესაბამისად სატარიფო რეგულირების პერიოდი სამი წლით განისაზღვრება შესაბამისი მარეგულირებელი აუდიტის პროცესის სამ წლიან პერიოდში ერთხელ განხორციელდება.

იმისათვის, რომ საზოგადოება/მომხმარებელი და ლიცენზიატი საწარმოები თავიდანვე იყვნენ ინფორმირებულნი მარეგულირებელი აუდიტის განხორციელების შესახებ საჭიროა მარეგულირებელი ორგანოს მიერ მიმდინარე კალენდარული წლის დასრულებამდე საჯაროდ გამოქვეყნდეს მომდევლო კალენდარული წლის აუდიტის გეგმა, რომელშიც მითითებული იქნება:

- აუდიტის ობიექტი ლიცენზიატი საწარმო;
- აუდიტის განმახორციელებელი ჯგუფის შემადგენლობა (მათი კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაციის მითითებით);
- აუდიტის დაწყებისა და დასრულების საგარაუდო პერიოდები.

აღნიშნული ინფორმაციის გაცხადება და დაინტერესებულ პირთათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას და ნდობის ამაღლებას.

გარდა ამისა მნიშვნელოვანია მარეგულირებელი აუდიტის ჯგუფის ფორმირება შესაბამისი გამოცდილებისა და კვალიფიკაციის მქონე პერსონალით ვინაიდან საბოლოო აუდიტის ანგარიშის ხარისხი შევასებული იქნება აუდიტის ჯგუფი კომპეტენციის პირდაპირპორპორციულად. ამ კონტექსტში ჩატარებული კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ მარეგულირებელი აუდიტის დანიშნულებიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე საჭიროა აუდიტის ჯგუფი თითოეული ლიცენზიატის საბაზისო წლის

დანახარჯების აუდიტის პროცესისათვის დაკომპლექტდეს შესაბამისი განათლების მქონე კადრებისაგან, როგორიც არის:

- ფინანსისტი ან/და ეკონომისტი – აუდიტის ჯგუფის უფროსი;
- ფინანსისტი ან/და ეკონომისტი – აუდიტის ჯგუფის წევრი;
- ენერგეტიკოსი ან/და ელექტრული ქსელების ინჟინერი - აუდიტის ჯგუფის წევრი;
- იურისტი – აუდიტის ჯგუფის წევრი.

არანაკლებ ოთხი შესაბამისი კომპეტენციის მქონე კადრებიდან დაკომპლექტებული აუდიტის ჯგუფი საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებული ლიცენზიატი საწარმოს აუდიტს, რომელიც იმოქმედებს ამ სფეროში არსებული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებზე დაყრდნობით.

მნიშვნელოვანია, რომ აუდიტის ჯგუფი იყოს დამოუკიდებელი კონკრეტული საწარმოს დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის პროცესში და აღნიშნული ჯგუფის მიერ შედგენილი ანგარიში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს ასახავდეს ობიექტურად და სამართლიანად. ვინაიდან სწრაფვამ საწარმოთა დანახარჯების არაგონივრულად შემცირაბისაკენ შესაძლოა კომპანია მიიყვანოს ფინანსურად არამდგრად ვითარებამდე, რაც თავისმեრივ საფრთხეს შეუქმნის მომხმარებელთათვის ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტობას ასევე ხარისხს.

როგორც კვლევის ფარგლებში უპვე იქნა აღნიშნული ელექტროენერგიის გადაცემისა და განაწილებისა ლიცენზიატები მარეგულირებელ ორგანოში ანგარიშგებას დამტკიცებული ფორმის შესაბამისად ახორციელებენ კალენდარული წლის დასრულების შემდგომ, ხოლო მარეგულირებელი აუდიტის განხორციელებისათვის საჭირო დოკუმენტაციას/ინფორმაციას წარადგენენ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ უნდა მოხდეს შესაბამისი ტარიფის დადგენა ანუ, 3 წელიწადში ერთხელ.

ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილი იქნება სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებულმა საწარმოებმა გარდა ზემოაღნიშნული პერიოდზე ანგარიშგებისა უწყვეტად განახორციელონ მარეგულირებელ ორგანოში ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ელექტრონული ფორმით წარდგენა,

რომელიც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს მაკონტროლებლის მხრიდან ფინანსური სახსრების რაციონალური ხარჯვის მონიტორინგისა და არსებითი ცვლილების შემთხვევაში მისცემს შესაბამისი დროული რეაგირების საშუალებას. ამასთან, დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის პროცესის მართვის ფარგლებში შემცირდება საჭირო დოკუმენტაციისა და ინფორმაციის შეგროვებასთან დაკავშირებული აქტივობები, მარეგულირებელი აუდიტის ჯგუფის დროითი გეგმა-გრაფიკის ხანგრძლივობა და შეზღუდული ადამიანური რესურსების პირობებში თითოეულ ლიენზიატი საწარმოს აუდიტი ჩატარდება შედარებით მოკლე პერიოდში ვიდრე ეს კანონმდებლობით განსაზღვრული 150 დღეა.

სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებული ელექტროენერგიის გადაცემისა და განაწილების ლიცენზიატების უწყვეტი ელექტრონული ანგარიშგება ოპტიმალურია ჩატარდეს დისტანციურად, შესაბამისი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფით, რომელშიც საბაზისოდ კომპანიის მიერ შესავსები გელები იდენტური იქნება სამ წლიან პერიოდში ერთხელ ამავე კომპანიის მიერ მარეგულირებელ ორგანოში წარსადგენი ანგარიშგების ფორმისა. კერძოდ, კომპანიას ექნება შესაძლებლობა მარეგულირებელი მიზნებისათვის შედგენელი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მითითებულ დანახარჯების მუხლებს საწარმოში წარმოქმნილი დანახარჯები მიაქუთვნოს მათი წარმოშობისთანავე, ამასთან, თითოეულ დანახარჯთან დაკავშირებით ელექტრონული ფორმატით ატგირთოს შესაბამისი ხელშეკრულება და ანგარიშსწორების დოკუმენტაცია. აღნიშნული ფორმატით სატარიფო რეგულირების საქმისწარმოებისათვის უწყვეტი ანგარიშგება (დანახარჯის დასაბუთებისა და მიზნობრიობის განსაზღვრისათვის საჭირო დოკუმენტაციის უწყვეტად წარდგენა) უზრუნველყოფს ადამიანური რესურსების ეფექტიანად გამოყენებას, მარეგულირებელი აუდიტისათვის საჭირო დროის შემცირებას და გაამარტივებს აუდიტის ჯგუფისა და საწარმოს პასუხისმგებელ პირებს შორის კომუნიკაციას.

დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის ფარგლებში აუდიტის ჯგუფმა უნდა უზრუნველყოს:


1. თითოეული დანახარჯის შინაარსობრივი შესწავლა;
2. კონკრეტულ რეგულირებად საქმიანობასთან დანახარჯის კავშირის/საჭიროების დადასტურება;
3. დანახარჯის მიზანშეწონილი და გონივრული ოდენობის დადგენა;
4. დანახარჯთა მიკუთვნება/გადანაწილება შესაბამის ძაბვის საფეხურზ;
5. არამიზანშეწონილი/არაგონივრული დანახარჯების იდენტიფიცირება.

ელექტროენერგიის გადაცემისა და განაწილების ლიცენზიატების დანახარჯების აუდიტთან ერთად აუცილებელია ჩატარდეს შემოსავლების მარეგულირებელი აუდიტიც. კერძოდ, საწარმოს გააჩნია თუ არა არასაოპერაციო შემოსავლები და აღნიშნულის მისაღებად იყენებს თუ არა რეგულირებად საქმიანობაში ჩართულ აქტივებს ან/და ადამიანურ რესურსს. ასეთ შემთხვევაში აუდიტის ჯგუფი უნდა დარწმუნდეს, რომ არასაოპერაციო შემოსავლის ფორმირებას ნაწილობრივ ან სრულად არ უზრუნველყოფს რეგულირებადი დანახარჯების ბაზა, ხოლო იმ შემთხვევაში თუ რეგულირებად აქტივს შეუძლია დამატებითი შემოსავლის გენერირება ასეთი ტიპის შემოსავლის გარკვეული წილით უნდა შემცირდეს საბოლოო ჯამში საწარმოს მიზანშეწონილი და აუდირებული დანახარჯების ბაზა. მიღებული სარგებელის მომხმარებელსა და კომპანიას შორის გადანაწილება საბოლოო ჯამში აისახება სატარიფო განაკვეთზე და უზრუნველყოფს მის კლებას/შემცირებას.

ჩატარებული კვლევის ფარგლებში რელევანტური რეკომენდაციების შესამუშავებლად პრაქტიკული ანალიზი ჩაუტარდა მიმდინარე პერიოდისათვის ელექტროენერგეტიკულ სექტორში არსებული ელექტროენერგიის გადაცემისა და განაწილების ლიცენზიატების 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებებსა და სატარიფო გაანგარიშებებს. აუდიტის ობიექტებს წარმოადგენდნენ:

- სს “საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა” (გადაცემა);
- სს გეს “საქრუსენერგო” (გადაცემა);
- შპს “ენერგოტრანსი” (გადაცემა);
- სს “თელასი” (განაწილება);
- სს “ენერგო-პრო ჯორჯია” (განაწილება).

ზემოთ ჩამოთვლილ საწარმოთა დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის შედეგად ჯამურმა ეფექტმა ლიცენზიატი საწარმოების დანახარჯების ბაზის შემცირების კუთხით შეადგინა **42,785,090** ლარი, რომელიც წარმოდგენილია ნახაზზე 3.1.



რაც შეეხება რეგულირებადი დანახარჯების ეფექტს თითოეულ საწარმოსთან დაკავშირებით, აღნიშნული წარმოდგენილია შემდეგ ნახაზებზე:

ნახაზი 3.2 სს “საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის” 2016 წლის დანახარჯების ბაზა

| No | დანახარჯის დასახელება | ფინანსური ანგარიში | მარეგულირებელი აუდიტი | სხვაობა (ლარი) |
|----|---|--------------------|-----------------------|----------------|
| 1 | სახელმწიფო ფონდი | 22,022,128 | 20,195,194 | (1,826,934) |
| 2 | ხარჯი ძირითად და დამხმარე მასალებზე | 948,230 | 948,230 | - |
| 3 | საწ. ძირითადი საშუალების მიმდინარე რემონტის ხარჯი | 443,626 | 443,627 | - |

| | | | | |
|-------------------------------|--|------------|-------------------|---------------------|
| 4 | ადმ. ძირითადი საშუალების მიმღინარე რემონტის ხარჯი | 30,328 | 30,328 | - |
| 5 | კომუნალური ხარჯი | 396,470 | 396,470 | - |
| 6 | საკომუნიკაციო ხარჯი | 171,758 | 171,758 | - |
| 7 | საკანცელარიო ხარჯი | 43,400 | 43,400 | - |
| 8 | სამივლინებო ხარჯი | 1,432,696 | 643,623 | (789,073) |
| 9 | საკონსულტაციო ხარჯი | 651,984 | 343,730 | (308,255) |
| 10 | წარმომადგენლობითი ხარჯი | 606,513 | 108,773 | (497,740) |
| 11 | დაცვის ხარჯი | 2,132,707 | 2,132,707 | - |
| 12 | იჯარის ხარჯი | 372,001 | 312,030 | (59,970) |
| 13 | დაზღვევის ხარჯი | 867,838 | 670,557 | (197,280) |
| 14 | ქონების გადასახადი (გარდა მიწისა) | 3,312,377 | 3,312,375 | - |
| 15 | მიწაზე ქონების გადასახადი | 511,840 | 511,518 | (322) |
| 16 | სხვა საგადასახადო ხარჯი | 262,463 | 262,463 | - |
| 17 | სხვა საოპერაციო ხარჯები | 13,043,588 | 1,587,897 | (11,455,691) |
| სულ საოპერაციო ხარჯები | | | 47,249,947 | 32,114,679 |
| | | | | (15,135,266) |

ნახაზი 3.3 სს გეს “საქრუსენერგოს” 2016 წლის დანახარჯების ბაზა

| No | დანახარჯის დასახელება | ფინანსური ანგარიში | მარეგულირე ბელი აუდიტი | სხვაობა (ლარი) |
|----------|--|-----------------------|---------------------------|-------------------|
| 1 | სახელფასო ფონდი | 7,942,692 | 6,412,900 | (1,529,792) |
| 2 | საწ. ძირითადი საშუალების მიმღინარე რემონტის ხარჯი | 1,380,654 | 953,145 | (427,509) |
| 3 | კომუნალური ხარჯი | 54,662 | 50,845 | (3,817) |

| | | | | |
|-----------|-----------------------------------|-------------------|------------------|--------------------|
| 4 | საკომუნიკაციო ხარჯი | 65,784 | 62,943 | (2,841) |
| 5 | საკანცელარიო ხარჯი | 33,054 | 28,971 | (4,083) |
| 6 | სამივლინებო ხარჯი | 426,600 | 168,268 | (258,332) |
| 7 | საკონსულტაციო ხარჯი | 174,636 | 129,437 | (45,199) |
| 8 | წარმომადგენლობითი ხარჯი | 144,910 | 87,173 | (57,737) |
| 9 | დაცვის ხარჯი | 94,576 | 73,220 | (21,356) |
| 10 | იჯარის ხარჯი | 304,778 | 32,356 | (272,422) |
| 11 | დაზღვევის ხარჯი | 111,552 | 106,406 | (5,146) |
| 12 | სხვა საოპერაციო დანახარჯები | 2,318,071 | 431,667 | (1,886,404) |
| 13 | ქონების გადასახადი (გარდა მიწისა) | 120,633 | 112,612 | (8,021) |
| 14 | მიწაზე ქონების გადასახადი | 25,816 | 25,705 | (111) |
| 15 | სხვა საგადასახადო ხარჯი | 202,047 | - | (202,047) |
| | სულ საოპერაციო ხარჯები: | 13,400,465 | 8,675,648 | (4,724,817) |

ნახაზი 3.4 შპს “ენერგოტრანსის” 2016 წლის დანახარჯების ბაზა

| № | დანახარჯის დასახელება | ფინანსური ანგარიში | მარეგულირებელი აუდიტი | სხვაობა (ლარი) |
|----------|---|--------------------|-----------------------|----------------|
| 1 | სახელფასო ფონდი | 2,439,263 | 2,196,147 | (243,116) |
| 2 | ხარჯი ძირითად და დამხმარე მასალებზე | 110,054 | 78,576 | (31,479) |
| 3 | საწ. ძირითადი საშუალების მიმდინარე რემონტის ხარჯი | 72,604 | 72,604 | - |
| 4 | კომუნიკაციების ხარჯი | 20,063 | 17,425 | (2,639) |

| | | | | |
|-----------|-----------------------------------|------------------|------------------|------------------|
| 5 | საკომუნიკაციო ხარჯი | 25,424 | 25,113 | (310) |
| 6 | საკანცელარიო ხარჯი | 8,982 | 8,982 | - |
| 7 | სამივლინებო ხარჯი | 85,297 | 43,743 | (41,555) |
| 8 | საკონსულტაციო ხარჯი | 477,081 | 151,649 | (325,432) |
| 9 | წარმომადგენლობითი ხარჯი | 29,366 | 12,023 | (17,343) |
| 10 | დაცვის ხარჯი | 127,119 | 127,119 | - |
| 11 | იჯარის ხარჯი | 134,987 | 128,737 | (6,250) |
| 12 | დაზღვევის ხარჯი | 98,110 | 67,230 | (30,880) |
| 13 | სხვა საოპერაციო დანახარჯები | 171,790 | 146,585 | (25,205) |
| 14 | ქონების გადასახადი (გარდა მიწისა) | 4,196,785 | 4,083,379 | (113,406) |
| 15 | მიწაზე ქონების გადასახადი | 101,461 | 74,931 | (26,531) |
| 16 | სხვა საგადასახადო ხარჯი | 1,024 | 262 | (763) |
| | სულ საოპერაციო ხარჯები: | 8,172,222 | 7,234,503 | (937,718) |

ნახაზი 3.5 სს “თელასის” 2016 წლის დანახარჯების ბაზა

| № | დანახარჯის დასახელება | ფინანსური ანგარიში | მარეგულირ ებელი აუდიტი | სხვაობა (ლარი) |
|----------|---|--------------------|------------------------|----------------|
| 1 | სახელფასო ფონდი | 51,802,508 | 46,551,606 | (5,250,902) |
| 2 | საწ. ძირითადი საშუალების მიმდინარე რემონტის ხარჯი | 2,700,645 | 2,100,202 | (600,443) |
| 3 | ადმ. ძირითადი საშუალების მიმდინარე რემონტის ხარჯი | 100,868 | 97,637 | (3,231) |
| 4 | კომუნალური ხარჯი (ელექტროენერგია) | 613,964 | 520,309 | (93,656) |
| 5 | კომუნალური ხარჯი (ელექტროენერგიის გარდა) | 263,235 | 261,945 | (1,290) |
| 6 | საკომუნიკაციო ხარჯი | 256,978 | 225,098 | (31,880) |

| | | | | |
|-----------|--------------------------------|-------------------|-------------------|--------------------|
| 7 | საკანცელარიო ხარჯი | 257,035 | 257,035 | - |
| 8 | სამივლინებო ხარჯი | 399,112 | 141,645 | (257,467) |
| 9 | საკონსულტაციო ხარჯი | 634,129 | 330,480 | (303,650) |
| 10 | წარმომადგენლობითი ხარჯი | 191,225 | 59,787 | (131,437) |
| 11 | დაცვის ხარჯი | 815,103 | 815,103 | - |
| 12 | იჯარის ხარჯი | 1,834,371 | 1,752,982 | (81,389) |
| 13 | დაზღვევის ხარჯი | 3,206,003 | 2,925,610 | (280,392) |
| 14 | სხვა საოპერაციო დანახარჯები | 5,902,605 | 3,097,921 | (2,804,684) |
| | სულ საოპერაციო ხარჯები: | 68,977,781 | 59,137,361 | (9,840,420) |

ნახაზი 3.6 სს “ენერგო-პრო ჯორჯიას” 2016 წლის დანახარჯების ბაზა

| № | დანახარჯის დასახელება | ფინანსური ანგარიში | მარეგულირე ბელი აუდიტი | სხვაობა (ლარი) |
|----------|--|-----------------------|---------------------------|-------------------|
| 1 | მესამე პირების ქსელში ელ.ენერგიის გატარების ხარჯი | 666,073 | 597,896 | (68,177) |
| 2 | განაწილების სხვა ლიცენზიატის ქსელში ელ.ენერგიის გატარების ხარჯი | 969,481 | 969,481 | - |
| 3 | სახელფასო ფონდი | 54,864,000 | 61,034,558 | 6,170,558 |
| 4 | ხარჯი ძირითად და დამხმარე მასალებზე | 2,554,000 | 1,819,010 | (734,990) |
| 5 | საწ. ძირითადი საშუალების მიმდინარე რემონტის ხარჯი | 10,385,000 | 6,165,108 | (4,219,892) |
| 6 | ადმ. ძირითადი საშუალების მიმდინარე რემონტის ხარჯი | 137,000 | 83,701 | (53,299) |
| 7 | კომუნალური ხარჯი (ელექტროენერგია) | 2,183,000 | 2,156,940 | (26,060) |
| 8 | კომუნალური ხარჯი (ელექტროენერგიის გარდა) | 160,000 | 138,715 | (21,285) |
| 9 | საკომუნიკაციო ხარჯი | 361,000 | 268,593 | (92,407) |

| | | | | |
|--------------------------------|---|-------------------|-------------------|---------------------|
| 10 | საკანცელარიო ხარჯი | 222,000 | 93,827 | (128,173) |
| 11 | სამივლინებო ხარჯი | 374,000 | 332,712 | (41,288) |
| 12 | საკონსულტაციო ხარჯი | 10,587,000 | 292,371 | (10,294,629) |
| 13 | წარმომადგენლობითი ხარჯი | 16,000 | 3,894 | (12,106) |
| 14 | დაცვის ხარჯი | 591,000 | 634,557 | 43,557 |
| 15 | იჯარის ხარჯი | 788,000 | 731,813 | (56,187) |
| 16 | დაზღვევის ხარჯი | 2,780,000 | 1,532,351 | (1,247,649) |
| 17 | ბაზრის ოპერატორის მომსახურების ხარჯი | 863,000 | 952,295 | 89,295 |
| 18 | კომისიის რეგულირების საფასური | 1,158,000 | 1,435,480 | 277,480 |
| 19 | ქონების გადასახადი (გარდა მიწისა) | 1,836,000 | 2,269,638 | 433,638 |
| 20 | მიწაზე ქონების გადასახადი | 433,000 | 441,398 | 8,398 |
| 21 | სხვა საგადასახადო ხარჯი | 302,000 | - | (302,000) |
| 22 | სხვა საოპერაციო ხარჯები | 2,284,000 | 412,349 | (1,871,651) |
| სულ საოპერაციო ხარჯები: | | 94,513,554 | 82,366,688 | (12,146,866) |

ამასთან, აღსანიშნავია რომ “პერსონალურ ინფორმაციათა შესახებ” საქართველოს კანონი”, საქართველოს საგადასახადო კოდექსით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით და სხვა საკანონმდებლო ნორმებით თითოეული ლიცენზიატის დანახარჯების სტრუქტურაში მარეგულირებელი აუდიტის დროს გამოკვეთილი გარემოებები არ ექვემდებარება გასაჯაროებას და წარმოადგენს კერძო პირის საგადასახადო თუ საბანკო საიდუმლოებას, ასევე პერსონალურ ინფორმაციას. შესაბამისად, რეგულირებადი დანახარჯების აუდიტის შედეგები წარმოდგენილია დანახარჯთა მუხლების ჭრილში.

3.5. დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტი სატარიფო რეგულირების ფარგლებში

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 30 ივლისის №14 დადგენილებით დამტკიცებული “ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაციის, გადაცემის, განაწილების, გატარებისა და მოხმარების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის” მიზანია „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, მათშორის, ელექტროენერგიის გადაცემის და განაწილების ტარიფების დადგენის წესისა და პრინციპების განსაზღვრა. სატარიფო მეთოდოლოგიის საფუძველზე, ტარიფების გაანგარიშებისას გამოიყენება საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული “წამახალისებელი რეგულირების” (ზღვრული შემოსავლების რეგულირება) პრინციპები, რომლებიც უზრუნველყოფს საწარმოს ფუნქციონირების ეფექტიანობის ზრდის სტიმულირებას და მის საფუძველზე დადგენილი ტარიფები, კანონმდებლობის შესაბამისად:

1. იცავს მომხმარებელს მონოპოლიური ფასებისაგან;
2. სტიმულს აძლევს საწარმოს, გაზარდოს ეფექტიანობა საკუთარი ხარჯების ოპტიმიზაციის საფუძველზე იმ პირობით, რომ არ მოხდეს საწარმოს მომსახურების ხარისხისა და ტექნიკური მდგომარეობის გაუარესება;
3. ხელს უწყობს საწარმოს ფინანსური ამონაგების ზრდას ექსპლუატაციისა და მართვის ეფექტიანობის გაზრდის გზით;
4. ხელს უწყობს საწარმოს სტაბილურ და საიმედო ფუნქციონირებას;
5. უზრუნველყოფს საწარმოსათვის გამჭვირვალე, სტაბილური და სამართლიანი სატარიფო განაკვეთების დაწესებას.

სატარიფო რეგულირების ფარგლებში, საწარმოს რეგულირებადი დანახარჯების ბაზის სტრუქტურის განსაზღვრისას გამოიყენება „სამშენებლო ბლოკების“ მიღების მეთოდი, ხოლო ამ მეთოდით განსაზღვრული რეგულირებადი დანახარჯების ბაზა შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

- ა) კაპიტალური დანახარჯები;
- ბ) კონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯები;
- გ) არაკონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯები;
- დ) საბრუნავი კაპიტალის საპროცენტო ხარჯი;
- ე) კორექტირების კომპონენტი;
- ვ) დანახარჯები ელექტროენერგიის გადამცემ ან გამანაწილებელ ქსელში ნორმატიული დანაკარგების შესავსებად, იმ შემთხვევაში, თუ ელექტროენერგიის გადამცემი და გამანაწილებელი ქსელით ელექტროენერგიის გადაცემის, განაწილებისა და გატარების მომსახურება ითვალისწინებს ელექტროენერგიის ნორმატიული დანაკარგის შევსების ვალდებულებას.

კონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯები (cOPEX) აერთიანებს საწარმოს დანახარჯებს, რომლებიც გამოწვეულია შიდა ფაქტორებით და რომლებზეც საწარმოს შეუძლია გავლენის მოხდენა (ხელფასები, იჯარა, დაზღვება და საწარმოს საოპერაციო საქმიანობისათვის საჭირო სხვა დანახარჯები), ხოლო არაკონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯები (ncOPEX) წარმოადგენს საწარმოს დანახარჯებს, რომლებიც გამოწვეულია გარეშე ფაქტორებით და რომლებზეც საწარმო გავლენას ვერ ახდენს (გადასახადები, რეგულირების საფასური და სხვა დადგენილი განაკვეთები).

კაპიტალური დანახარჯების და არაკონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯების, აგრეთვე კონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯების საპროგნოზო ნაწილის (spOpex, ასეთის არსებობის შემთხვევაში) გაანგარიშება ხორციელდება საბაზისო წლის აუდირებული მონაცემებისა და რეგულირების პერიოდისათვის საპროგნოზო დანახარჯების გათვალისწინებით, რომლის კორექტირება ხორციელდება „დანახარჯები პლუს“ მეთოდით, წინამდებარე მეთოდოლოგიით განსაზღვრული კორექტირების პრინციპების შესაბამისად.

საბაზისო წლის აუდირებულ მონაცემებზე დაყრდნობით განსაზღვრულ კონტროლირებად საოპერაციო დანახარჯებთან მიმართებით გამოიყენება „წამახალისებელი რეგულირების“ მექანიზმები, რაც გულისხმობს

საწარმოსათვის დანახარჯების ოპტიმიზაციის მიზნით გარკვეული სტიმულების დაწესებას, სატარიფო მეთოდოლოგიით განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის შედეგად გამოვლინდა გასული წლების მონაცემების მაკორექტირებელი ინფორმაცია, რომლის იდენტიფიცირებაც არ მოხდა წინა სატარიფო წლის (წლების) ტარიფების გაანგარიშებისას, კომისია უფლებამოსილია აღნიშნული ინფორმაცია გამოიყენოს საბაზისო წლის აუდიტის შედეგების კორექტირებისთვის.

სატარიფო რეგულირების პერიოდი მოქმედი რეგულაციის შესაბამისად განისაზღვრება 3 კალენდარული წლით და კომისია ტარიფებს ადგენს სატარიფო რეგულირების მთელი პერიოდისთვის, ხოლო დადგენილი ტარიფების კორექტირება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს წლიური ანგარიშის ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ საანგარიშო წლის კორექტირების მოცულობა (CORR t+i) უდრის ან აღემატება შესაბამის წელს ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაციის, გადაცემის ან/და განაწილების ტარიფით მისაღები შემოსავლის 10%-ს დადებითი ან უარყოფითი ნიშნით. ასეთ შემთხვევაში, კომისია ვალდებულია, განახორციელოს კორექტირებას დაქვემდებარებული კომპონენტების დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტი, რათა განსაზღვროს კორექტირების ზუსტი მოცულობა. თუ დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის შედეგად დაზუსტებული კორექტირების მოცულობა (CORR t+i) უდრის ან აღემატება შესაბამის წელს ტარიფით მისაღები შემოსავლის 10%-ს დადებითი ან უარყოფითი ნიშნით (რომელიც განსაზღვრულია საერთაშორისო პრაქტიკის საფუძველზე), კომისია ახორციელებს რეგულირების პერიოდზე საწარმოსათვის დადგენილი ტარიფების რეგულირების პერიოდის განმავლობაში ცვლილებას.

ამ კონტექსტში კიდევ ერთხელ იკვეთება დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის როლი და მნიშვნელობა სატარიფო რეგულირების ფარგლებში ვინაიდან აღნიშნული დანახარჯები პირდაპირ ასახვას პოვებს რეგულირებადი დანახარჯების ბაზაში, რომელიც ტარიფის სტრუქტურიდან წარმოადგენს სატარიფო ფორმულის მრიცხველს, ხოლო მნიშვნელი კი – გადასაცემი ან/და გასანაწილებელი ელექტროენერგიის რაოდენობაა (კვტსთ).

როგორც უკვე აღინიშნა სატარიფო მეთოდოლოგიის მიზნებისათვის საოპერაციო დანახარჯები შედგება კონტროლირებადი და არაკონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯებისაგან, რომლებმაცა უნდა უზრუნველყოს საწარმოსათვის შესაბამის რეგულირებად საქმიანობაზე გასაწევი დანახარჯების ანაზღაურება, მათ შორის:

1. ექსპლუატაციისა და მომსახურების დანახარჯები;
2. ადმინისტრაციული და საერთო დანახარჯები.

სატარიფო რეგულირების სამწლიანი პერიოდისთვის ტარიფის გაანგარიშებისას გაითვალისწინება საბაზისო წლის ის საოპერაციო დანახარჯები, რომლებიც დასაბუთებული, გონივრული და სამართლიანია, ხოლო ყოველი რეგულირების პერიოდის სატარიფო გაანგარიშებისთვის საბაზისო წელს წარმოადგენს ტარიფი გაანგარიშების წლის წინა წელი.

საწარმოს ფაქტობრივი დანახარჯების გარდა, მარეგულირებელი ორგანო უფლებამოსილია სატარიფო რეგულირების პერიოდის ტარიფის გაანგარიშებისას გაითვალისწინოს საპროგნოზო ტექნიკურ-ეკონომიკური მონაცემები, რომლებსაც მიიჩნევს დასაბუთებულად, გონივრულად და სამართლიანად, ხოლო ცალსახა განმარტებების, რეგულაციებისა და გაწერილი წესების გარეშე ნებისმიერი დანახარჯის დასაბუთებულად და გონივრულად მიჩნევამ შეიძლება მიგვიყვანოს სუბიექტურ გადაწყვეტილებებამდე. სატარიფო მეთოდოლოგიით “გონივრული ხარჯი” განიმარტება, როგორც საწარმოს მიერ საჭირო მახსიათებლების მქონე საქონლის, მომსახურების და სამშენებლო სამუშაოების შესახყიდად, მინიმალური დანახარჯების პრინციპის შესაბამისად გაწეული ხარჯი, რომელიც რაციონალურია და აუცილებელია საწარმოს ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის. აღნიშნული განმარტება მოიცავს ზოგად ფორმულირებას და არ შეიცავს მკაფიო განმარტებას დანახარჯის მიზანშეწონილი და გონივრული ოდენობის განსაზღვრისათვის გამოყენებული ინდიკატორებისა და პრინციპების შესახებ, რომელიც მოცემულ კონტექსტი საჭიროებს მეტად ცხად განმარტებას ან დამატებით დოკუმენტს სატარიფო მეთოდოლოგიაზე, რომელშიც დეტალურად იქნება აღწერილი დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის სახელმძღვანელო პრინციპები და წესები.

ყველა ის დანახარჯი, რომლებზეც საწარმოს აქვს გადაწყვეტილების მიღების საშუალება და, შესაბამისად, შეუძლია მათზე ზეგავლენის მოხდენა ჯგუფდება კონტროლირებად საოპერაციო დანახარჯების სახით და საწარმოსათვის სატარიფო რეგულირების პერიოდის სატარიფო წლისთვის იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$cOPEX_{t+i} = cOPEX_{t-1} * \prod_{j=0}^i [(1 + CPI_{t+j}) * (1 - X_{t+j})] + spOPEX_{t+i} \quad (7)$$

სადაც:

- t ტარიფის გაანგარიშების წელი ანუ სატარიფო რეგულირების პერიოდის პირველი სატარიფო წლის წინა კალენდარული წელი;
- i
 - სატარიფო წლის რიგითი ნომერი რეგულირების პერიოდში ($1 \leq i \leq n$);
- $cOPEX_{t+i}$
 - საწარმოს კონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯები შესაბამისი სატარიფო წლისთვის (ლარი);
- $cOPEX_{t-1}$
 - შაწარმოს კონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯები საბაზისო წლისთვის (ლარი);
- CPI_{t+j}
 - ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებელი ტარიფის გაანგარიშების და შესაბამისი სატარიფო წლისთვის, რომელიც განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებულ საპროგნოზო მონაცემებზე დაყრდნობით (%);
- X_{t+j}
 - ეფექტიანობის ფაქტორი ტარიფის გაანგარიშების და შესაბამისი სატარიფო წლისთვის (%).
- $spOPEX_{t+i}$
 - საწარმოს კონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯების ის ნაწილი, რომელიც არ წარმოადგენს საბაზისო წლის ფაქტობრივ დანახარჯს, თუმცა კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს მის ასახვას საპროგნოზო მაჩვენებლებზე დაყრდნობით

ხოლო ყველა ის დანახარჯი, რომელიც გამოწვეულია გარეშე ფაქტორებით და რომელზეც საწარმოს გადაწყვეტილების მიღება ან ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლია (გადასახადები, მოსაკრებლები, კომისიის რეგულირების საფასური, ბაზრის ოპერატორის ტარიფი და სხვა) თავს იყრის არაკონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯების ჯგუფში. სატარიფო

რეგულირების პერიოდის თითოეული სატარიფო წლისთვის
არაკონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯები განისაზღვრება სატარიფო
რეგულირების პერიოდის საპროგნოზო ტექნიკურ-ეკონომიკური მონაცემების
საფუძველზე და დანახარჯების მოცემული ჯგუფი არ საჭიროებს
მარეგულირებელი აუდიტის განხორციელებას გონივრული და მიზანშეწონილი
დანახარჯების ბაზის განსაზღვრისათვის.

რაც შეეხება კაპიტალურ დანახარჯებს, მოქმედი სატარიფო მეთოდოლოგიის
შესაბამისად, აღნიშნული დანახარჯი რეგულირების პერიოდის შესაბამისი
სატარიფო წლისთვის იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$CAPEX_{t+i} = RAB_{t+i} * WACC_{t+i} + D_{t+i} \quad (8)$$

სადაც:

- i – სატარიფო წლის რიგითი ნომერი რეგულირების პერიოდში ($1 \leq i \leq n$);
- $CAPEX_{t+i}$ – საწარმოს კაპიტალური დანახარჯები შესაბამისი სატარიფო წლისთვის (ლარი);
- RAB_{t+i} – რეგულირებადი აქტივების ბაზის დირებულება შესაბამისი სატარიფო წლისთვის (ლარი);
- $WACC_{t+i}$ – რეგულირებადი აქტივების ბაზაზე ამონაგების ნორმა შესაბამისი სატარიფო წლისთვის (%), რომელიც კაპიტალის საშუალო შეწონილი რიჩებულების ტოლია;
- D_{t+i} – წლიური ცვეთა/ამორტიზაცია შესაბამისი სატარიფო წლისთვის (ლარი).

თავისმხრივ ელექტროენერგიის გადაცემის და განაწილების ლიცენზიატების რეგულირებადი აქტივების ბაზის ფორმირებაში მონაწილეობს როგორც საწარმოს არსებული (მოქმედი) აქტივები, ასევე შესაბამისი წესით მარეგულირებელ ორგანოსთან შეთანხმებული საინვესტიციო გეგმით გათვალისწინებული (დაგეგმილი) აქტივები.

სავალდებულოა, რომ რეგულირებად საქმიანობაში გამოყენებული აქტივი სატარიფო გაანგარიშებაში აისახოს ისტორიული დირებულებით, რომელიც მოიცავს მხოლოდ აქტივის შექმნის ან საწყისი შეძენის ფასს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ აუდიტის შედეგად იღენტიფიცირდა, რომ შეუძლებელია აქტივის ისტორიული დირებულების დადგენა, მარეგულირებელი ორგანო ასეთი აქტივის დირებულების განსაზღვრისათვის ეყრდნობა აქტივის ადდგენითი დირებულებით შეფასების მეთოდის გამოყენებით დადგენილ დირებულებას.

რაც შეეხება მარეგულირებელ ორგანოსთან ლიცენზიატი საწარმოს მიერ შეთანხმებული საინვესტიციო გეგმით გათვალისწინებული აქტივების დაგეგმილ დირებულებას, აღნიშნულის განსაზღვრისას გამოიყენება მათი საინვესტიციო დირებულება (მშენებლობა, შეძენა, კაპიტალური ოემონტი და ა.შ.).

საწარმოს რეგულირებადი აქტივების ბაზაში და სატარიფო გაანგარიშებაში ასახავის მიზნით შესაბამისი ანალიზი უტარდება სატარიფო რეგულირების სამწლიან პერიოდში თითოეული სატარიფო წლისთვის დაგეგმილ ინვესტიციებს და საინვესტიციო გეგმას. ლიცენზიატი საწარმო ვალდებულია დასაბუთოს განსახორციელებელი ინვესტიციების აუცილებლობა, აგრეთვე ამ ინვესტიციის განხორციელების შედეგად მისადები ეფექტი (სამიზნე მაჩვენებელი) და სარგებელი.

ცალსახად არის აღნიშნული, რომ ელექტროენერგიის გადაცემისა და განაწილების ლიცენზიატების რეგულირებადი აქტივების ბაზაში არ მონაწილეობს:

1. ინვესტიციის ის ნაწილი, რომელიც დაფინანსებულია მესამე მხარის მიერ. ასეთი აქტივები საწარმოს მიერ უნდა აღირიცხოს განცალკევებულად;
2. ინვესტიცია, რომელსაც კომისია არ მიიჩნევს დასაბუთებულად და გონივრულად;
3. ინვესტიციის ის ნაწილი, რომელიც აღემატება გონივრული დანახარჯის ოდენობას და საწარმოს მიერ არ იქნა გაწეული მინიმალური დანახარჯების პრინციპის შესაბამისად;
4. რეგულირებად საქმიანობაში გამოუყენებელი აქტივები;

საბოლოო ჯამში საწარმოს რეგულირებადი აქტივების ბაზის დირებულება განისაზღვრება ამ ბაზში ჩართული აქტივების წმინდა საბალანსო დირებულებით, რომელიც გულისხმობს აქტივის თვითდირებულებას დაგროვილი ცვეთა/ამორტიზაციის გამოკლებით (ამავე, აქტივების განხორციელებული ინვესტიციის გათვალისწინებით).

ელექტროენერგიის გადაცემის და განაწილების ლიცენზიატების რეგულირებადი აქტივების ბაზის დირებულება დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის განხორციელების შემდგომ, სატარიფო რეგულირების პერიოდის შესაბამისი სატარიფო წლის ბოლოსთვის იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$RCB_{t+i} = CAPEX_{t+i} + cOPEX_{t+i} + ncOPEX_{t+i} + CNL_{t+i} + WCC_{t+i} + TVCORR_{t+i} \pm Q_{t+i} \quad (9)$$

სადაც:

- i – სატარიფო წლის რიგითი ნომერი რეგულირების პერიოდში ($1 \leq n \leq$);
- RCB_{t+i} – რეგულირებადი აქტივების ბაზის დირებულება სატარიფო რეგულირების პერიოდის შესაბამისი სატარიფო წლის ბოლოს (ლარი);
- $CAPEX_{t+i}$ – საწარმოს კაპიტალური დანახარჯები შესაბამისი სატარიფო წლისთვის (ლარი);
- $cOPEX_{t+i}$ – საწარმოს კონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯები შესაბამისი სატარიფო წლისთვის (ლარი);
- $ncOPEX_{t+i}$ – საწარმოს არაკონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯები შესაბამისი სატარიფო წლისთვის (ლარი);
- CNL_{t+i} – ელექტროენერგიის გადამცემ და გამანაწილებელ ქსელში ელექტროენერგიის ნორმატიული დანაკარგების დირებულება შესაბამისი სატარიფო წლისთვის (ლარი);
- WCC_{t+i} – საბრუნავი კაპიტალის საპროცენტო ხარჯი შესაბამისი სატარიფო წლისთვის (ლარი);

- $TVCORR_{t+i}$ – დანახარჯების კორელაციურების მაჩვენებელი, რომელიც უზრუნველყოფს სატარიფო წლის რეგულირებადი დანახარჯების ბაზაში, კორელაციურებას დაქვემდებარებული შესაბამისი სატარიფო წლის ფაქტობრივ და დაგეგმილ დანახარჯებს შორის სხვაობის და არასაოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგების ასახვას (ლარი);
- Q_{t+i} – არეგულირებელი ორგანოს მიერ შესაბამისი ნორმატიული აქტებით საწარმოსთვის განსაზღვრული მომსახურების ხარისხის წლიური სამიზნე მაჩვენებლის გაუმჯობესება/გაუარესების ფინანსური შედეგი (ლარი).

ლიცენზიატი საწარმოები ვალდებული არიან, საბაზისო წლის შემოსავლები და დანახარჯები, ასევე, აქტივები მარეგულირებელ ორგანოში წარადგინონ შესაბამისი ფორმებით, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილებით და შეიცავს სპეციალურად რეგულირებადი საქმიანობისთვის შედგენილ ანგარიშგების ფორმებს, როგორც ეკონომიკურ ასევე, ტექნიკურ მაჩვენებლებზე.

აღნიშნული ანგარიშგების ფორმები იდენტურია საწარმოს მიერ შესაბამისი ტარიფების დადგენის მიზნით კომისიაში წარსადგენი სატარიფო განაცხადის ფორმისა, რომელიც ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიატისათვის (ელექტროენერგიის გადაცემის ლიცენზიატებისათვის განსხვავებულია მხოლოდ ტექნიკური ინფორმაციის ანგარიშგების ფორმები) შეიცავს შემდეგ დანართებს:

1. განცხადება შესაბამისი ტარიფის დადგენის მოთხოვნით;
2. საწარმოს რეკვიზიტები;
3. ზოგადი ინფორმაცია საწარმოს შესახებ;
4. მოგება-ზარალის ანგარიშგება;
5. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება,
6. კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება;
7. ბალანსი;
8. აქტივების ბაზა;
9. საინვესტიციო გეგმა (რეგულირების 3 წლიან პერიოდზე);
10. ელექტროენერგიის ბალანსი;
11. ახალი მომხმარებლების ქსელზე მიერთება;

12. სიმბლაგრის გაზრდა;
13. მიკრო ელექტროსაფგურების მიერთება;
14. მესამე პირების მიერ გაწეული ელექტროენერგიის გატარების მომსახურება;
15. ძირითადი ტექნიკური აქტივები;
16. დატვირთვის პიკები;
17. ძაბვის ხარისხი;
18. ელექტროენერგიის გენერაციის წყაროები

მარეგულირებელი აუდიტის პროცესის მართვე იწყება ლიცენზიატი საწარმოს მიერ სრულყოფილად წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, რომელიც გულისხმობს დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ დადასტურებულ დანახარჯების ბაზაში მარეგულირებელ მიზნებთან შესაბამისი დანახარჯების იდენტიფიცირებასა და დადასტურებას. აღნიშნულის მიზნით მარეგულირებელი აუდიტის ჯგუფის შესწავლის საგანს წარმოადგენს სატარიფო განაცხადის ფარგლებში სპეციალურად რეგულირებადი საქმიანობისთვის შედგენილი საწარმოს მოგება-ზარალის ანგარიშგება, რომელიც მოიცავს დანახარჯთა შემდეგ მუხლებს:

1. შესყიდული ელექტროენერგია
2. მესამე პირების კუთვნილ ქსელში ელენერგიის გატარების ხარჯი
3. განაწილების სხვა ლიცენზიატის ქსელში ელენერგიის გატარების ხარჯი
4. სახელფასო ფონდი (ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, მუშები და სხვა)
5. სახელფასო ფონდი (ბილინგის სამსახური)
6. სახელფასო ფონდი (ადმინისტრაცია)
7. ხარჯი ძირითად და დამხმარე მასალებზე
8. საწარმოო ძირითადი საშუალებების მიმდინარე რემონტის ხარჯი
9. ადმინისტრაციული ძირითადი საშუალებების მიმდინარე რემონტის ხარჯი
10. კომუნალური ხარჯი (ელექტროენერგია)
11. კომუნალური ხარჯი (ელექტროენერგიის გარდა)
12. საკომუნიკაციო ხარჯი;
13. საკანცელარიო ხარჯი

14. სამივლინებო ხარჯი
15. საკონსულტაციო ხარჯი
16. წარმომადგენლობითი ხარჯი
17. დაცვის ხარჯი
18. იჯარის ხარჯი
19. დაზღვევის ხარჯი
20. ბაზრის ოპერატორის მომსახურების ხარჯი
21. კომისიის რეგულირების საფასური
22. ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)
23. მიწაზე ქონების გადასახადი
24. სხვა საგადასახადო ხარჯი
25. სხვა საოპერაციო ხარჯი

ზემოთ ჩამოთვლილ დანახარჯებზე მარეგულირებელი აუდიტი მოიცავს კონკრეტულ რეგულირებად საქმიანობასთან მიმართებით დანახარჯის საჭიროების, მიზანშეწონილობის და გონივრულობის ანალიზს საწარმოს ჭრილში, რომელიც თავისმხრივ წარმოდგენილია დანახარჯის მაგენერირებელი ერთეულების დონეზე. აღნიშნული დეტალების შესწავლა არის საფუძველი განისაზღვროს დანახარჯის სტატუსი, კერძოდ, მიზანშეწონილი თუ არამიზანშეწონილია დანახარჯის შინაარსი კონკრეტული რეგულირებადი საქმიანობისთვის. ამასთან შესაძლოა მიზანშეწონილი დანახარჯი ასევე საჭიროებდეს გარკვეული ზღვრის დაწესებას. მაგალითად თანამშრომელთა ტრენინგის ხარჯი, რომელიც შინაარსობრივად მიმართულია თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული ზრდისაკენ თუმცა განუსაზღვრელი ოდენობით ასეთი სახის დანახარჯებიც არ შეიძლება მიჩნეული იქნეს მიზანშეწონილად მხოლოდ მარეგულირებელი მიზნებისათვის. თავის მხრივ დადებით შინაარს ატარებს საქველმოქმედო ხასიათის დანახარჯების საწარმოს რეგულირებადი დანახარჯების ბაზაში მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ საქმე ეხება მომხმარებლის მიერ შესაბამისი კომუნალური მომსახურების ტარიფით ასანაზღაურებელ დანახარჯებს ამ კონტექსტში მსგავსი სახის დანახარჯი მიჩნეულია არამიზანშეწონილად. სატარიფო რეგულირების ფარგლებში არამიზანშეწონილად მიჩნეული დანახარჯები არ უნდა იქნეს ასახული სატარიფო დანახარჯების ბაზაში, ხოლო

საწარმოს სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია ამგვარი დანახარჯები საწარმომ დააფინანსოს ნებადართული მოგებიდან ან სხვა წყაროებიდან.

სახელმძღვანელო პრინციპების დონეზე დანახარჯების კატეგორიები და მარეგულირებელი მიზნებისათვის თითოეული კატეგორიის სტატუსები მოცემულია შემდეგ ნახაზზე, თუმცა ადსანიშნავია, რომ შეიძლება არსებობდეს დამატებითი დეტალები, რომელიც ინდივიდუალურია კონკრეტული რეგულირებადი საწარმოსთვის:

| დანახარჯების კატეგორიები: | მარეგულირებელი მიზნებისთვის: |
|---|---------------------------------------|
| 1. შესყიდული ელექტროენერგია | მიზანშეწონილი |
| 2. მესამე პირების პუთვნილ ქსელში ელენერგიის გატარების ხარჯი | მიზანშეწონილი |
| 3. განაწილების სხვა ლიცენზიატის ქსელში ელენერგიის გატარების ხარჯი | მიზანშეწონილი |
| 4. სახელფასო ფონდი (ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, მუშები და სხვა) | მიზანშეწონილი (გონივრული ოდენობით) |
| 5. სახელფასო ფონდი (ბილინგის სამსახური) | მიზანშეწონილი (გონივრული ოდენობით) |
| 6. სახელფასო ფონდი (ადმინისტრაცია) | მიზანშეწონილი (გონივრული ოდენობით) |
| 7. ხარჯი ძირითად და დამხმარე მასალებზე | |
| 7.1 საწვავის შესყიდვის ხარჯი | მიზანშეწონილი |
| 7.2 ავტოსათადარიგო ნაწილების შესყიდვის ხარჯი | მიზანშეწონილი |
| 7.3 ტექნიკური მომსახურების ხარჯი იჯარით გაცემულ აქტივებზე/ავტომობილებზე | არამიზანშეწონილი |
| 7.4 სპეც-ტანსაცვლის შესყიდვის ხარჯი | მიზანშეწონილი |
| 8. საწარმო ძირითადი საშუალებების მიმდინარე რემონტის ხარჯი | |
| 8.1 ქსელის ექსპლუატაციის ხარჯები (ნარგავებისგან გასუფთავება) | მიზანშეწონილი |
| 8.2 ტრანსფორმატორების ექსპლუატაციის ხარჯები | მიზანშეწონილი |
| 9. ადმინისტრაციული ძირითადი საშუალებების მიმდინარე რემონტის ხარჯი | |
| 9.1 საოფისე ტექნიკის მიმდინარე ხარჯები | მიზანშეწონილი |
| 9.2 ადმინისტრაციული შენობის მიმდინარე რემონტის ხარჯები | მიზანშეწონილი |


| | | |
|--|---------------------------------------|--|
| 10. კომუნალური ხარჯი (ელექტროენერგია) | | |
| 10.1 ელექტროენერგიის ხარჯი | მიზანშეწონილი | |
| 10.2 გასული წლის ელექტროენერგიის ხარჯი | არამიზანშეწონილი | |
| 11. კომუნალური ხარჯი (ელექტროენერგიის გარდა) | | |
| 11.1 ბუნებრივი გაზის ხარჯი | მიზანშეწონილი | |
| 11.2 წყალმომარაგების ხარჯი | მიზანშეწონილი | |
| 11.3 დასუფთავების ხარჯი | მიზანშეწონილი | |
| 12. საკომუნიკაციო ხარჯი | | |
| 12.1 ინტერნეტი ხარჯი | მიზანშეწონილი | |
| 12.2 სატელეფონო მომსახურების ხარჯი | მიწანშეწონილი | |
| 12.3 ფიჭური კავშირგაბმულობის მომსახურება | მიზანშეწონილი (გონივრული ოდენობით) | |
| 13. საკანცელარიო ხარჯი | მიზანშეწონილი | |
| 14. სამივლინებო ხარჯი | | |
| 14.1 საზღვრაგარეთ მივლინებების ხარჯი | მიზანშეწონილი (გონივრული ოდენობით) | |
| 14.2 ქვეყნის შიგნით მივლინებების ხარჯი | მიზანშეწონილი | |
| 14.3 ზენორმატიულად ანაზღაურებული მივლინების ხარჯები | არამიზანშეწონილი | |
| 15. საკონსულტაციო ხარჯი | | |
| 15.1 ფინანსური ანგარიშების აუდიტის ხარჯი | მიზანშეწონილი | |
| 15.2 სასამართლო დავასთან დაკავშირებული საკონსულტაციო ხარჯი | არამიზანშეწონილი | |
| 15.3 ქსელის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული საკონსულტაციო ხარჯი | მიზანშეწონილი (გონივრული ოდენობით) | |
| 16. წარმომადგენლობითი ხარჯი | მიზანშეწონილი (გონივრული ოდენობით) | |
| 17. დაცვის ხარჯი | | |
| 17.1 საწარმოო შენობების დაცვის ხარჯი | მიზანშეწონილი | |
| 17.2 პირადი დაცვის ხარჯი | არამიზანშეწონილი | |
| 18. იჯარის ხარჯი | მიზანშეწონილი | |
| 19. დაზღვევის ხარჯი | | |
| 19.1 ქონების დაზღვევის ხარჯი | მიზანშეწონილი | |
| 19.2 ბიზნეს რისკების დაზღვევის ხარჯი (მიუღებელი შემოსავალი) | არამიზანშეწონილი | |

| | | |
|------------|---|---------------------------------------|
| 19.3 | ჯანმრთელობის დაზღვევის ხარჯი ადმინისტრაციული თანამშრომლები | არამიზანშეწონილი |
| 19.4 | ჯანმრთელობის დაზღვევის ხარჯი ტექნიკური პერსონალი | |
| 20. | ბაზრის ოპერატორის მომსახურების ხარჯი | მიზანშეწონილი |
| 21. | კომისიის რეგულირების საფასური | მიზანშეწონილი |
| 22. | ქონების გადასახადი (გარდა მიწისა) | მიზანშეწონილი |
| 23. | მიწაზე ქონების გადასახადი | მიზანშეწონილი |
| 24. | სხვა საგადასახადო ხარჯი | |
| 24.1 | საშემოსავლო გადასახადი | მიზანშეწონილი |
| 24.2 | ელექტროენერგიის დანაკარგებზე დარიცხული დღგ-ს ხარჯი | არამიზანშეწონილი |
| 25. | სხვა საოპერაციო ხარჯი | |
| 25.1 | ბანკის მომსახურების საკომისიო ხარჯები | მიზანშეწონილი |
| 25.2 | საინვესტიციო პროექტების ექსპერტიზის ხარჯი | მიზანშეწონილი |
| 25.3 | ქველმოქმედებასთან დაკავშირებული ხარჯები | არამიზანშეწონილი |
| 25.4 | თანამშრომელთა სატრენინგო ხარჯი | მიზანშეწონილი (გონივრული ოდენობით) |
| 25.5 | თარგმნითი მომსახურების ხარჯები | მიზანშეწონილი |
| 25.6 | ჯარიმებისა და სანქციების ხარჯები | არამიზანშეწონილი |
| 25.7 | სანოტარო და აქტივების რეგისტრაციის ხარჯები | მიზანშეწონილი |
| 25.8 | სასამართლო ბაჟი | არამიზანშეწონილი |
| 25.9 | საეჭვო მოთხოვნები | არამიზანშეწონილი |
| 25.10 | რეკლამის ხარჯი | არამიზანშეწონილი |

თუ საწარმო ეწევა ერთზე მეტ რეგულირებად ან/და არარეგულირებად საქმიანობას, საწარმოს საერთო დანახარჯების კონკრეტულ საქმიანობაზე და ძაბვის საფეხურზე გადანაწილებას ახდენს მარეგულირებელი ორგანო შესაბამისი ლოგიკური/სამართლიანი პრინციპით, ხოლო თითოეული ძაბვის საფეხურებზე მიკუთვნებული და გადანაწილებული დანახარჯების თითოეული ძაბვის საფეხურის მომხმარებელზე მიკუთვნება კი ხორციელდება სპეციალური წესით. აღნიშნული წესი წარმოადგენს დამტკიცებული სატარიფო მეთოდოლოგიის განუყოფელ ნაწილს და ცნობილია, როგორც “დანახარჯების კასკადირების მეთოდი”.

ხარჯების სხვადასხვა ძაბვის საფეხურის მომხმარებლებზე მიკუთვნების (ალოკაციის) კასკადირების მექანიზმი (რაც წარმოადგენს უკვე აუდირებული დანახარჯების ალოკაციის მეორე ეტაპს), ძაბვის საფეხურებზე ენერგიის მოხმარებაზე დაყრდნობით (ნახაზი 3.1):

**ნახაზი 3.1 დანახარჯთა მიკუთვნების/კასკადირების მოდელი
(დადგენილება №14 30.07.2014, სემეკი)**



G1 - პირველ საფეხურზე გენერაციიდან მიწოდებული ენერგია;

G2 - მეორე საფეხურზე გენერაციიდან მიწოდებული ენერგია;

G3 - მესამე საფეხურზე გენერაციიდან მიწოდებული ენერგია;

L1 - პირველ საფეხურზე მთლიანი დანაკარგები;

L2 - მეორე საფეხურზე მთლიანი დანაკარგები;

L3 - მესამე საფეხურზე მთლიანი დანაკარგები;

C11 - პირველ საფეხურზე ამავე საფეხურის მომხმარებლებზე გაცემული ენერგია (პირველ საფეხურზე მოხმარება);

C12 - პირველი საფეხურიდან მეორეზე გაცემული ენერგია;

$C1 = C11 + C12$, პირველი საფეხურიდან გაცემული მთლიანი ენერგია (G1 - L1);

C22 - მეორე საფეხურზე ამავე საფეხურის მომხმარებლებზე გაცემული ენერგია (მეორე საფეხურზე მოხმარება);

C23 - მეორე საფეხურიდან მესამეზე გაცემული ენერგია;

$C2 = C22 + C23$, მეორე საფეხურიდან გაცემული მთლიანი ენერგია ($G2 + C12 - L2$);

C33 - მესამე საფეხურზე ამავე საფეხურის მომხმარებლებზე გაცემული ენერგია (მესამე საფეხურზე მოხმარება);

$S11 = C11 / C1$ პირველი საფეხურის მომხმარებლების მიერ მოხმარებული ენერგიის წილი ამ საფეხურიდან გაცემულ მთლიან ენერგიაში;

$S22 = C22 / C2$ მეორე საფეხურის მომხმარებლების მიერ მოხმარებული ენერგიის წილი ამ საფეხურიდან გაცემულ მთლიან ენერგიაში;

$S33 = C33 / C3$ მესამე საფეხურის მომხმარებლების მიერ მოხმარებული ენერგიის წილი ამ საფეხურიდან გაცემულ მთლიან ენერგიაში.

ხარჯების ძაბვის საფეხურის მიხედვით მიკუთვნების (ალკაციის) მექანიზმი ეყრდნობა ცალკეულ ძაბვის საფეხურზე ენერგიის მოხმარებებს.

$$S1 = S11 \times \text{Cost1}, \quad (10)$$

პირველი საფეხურის მომხმარებლებისთვის დანაკარგების ღირებულების (და სხვა ხარჯების) მიკუთვნებული წილი განისაზღვრება, როგორც პირველი საფეხურის ხარჯების (Cost1) ამავე საფეხურის მომხმარებლებისთვის მისაკუთვნებული წილი, ანუ $S11$ კოეფიციენტი მრავლდება პირველ საფეხურზე მიკუთვნებულ ხარჯზე.

$$S2 = S22 \times \text{Cost2} + S22 \times ((1 - S11) \times \text{Cost1}), \quad (11)$$

მეორე საფეხურის მომხმარებლებისთვის დანაკარგების ღირებულების (და სხვა ხარჯების) მიკუთვნებული წილი შედგება ორი კომპონენტისაგან:

პირველი მათგანი განსაზღვრავს მეორე საფეხურის ხარჯების (Cost2) ამავე საფეხურის მომხმარებლებისთვის მისაკუთვნებულ წილს, ანუ $S22$ კოეფიციენტი მრავლდება მეორე საფეხურზე მიკუთვნებულ ხარჯზე;

მეორე კომპონენტი განსაზღვრავს პირველი საფეხურის ხარჯების (Cost1) მეორე საფეხურის მომხმარებლებისთვის მისაკუთვნებელ წილს. ამისათვის აღებულია პირველი საფეხურის ხარჯების ნარჩენი (პირველი საფეხურის მომხმარებლებისთვის მიუკუთვნებელი) წილი, რომლიდანაც მეორე საფეხურს მიეკუთვნება ის ნაწილი, რომელიც შეესაბამება მეორე საფეხურის მომხმარებლების მიერ მოხმარებული ენერგიის წილს ამავე საფეხურიდან გაცემულ მთლიან ენერგიაში.

$$S3 = S33 \times \text{Cost3} + S33 \times ((1 - S22) \times \text{Cost2}) + S33 \times ((1 - S22) \times (1 - S11) \times \text{Cost1}), \quad (12)$$

მესამე საფეხურის მომხმარებლებისთვის დანაკარგების დირექტულების (და სხვა ხარჯების) მიკუთვნების კოეფიციენტი შედგება სამი კომპონენტისაგან.

პირველი მათგანი განსაზღვრავს მესამე საფეხურის ხარჯების (Cost3) ამავე საფეხურის მომხმარებლებისთვის მისაკუთვნებელ წილს, ანუ $S33$ (ეს უკანასკნელი თავის მხრივ წარმოადგენს 100%-ს) კოეფიციენტი მრავლდება მესამე საფეხურზე მიკუთვნებულ ხარჯზე.

მეორე კომპონენტი განსაზღვრავს მეორე საფეხურის ხარჯების (Cost2) მესამე საფეხურის მომხმარებლებისთვის მისაკუთვნებელ წილს და წარმოადგენს მეორე საფეხურის ხარჯების ნარჩენ (მეორე საფეხურის მომხმარებლებისთვის მიკუთვნებელ) წილს, რომლის მთლიანად მიკუთვნება ხდება მესამე საფეხურზე ($\text{radgan } S33 = 100\%$).

მესამე კომპონენტი განსაზღვრავს პირველი საფეხურის ხარჯების (Cost1) მესამე საფეხურის მომხმარებლებისთვის მისაკუთვნებელ წილს. ამისათვის აღებულია პირველი საფეხურის ხარჯების ნარჩენი (პირველი საფეხურის მომხმარებლებისთვის მიკუთვნებელი) წილი, რომლიდანაც მესამე საფეხურის მომხმარებლებს მიეკუთვნება ის ნაწილი, რომლის მიკუთვნებაც არ მოხდა მეორე საფეხურის მომხმარებლებისათვის.

იმის დასადგენად, თუ რა რაოდენობის ენერგია გაიცემა ჯამში თითოეული ძაბვის საფეხურიდან ($C1$, $C2$ და $C3$), საჭიროა მთლიანი დანაკარგების ცოდნა ძაბვის საფეხურების მიხედვით ($L1$, $L2$ და $L3$). იმ შემთხვევაში, როდესაც დანაკარგების შესახებ ინფორმაცია მხოლოდ ჯამურია და მისი ჩაშლა ძაბვის საფეხურების მიხედვით არ არის ხელმისაწვდომი,

დანაკარგების გადანაწილებას ძაბვის საფეხურებზე ახდენს მარეგულირებელი ორგანო ხელმისაწვდომი მონაცემების საფუძველზე, მაქსიმალურად შესაძლო მიახლოებით.

ზემოხსენებული სპეციალური წესით დანახარჯების გადანაწილებისას მნიშვნელოვანია პირდაპირი და არაპირდაპირი დანახარჯების იდენტიფიცირება, რომელიც ასევე ექვემდებარება მარეგულირებელი აუდიტს შემდგომში არაპირდაპირ დანახარჯთა ლოგიკური და სამართლიანი პრინციპით თითოეული რეგულირებადი საქმიანობისთვის მისაკუთვნებლად.

დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის ჩატარებისა და შესაბამისი სატარიფო განაკვეთების დადგენის მიზნით ელექტროენერგიის გადაცემის და განაწილების ლიცენზიატი საწარმოები ვალდებული არიან ტარიფის გაანგარიშების წლისთვის მარეგულირებელ ორგანოში წარადგინონ სატარიფო განაცხადი. დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტი თავისმხრივ განიმარტება, როგორც რეგულირების მექანიზმები, რომელთა გამოყენებითაც კომისიის მიერ (უშუალოდ კომისიის ან/და კომისიის მიერ მოწვეული ნეიტრალური მხარის მიერ) მოწმდება საწარმოს დანახარჯები, ფინანსური შედეგები და განისაზღვრება რეგულირებადი დანახარჯების ბაზა.

სატარიფო განაცხადისა და მონაცემთა ფორმები იდენტურია ფინანსური ანგარიშგების ფორმებისა, რომლებიც ზეგით უკვე განხილულ იქნა დანახარჯების სპეციფიური მუხლების გათვალისწინებით. ამასთან, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულია სატარიფო განაცხადთან ერთად წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი, რომელიც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შედგენილ და აუდირებულ შემდეგი დოკუმენტაციას, კერძოდ:

- ა) ბუღალტრული ბალანსი;
- ბ) მოგება-ზარალის ანგარიშგება;
- გ) ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.

აგრეთვე, განსაზღვრულია დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტისთვის საჭირო დოკუმენტაციის/ინფორმაციის ჩამონათვალი პერსონალური და კონფიდენციალური ინფორმაციის ჩათვლით და ესენია:

1. გრძელვადიანი პირითადი მატერიალური და არამატერიალური რეგულირებადი აქტივების რეესტრი შესაბამისი საბალანსო დირებულებების, ექსპლუატაციაში შესვლის თარიღების, ყოველწლიური ცვეთა/ამორტიზაციის, კაპიტალიზირებული დანახარჯების და შესამაბისი ტექნიკური მახასითებლების შესახებ მონაცემების ჩვენებით;
2. სატარიფო განაცხადში ასახული საბაზისო წლის ფაქტობრივი საწარმოო დანახარჯების (როგორც კაპიტალური, ასევე მიმდინარე საოპერაციო) მიხედვით განხორციელებული შესყიდვების (საქონელი, მომსახურება) სასაქონლო ზედნადებებისა და დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურების RS რეესტრების ელექტრონული ვერსიები (როგორც ხარჯების, ასევე შემოსავლების შესახებ);
3. საბაზისო წლის საბანკო ამონაწერები განხორციელებული თპერაციების შესახებ;
4. ოფიციალურად დამოწმებული მოქმედი საშტატო განრიგი შესაბამისი სახელფასო განაკვეთების ჩვენებით;
5. საბაზისო წელს და ამჟამად მოქმედი ხელშეკრულებები საკონსულტაციო, აუდიტორულ, იურიდიულ და სანოტარო მომსახურებებზე, იჯარაზე, საწარმოს დაცვაზე და საწარმოო ქონების დაზღვევაზე;
6. მოქმედი სასესხო ხელშეკრულებები და შესაბამისი ვალდებულებების შესრულების გეგმური გრაფიკები და ცნობები დავალიანების შესახებ თითოეული საკრედიტო ხელშეკრულების მიხედვით, მიმდინარე პერიოდის მდგომარეობით;
7. საგადასახადო ორგანოში წარდგენილი, სატესტო წლის ქონების, მოგების, საშემოსავლო, დამატებული დირებულების გადასახადების და საბაჟო დეპლარაციები;
8. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან და ქონების საკუთრების დამადასტურებელი საკადასტრო კოდების რეესტრი;
9. საწარმოს მიერ დამტკიცებული საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკა;
10. საწარმოს მიერ შემუშავებული სამივლინებო ნორმების წესი;

11. სატესტო წელს განხორციელებული მივლინებების რეესტრი (მივლინებული პირის, მივლინების ადგილის, პერიოდის, სადღედამისო და საცხოვრებელი ფართობის დაქირავების ხარჯების მითითებით);
12. საწარმოს მიერ შემუშავებული საქონლის, მომსახურების და სამშენებლო სამუშაოების შესყიდვების განხორციელების წესი;
13. საბაზისო წელს მოქმედი ხელშეკრულებებისა და საბაზისო წელს სხვადასხვა საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებების რეესტრი (მიმწოდებელი კომპანიის, ხელშეკრულების გაფორმების თარიღის, ნომრის, საგნის, დირექტორისა და მოქმედების ვადის მითითებით);
14. სადაზღვევო შემთხვევების რეესტრი (დამზღვევი მხარის, შესაბამისი ხელშეკრულების, სადაზღვევო შემთხვევის დასახელების, ინციდენტის თარიღის, ანაზღაურებული თანხის და გადახდილი სადაზღვევო პრემიის მითითებით);
15. ავტოსატრანსპორტო საშუალებების რეესტრი (სახელმწიფო ნომრის, საინვენტარო ნომრის, შესყიდვის თარიღის, საწყისი/ნარჩენი ღირებულებების და განპიროვნების (პირის მომსახურების ან/და დანიშნულების) მითითებით);
16. საბაზისო წელს რეალიზებული საქონლის რეესტრი (რეალიზებული საქონლის დასახლების, რაოდენობის, საბალანსო და რეალიზებული ღირებულებების მითითებით);
17. საბაზისო წელს ჩამოწერილი ძირითადი საშუალებების რეესტრი (ძირითადი საშუალებების რეესტრი ნარჩენი საბალანსო ღირებულებების მითითებით და ჩამოწერის აქტი).

იმ შემთხვევაში თუ ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაცია არ იქნა საკმარისი დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის სრული მოცულობით განხორციელებისათვის მარეგულირებელ ორგანოს გააჩნია უფლებამოსილება საწარმოს მოსთხოვოს სხვა დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა, რომელსაც იგი მიიჩნევს საჭიროდ.

ელექტროენერგიის გადაცემისა და განაწილების საჭარმოების ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მონაცემების ანალიზის, აუდიტის და შეჯამების შედეგად განისაზღვრება შესაბამის სატარიფო განაკვეთში გასათვალისწინებელი მაჩვენებლები.

ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიატისათვის განაწილების საქმიანობაზე დგინდება ელექტროენერგიის განაწილების ტარიფები ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელის ძაბვის შემდეგი საფეხურების მიხედვით:

- ა) 0,2-0,4 კილოვოლტ ძაბვაზე;
- ბ) 3,3-6-10 კილოვოლტ ძაბვაზე;
- გ) 35-110 კილოვოლტ ძაბვაზე.

ხოლო ელექტროენერგიის განაწილების და გატარების ტარიფები სატარიფო რეგულირების პერიოდისთვის ძაბვის თითოეული საფეხურზე იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$T_{Dist}^k = \frac{\sum_{i=1}^n RCB_{t+i}^k}{\sum_{i=1}^n E_{t+i}^k} \quad (13)$$

სადაც:

- i – სატარიფო წლის რიგითი ნომერი რეგულირების პერიოდში ($1 \leq i \leq n$);
- T_{Dist}^k – ძაბვის k -ური საფეხურლის ელექტროენერგიის განაწილების ტარიფი სატარიფო რეგულირების პერიოდისთვის (თეთრი/კვერცხი);
- RCB_{t+i}^k – განაწილებისა და გატარების ლიცენზიატის ძაბვის k -ური საფეხურის მომხმარებლისათვის მიკუთვნებული რეგულირებადი დანახარჯების ბაზის ღირებულება სატარიფო რეგულირების პერიოდის შესაბამისი სატარიფო წლისთვის (ლარი);
- E_{t+i}^k – ძაბვის k -ურ საფეხურზე ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელით განაწილებული და გატარებული ელექტროენერგიის საპროგნოზო რაოდენობების ჯამი სატარიფო რეგულირების პერიოდის შესაბამისი სატარიფო წლისთვის (კვერცხი);

- k* – ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელის ძაბვის შესაბამისი საფეხური.

ელექტროენერგიის მოხმარების ტარიფი, რომელიც წარმოადგენს კომუნალური მომსახურების მიმწოდებელი ლიცენზიატი საწარმოს საბოლოო ტარიფს მოიცავს ელექტროენერგიის შესყიდვასა და განაწილებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს. სატარიფო რეგულირების პერიოდისთვის ელექტროენერგიის მოხმარების ტარიფი დგინდება ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელის ძაბვის თითოეული საფეხურის მიხედვით შემდეგი ფორმულით:

$$T_{Cons}^k = P_{Ave} + T_{Dist}^k \quad (14)$$

სადაც:

- T_{Cons}^k – სატარიფო რეგულირების პერიოდისათვის ელექტროენერგიის მოხმარების ტარიფი ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელის ძაბვის *k*-ურ საფეხურზე (თეთრი/კვტსთ);
- T_{Dist}^k – სატარიფო რეგულირების პერიოდისათვის ელექტროენერგიის განაწილების ტარიფი ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელის ძაბვის *k* -ურ საფეხურზე (თეთრი/კვტსთ);
- P_{Ave} – სატარიფო რეგულირების პერიოდისათვის განაწილების ლიცენზიატის მიერ შესასყიდი ელექტროენერგიის საპროგნოზო საშუალო შეწონილი ფასი, რომელიც მოიცავს ელექტროენერგიის შესყიდვასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა ხარჯს (თეთრი/კვტსთ);
- k* – ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელის ძაბვის შესაბამისი საფეხური.

რაც შეეხება, ელექტროენერგიის გადაცემის ლიცენზიატისათვის გადაცემის საქმიანობის სატარიფო განაკვეთს, აღნიშნული სატარიფო რეგულირების პერიოდისთვის შემდეგი ფორმულის შესაბამისად:

$$T_{Trans} = \frac{\sum_{i=1}^n RCB_{t+i}}{\sum_{i=1}^n E_{t+i}} \quad (15)$$

სადაც:

- i – სატარიფო წლის რიგითი ნომერი რეგულირების პერიოდში ($1 \leq i \leq n$);
- T_{Trans} – გადაცემის ტარიფი სატარიფო რეგულირების პერიოდისთვის (თეთრი/კვერცხი);
- RCB_{t+i} – გადაცემის ლიცენზიატის რეგულირებადი დანახარჯების ბაზის ღირებულება სატარიფო რეგულირების პერიოდის შესაბამისი სატარიფო წლისთვის (ლარი);
- E_{t+i} – კვალიფიციური საწარმოების მიერ მიწოდების პუნქტებში მოხმარებული (აღრიცხული) ელექტროენერგიის რაოდენობა სატარიფო რეგულირების პერიოდის შესაბამისი სატარიფო წლისთვის (კვერცხი).

მარეგულირებელი ორგანო ტარიფებს ადგენს სატარიფო რეგულირების მთელი სამწლიანი პერიოდისთვის, ხოლო დადგენილი ტარიფების კორექტირება ხორციელდება შემდგომი რეგულირების პერიოდისთვის.

ამავე პერიოდზე, განისაზღვრება კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების (WACC) ძირითადი კომპონენტების სიდიდეებისა და ეფექტიანობის (X – ფაქტორი) ფაქტორის ფიქსირებულ განაკვეთებს კომისია ადგენს სატარიფო რეგულირების მთელი პერიოდისათვის.

2018-2020 სატარიფო რეგულირების პერიოდისთვის კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება (WACC) შესაბამისი კომპონენტებით სიდიდეების გათვალისწინებით განსაზღვრულია 16,40%-ის ოდენობით.

ერთმნიშვნელოვანია, რომ საქართველოს სახელმწიფო ენერგოპოლიტიკა ორიენტირებულია კონკურენციის განვითარებაზე და არსებული არაკონკურენტული ბაზრის რეგულირების მექანიზმების გამოყენებით საქართველოს ენერგეტიკული ბაზრებისა და ტარიფების სისტემების ჩამოყალიბებაზე, რომლის ფარგლებშიც საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისთვის დელეგირებული უფლებამოსილების გათვალისწინებულით მიღწეული უნდა იქნეს ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციის, განაწილების,

იმპორტის, ექსპორტისა და მოხმარების, აგრეთვე ბუნებრივი გაზის მიწოდების, იმპორტის, ექსპორტის, ტრანსპორტირების, განაწილებისა და მოხმარების განსახორციელებლად გაწეული, ეკონომიკურად მიზანშეწონილი ხარჯების ზუსტი ასახვა ტარიფების სისტემებში.

ამასთან მნიშვნელოვანია, ენერგეტიკული სექტორის ფინანსური მდგრადობისა და განვითარებისათვის გატარდეს შესაბამისი დონისძიებები ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პუთხით, რომლის განსაკუთრებით საჭიროება იკვეთება ელექტროენერგიის განაწილების ქსელთან მიმართებაში. გინაიდან ტექნოლოგიურ ცლილებებთან ერთად მოძველებულია ინფრასტრუქტურა და განვითარების კუთხით ელექტროენერგიის განაწილებისა და გადაცემის ქსელური საქმიანობები კაპიტალტეგად ბიზნეს ერთეულებად არის მიჩნეული.


აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფების ზრდის ტენდენცია ბუნებრივია, თუმცა იგი უნდა ხასიათდებოდეს გონივრულობის ფარგლებში გაწეული დანახარჯების ადეკვატური ასახვით სატარიფო განაკვეთში და არა წლიდა წლამდე მკვეთრი ცვლილებებით. რაც თავისმեრივ იწვევს მომხმარებელთა უკმაყოფილებას გადახდისუნარიანობის დონის გათვალისწინებით.

“ელექტროენერგეტიკის ტარიფების შესახებ” საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენიებაში 2015 წლის 1 სექტემბერს შეტანილი ცვლილებით სს “თელასისთვის” დადგინდა სამომხმარებლო ტარიფი 2016 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე, რომელიც საშუალოდ 3,00 თეთრი/კვტსთ-ით გაიზარდა ყველა კატეგორიის მომხმარებლისათვის, თუმცა მინიმალური და მაქსიმალური ზრდა ქ. თბილისში არსებული აბონენტებისათვის შეადგენდა 0,328 თეთრი/კვტსთ-დან 4,598 თეთრი/კვტსთმდე დიაპაზონს.

სს “თელასისთვის” შესაბამისი ტარიფების დამტკიცების შესახებ კომისიის დადგენილებაზე შედგენილ განმარტებით ბარათში, რომელიც მოიცავს საწარმოს ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების შესახებ სრულყოფილ ინფორმაციას საბაზისო წელიწადზე, აღნიშნულია, რომ მარეგულირებელი მიზნებისათვის სს „თელასის“ საოპერაციო და კაპიტალური

დანახარჯების აუდირების პროცესში, მიზანშეწონილი და გონივრული დანახარჯების დადგენის მიზნით, განხორციელდა საწარმოს 2014 წლის ფაქტობრივი მაჩვენებლების ანალიზი სატარიფო მეთოდოლოგიის მოთხოვნათა შესაბამისად, რომელიც შემდგომში გამოყენებული იქნა 2016 წლის სატარიფო გაანგარიშებაში დანახარჯების საპროგნოზო ოდენობების განსასაზღვრად. საწარმოს კაპიტალურ დანახარჯებთან მიმართებით დადგენდა რეგულირებადი აქტივების ისტორიული ღირებულება შესაბამისი ფინანსურ ანგარიშგებებზე დაყრდნობით, ხოლო საოპერაციო დანახარჯებთან მიმართებით მარეგულირებელი აუდიტის ფარგლებში განხორციელდა გარკვეული კორექტირებები. კერძოდ მარეგულირებელი ორგანოს აპარატის მიერ მოხდა სს “თელასის” სატარიფო განაცხადის შესწავლა და დადგინდა დანახარჯების სტრუქტურა, რომელიც მოცემულია ნახაზზე 3.2.

ნახაზი 32. სს თელასის 2014 წლის საოპერაციო დანახარჯები




- ელექტროენერგიის შესყიდვისა და მასთან დაკავშირებული ხარჯი
- სახელფასო ფონდი (ადმინისტრაცია) - 9.43%
- სახელფასო ფონდი (ბილინგის სამსახური) - 3.78%
- საწარმოო მირითადი საშუალებების ცვეთა/ამორტიზაცია - 1.34%
- ადმინისტრაციის მირითადი საშუალებების ცვეთა/ამორტიზაცია - 0.60%
- საწარმოო მირითადი საშუალებების მიმდინარე რემონტის ხარჯი - 0.63%
- ადმინისტრაციის მირითადი საშუალებების მიმდინარე რემონტის ხარჯი -0.05%
- კომუნალური ხარჯი (ელექტროენერგია) - 0.11%
- კომუნალური ხარჯი (ელექტროენერგიის გარდა) -0.06%
- საკომუნიკაციო ხარჯი - 0.11%
- საკანცელარიო ხარჯი - 0.07%
- სამივლინებო ხარჯი - 0.09%
- საკონსულტაციო ხარჯი - 0.13%
- დაცვის ხარჯი - 0.19%
- იჯარის ხარჯი -0.17%
- დაზღვევის ხარჯი - 0.44%
- ბაზრის ოპერატორის მომსახურების ხარჯი - 0.10%
- კომისიის რეგულირების საფასური - 0.17%
- ქონების გადასახადი (გარდა მიწისა) - 0.26%
- მიწაზე ქონების გადასახადი - 0.02%
- სხვა საგადასახადო ხარჯი - 0.06%
- სხვა საოპერაციო დანახარჯები - 0.68%

ნახაზზე ჩანს, რომ საოპერაციო დანახარჯების 81%-ს შეადგენს ელექტროენერგიის შესყიდვის ხარჯი, ხოლო დანარჩენი 19,5% წარმოადგენს ელექტროენერგიის მომსმარებლებამდე მიტანისათვის საჭირო სხვა დანახარჯთა ერთობლიობას. როგორც საბოლოო შედეგიდან იკვეთება დანახარჯების

მარეგულირებელი აუდიტის შედეგად არაგონივრულობიდან გამომდინარე შემცირებული იქნა სს “თელასის” დანახარჯები მივლინებებზე, წარმომადგენლობით დონისძიებებზე, საკომუნიკაციო მომსახურებებსა და სახელფასო ფონდზე.

იმის და მიუხედავად, რომ საწარმოს მიერ მარეგულირებელ ორგანოში წარდგენილი დანახარჯები და ფინანსური ანგარიშგება დამოწმებული იყო დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ, კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, მარეგულირებელი მიზნებიდან გამომდინარე თითოეული დანახარჯის მიზანშეწონილი ოდენობა განისაზღვრა დანახარჯის საჭიროებისა და აუცილებლობის შემთხვევაში კონკრეტულ რეგულირებად საქმიანობასთან.

აღნიშნული გულისხმობს, რომ სატარიფო განაკვეთში ასახული იქნება მინიმალური დანახარჯების პრინციპის შესაბამისად განხორციელებული შესყიდვის ხარჯები, რომლებიც უშუალოდ კავშირშია ელექტროენერგიის განაწილების საქმიანობასთან იმისთვის, რომ მომხმარებლისთვის მიწოდებული იქნეს შესაბამისი ხარისხის ელექტროენერგია, მომსახურების ხარისხის სტანდარტებისა და მიწოდების უსაფრთხოების პარამეტრების დაცვით. სს “თელასის” საოპერაციო დანახარჯების სტრუქტურა ელექტროენერგიის (საქონლის) შესყიდვაზე გაწეული დანახარჯების გარეშე მოცემულია ნახაზზე 3.3.



დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის შედეგად, მიღებული მონაცემების ანალიზის შემდგომ გამოიკვეთა, რომ საწარმოს ფაქტობრივ დანახარჯებთან შედარებით სს „თელასის“ საოპერაციო დანახარჯები შემცირებულია 12,5%-ით თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ სატარიფო წელს სხვადასხვა ფაქტორებიდან გამომდინარე მნიშვნელოვნად გაიზარდა ელექტროენერგიის, როგორც პროდუქტის თვითდირებულება (რაც დანახარჯების 81%-ს შეადგენდა), საბოლოო ჯამში ეს აისახა ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფზე და დაფიქსირდა განაკვეთის ზრდა.

აქვე ცხადად იკვეთება დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის დანიშნულება და როლი ბუნებრივად მონოპოლისტი საწარმოების სატარიფო რეგულირების პროცესში, რომელიც წარმოადგენს მარეგულირებელი ორგანოს უფლებამოსილებასა და კომპეტენციას თუმცა აღნიშნული პროცესის ორგანიზება უნდა განხორციელდეს გაწერილი პრინციპებისა და წესების შესაბამისად, ამგვარი დოკუმენტი კი მიმდინარე პერიოდისთვის არ არსებობს და დაინტერესებული მხარეებისთვის მეტად გამჭვირვალე გარემოს უზრუნველყოფის და ნდობის ამაღლების მიზნით საჭიროა დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის პროცესის სისტემური და ორგანიზებული წარმართვა შესაბამისი რეგულაციების საფუძველზე.

მარეგულირებელი ორგანოს ფუნქციებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, პკლეგის ფარგლებში ცალსახად გამოივეთა, რომ ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად საჭიროა არსებობდეს დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის განხორციელების წესები, რომლის მიზანიც იქნება კონკრეტული რეგულირებადი საქმიანობის შესახებ რელუგანტური ინფორმაცია მიაწოდოს რეგულირებადი საწარმოების მხრიდან მარეგულირებელი ორგანოს შემდგომში აუდიტის პროცესის ორგანიზებისათვის, ხოლო რეგულირებადი საწარმოები თავისმხრივ ინფორმირებულნი იქნებიან დასაწყისშივე საყოველთაოდ გაცხადებული აუდიტის წესებისა და პრინციპების შესახებ მარეგულირებელი მიზნებისათვის.

დამატებით, დოკუმენტი უნდა იქცეს ერთგვარ სახელმძღვანელოდ აუდიტის პრინციპების შესახებ და სხვა ძირითადი მიზნები დანახარჯების აუდიტის წესების დანერგვასთან დაკავშირებით შესაძლოა შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

1. დანახარჯების აუდიტთან დაკავშირებული ინფორმაციის წარდგენა;
2. ეფექტიანობის ზრდა დანახარჯების აუდიტთან მიმართებით;
3. სხვადასხვა კომპანიებს შორის სტანდარტიზაციისა და შესაძარისობის უზრუნველყოფა;
4. ძირითადი მაჩვენებლების გამოთვლის მიზნით კონკრეტული დანახარჯების ღონისძიებების განსაზღვრა;
5. ოპერაციული პროცედურების გამარტივება, დუბლიკაციის თავიდან აცილება;
6. აუდიტთან დაკავშირებული კონკრეტული საკითხების მოგვარება/ასახვა;
7. აუდიტის ფოკუსის/მოცულობის განსაზღვრა;
8. ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებების განსაზღვრა, თოხი თვალის პრინციპი, შიდა კონტროლის სისტემა ყველა ჩართული მხარისთვის.

დანახარჯების აუდიტის ღონისძიებებთან მიმართებით ასევე მნიშვნელოვანია ერთმანეთისგან განვასხვავოთ საბაზისო წლის დანახარჯების აუდიტი (რეგულირების პერიოდის დასაწყისისთვის) და რეგულირების პერიოდში შემავალი რომელიმე წლის დანახარჯების აუდიტი, რომელსაც არ აქვს შემდგომში სატარიფო განაკვეთში ასახვის მიზანი და ორიენტირებული ეფექტიანობის, შესაბამისობის აუდიტის თემატიკაზე. ნებისმიერ შემთხვევაში გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად რეკომენდებულია დანახარჯების აუდიტის წესების გამოქვეყნება დაინტერესებული მხარეებისათვის ხელმისაწვდომ სივრცეში.

შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლითა და ანალიზით შემდგომში საჭიროა განხორციელდეს კონკრეტული რეგულირებადი საწარმოსთვის დანახარჯის საჭიროების აუცილებლობის დადგენა (ან/და ასეთი დანახარჯის საჭიროების შემთხვევაში გონივრული დანახარჯის ოდენობის დადგენა) და შემდგომ დოკუმენტური დადასტურება.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს რომ დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის ფარგლებში შესწავლას და დადასტურებას საჭიროებს თითოეული დოკუმენტი და დანახარჯი არსებითობის პრინციპის გათვალისწინების გარეშე, განსხვავებით ფინანსური განგარიშგების აუდიტისაგან სადაც ტრანზაქციათა ერთობლიობიდან შესაძლოა ჩატარდეს შერჩევა მნიშვნელოვანი კატეგორიებისა

განსხვავებულად საქართველოში გამოყენებული მეთოდისა ეკროგაგშირის ქვეყნებში რეგულირებას დაქვემდებარებული საწარმოები თავად ახორციელებენ დანახარჯების დაყოფას (ანგარიშგების განცალკევებას) და დანახარჯების მიკუთვნებას, რაც ასევე ექვემდებარება მარეგულირებელ აუდიტს და საჭიროებს შემდეგი პრინციპების გათვალისწინებას:

- 1. მიზეზ-შედეგობრიობა** - საწარმოების ანგარიშგების პერიოდში უნდა განხორციელდეს მიღებული შემოსავლების, დანახარჯების, აქტივებისა და პასივების/ვალდებულებების პირდაპირი ან არაპირდაპირი მიკუთვნება იმ აქტივობებზე, რომელებიდანაც მოხდა შემოსავლის მიღება, დანახარჯების გაწევა, აქტივების ან პასივების/ვალდებულებების შეძენა;
- 2. აკუმულაცია** - უნდა განხორციელდეს საწარმოების ანგარიშგების პერიოდის შემოსავალისა და გასავლის მიკუთვნება საწარმოს საქმიანობებიდან მიღებული შემოსავლების წილების მიხედვით, გარდა ნალექი ფულის შემოსავლისა და გადასახადებისა;
- 3. ობიექტურობა/მიუკერძოებლობა** - უნდა განხორციელდეს ანგარიშგების პერიოდში მიღებული შემოსავალის, გაწეული დანახარჯების, აქტივებისა და პასივების/ვალდებულებების მიკუთვნება საწარმოს ბიზნეს ერთეულებსა და მომსახურებებზე მიუკერძოებლად, ანგარიშგების პერიოდის ნებისმიერი მომსახურების შედეგისა და ბიზნეს ერთეულის დამახინჯების გარეშე;
- 4. გამჭირვალეობა** - უნდა განხორციელდეს ანგარიშგების პერიოდში შემოსავლების, დანახარჯების, აქტივებისა და პასივების/ვალდებულებების მიკუთვნება კომპანიის აქტივობებზე იმგვარად, რომ თითოეული შემოსავალი, დანახარჯი, აქტივები და პასივები/ვალდებულებები არის დამაჯერებელი, გამჭირვალე და თანხების შემადგენლობა მარტივად დასადგენია;

5. **შესრულება/ეფექტიანობა** - კომპანიებისა და სემეკის მიერ მიწოდებული/მოწოდებული ინფორმაცია უნდა იყოს სრულყოფილი, გამოსადეგი და გასაგები ინფორმაციის როგორც შიდა ასევე გარე მომხმარებლებისათვის;
6. **სანდოობა** – კომპანიის მიერ მიწოდებული ინფორმაცია ზუსტად უნდა ასახავდეს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას, არ უნდა იყოს შეცდომებითა და მცდარი ინფორმაციით სავსე;
7. **თანამიმდევრულობა** - კომპანია და სემეკი ერთიდაიმავე რეგულირების პერიოდის განმავლობაში უნდა იყენებდნენ ანგარიშგების ერთიდაიმავე უნიფიცირებულ სისტემას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ადგილი აქვს მნიშვნელოვან მოვლენას (მაგალითად: ცვლილება კანონმდებლობაში, დამოუკიდებელი აუდიტორის რეკომენდაციები და ა.შ.);

რეგულირებულმა საწარმოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ანგარიშგების უნიფიცირებული სისტემა და მარეგულირებელი ანგარიშგება, რომელთაც ისინი იყენებენ, შესაბამისობაში იყოს დანახარჯების აუდიტის წესებში გაწერილ მოთხოვნებთან, რომელიც ასევე უნდა მოიცავდეს დანახარჯთა მიკუთვნების სახელმძღვანელო პრინციპებსა და წესებს.

პირდაპირი დანახარჯები უშუალოდ დაკავშირებულია რეგულირებული ქსელის მომსახურებასთან ან პროდუქტთან (მაგ. ტრანსფორმატორის სადგურის მოვლა-ექსპლუატაციის/შეკეთების დანახარჯები). აუდიტის პროცედურის პირველი ეტაპი უნდა მოიცავდეს დანახარჯების ბუნების შეფასებას. უნდა შემოწმდეს, დაკავშირებულია დანახარჯები რეგულირებულ სფეროსთან, თუ არა. თუ დადასტურდა, რომ დანახარჯები არ არის კავშირში კონკრეტულ რეგულირებად საქმიანობასთან, მაშინ უნდა მოხდეს ამგვარი დანახარჯების დაუყოვნებლივ გამორიცხვა რეგულირებული დანახარჯების ბაზიდან, ხოლო თუ კავშირი დამტკიცებულია, შესაბამისად მეორე ეტაპის ფარგლებში უნდა მოხდეს დანახარჯთა დონეების გონივრულობის შეფასება. გონივრულობის ცნება გულისხმობს დანახარჯების დონეების გამართლებულობის შეფასებას. გონივრულობის შეფასების მიზნით შესაძლებელია სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენება, კერძო:

1. შედარება დანახარჯების ისტორიულ დონეებთან და მათ განვითარებასთან;
2. შედარება სხვა რეგულირებულ კომპანიებთან (თუ შესაძლებელია, დანახარჯების ტიპების განმარტებიდან გამომდინარე);
3. შედარება მესამე მხარისათვის;
4. მიახლოებითი წინასწარი შეფასება ექსპერტული ცოდნის, კვლევების და გამოცდილების საფუძველზე;
5. შედარება ანალოგიური კომპანიების დანახარჯებთან;
6. დანახარჯებთან დაკავშირებული სტანდარტული მიღება (დანახარჯების ფიქსირებული განაკვეთები კონკრეტული აქტივობებისა თუ მომსახურებებისათვის). თუ დანახარჯები ჩაითვლება არაგონივრულად, შესაძლოა მათი შემცირება, გონივრულ ფარგლებში.

ასევე, არაპირდაპირი დანახარჯების შემთხვევაშიც, მარეგულირებელმა ორგანომ უნდა შეაფასოს მათი ბუნება და გონივრულობა. პირველ ეტაპზე, მარეგულირებელმა უწყებამ უნდა შეამოწმოს რეგულირებული საწარმოს მიერ დანახარჯების მიკუთვნების პროცედურა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ კუთხით საინტერესოა დანახარჯების მიკუთვნების განაკვეთები და გამოყენებული დანახარჯების გამომწვევები. რეგულირებულმა საწარმომ უნდა განმარტოს მიკუთვნებისათვის გამოყენებული მეთოდები და მონაცემები. აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე, მარეგულირებელი უწყება განახორციელებს შემდეგი კომპონენტების აუდიტს:

- **არაპირდაპირი დანახარჯების ჯგუფების განმარტება და მათი განსაზღვრის პროცესი** - არაპირდაპირი დანახარჯების ჯგუფი ნიშნავს არაპირდაპირი დანახარჯების ლოგიკურად დაჯგუფებას. იგი უნდა იყოს მკაფიოდ განსაზღვრული, შეესაბამებოდეს წესებს და ემყარებოდეს მიზეზ-შედეგობრიობის პრინციპს. იგი არ უნდა მოიცავდეს პირდაპირ დანახარჯებს.
- **არაპირდაპირი დანახარჯების მიკუთვნების ბაზის/საფუძვლების განმარტება და მათი განსაზღვრის პროცესები** - საზომი/ცვლადი, რომელიც შეგვიძლია გამოვიყენოთ დანახარჯების ჯგუფების დანახარჯების სხვადასხვა ამოცანებზე მიკუთვნებისათვის (მაგ.

პირდაპირი სამუშაო საათები). გამოყენებული საზომები (მაგ. ხარჯების შესაბამისი გამომწვევი) უნდა შეესაბამებოდეს არაპირდაპირი დანახარჯების სათანადო, მკაფიოდ და გამჭვირვალედ განსაზღვრულ ჯგუფებს და შესაძლებელი უნდა იყოს არაპირდაპირი დანახარჯების სამართლიანად მიკუთვნება (მაგ. შრომით საკითხებთან დაკავშირებული ჯგუფი უნდა დაუკავშირდეს შესაბამის საფუძველს).

- პროცესში გამოყენებული ყველა მიახლოებითი შეფასება უნდა იყოს გამჭვირვალედ დოკუმენტირებული და მკაფიოდ განსაზღვრული. ასევე უნდა მოხდეს კონკრეტული მიახლოებითი შეფასებების განხილვა.

თუ რომელიმე მიკუთვნება არ არის გასაგები ან განცხორციელებულია არამართებულად, საჭირო გახდება დანახარჯების ხელახლა მიკუთვნება და უფრო მეტიც, უნდა გაანალიზდეს და შემოწმდეს ასევე არაპირდაპირი დანახარჯების გონივრულობაც.

საოპერაციო ხარჯების აუდიტორი დაკავშირებით, თუ დანახარჯები გონივრულია, მათი ბუნებიდან გამომდინარე უნდა მოხდეს მათი იმ ოდენობით განსაზღვრა, რამდენადაც ისინი არის გამართლებული რეგულირებადი საქმიანობისთვის. აღნიშნულ რაოდენობრივ შეზღუდვას შესაძლოა დაექვემდებაროს კონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯების შემდეგი კატეგორიები, რომლებიც დაკავშირებულია:

- საქონელთან
- პერსონალის განვითარებასთან
- მენეჯენტის პონორართან
- ჯგუფური მომსახურების საფასურთან
- ქირა-იჯარასთან
- წარმომადგენლობასთან
- საზოგადოებასთან ურთიერთობასა და მარკეტინგთან
- საწევრო გადასახადებთან
- მივლინებებთან

ზემოაღნიშნულ საქმიანობებთან დაკავშირებით, შესაძლებელია შემდეგი დებულებების გამოყენება აღნიშნული დანახარჯების შეზღუდვის მიზნით:

1. კონკრეტული დანახარჯი - მარკეტინგის ხარჯები:

- **დანახარჯების შესაძლო მიკუთვნების მეთოდოლოგიები** - ქსელის ექსპლუატაციის შესაძლო საქმიანობებთან დაკავშირებული ფიქსირებული დანახარჯების მიკუთვნების განაკვეთები: მაგ. 20% გაზი, 10% ელექტროენერგია.
- **დასაბუთება** - მარკეტინგის დანახარჯების მიკუთვნება ძირითადად ხდება შემოსავლების განაკვეთების მიხედვით. მონოპოლიური საქმიანობის შემთხვევაში, ამგვარი მიკუთვნება შესაძლოა ზოგჯერ იყოს პრობლემური. ასევე შესაძლებელია დანახარჯების მიკუთვნება ემპირიული სიდიდეების მიხედვით.

ზოგადად, ამგვარი დანახარჯები სავარაუდოდ უფრო კონცენტრირებულია გენერაციისა და მიწოდების საქმიანობებზე. აღნიშნულ დანახარჯებთან დაკავშირებული განსხვავებული მიდგომა გაზისა და ელექტროენერგიის სფეროებში განხორციელებული საქმიანობების მიმართ შეიძლება ავსენათ სხვადასხვა სიტუაციით კონკურენციასთან მიმართებაში, ვინაიდან გაზის შემთხვევაში არსებობს ასევე ენერგიის სხვა ალტერნატიული წყაროები (მაგ. გასათბობად). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხანდახან შესაძლოა დანახარჯების ასახვისათვის უკეთესი ვარიანტი იყოს ემპირიული სიდიდეების გამოყენება. კონკრეტულ შემთხვევებში შესაძლოა უფრო შესაფერისი იყოს ასევე სრულიად სხვა მიდგომა, ასეთ შემთხვევებში მარეგულირებელმა უწყებამ უნდა განიხილოს ყველა რეგულირებული კომპანიის თანაბარი მოპყრობა.

2. კონკრეტული დანახარჯი - საწევრო გადასახადები:

- **დანახარჯების შესაძლო მიკუთვნების მეთოდოლოგიები** - დანახარჯების მიკუთვნების ფიქსირებული განაკვეთები, მაგ. 50% ქსელის ოპერირება, 30% მიწოდება, 20% გენერაცია.
- **დასაბუთება** - ასევე უნდა ეფუძნებოდეს ემპირიულ დირებულებებს. მარკეტინგის დანახარჯებთან მიმართებით მოყვანილი არგუმენტები ამ შემთხვევაშიც ვალიდურია.

ნებადართულ დანახარჯებთან ერთად ასევე, საჭიროა განისაზღვროს იმ დანახარჯების ჩამონათვალი, რომლის სატარიფო გაანგარიშებაში გათვალისწინება და მიზანშეწონილი დანახარჯების ბაზას მიკუთვნება არ უნდა განხორციელდეს, ასეთი შეიძლება იყოს:

1. უიმედო ვალები და ჯარიმები;
2. პრემიები;
3. წევრობის დანახარჯები, რაც არ არის უშუალოდ დაკავშირებული რეგულირებულ საქმიანობასთან;
4. ფინანსური საქმიანობის დანახარჯების საპროცენტო განაკვეთები;
5. წარმომადგენლობითი, სარეკლამო და მარკეტინგული დანახარჯები; (თუმცა მათი მიკუთვნება შესაძლებელია, მაგრამ მხოლოდ მარეგულირებელი კომისიის მიერ განსაზღვრული შეზღუდვის ფარგლებში);
6. მხარდაჭერა, ქველმოქმედება, მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლების დანახარჯები (კანონმდებლობით სავალდებულოდ დადგენილის გარდა);
7. გამოუყენებელი, ლიკვიდირებული ძირითადი აქტივების ცვეთა-ამორტიზაციისა და შეკვეთების დანახარჯები;
8. დანახარჯები, რომლებიც არ გაწეულა და წარმოიშვა საინვესტიციო გეგმასა და რეალურ სიტუაციას შორის არსებული სხვაობის შედეგად;
9. იმ ფინანსური აქტივების, გუდვილის ან სხვა აქტივების ცვეთა-ამორტიზაციის დანახარჯები, რაც არ არის აუცილებელი რეგულირებული საქმიანობისათვის;
10. კოლექტიური ხელშეკრულებების დანახარჯები (მაგ. სხვადასხვა ფინანსური შედავათები, თანამშრომელთა კეთილდღეობასთან დაკავშირებული დანახარჯები, მნიშვნელოვანი ღონისძიებები, დაზღვევის დანახარჯები (გარდა ქსელის ოპერირებასთან და ა. შ. დაკავშირებული აუცილებელი ხარჯებისა)
11. ტრენინგის მონაწილეთა კვება, კონკურსები, გამოფენები, სხვადასხვა ღონისძიებები, საორგანიზაციო დანახარჯები, საჩუქრების შესყიდვა, ზარალის ანაზღაურება (სტიქიური უბედურებების ან ფორს-მაჟორის გარემოებების გარდა), კორპორატიული გადასახადი დივიდენდიდან, სპორტდარბაზების შესყიდვის და აგროტურიზმის დანახარჯები;
12. კომპანიის იმიჯის შექმნასთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა იურიდიული აქტების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად გაწეული

ხარჯებისა; ოთახების დაქირავება, სტუმართა კვების მომსახურება და სხვა მსგავსი ხარჯები;

13. რეგულირებული ენერგოკომპანიების სამოქალაქო გალდებულებების დაზღვევის და მენეჯმენტის დაზღვევის დანახარჯებისა;
14. პენსიების უზრუნველყოფის დანახარჯები;
15. მარკეტინგული/რეკლამირების დანახარჯები ინფრასტრუქტურულ კომპანიებს შორის კონკურენციის არ არსებობის შემთხვევაში.

შესაძლებელია ამგვარი დანახარჯების ჩამონათვალს კიდევ დაემატოს შინაარსობრივად არაგამართლებული დანახარჯები, რომელთა მიმართებაშიც გამოყენებული უნდა იქნეს ხისტი მიღებომა მარეგულირებელი ორგანოს მხრიდან სატარიფო განაკვეთში გაუთვალისწინებლობის კუთხით. ამასთან, დანახარჯების აუდიტის შედეგების გათვალისწინებით, შინაარსობრივად მიზანშეწონილ დანახარჯებთან მიმართებაში გამოყენებული უნდა იქნეს გარკვეული ზღვრები (მაქსიმალური ოდენობები), რომელთა გადაჭარბებაც არ იქნება ნებადართული, პირობითად:

- საოპერაციო დანახარჯების 2% ელექტროენერგიის გადაცემის სისტემის ოპერატორების საქმიანობისათვის;
- საოპერაციო დანახარჯების 3% ელექტროენერგიის განაწილების სისტემის ოპერატორების საქმიანობისათვის;
- საოპერაციო დანახარჯების 1% ელექტროენერგიის გენერაციისათვის. ზემოაღნიშნული ზღვრები თავისმեრივ ეფუძნება მარეგულირებელ ორგანოთა საუკეთესო პრაქტიკას და იგი გამართლებულად არის მიჩნეული სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებული საწარმოებისთვის გონივრული დანახარჯების ბაზის განსაზღვრისათვის.

რეგულირებული საწარმოები გალდებულნი უნდა იყვნენ დაიცვან ზემოთ ჩამოთვლილი ლიმიტები, ხოლო დადგენილი ლიმიტების გადაჭარბების შემთხვევაში არ მოხდება სხვაობის ასახვა რეგულირებულ ფასებში/ტარიფში.

დასკვნები და რეკომენდაციები

ჩატარებული კვლევის ფარგლებში, ერთმნიშვნელოვნად დადასტურდა, რომ ელექტროენერგიის გადაცემის და განაწილების ლიცენზიატების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებზეა დამოკიდებული შესაბამისი სატარიფო განაკვეთები, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ ელექტროენერგეტიკული სექტორის ქსელური საქმიანობა წარმოადგენს კაპიტალტევად რეგულირებად საქმიანობას განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილებულდეს რაციონალური ხარჯვის პრინციპითა და გონივრული დანახარჯის ოდენობით განხორციელებულ საინვესტიციო პროექტებზე, მიღწეულ ტექნიკურ-ხარისხობრივ მაჩვენებლებზე.

აღნიშნული მიზნები კი მიღწეული უნდა იქნეს ელექტროენერგიის გადაცემისა და განაწილების ლიცენზიატების დანახარჯების აუდიტით კვლევის ფარგლებში გამოკვეთილი გარემოებების, მიზნების, მაჩვენებლების შესწავლისა და ანალიზის გზით, რომელიც ასახული უნდა იქნეს ბუნებრივად მონოპოლისტი საწარმოების ფინანსურ ანგარიშგებაში.

ცნობილია, რომ ფინანსური კონტროლის მთავარ ფორმას წარმოადგენს დამოუკიდებელი აუდიტი, რომლის ბირთვს ფართო პროფილის აუდიტორები შეადგენენ.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებიდან და შესაბამისი საკანონმდებლო აქტებიდან გამომდინარე, აუდიტის მიზნად ითვლება აუდიტორსა და დაინტერესებულ მხარეს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღრული ამოცანებისა და ვალდებულებების შესრულება. ძირითად მიზნად კი - ფინანსური ანგარიშგების მოქმედ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობა და უტყუარობა. სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით უნდა იმოქმედოს და შემდგომში იხელმძღვანელოს აუდიტორმა ენერგეტიკულ სექტორში მოქმედი ლიცენზიატების ამ შემთხვევაში კი - ელექტროენერგიის გადაცემისა და განაწილების საწარმოების აუდიტის პროცესში, ვინაიდან ასეთი საწარმოებისთვის განისაზღვრება ფინანსური ანგარიშგების სპეციალური ფორმები, რომლებიც შედგენილია მხოლოდ მარეგულირებელი მიზნებისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თანმიმდევრულად უნდა იქნეს შესრულებული აუდიტის ამოცანები, რომელიც მდგომარეობს რეგულირებადი საქმიანობებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინფორმაციების შესწავლითა და ანალიზით, ესეთია:

- იურიდიული პირის დაფუძნების სამართლებრივი საფუძველი;
- საწესდებო კაპიტალის განსაზღვრის სისტორე;
- დამფუძნებლების (აქციონერების), სამეთვალურეო საბჭოსა და დირექტორების საქმიანობის ეფექტურობის, გადანაწილებათა კანონიერების და მათი სახელმწიფო ინტერესებთან შესაბამისობის მდგომარეობა;
- საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა – ანგარიშგების, ფინანსური ანგარიშგების კომპონენტებისა და ელემენტების რეალობის მდგომარეობა;
- ძირითადი ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები; შესამოწმებელი პერიოდის ფინანსური მდგომარეობა;
- ძირითადი საშუალებების, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების და ინვესტიციებისა და კაპიტალ დაბანდებათა აღრიცხვის, დაცვა-შენახვის და გამოყენების მდგომარეობა;
- ანგარიშგებაში მოთხოვნებისა და ვალდებულებების ასახვის სისრულე;
- წმინდა მოგებისა და დივიდენდების ფორმირების მდგომარეობა;
- გაწეული ხარჯების აუცილებლობა და მიზანშეწონილობა; ხარჯების რაციონალიზაციისათვის გატარებულ დონისძიებათა ეფექტიანობა და ა.შ;

ხოლო შედეგების გაანალიზებით, და კონკრეტულ რეგულირებად საქმიანობასთან დანახარჯების კავშირის გათვალისწინებით, აუდიტორმა უნდა ჩამოაყალიბოს შესაბამისი ანგარიში შემდეგი სტრუქტურის დაცვით:

1. ანგარიშგების შესაბამისობაზე მარეგულირებელი ორგანოს ან/და საკანონმდებლო დონეზე დადგენილ მოთხოვნებთან;
2. ნაჩვენები თანხების ანგარიშგებაში შეტანის საფუძველზე ანუ დასაბუთებულობაზე;
3. გაანგარიშებათა სისტორეზე ანუ სტორად შეფასებაზე;

4. ანგარიშგებაში მოცემული აქტივების და პასივების შესახვავლი ობიექტების კუთვნილებაზე;
5. ნაჩვენები თანხების საბუღალტრო ანგარიშებზე სწორად მიკუთვნებაზე ანუ კლასიფიკაციაზე (მარეგულირებლის მიერ დამტკიცებული ანგარიშთა გეგმის შესაბამისად);
6. სამეურნეო ოპერაციების აღრიცხვის დროს სწორად განსაზღვრაზე ანუ განაწილებაზე;
7. საანგარიშგებო ყველა სამეურნეო ოპერაციის საბუღალტრო აღრიცხვის დროულად და სწორად აღრიცხვაზე;
8. ფინანსური ანგარიშგების შედგენის სააღრიცხვო ციკლის ყველა ეტაპის დაცვის შესაბამისად შედგენის მდგომარეობაზე და ა.შ

კვლევამ ცალსახად აჩვენა, რომ საჭიროა ერთიანი სტანდარტის სახელმძღვანელოს შემუშავება და მარეგულირებელი მიზნებისათვის ელექტროენერგეტიკული სექტორის ბუნებრივი მონოპოლიების დანახარჯების აუდირების პრინციპების განსაზღვრა, რათა საკანონმდებლო დონეზე ზოგადი მნიშვნელობის ჩანაწერი - ტარიფში გასათვალისწინებელი “რაციონალური და გონივრული ხარჯები” მოქცეული იქნეს კონკრეტული განმარტებების ქვეშ და ლიცენზიატი საწარმო თავშივე ინფორმირებული იყოს ნებადართული, მიზანშეწონილი ან/და არამიზანშეწონილი ხარჯების თაობაზე.

დასკვნითი დებულებების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს დანახარჯთა დონეების გონივრულობის შეფასება. გონივრულობის ცნება კი თავის მხრივ გულისხმობს დანახარჯების დონეების გამართლებულობის შეფასებას. გონივრულობის შეფასების მიზნით უნდა მოხდეს სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენება, კერძოდ:

1. შედარება დანახარჯების ისტორიულ დონეებთან და მათ განვითარებასთან;
2. შედარება სხვა რეგულირებულ კომპანიებთან (თუ შესაძლებელია, დანახარჯების ტიპების განმარტებიდან გამომდინარე);
3. შედარება მესამე მხარისათვის;
4. მიახლოებითი წინასწარი შეფასება ექსპერტული ცოდნის, კვლევების და გამოცდილების საფუძველზე;

5. შედარება ანალოგიური კომპანიების დანახარჯებთან;
6. დანახარჯებთან დაკავშირებული სტანდარტული მიღების (დანახარჯების ფიქსირებული განაკვეთები კონკრეტული აქტივობებისა თუ მომსახურებებისათვის). თუ დანახარჯები ჩაითვლება არაგონივრულად, შესაძლოა მათი შემცირება, გონივრულ ფარგლებში.

კვლევის შედეგად დასახული მიზნების მისაღწევად, მარეგულირებელი აუდიტი უპირველესად უნდა ეყრდნობოდეს ეკონომიკური ანალიზის მეთოდებს და სრულად იყენებდეს მას, რადგან აუდიტის მიზანი არა მარტო ფინანსური სახსრების მიღება-გამოყენების კანონიერების, მიზანშეწონილობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფაა, არამედ იგი მეწარმეს (ლიცენზიატ საწარმოს) საშუალებას უნდა აძლევდეს და ეხმარებოდეს მატერიალური, შრომითი და ფულადი რესურსების უკეთ გამოყენების რეზერვების გამოვლენაში. მოსალოდნელი არამწარმოებული დანაკარგების აღმოფხვრასა და წარმოებრივი პროცესების უკეთ წარმართვაში, ხოლო ჩამოთვლილი მიზნები თავისმხრივ წარმოადგენს ბუნებრივად მონოპოლისტი საწარმოების ეფექტური რეგულირების წინაპირობას, რომელიც უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მარეგულირებელი ორგანოს მიერ.

საწარმოს ფინანსური ანალიზისათვის და მის შედეგობრივ მაჩვენებლებზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენის მიზნით გავლილი უნდა იქნეს ფინანსური ანალიზის ჩატარების საყოველთაოდ მიღებული სამსაფეხურიანი ეტაპი, რომელიც მფგომარეობს შემდეგში:

ეტაპი I – გულისხმობს ინფორმაციების მიღებას საწარმოს წლიური ფინანსური ანგარიშგებიდან, დაკვირვების მასალებიდან, შიდა და გარე წყაროებიდან, საშუალო დარგობრივი მაჩვენებლებიდან, საერთო კრების და დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებებიდან და ა.შ. აუდიტორის მიერ გულდასმით უნდა იქნეს შემოწმებული ანგარიშგების შედგენის რეალობა, მის ცალკეულ მაჩვენებლებს შორის ლოგიკური ურთიერთკავშირი და სხვა;

ეტაპი II – აუდიტორი უნდა გაეცნოს ანგარიშგებაზე თანდართულ ახსნა-გამარტებებით შენიშვნებს, განსაზღვროს ძირითადი საფინანსო-

ეკონომიკური მაჩვენებლების ცვლილებათა ტენდენციები, დაადგინოს საწარმოს ქონებრივ და ფინანსურ მაჩვენებლებზე მომხდარი ხარისხობრივი ცვლილებები და ა.შ;

ეტაპი III – აუდიტორმა უნდა მოახდინოს საწარმოს ფინანსური საქმიანობის საერთო მიმართულებისა და საწარმოს სენსიტიური ვითარებების – ზარალის, ვადაგადაცილებული სესხების, კრედიტორულ და დებიტორულ დავალიანებათა წარმოშობის მიზეზების გამოვლენა. შეაფასოს საწარმოს ფინანსური მდგომარეობა/პოტენციალი, რისთვისაც შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ბალანსის მუხლების სტრუქტურული და დინამიკური ანალიზი და სხვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად, მარეგულირებელი ორგანოს მიზნები, ფუნქციების და უფლებამოსილების გათვალისწინებით, შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების შესამუშვებლად გაანალიზებული უნდა იქნეს საწარმოს, ფინანსური სტაბილურობა, რენტაბელობის დონე, ინვესტიციების ეფექტიანობა ვინაიდან ბუნებრივად მონოპოლისტი საწარმოები წარმოადგენენ კომუნალური მომსახურების ერთადერთ მიმწოდებლებს მათ სამოქმედო არეალში და მომხმარებლების სტაბილური ელექტრომომარაგების უზრუნველყოფის მიზნით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ამგვარი რეგულირებადი საწარმოების მონიტორნგი, რომლის ფარგლებშიც მარეგულირებელი ორგანოს მიერ დაცული უნდა იქნეს, როგორც მომხმარებლების ასევე, ლიცენზიატი საწარმოების ინტერესებიც. ხოლო ორგანიზებული და დროული რეგულირება თავის მხრივ ხელს შეუწყობს ლიცენზიატი საწარმოს აუდიტის პროცესის მაღალ დონეზე განხორციელებას.

ჩამოთვლილი მიზნების მისაღწევად, ელექტროენერგიის გადაცემის და განაწილების ლიცენზიატებისთვის სამართლიანი ტარიფების დადგენისა, მიზანშეწონილი და გონივრული დანახარჯების განსაზღვრისათვის საჭიროა სისტემური მიდგომა საწარმოს დანახარჯების შესწავლისა და ანალიზის მიმართ, რომელიც ჩატარებული უნდა იქნეს მარეგულირებელი ორგანოსთვის განსაზღვრული უფლებამოსილებიდან გამომდინარე. აქვე მნიშვნელოვანია მკაცრი რეგულირების ფარგლებში, არ იქნეს გამოყენებული რეგულირების

ხისტი პრინციპები, რომლებიც საფრთხეს შეუქმნის მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფას და მომხმარებლის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროდუქტის – ელექტროენერგიის გარეშე დატოვებას.

მარეგულირებელი მიზნებისათვის განსახორციელებელი, დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის სრული მოცულობითა და შინაარსობრივად გამართულად განხორციელების წინაპირობები შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი თანმიმდებრობით:

1. რეგულირებადი საწარმოსათვის საჭირო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსური სახსრების რაციონალურ ხარჯვას, კონკურენტუნარიან ფასებში შესყიდვის საჯაროდ და გამჭვირვალედ განხორციელებას;
2. ერთიანი საბუღალტრო-სააღრიცხვო სისტემის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოს შემოსავლების, ხარჯების, აქტივების, ვალდებულებების, საფინანსო შედეგების და საკუთარი კაპიტალის საბუღალტრო აღრიცხვის განცალკევებულად აღრიცხვას, პირის მიერ ერთზე მეტი სალიცენზიო საქმიანობის ან/და სალიცენზიო საქმიანობასთან ერთად სხვა სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების პირობებში;
3. მარეგულირებელი მიზნებისთვის ელექტროენერგეტიკული სექტორის ბუნებრივი მონოპოლიების დანახარჯების აუდიტის სახელმძღვანელო წესების/პრინციპების შემუშავება და დამტკიცება, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება ზემოთ ჩამოთვლილი რაციონალურობის პრინციპის დაცვით, კონკურენტულ გარემოში საჯაროდ განხორციელებული შესყიდვების გზით გაწეული დანახარჯების აუდიტი მხოლოდ მარეგულირებელი მიზნებისათვის.

ზემოთ ჩამოთვლილი პროექტების დანერგვისათვის, მარეგულირებელი ორგანოს მიზანმიმართული და გეგმაზომიერი აქტივობების განხორციელების ფარგლებში, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს:

- საჯარო შესყიდვების შესახებ ერთიანი წესებისა და რეგულაციების შემუშავების გზით, პროცედურული ნაწილის დეტალური გაწერა;
- ხელშეკრულების დასადებად გამარჯვებულის გამოვლენა გამჭვირვალედ და მიუკერძოებელი პროცედურების გამოყენებით, რაც ხელს შეუშლის კორუფციული გარიგებების არსებობას;
- გამჭვირვალე პროცედურების გზით ხელშეკრულების დასადებად უნდა მოხდეს იმ პრეტენდენტის გამოვლენა, რომელმაც წარმოადგინა ეკონომიკურად ყველაზე მომგებიანი წინადადება ან ყველაზე დაბალი ფასი შერჩევის კრიტერიუმებისა და პროცედურების გათვალისწინებით;
- ერთიანი საბუღალტრო სააღრიცხვო სისტემის ფარგლებში ელექტროენერგეტიკის სფეროში მოქმედი ლიცენზიატი სამართლებრივი ბაზის შექმნა და შესაბამისი წესების მიღება;
- დამტკიცებული ანგარიშთა გეგმისა და სახელმძღვანელო ინსტრუქციების, საფუძველზე ლიცენზიატი საწარმოების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების შეგროვებისა და ანალიზის წესების განსაზღვრა;
- ერთიანი ელექტრონული ბაზების/სისტემის შექმნა ლიცენზიატი საწარმოების ანგარიშგებებში მოცემული ინფორმაციების ეფექტური მართვის უზრუნველსაყოფად, რომელიც იქნება საწარმოების მიერ უწყვეტი ანგარიშგების წარდგენის სტანდარტებსა და პრინციპებზე დაფუძნებული, შემდგომში მარეგულირებელი აუდიტის პროცესის ეფექტური წარმართვისათვის (მაგ.: დანახარჯის წარმოშობის თაობაზე ინფორმაციის/ანგარიშის მარეგულირებელ ორგანოში არაუგვიანეს 15 დღეში ელექტრონულად წარდგენა, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან ან/და გადახდის განხორციელებიდან);
- მარეგულირებელი აუდიტის განხორციელების სახლემძღვანელო წესებისა და დებულებების შემუშავება, რომელშიც გაწერილი უნდა იქნეს აუდიტის დაწყების/დასრულების ვადები, აუდიტის დაგეგმვის და სხვა მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული რეგულაციები;
- ლიცენზიატების მხრიდან მარეგულირებელ ორგანოში სავალდებულოდ წარსადგენი პირველადი დოკუმენტაციის ნუსხის განსაზღვრა,

რომელიც შემდგომში გამოყენებული იქნება დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის პროცესში (რომელიც ასევე, მნიშვნელოვანია მარეგულირებელი აუდიტის პროცესის ინიცირების ეტაპზეც);

- აუდიტის ანგარიშის სტრუქტურის დადგენა/განსაზღვრა, რომელშიც წარმოდგენილი იქნება აუდიტის პროცესში გამოვლენილი, ყველა გარემოება, მოპოვებული მტკიცებულებები, შენიშვნები, დაზუსტება-განმარტებები და სხვა.

საქართველოს ენერგეტიკულ თანამეგობრობაში გაწევრიანებასთან ერთად, უნდა შესრულდეს ეკროგავშირის კანონმდებლობის, კერძოდ კი, მე-3 ენერგეტიკული პაკეტის დირექტივები და რეგულაციები, რომლის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნას მომხმარებელთა ინტერსების დაცვა წარმოადგენს.

ენერგო დირექტივების სრული და ეფექტიანი იმპლემენტაცია უზრუნველყოფს საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას (შესაბამისად გამოიწვევს დანახარჯების ზრდას), ენერგოეფექტიანობის გაზრდას და განახლებადი ენერგეტიკული რესურსების განვითარებას რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ენერგეტიკულ სექტორში ინვესტიციების მოზიდვასა და მის მდგრად განვითარებას, რომლის პირობებშიც დამატებითი შესწავლის საგანი ხდება ენერგოსისტემისთვის საჭირო/მიზანშეწონილი რეგულირებადი და არარეგულირებადი დანახარჯები.

დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის სისტემური დანერგვა საჭიროებს მრავალმხრივ ანალიზსა და სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილების საფუძვლიან გაზიარებას, რომლის ფარგლებშიც სამართლიანი და გონივრული რეგულირებადი დანახარჯების ბაზის ფორმირებისათვის მარეგულირებელი ორგანოს მიერ “დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტი” გამოყენებული იქნება, როგორც ინსტრუმენტი - ელექტროენერგიის გადაცემისა და განაწილების ლიცენზიატი საწარმოების ეფექტიანი სატარიფო რეგულირებისათვის, ხოლო აღნიშნული თავის მხრივ უზრუნველყოფს ენერგო დირექტივებითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრული შესაბამისი მოთხოვნების პრაქტიკულ შესრულებას.

გამოყენებული ლიტერატურა

I. კანონები და ნორმატიული აქტები

1. საქართველოს კანონი „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ”, საქართველოს პარლამენტი, თბილისი, 27.06.1997;
2. საქართველოს კანონი „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს შესახებ” საქართველოს პარლამენტი, თბილისი, 13.09.2002;
3. საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს პარლამენტი, თბილისი, 24.06.2005;
4. საქართველოს კანონი „ენერგეტიკის შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, თბილისი, 22.09.1994;
5. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ”, საქართველოს პარლამენტი, თბილისი, 28.10.1994;
6. საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ”, საქართველოს პარლამენტი, ქუთაისი, 08.06.2016;
7. საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი”, საქართველოს პარლამენტი, თბილისი, 25.06.1999;
8. საქართველოს კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსი”, საქართველოს პარლამენტი, თბილისი, 17.09.2010;
9. საქართველოს პარლამენტის 2015 წლის 24 ივნისის №3758 დადგენილება „საქართველოს ენერგეტიკის დარგში სახელმწიფოპოლიტიკის ძირითადი მიმართულებების თაობაზე”, თბილისი, 2015;
10. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილება „ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ”, თბილისი, 2008;
11. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2011 წლის 8 ივნისის №8 დადგენილება „ელექტროენერგიის ტარიფების დადგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ, ქუთაისი, 2011;
12. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 30 ივლისის №14 დადგენილება

„ელექტროენერგიის გარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიების დამტკიცების შესახებ, თბილისი, 2014;

13. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №23 დადგენილება „ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში საქმიანობის კონტროლისა და ლიცენზიების წესების დამტკიცების შესახებ”, ქუთაისი, 2008;
14. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილება „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების დამტკიცების შესახებ”, ქუთაისი, 2008;
15. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 30 ივლისის №15 დადგენილება „ელექტროენერგიის ნორმატიული დანაკარგების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ”, თბილისი, 2014;
16. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 17 აპრილის №10 დადგენილება „ქსელის წესების დამტკიცების შესახებ”, თბილისი, 2014;
17. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 12 დეკემბრის №34 დადგენილება „საქართველოს ენერგოსისტემის ელექტრულ ქსელებში ელექტროენერგიის ნორმატიული დანაკარგების დამტკიცების შესახებ”, თბილისი, 2017;
18. საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს №77 ბრძანება „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ”, თბილისი, 2006;
19. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №24 დადგენილება „ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში რეგულირების საფასურის გაანგარიშების და გადახდის წესების დამტკიცების შესახებ”, ქუთაისი, 2008;
20. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 27 დეკემბრის №49 დადგენილება სს

50. წლიური ანგარიში 2002 - საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, თბილისი, 2003;
51. წლიური ანგარიში 2001 - საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, თბილისი, 2002;
52. წლიური ანგარიში 2000 - საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, თბილისი, 2001;
53. წლიური ანგარიში 1999 - საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, თბილისი, 2000;
54. სს „თელასის“ 2010-2016 წლების ანგარიშგებები დინამიკაში, საწარმოს ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებზე;
55. სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ 2010-2016 წლების ანგარიშგებები დინამიკაში, საწარმოს ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებზე;
56. სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ 2010-2016 წლების ანგარიშგებები დინამიკაში, საწარმოს ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებზე;
57. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 2006-2016 წლების ანგარიშგებები დინამიკაში, საწარმოს ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებზე;
58. შპს „ენერგოტრანსის“ 2014-2016 წლების ანგარიშგებები დინამიკაში, საწარმოს ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებზებზე;
59. სს გეს „საქრუსენერგოს“ 2014-2016 წლების ანგარიშგებები დინამიკაში, საწარმოს ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებზებზე;

II. სამეცნიერო შრომები, მონოგრაფიები და სტატიები

60. თავაძე გ., ჩომახიძე დ., ქავთარაძე ი., მენაბდე დ., ენერგეტიკის რეგულირება: თეორია და პრაქტიკა, თბ., 2006;
61. გაჩეჩილაძე ზ., მაღრაძე ნ., მაღრაძე თ., თბ., კონკურენტული ელექტროენერგეტიკული ბაზრის ჩამოყალიბება საქართველოში, თბ., 2014;
62. ჩომახიძე დ., საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება, თბ., 2003;
63. მარგველაშვილი მ., მუხიგულიშვილი გ., კონკურენცია და მონოპოლია შიდა ენერგეტიკულ ბაზრებზე, თბ., 2011;

64. პირველი ო., სუმბაძე ნ., მუხიგიშვილი გ., ქელბაქიანი გ., გადამდავა ო., ელექტროენერგეტიკული პოლიტიკის მოდელირება და ანალიზი, თბ., 2013;
65. საბაური ლ., აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები, თბ., 2016;
66. სახოკია გ., ანანიძე ჯ., გიორგიაძე ბ., ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი, თბ., 2016;
67. ჩომახიძე დ., შესავალი ენერგომენეჯმენტი, თბ., 2011;
68. გაჩეჩილაძე ზ., სუმბაძე ნ., ირგელი ო., საქართველოს ენერგეტიკული სექტორის დაგეგმვა LEAP მოდელის გამოყენებით, თბ., 2015;
69. პუბლიკაცია, “საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის მოდელი და ელექტროენერგიით ვაჭრობის მექანიზმი – 2015”, „დელოიტ კონსალტინგი“, თბ., 2012;
70. საქართველოს ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების შედეგების ანალიზი, საქართველოს რეფორმების ასოციაცია, თბ., 2015;
71. კამერდინერი ლ., შპონგლი ჰ., მენგელსონი ა., ფელდმანი ე., “საქართველოში არსებული სატარიფო სისტემისა და რეგულირების მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება და შესაძლო განვითარება”, 2013;
72. ფილიპიდი თ., დისერტაცია, ტარიფების ფორმირების ეკონომიკური მექანიზმების სრულყოფა საქართველოს ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე, 2013;
73. Energy Management Handbook, Sixth Edition, Wayne C. Turner, Steve Doty, 2006;
74. Handbook of Energy Audit, Seventh Edition, Albert Thumann, P.E., C.E.M., William J. Yanger , C.E.M., 2007;
75. Handbook of energy audits, ninth edition, Albert Thumann, P.E., C.E.M. Terry Niehus, P.E., C.E.M. William J. Younger, C.E.M, 2009;
76. Audit Manual Guidin Principles, Ohio Public Utilities Commision, 2017;
77. Method to Estimate the Costs and Benefits of Undergrounding Electricity Transmission and Distribution lines, Peter H. Larsen, Lawrence Berkeley National Laboratory and Stanford University, October 2016;
78. Estimating the Costs and Benefits of the Smart Grid, Final Report, Electric Power Research Institute (EPRI), March 2011;
79. Understanding Today's Electricity business. Shively B. Ferrare J. Enerdynamics 2012;

80. Electricity reforms in Europe, Towards a single market, Glachant J.M. Leveque F. Elgar E., Cheltenham, UK Northampton, MA, USA, 2010;
81. Konstantin Petrov, Malcolm Seymour - KEMA Consulting GmbH – Recommendations on GNERC Reporting Forms of USoA, 2016;
82. Cost and benefit analysis for a distribution management system in electricity distribution networks, Anna Tanskanen, Tommi Raussi, Jarmo Partanen, Juha Lohjala, (2010), International Journal of Energy Sector Management, Vol. 4 Issue: 2, pp.256-272;
83. Unbundling of Electricity and Gas Transmission and Distribution System Operators, Finla Report, 205/December 5;
84. Cost Benefit Analysis in the Context of the Energy Infrastructure Package, final Report, Nils-Henrik M. von der Fehr, Leonardo Meeus, Isabel Azevedo, Władysław Mielczarski François Lévêque, January 2013;
85. Directive 2009/72/EC concerning common rules for internal market in electricity;
86. Chris Harris, "Electricity Markets, Pricing Structures and Economics", 2006, The Wiley Finance Series;
87. Gomez San Roman, Tomas. "The Economics of Regulation: Monopolistic Activities."
88. Petrov Constantin, Nunes Rosaria - „Electricity Markets Regulation“, 2009;
89. Rivier, Michel. "Electricity Power Transmission." Regulation of Energy Utilities Training Course. Florence, Italy: Florence School of Regulation, 2009;
90. Marc A. Jamison, "Rate of Return Regulation", Public Utility Research Centre, University of Florida;
91. Cost Benchmarking in Energy Regulation in European Countries; Andrea Schweinsberg, Marcus Stronzik, Matthias Wissner, WIK-Consult GmbH, Bad Honnef, December 14, 2011;
92. "Study on tariff design for distribution systems" prepared for European Commissio, DG Energy to the consortium of AF-Mercados, REF-E and Indra, January 28, 2015;
93. Steven Stoft, "Power System Economics", 2002;
94. Regulation of Electricity Distribution Business, Satu Viljainen, Kaisa Tahvanainen, Jukka Lassila, Lappeenranta University of Technology, 2014;

95. Cambridge Economic Policy Associates, CEPA (2003), Background to Work on Assessing Efficiency for the 2005 Distribution Price Control Review;
96. Prof. Ignacio L. Perez-Ariagga, "Engineering, Economics & Regulation of the Electric Power Sector", Spring 2010; session 5&6, P 4.;
97. Benchmark Regulation and Efficiency of Electricity Distribution, Hugh Rudnik, Bonn, April 25-26, 2016;
98. Electricity Network Tariffs Regulations, Italian Study, Milan, May 7, 2017;
99. Distribution Tariff Determination & Tariff Rationalisation, Vivek Sharma, July 19, 2011;
100. Distribution and Transmission Network Tariffs and Incentives, CEER White Paper series (paper #I) on the European Commission's Clean Energy Proposals, May 11, 2017;

III. გებ-გერდები

101. http://eeas.europa.eu/georgia/pdf/eu-ge_aa-dcfta_en.pdf
102. <http://dfwatch.net/the-trans-caspian-pipeline-a-strategic-opportunity-44400-28623>
103. <http://www.radiotavisupleba.ge/content/georgia-and-european-energy-community/24742516.html>
104. http://ec.europa.eu/energy/sites/ener/files/documents/2006_03_unbundling_electricity_gas.pdf
105. <http://www.energy.gov.ge/show%20news%20mediacenter.php?id=440&lang=geo>
106. http://ec.europa.eu/geninfo/query/index.do?QueryText=energy&op=Search&swlang=en&form_build_id=form-Nj4NTggDeam5CVmL4RJhL1QChng4KMIIfDYIAhC1Sirk&form_id=nexteuropa_europa_search_search_form
107. http://ec.europa.eu/energy/sites/ener/files/documents/2006_03_unbundling_electricity_gas.pdf
108. <https://www.hindawi.com/journals/jen/2016/2486319/>
109. <https://www.nve.no/energy-market-and-regulation/network-regulation/network-tariffs/>

110. <http://www.energynetworks.org/electricity/regulation/distribution-charging/distribution-charges-overview.html>
111. [http://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/File:Half-yearly_electricity_and_gas_prices_\(EUR\).png](http://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/File:Half-yearly_electricity_and_gas_prices_(EUR).png)
112. <http://www.ebrd.com/Search.html?srch-term-user=GNERC&srch-term=GNERC&srch-pg=srch&srch-type=all&pg=1&sort=relevant>
113. <https://www.slideshare.net/fazlulbari52/handbook-of-energy-audits-ninth-edition>
114. www.matsne.gov.ge
115. www.gnerc.org
116. www.esco.ge
117. www.economy.ge
118. www.energy.gov.ge
119. www.gse.com.ge
120. www.energotrans.com.ge
121. www.sakrusenergo.ge
122. www.telasi.ge
123. www.energo-pro.ge
124. www.ked.ge
125. www.energy-community.org
126. www.e-control.at
127. www.naruc.org
128. www.ceer.eu
129. www.erranet.org